

მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1.1973

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
სახოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

თბილისი-1973 ТБИЛИСИ



მაცნე



ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

11973

სა რ ე ლ ა ქ ს ი ო კ ო ლ ე გ ი ა: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*).
Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაყიძე
Ответственный секретарь Э. Вашакидзе

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

ა. ათანელიშვილი, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში	7
ბ. კლიმიშვილი, თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების სოციალური ასპექტები	19
ჟ. სონღულაშვილი, მევენახეობა-მეღვინეობის სააღმშენებლო ხასიათი აღმოსავლეთ საქართველოში	34
პ. ღუნღუა, საქართველოში გატარებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები	51
ზ. დიდუბაძე, საქართველოსა და ცენტრალური წინააღმდეგობის კულტურული ურთიერთობის შესახებ X—XII სს.	66

ცნობები და შენიშვნები

ი. უთუბრაშვილი, დროებით გადღეობულ გლეხთა სანადგრო მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში	81
ი. ზამთარაძე, ნასახლარი ნოსტე	89
ო. ჩიქოვანი, კოლხეთის დაბლობის ამოწმების ისტორიიდან	108
ა. აბაღლაძე, შამქორის ბრძოლის თარიღისათვის	114
ბ. ალექსიძე, უნტანესის ცნობების კრიტიკისათვის	119
თ. ბერაძე, „გაგარი“ და „ულაღის“ განმარტებისათვის	122
ლ. ხუციშვილი, „ელახერნის“ ღვთისმშობლის' ბიზანტიური სატი	124
ზ. იანაშვილი, ARSE-ს შესახებ ურარტუს ზონაში	130
ა. ქალაძე, ხარკმლის დანიშნულება ძველქართვ ნაგებობებში	134

პუბლიკაცია

პ. ბაგრატიანი, ზ. ცხიტიანი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა	144
--	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. სტურუა, სოციალისტური რევოლუციის ისტორიის საკითხები უკანასკნელი 10 წლის ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში	156
მ. ქანთარია, ახალი წიგნი აჭარის სამეურნეო ყოფაზე	163
პ. ბაგრატიანი, ა. ზ. მანფრედი, ნაპოლენ ბონაპარტი	167

ქრონიკა და ინფორმაცია

ნ. როდონია, წიგნის განხილვა	173
ი. ტაბაღაძე, საგარეო ურთიერთობის დოკუმენტების პუბლიკაცია	180
რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1972 წელს	181

საისტორიო მაცნეობების მოღვაწენი

პ. ნუგინაშვილი, დ. ბაქრაძე როგორც არქეოლოგი	188
ი. ბეჟანი, ხათუნა ჩხეტიანი (ნეკროლოგი)	196
გიორგი ჩუბინაშვილი (ნეკროლოგი)	197

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

А. АТАНЕЛИШВИЛИ, Вопрос создания Закавказской федерации в буржуазной историографии	7
Р. КЛИМИАШВИЛИ, Социальные аспекты современных демографических процессов	19
Дж. СОНГУЛАШВИЛИ, Способы сбора и обработки винограда в Восточной Грузии	34
Г. ДУНДУА, Моменты Александра Македонского и Лизимаха, распространенные в Грузии	51
З. ДИДЕБУЛИДЗЕ, О культурных взаимосвязях Грузии и Центрального Предкавказья в X—XII веках	66

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

И. УТУРАШВИЛИ, Надельное землевладение временнообязанных крестьян в Восточной Грузии	81
М. ЗАМТАРАДЗЕ, Развалины Носте	89
О. ЧИКОВАНИ, Из истории осушения Колхидской низменности (1945—1952)	108
А. АБДАЛАДЗЕ, О дате Шамхорской битвы	114
З. АЛЕКСИДЗЕ, К критике сведений Ухтанеса	119
Т. БЕРАДЗЕ, О значении терминов «Гагари» и «Угаги»	122
Л. ХУСКИВАДЗЕ, Византийская икона «Влахернской» богородицы	124
З. ЯМПОЛЬСКИЙ, Об ARŞE в зоне Урарту	130
А. КАЛДАНИ, Назначение светового проема в древних сванских сооружениях	134

ПУБЛИКАЦИЯ

В. ГАМРЕКЕЛИ, З. ЦКИТИШВИЛИ, Демографическая ведомость от 5 апреля 1770 г.	144
--	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

И. СТУРУА, Вопросы социалистической революции в грузинской исторической литературе последнего десятилетия	156
М. КАНТАРИЯ, Новая книга об аджарском хозяйственном быте	163
Г. ПАЙЧАДЗЕ, А. З. Манфред, Наполеон Бонапарт	167

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

И. РОДОНАЯ, Обсуждение книги	173
И. ТАБАГУА, Публикация документов внешней политики	180
Г. РАМИШВИЛИ, Жинвальская археологическая экспедиция в 1972 году	181

ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

Г. ЧУБИНАШВИЛИ, Д. Бакрадзе как археолог	188
М. БЕКАЯ, Хатуна Чхетиани (некролог)	196
Георгий Чубинашвили (некролог)	197

არჩილ ათანელიშვილი

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საკითხი გურჯაანულ ისტორიოგრაფიაში

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის შექმნის საკითხს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ქართველი საბჭოთა მეცნიერები თავიანთ შრომებში ღრმად განიხილავენ ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის წინამძღვრებს, ფედერაციის ხასიათსა და შინაარსს, მის ისტორიულ დანიშნულებას და მიზანს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ხელს არ იღებს აღნიშნული საკითხების ფალსიფიკაციაზე, ყოველ ნაბიჯზე ცდილობს დაუპირისპირდეს საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევებს.

ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის საკითხების განხილვისას ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა სწრაფვას გაერთიანებისაკენ უიმედო საქმედ წარმოგვიდგენს, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას ნაძალადევ ღონისძიებად სახავს და მას ხსნის არა ობიექტური პირობებით, არამედ პიროვნებათა ნება-სურვილებით. ბურჟუაზიული ისტორიკოსების აზრით, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა მიმართული იყო ეროვნულ რესპუბლიკათა არსებობის წინააღმდეგ, ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისაკენ. ჯერ კიდევ 1926 წ. მათ „ფედერაცია“ და „დამოუკიდებლობა“ ურთიერთგამომრიცხველ მოვლენებად მიიჩნიეს. მაგალითად, პაროლდ ბუქსტონის აზრით: „ამიერკავკასიაში საბჭოთა მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს სამი რესპუბლიკის ფედერაციის შექმნა, თუ კი ნამდვილი კავშირი დამყარდება, კავკასიას შეუძლია მიაღწიოს საუცხოო განვითარებას დამოუკიდებელ „სახელმწიფოთა კავშირის“ შიგნით. მაგრამ ამ კავშირს, როგორც ჩანს, — აცხადებს ის, — არ ძალუძს განახორციელოს შესაბამისად სხვადასხვა რასის, ენის, რელიგიის მქონე ხალხების მიერ შექმნილი ფედერაცია“¹. დაახლოებით ასეთივე აზრი იყო განვითარებული ამერიკის შეერთებული შტატების ყურნალ „ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების მიმომხილველში“, სადაც ვკითხულობთ: საბჭოთა ფედერალიზმის სისტემა, რომელიც შეიქმნა 1923 წლის კონსტიტუციით, ასახავს ფედერალური იდეის უცნაურ ინვერსიას. მმართველობის ფორმის ამ იარაღის შემადგენელი ნაწილები გამოხატული იყო რთული (კომპლექსის) და საწინააღმდეგო (კონფლიქტის) არსის პრობლემების გაერთიანებით. ახალი რუსეთის შემქმნელებს — კომუნისტური პარტიის ლიდერებს — სურდათ უზრუნველყოთ, ერთი მხრივ, პროლეტარიატის მმართველობა..., მეორე მხრივ,

¹ Trans-Caucasia by the Rev. Harold Buxton, M. A., 1926, London, 33. 92.

... პროლეტარული მმართველობის პრინციპებისათვის უნდა შეეგუებინათ საწინააღმდეგო — ეროვნებების დამოკიდებულებისა და თვითმმართველობის პრინციპები... ცდილობდნენ მოერგოთ ერთმანეთისათვის ორი შეუსაბამო პოლიტიკური იდეა... აბსოლუტიზმის პრაქტიკული განხორციელება ფედერალიზმის იდეასთან².

კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყოფილი რუსეთის იმპერიის მშრომელებს საერთო კლასობრივი მდგომარეობა, ისტორიული ბედი და საბოლოო მიზნები აერთიანებდა. ინტერესების ერთიანობამ წარმოქმნა პროლეტარული სოლიდარობის შეგნება, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. ბურჟუაზიასთან ბრძოლაში გამარჯვებულმა პროლეტარიატმა კაპიტალისტური სამყაროს შემოტევის უკუსაგდებად და სოციალიზმის ასაშენებლად შექმნა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო. ახალი ფედერალური სახელმწიფო წარმოადგენდა ისეთ კავშირს, რომელიც დამყარებული იყო პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმზე, სხვადასხვა ერების სრულ ურთიერთნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე. ისინი გაერთიანდნენ „არა მანეთის ძალით, არა კეტის ძალით, არა ძალადობით, არამედ ნებაყოფლობითი თანხმობით, მშრომელთა სოლიდარობით ექსპლოატატორთა წინააღმდეგ“³. ამიტომაც კლასობრივი შეგნებით გაერთიანებული მშრომელთა კავშირი, ჩვენი ახალი საკავშირო სახელმწიფო უფრო მტკიცე იყო და არის, ვიდრე რომელიმე სხვა ნაძალადევად შეოქმინებული სახელმწიფო⁴.

საბჭოთა სახელმწიფო სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ვერ მოიპოვებდა გამარჯვებას მტკიცე ნებისყოფისა და რკინისებური დისციპლინის გარეშე. ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა ინტერესების დაცვისა და ექსპლუატატორული კლასების დათრგუნვის ფუნქციებს ასრულებდა პროლეტარული დიქტატურა, რომელსაც ახალ დემოკრატიზმამდე, სახელმწიფო მმართველობაში დამოუკიდებელ მონაწილეობამდე აჰყავდა მშრომელთა და ექსპლუატირებულთა ათეული და ასეული მილიონები⁵. ამიტომ პროლეტარული დიქტატურის მიერ გატარებული დემოკრატიული ცენტრალიზმი სრულებით არ ეწინააღმდეგებოდა მშრომელთა მიერ ნებაყოფლობით შექმნილ ფედერაციას, პირიქით, იგი წარმატებით ემსახურებოდა მრავალეროვან სახელმწიფოში ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის პარმონიულ ერთიანობას. დემოკრატიული ცენტრალიზმი არ ნიშნავდა და არ ნიშნავს მოკავშირე რესპუბლიკათა ბრმა მორჩილებას ცენტრისადმი⁶, როგორც ამის დამტკიცება სურს ზოგიერთ ბურჟუაზიულ ისტორიკოსს. საბჭოთა ფედერაციაში ნებაყოფლობით საწყისებზე შემავალი თითოეული საბჭოთა რესპუბლიკა ფედერალური მმართველობის სასარგებლოდ თმობდა თავისი სუვერენიტეტის ნაწილს და იძენდა სხვებთან ერთად თანასწორ უფლებებს ფედერალურ ორგანოებში, იმავე დროს ინარჩუნებდა რესპუბლიკური მნიშვნელობის საკითხების გადაჭრაში ფართო დამოუკიდებლობას. საერთო ფედერალურ და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უფლებების განაწილება, მთელსა და ნაწილს შორის ურთიერთდამოკიდებულების

² The American Political Science Review, vl. XXIII, February, 1929, № 9, გვ. 159.

³ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 23, გვ. 20.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 26, გვ. 562.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 313.

⁶ The New Imperialism, A Background book. Hugh Seton-Watson, Chester Springs, Pennsylvania, 1961, გვ. 66.

მსგავსად შესაძლებელს ხდიდა ორი ურთიერთდაკავშირებული მხარის: ცენტრალიზმისა და დემოკრატიზმის ჰარმონიულ შერწყმას, მის საფუძველზე ეკონომიკასა და კულტურაში არნახული წარმატებების მიღწევას.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები ცდილობენ საბჭოთა ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც, წარმოადგინონ „რუსეთის პროვინციად“, „რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ნაწილად“⁷. „1922 წლის შემოდგომაზე — ი. წერეთლის აზრით, — რუსეთის კომუნისტური პარტიის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით საქართველო და მთელი კავკასია გამოცხადებულ იქნა რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის ნაწილად“⁸. ქართველ ემიგრანტთა ასეთი ცილისმწამებლური განცხადებებით ფართოდ სარგებლობენ თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსები და ცდილობენ ამ მონაჭორის მეცნიერული სამოსლით პოპულარიზაციას ხალხში. სინამდვილეში, საქართველომ საბჭოთა ფედერაციაში შესვლით შეინარჩუნა სუვერენული სახელმწიფოს ყველა უფლება. მაგრამ, ერთ ფედერალურ სახელმწიფოდ გაერთიანება განუხრელად იწვევდა ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოების სუვერენული უფლებების შეზღუდვასაც საერთო ფედერალური ორგანოებისა და არა რომელიმე ცალკე აღებული სახელმწიფოს სასარგებლოდ.

ე. ჰ. კარის თავის შრომებში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და სოციალისტური მშენებლობის საკითხებს. მისი აზრით, ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაციული გაერთიანების წინააღმდეგი იყო ქართველი ხალხი და საქართველოს კომუნისტური პარტია, თითქმის ფედერალურ გაერთიანებას განხეთქილება შეეცანოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. სომხეთსა და საქართველოს შორის და ა. შ. თურმე ქართველი კომუნისტები წინააღმდეგი იყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციაში შესვლისა იმიტომ, რომ მათ აქ თანასწორი პარტნიორობა უნდა გაეწიათ და სამეურნეო სარგებლიანობა გაენაწილებინათ ეკონომიურად სუსტი მეზობლებისათვის — აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის, მაშინ, როცა შეეძლოთ თავიანთი საუცხოო მატერიალური და პოლიტიკური გამოცდილებით გაბატონებული ადგილი დაეკავებინათ ამიერკავკასიაში⁹. ქსენია იურკოვ-ეჟდინი და რობერტ კ. ნორთი თავიანთ ნაშრომებში სპეციალურ თავებს უძღვნიან ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებისა და საბჭოთა კავშირის შექმნის ისტორიას. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, ე. ჰ. კარის მსგავსად, ისინიც ქართველებისათვის არასასურველ ღონისძიებად სახავენ¹⁰. ასეთივე აზრისანი არიან ამ საკითხზე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლები: რობერტ კონკესტი¹¹, გუნთერ შტოკლი¹² და სხვები. აღნიშნულ „მკვლევარ-

⁷ Georgien. Eine wirtschaftliche Studie von Dr. Hatschidze, Innsbruck, 1926, გვ. 4.

⁸ Der Terror gegen die sozialistischen parteien in Rußland und Georgien. K. Abramovitch, W. Suchomlin, I. Zereteli, Berlin, 1925, გვ. 101.

⁹ E. H. Carr, A History of Soviet Russia. vl. I. The Bolshevik Revolution 1917—1923, Baltimore-Maryland, 1966, გვ. 344—345, 398; vl. II. Sozialism in one country 1924—1926, Cambridge, New-York, 1960, გვ. 263; vl. III, გვ. 302—303.

¹⁰ Soviet Russia and East 1920—1927; A documentary Survey by Xenia Jourkoff-Eudin and Robert C. North, Stanford, 1957, გვ. 25, 33—34.

¹¹ Soviet Studies series. Edtd. by Robert Conquest. Soviet Nationalities Policy in Practice, London, Toronto, Sydney, 1967, გვ. 37—38.

¹² Günther Stökl, Russische Geschichte. Von den Anfängen bis zur Gegenwart. Stuttgart, 1965, გვ. 667; Schriften des Arbeitskreises für Ostfragen II. Günther Stökl. Sowjetunion unter Lenin und Stalin, 1917—1953; München, 1963, გვ. 31.

თა“ სახე ადვილად გამოჩნდება, თუ ზოგადად მაინც გადავავლებთ თვალს ფედერაციის იდეის წარმოშობისა და მისი განხორციელების მთავარ მომენტებს.

ფედერაციის იდეა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბევრად ადრე. „როცა ამიერკავკასიაში მოახლოვდა კონტრრევოლუციური მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლებს გამარჯვების მომენტი, უკვე 1920 წლის დამდეგიდან სულ უფრო მძლავრად გაისმა ხმები ამიერკავკასიის მშრომელთა მომავალი ფედერალური გაერთიანების შესახებ. სრულიად გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამიერკავკასიის ხალხთა ფედერალური გაერთიანების იდეა სწორედ ამ დროს წარმოიშვა“¹³.

1920 წლის 20 იანვარს რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს პროკლამაციაში აღნიშნულია, რომ ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიქმნება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელთა მეგობრული კავშირი — „კავკასიის ხალხთა საბჭოთა ფედერაცია“¹⁴.

ფედერალური სახელმწიფოს შექმნის იდეას შეიცავდა აგრეთვე კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის წევრების მ. ცხაკაიასა და სულთან-ზადეს მიერ სომხეთის რევკომისათვის 1920 წლის 5 დეკემბერს გაგზავნილი მისაღმება: რომ ჩქარა მტკიცე საფუძველი შეიქმნებოდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანებისათვის¹⁵. მსგავსი აზრია გამოთქმული აგრეთვე 1921 წლის 2 მარტის გაზეთ „პრავდას“ ფურცლებზე. 1921 წლის 11 აპრილის ბაქოს საბჭოს გაფართოებული სხდომის რეზოლუციაში¹⁶ და სხვ.

ამიერკავკასიაში სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საკითხი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე დაისვა. ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო ხასიათის ფაქტორებით: 1) ამიერკავკასიის რესპუბლიკებში მძლავრი ანტისაბჭოთა პარტიების მოღვაწეობით, 2) იმპერიალისტური ინტერვენციის საფრთხით, 3) იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის აუცილებლობით, 4) ამიერკავკასიის ხალხთა შორის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ დათესილი შუღლისა და უნდობლობის აღმოფხვრის აუცილებლობით, 5) ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთდახმარებისა და სოციალისტური თანამშრომლობის აუცილებლობით.

ნაციონალური მშვიდობიანობის დამყარება და სოციალისტური თანამშრომლობის განვითარება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის გარდაუვალს ხდიდა შემდეგ კონკრეტულ ამოცანათა განხორციელებას: 1) შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაერთიანებას, 2) წითელი არმიის ეროვნული ნაწილების შექმნისა და მათი საერთო სარდლობისადმი დამორჩილებას, რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან ურთიერ-

¹³ ვ. ე. საიაშვილი, ვ. ი. ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები, თბილისი, 1969, გვ. 367, 359, 371—374; მ. ჯიჭიშვილი, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანება და მისი მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობისათვის, იხ. სსრ კავშირის შექმნის 40 წ. (1922—1962), თბილისი, 1963, გვ. 57—59.

¹⁴ Газ. «Правда», № 274, 1920.

¹⁵ «Борьба за победу Советской власти в Грузии», Документы и материалы, Тб., 1958, გვ. 533

¹⁶ Газ. «Правда» от 2 марта 1921 года, «Правда Грузии», № 4, 1921.

თობის დამყარებას სამხედრო კონვენციის საფუძველზე, 3) რკინიგზების გაერთიანებას, 4) საგარეო ვაჭრობის გაერთიანებას, 5) ფულის ერთიანი სისტემის შემოღებას, 6) ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბაჟოებისა და სხვა შემზღულად ღონისძიებათა გაუქმებას, 7) საზღვრების მოწესრიგებას, 8) ნაციონალურ რესპუბლიკათა ეკონომიური ღონისძიებების ერთიანი ეკონომიური გეგმით წარმართვას, ურთიერთდამხარებას¹⁷.

ამიერკავკასიის ფედერაციამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლამდე განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. პირველ რიგში გაერთიანებულ იქნა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის რკინიგზება, საგარეო ვაჭრობა და სხვ. შემდეგ შეიქმნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული კავშირი, ბოლოს ეს კავშირი გარდაიქმნა ფედერაციულ რესპუბლიკად. მხოლოდ ასეთი გაერთიანება ჰქმნიდა იმის პირობებს, რომ გაგვეთვალისწინებინა თითოეული რესპუბლიკის სამეურნეო-კულტურული და საყოფაცხოვრებო თავისებურება, უზრუნველგვეყო ფედერაციაში შემავალ ერთა მშვიდობიანი, ძმური თანამშრომლობა და, რაც მთავარია, საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება და განმტკიცება. „რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს კავკასიის ეროვნებათა მუშებსა და გლეხებს შორის ეროვნულ მშვიდობიანობას, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — კიდევ უფრო შეუღებულად მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ და განვაფართოოთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორც სოციალიზმზე გარდამავალი საფეხური“¹⁸.

ამიერკავკასიის ფედერაციის იდეის პრაქტიკული განხორციელების, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო, პოლიტიკური და სამხედრო გაერთიანების ინიციატივა ეკუთვნის ვ. ი. ლენინს. 1921 წლის 9 აპრილს გ. კ. ორჯონიკიძისადმი გაგზავნილ დეპეშაში იგი დაბეჭითებით მოითხოვს საოლქო სამეურნეო ორგანოს შექმნას მთელი ამიერკავკასიისათვის, 1921 წლის 14 აპრილის წერილში კი კავკასიელი ამხანაგებისადმი — ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის დამყარების მნიშვნელობას.

ვ. ი. ლენინის ამ მოთხოვნების საფუძველზე 1921 წლის 11 აპრილის ბაქოს საბჭო თავის რეზოლუციაში ლებულობს გადაწყვეტილებას: „ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო გაერთიანება“¹⁹.

1921 წლის 16 აპრილს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს — აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის დაიდო შეთანხმება ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანების შესახებ²⁰. შეთანხმებისამებრ ამიერკავკასიის რკინიგზებს უნდა ემუშავათ იმ წესების მიხედვით, რაც დამყარებული იყო რსფსრის რკინიგზებზე. ცოტა ხნით ადრე, 1921 წლის 12 მარტს, გაიხსნა ბაქო—თბილისი—ბათუმის ნავთსადენის ხაზი. 1921 წლის 2 ივნისს კი შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი²¹.

¹⁷ ი. კ ა ჯ ა რ ა ვ ა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენით პერიოდში, თბილისი, 1953, გვ. 75—76.

¹⁸ ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 397.

¹⁹ «Организация СССР». Сборник документов, М.-Л., 1949, გვ. 270.

²⁰ Газ. «Правда Грузии», № 41, от 20 апреля 1921 года.

²¹ იქვე, № 93, от 25 июня 1921 года.

მაგრამ რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება არასაკმარისი აღმოჩნდა, აუცილებელი იყო უფრო ფართო და უფრო მჭიდრო სამეურნეო, პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი გაერთიანება. „იმისათვის, რომ ნამდვილად შეაერთოთ ცალკეული რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებანი და კიდევაც გააერთიანო ეს რესპუბლიკები ერთიან სამეურნეო კავშირად, საჭიროა შექმნას სათანადო საკავშირო, მუდმივად მოქმედი ორგანოები, რომლებსაც შეეძლებათ ერთი გარკვეული გზით წარმართონ ამ რესპუბლიკების სამეურნეო ცხოვრება“²².

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებების გაერთიანების საქმეში დიდი როლი შეასრულა 1921 წლის ივლისში თბილისში ჩატარებულმა რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს პლენუმმა, ი. ბ. სტალინის, გ. ორჯონიკიძის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის კპ ცკ-ის წევრების, პროფესიული კავშირებისა და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. 1921 წლის აგვისტოში კი რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს გადაწყვეტილებით შეიქმნა კავკასიის ეკონომიური ბიურო, რომელსაც უნდა გაეწია ხელმძღვანელობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

1921 წლის შემოდგომაზე აუცილებელი გახდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების პოლიტიკურ ღონისძიებათა გაერთიანება. ამ ღონისძიებას უნდა უზრუნველყოფო მხარის სამეურნეო მშენებლობის სწორი მიმართება, ადგილობრივი ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეკონომიური და სხვა პირობების გამოყენება, ტრადიციული ეკონომიური და კულტურული კავშირების განვითარება და განმტკიცება. აგრეთვე მას უნდა გადაეჭრა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის არსებული სასაზღვრო კორდონების, საბაჟოებისა და ფინანსური დაქუცმაცების ლიკვიდაციის საკითხი.

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის შექმნის საკითხი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისათვის დღის წესრიგში დადგა 1921 წლის შემოდგომაზე²³. 1921 წლის 3 ნოემბრის კავკასიის ბიუროს პლენუმმა, ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელი ამხანაგების მონაწილეობით, აუცილებლად მიიჩნია „რესპუბლიკათა შორის ფედერაციული კავშირის დადება“²⁴. 1921 წლის 28 ნოემბერს ვ. ი. ლენინი წერს ცნობილ წინადადებათა პროექტს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის შესახებ.

1921 წლის 29 ნოემბერს ვ. ი. ლენინის წინადადებათა პროექტი ერთხმად მიიღო რკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ²⁵. ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნას მიიჩნევდა პრინციპულად აბსოლუტურად სწორ, აუცილებლად განსახორციელებელ საქმედ, „მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების მხრივ ნაადრევად, ე. ი. მისი განხორციელება მოითხოვს დროის განსაზღვრულ პერიოდს განხილვის, პროპაგანდისა და საბჭოურად ქვეყიდან გატარებისათვის; 2) წინადადება მიეცეს (კავშირის მეშვეობით) საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ფედერაციის საკითხი დააყენონ უფრო ფართოდ განსახილველად. პარ-

²² ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 153—154.

²³ М. О р а х е л а ш в и л и, Ленин и ЗСФСР, Тифлис, 1925, გვ. 12.

²⁴ Газ. «Бакинский рабочий» от 6 ноября 1921 г.

²⁵ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 252—253.

ტიისა და მუშათა და გლეხთა მასების წინაშე ენერგიული პროპაგანდა გააჩაღონ ფედერაციის სასარგებლოდ და გაიყვანონ იგი თვითეული რესპუბლიკის საბჭოების ყრილობებზე; დიდი ოპოზიციის შემთხვევაში ზუსტად და დროულად ეცნობოს ეს რკპ ცკ-ის პოლიტიბუროს²⁶.

5 თვის განმავლობაში (1921 წლის ნოემბერი — 1922 წლის მარტი) ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები ფართო პროპაგანდას უწევდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეას. მიტინგებსა და კრებებზე გამოდიოდნენ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ამხანაგები: გ. კ. ორჯონიკიძე, ს. მ. კიროვი, ა. ფ. მისანიკოვი და სხვები²⁷. ამიერკავკასიის მოსახლეობა აღფრთოვანებით შეხვდა ფედერაციის შექმნას და მხარი დაუჭირა მას²⁸. 1922 წლის იანვარსა და თებერვალში შედგა სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოების რესპუბლიკური ყრილობები, აგრეთვე სომხეთის კ(ბ) I ყრილობა, საქართველოს კ(ბ) I ყრილობა, აზერბაიჯანის კ(ბ) II ყრილობა: მათ ერთხმად მოიწონეს კავკასიის ბიუროს 3 ნოემბრის გადაწყვეტილება და სთხოვეს რკპ(ბ) ცკ-ის კავკასიის ბიუროს დაეჩქარებინა ფედერაციის შექმნის პრაქტიკული განხორციელება. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო 1922 წლის 18—22 თებერვალს თბილისში ჩატარებულმა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების I ყრილობამაც.

1922 წლის 12 მარტს თბილისში გახსნილმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა სრულყოფილებიანმა კონფერენციამ დადო სამოკავშირო ხელშეკრულება „ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციული კავშირის“ შექმნის შესახებ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების შემდგომი დაახლოების ნაბიჯი გადადგმულ იქნა ამიერკავკასიის ერთიანი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნისა და მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებით. ეხებოდა რა საქართველოს მშრომელებში ფედერაციის იდეით დაინტერესების საკითხს, გ. სტურუა აღნიშნავდა: ყველა მიტინგზე „იძლეოდნენ კითხვებს — როგორი იქნება გაერთიანებული რესპუბლიკების დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთთან? და როდესაც მათ ვპასუხობდი, რომ მშრომელთა ინტერესები თხოულობს ფედერაციულად გაერთიანებას საბჭოთა რუსეთთან, რაც ალბათ მოხდება თავის დროზე, ამ პასუხს მიტინგი ფარავდა გაცხოველებული ტაშით... უნდა გამოვტყდე, რომ ჩვენი რევოლუციის ისტორიაში მე იშვიათად შევხვედრივარ დიდი პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის დროს ასეთ აქტივობას, ერთსულოვნებას“²⁹. კიდევ უფრო დიდი იყო საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა სიზარული ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნისა და საბჭოთა კავშირში მისი გაერთიანების საკითხის უშუალოდ დაყენებით³⁰.

²⁶ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 134.

²⁷ Г. К. Орджоникидзе, Избранные статьи и речи 1918—1937, გვ. 61—62, 64, «Образование СССР», Сборник документов, 1917—1924, გვ. 285, А. Ф. Мясников, О Закавказской Федерации, Тифлис, 1930, გვ. 11—12.

²⁸ Газ. «Наша Правда», 1921, 9. XII; «Правда Грузии», 26, 29, 30, XI, 1921 г., 9. 20. 21. 1921, газ. «Бакинский рабочий», 4, 5. XII, 1921; «Кавказский вестник труда», № 2, 1921, გვ. 16; «Образование СССР» დასახ. ნაშრ., გვ. 288; ვახ. „კომუნისტი“, 27. XI, 7. XII, 1921; ვახ. „მიწის მუშა“, 27. XII, 1927.

²⁹ ვახ. „კომუნისტი“, 1921 წლის 7 დეკემბერი.

³⁰ Газ. «Заря Востока» от 24 октября и 3 ноября 1922 г., «Коммунисти» от 12 декабря 1922 г., «Правда Грузии» от 10 ноября 1922 г., «Бакинский рабочий» от 16 октября и 3 ноября 1922 г.

1922 წლის 30 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა საბჭოების I საერთო-საკავშირო ყრილობა, რომელმაც დიდი აღფრთოვანებით დაამტკიცა საბჭოთა კავშირის შექმნის დეკლარაცია და შეთანხმება. საბჭოთა ფედერაციულ სახელმწიფოს სახელმწიფოებრივ-უფლებრივ წანამძღვარს წარმოადგენდა სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების არსებობა, რომელთა ნება ასახული იყო მათ მიერ დადებულ ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც სამოკავშირო სახელმწიფოში გაერთიანებული სახელმწიფოები წარმოადგენდნენ სუვერენულ საბჭოთა სახელმწიფოებს.

აუცილებლად თვლიდა რა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიან სახელმწიფოებრივ კავშირში გაერთიანებას, ვ. ი. ლენინი მისი განხორციელების ღონისძიებების გატარებისას ყოველთვის მოითხოვდა ფრთხილ შიდაგომას, საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მაქსიმალურ შენარჩუნებას, ახალგაზრდა სოციალისტური რესპუბლიკების სუვერენიტეტის პატივისცემას.

ეროვნული რესპუბლიკები საბჭოთა კავშირში გაერთიანებით, „რუსეთის პროვინციად“, „მის ნაწილად“ კი არ იქცნენ, როგორც ამას ამტკიცებენ ბურჟუაზიული ისტორიკოსები, მათ კი არ დაკარგეს თავიანთი სუვერენიტეტი, პირიქით, უფრო განამტკიცეს ის. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის შრომელთა კლასობრივი შეგნების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე განხორციელებული სახელმწიფოებრივი გაერთიანება უფრო უზრუნველყოფდა რესპუბლიკების თავისუფლებას. იცავდა მას იმპერიალისტური სახელმწიფოების დაპყრობითი ზრახვებისაგან, საძირკველს უყრიდა მათ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას.

მიმდინარე საუკუნის 20—30-იან წლებში ამიერკავკასიაში სოციალიზმის აშენების პერიოდში ამიერკავკასიის ბოლშევიკებს ბრძოლა მოუხდათ იმ ქართველ კომუნისტთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა გამოეყენებინა საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა ამიერკავკასიაში და უპირატესობა მოეპოვებინა სხვებთან შედარებით. ეს ჯგუფი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე როგორც პარტიულ გადაწყვეტილებებშია აღნიშნული, ცნობილია ნაციონალ-უკლონისტთა სახელით, ბურჟუაზიულ-ისტორიოგრაფიაში კი ქართველი კომუნისტების სახელითაა წარმოდგენილი.

ბ. მდივნის მომხრეებმა — ნაციონალ-უკლონისტებმა — საქართველოს საზღვრებზე შექმნეს საბაჟო კორდონები, გამოეიდნენ სავაჭრო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ და სხვ. ბ. მდივნის ჯგუფის ეს საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა თანამედროვე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. მაგალითად, ვალტერ კოლარცი თავის წიგნში, რომლის ძირითად ამოცანას საბჭოთა კავშირში ლენინური ეროვნული პოლიტიკის გაყალბება წარმოადგენს, აღნიშნავს, რომ ოციანი წლების დასაწყისში ქართველმა კომუნისტებმა ბევრი რამით დაამტკიცეს, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება სურდათ. მათ წინააღმდეგობა გაუწიეს საქართველოს რკინიგზებზე რუსეთის კონტროლის დამყარებას, უგულვებლყოფდნენ მოსკოვის მთავრობის სავაჭრო ვაჭრობის მონოპოლიას, უშუალოდ დებდნენ ხელშეკრულებებს უცხოელ საზოგადოებებთან³¹.

ბურჟუაზიული ისტორიკოსის განცხადების საპასუხოდ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ღონისძიებები ქართველ კომუნისტთა დიდი უმრავლესობის

³¹ W. Kolarz, Die Nationalitätenpolitik der Sowjetunion, Frankfurt am Main, 1956, გვ. 269.

სურვილის წინააღმდეგ ტარდებოდა. ბ. მდივნის მომხრეები უარს აცხადებდნენ ეთანამშრომლათ სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებთან, მათ სურდათ გამოეყენებინათ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობა და საქართველოსათვის შეექმნათ პრივილეგიური მდგომარეობა ამიერკავკასიაში³², რაც ამიერკავკასიის ხალხთა შორის ეროვნული მშვიდობის ჩამოგდების მაგიერ მათ შორის უნდობლობას ზრდიდა. ბ. მდივნის მომხრეებს ამიერკავკასიაში შესაძლებლად მიაჩნდათ რესპუბლიკათა ისეთი კავშირის შექმნა, რომელიც იარსებებდა „სამეურნეო ღონისძიებათა საერთო პოლიტიკის“ და არა სახელმწიფოებრივი გაერთიანების სახით. ეს კი ზედმეტს ხდიდა ამიერკავკასიის ფედერაციას. ამიტომაც ცდილობდნენ ისინი ჩაეშალათ ფედერაციის შექმნის საქმე, დაეშინებინათ რკპ(ბ) ცკ-ი განცხადებებით იმის შესახებ, რომ საქართველოს მშრომელთათვის ფედერაციის იდეა თითქოს წარმოადგენდა უცხოსა და მისი განხორციელება გამოიწვევდა მშრომელთა აჯანყებას³³. ბ. მდივნის მომხრეთა ასეთ შეხედულებებზე დაყრდნობით თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები აიგივებენ რა უკლონისტთა ჯგუფს მთლიანად საქართველოს კომპარტიასთან, ამტკიცებენ, რომ თითქოს ქართველი კომუნისტები და ქართველი ხალხი წინააღმდეგი იყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის. სინამდვილეში კი ქართველი კომუნისტები ამიერკავკასიაში ფედერაციის შექმნით ხელისუფლების შენარჩუნებას, მის განმტკიცებას, ხალხთა შორის შუღლის მოსპობასა და ეროვნული მშვიდობის დამყარებას ისახავდნენ მიზნად. სამეურნეო გაერთიანება ამ პირობების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის I და II ყრილობებზე ქართველ კომუნისტთა დიდმა უმრავლესობამ უარყო ბ. მდივნის მომხრეთა შეხედულებები და მხარი დაუჭირა ფედერაციის იდეას³⁴.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია თავგამოდებით იცავს აზრს იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის სამეურნეო გაერთიანება, ფედერაციის შექმნა და მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლა თითქოს მოხდა ქართველი კომუნისტების დაუკითხავად, რომ მათ ამის შესახებ თითქოს არაფერი იცოდნენ. ფრედერიკ ბარპორნის განცხადებით: ფ. მახარაძე და სხვა ქართველები აღშფოთებულნი იყვნენ იმით, რომ ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება განხორციელდა მათ დაუკითხავად, რომ ქართველები აიძულეს უარი ეთქვათ საზღვრებზე არსებულ საბაჟოებზე და აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად გაერთიანებულიყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციაში³⁵. რ. ნ. ბოლდუინი თავის შრომაში ხაზს უსვამს რა ამიერკავკასიის ფედერაციაში საქართველოს ძალით გაერთიანების აზრს, აღნიშნავს, რომ 1922 წელს ქართველმა კომუნისტებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს საქართველოს ამიერკავკასიის დანარჩენ ნაწილთან ერთად საბჭოთა კავშირში გაერთიანების გამო იმ მოტივით, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ³⁶. ბურჟუაზიული ისტორიკოსები ეყრდნობიან ნაციონალ-უკლონისტურ ცილისწამებას და ანგარიშს არ უწევენ სინამდვილეს:

³² ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 278—281.

³³ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 254.

³⁴ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 254.

³⁵ Soviet Russian nationalism, Frederick C. Barhoorn, New-York, 1956, გვ. 31.

³⁶ Vanguard Studies of Soviet Russia, Liberty under the Soviet, by Roger N. Baldwin, 1928, გვ. 84—90.

საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე ორჯონიკიძემ აღნიშნა: ფედერაციის მტრებმა განაცხადეს, რომ თითქოსდა არაფერი ვიცოდით ფედერაციის თაობაზე კავბიუროს დადგენილებების შესახებ და რომ ჩვენ ამის წინააღმდეგნი ვიყავითო. ფედერაციის შესახებ საკითხი წყდებოდა კავკასიის ბიუროს სხდომაზე ბაქოში, რასაც არ ესწრებოდა მხოლოდ ბ. მდივანი, ქართველი ამხანაგები ამ სხდომაზე იყვნენ და ხმა მისცეს ფედერაციის საკითხს³⁷. ქართველი კომუნისტების დაუკითხავად ამიერკავკასიის რკინიგზების გაერთიანება აღნიშნა რკპ(ბ) XII ყრილობაზე ფ. მახარაძემაც³⁸. მის გამოსვლას განსაკუთრებით აღნიშნავენ და იყენებენ ბურჟუაზიული ისტორიკოსები, მათ შორის, ბარჰორნი და სხვები. მაგრამ, ამასთან აღსანიშნავია, რომ მათ მიერ უგულვებელყოფილია შ. ელიავას გამოსვლა, რომელიც ამხელს ფ. მახარაძის განცხადების უსაფუძვლობას. იგი ამბობს: „ამხ. მახარაძემ აღნიშნა, რომ რკინიგზები გაერთიანებულ იქნა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე. ეს სწორი არაა. მან ამის შესახებ „Правда“-ში³⁹ წაიკითხა შენიშვნა, რომელიც უარყვავით ჩვენ მეორე დღესვე. ამ საკითხის შესახებ სხდომაზე საქართველოს მთავრობიდან მონაწილეობდნენ ამხ. მახარაძის მაშინდელი მოადგილე ამხ. ორახელაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი, საქართველოს რევკომის წევრი (ე. ი. ელიავა — ა. ა.). ჩვენ მთელი შეგნებითა და ოფიციალურად ვაწერდით ხელს ამ დოკუმენტს. ამაში არაფერი მოულოდნელი ჩვენთვის არ ყოფილა“⁴⁰.

ბ. მდივნის მომხრეთა აშკარად ნაციონალისტური პრეტენზიების გვერდით აუცილებლად უნდა ვაღიაროთ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ დაშვებული შეცდომაც ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო გაერთიანებისა და ფედერაციის შექმნის დროს. მათ მიერ მოვლენათა განვითარების დაჩქარებამ, ნაციონალ-უკლონისტების მიმართ „მიკერძოებულმა განსჯამ“ და სხვ. პარტიის საერთო პოლიტიკის ნაწილობრივი დამახინჩება გამოიწვია. ეს დადასტურა იმ კომისიამ, რომელიც ვ. კუბიშვილის ხელმძღვანელობით გამოგზავნილი იყო ამიერკავკასიაში ვ. ი. ლენინის მოთხოვნით⁴¹.

ვ. ი. ლენინის უშუალო ჩარევით და დახმარებით აღმოფხვრილ იქნა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ტაქტიკური შეცდომები, ადმინისტრაციული გატაცება და სხვ.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას წარმოგვიდგენენ არა როგორც ობიექტური აუცილებლობით გამოწვეულ, არამედ როგორც პიროვნებათა ნება-სურვილზე დამოკიდებულ მოვლენად. თურმე ორჯონიკიძე და სტალინი ყოფილან „დამნაშავენი“ ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის ფედერაციული გაერთიანებისა, რომ ისინი მიუხედავად ვ. ი. ლენინისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ სურვილებისა ზღუდავდნენ სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სუვერენულ უფლებებს. კოლარკის აზრით, — „სტალინი იყო მუდამყამს რომ ატარებდა ქართველი ბოლ-

³⁷ Материалы I-го съезда Компартии Грузии, Стенограф. отчет, გვ. 39.

³⁸ XII съезд РКП(б), Стенограф. отчет. 17—25 апреля 1923 г., Москва, 1923, გვ. 478.

³⁹ Газ. «Правда Грузии» от 19 апреля 1921 года.

⁴⁰ XII съезд. РКП(б), გვ. 527—528.

⁴¹ Жур. «Известия ЦК РКП(б)», № 4, 1923, გვ. 44.

შეცდომების ხელისუფლების შეზღუდვას მაშინ, როცა ლენინი და სხვა ბოლშევიკი ხელმძღვანელები მზად იყვნენ მიეცათ მათთვის საბჭოთა ფარგლებს შიგნით ფართო თავისუფლება⁴². რ. ვ. დანიელსი, ეხება რა ამიერკავკასიაში მაშინ მიმდინარე მოვლენებს, განსაკუთრებით აზვიადებს ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანების საქმეში ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს შორის თითქოსდა არსებულ უთანხმოებას. იგი ცდილობს დაამტკიცოს ვ. ი. ლენინსა და ქართველ ნაციონალ-უკლონისტთა შორის ერთიანობის არსებობა, რომ პარტიის XII ყრილობამ ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხი ვერ გადაჭრა და სხვ. ბურჟუაზიული ისტორიკოსი იქვე შენიშნავს, რომ ვ. ი. ლენინი მიესალმა ი. ბ. სტალინის გეგმას — საბჭოთა კავშირის ფარგლებში ამიერკავკასიის გაერთიანების შესახებ, რითაც ისარგებლეს სტალინ-ორჯონიკიძის ძალებმა და ბ. მდივანის (ე. ი. ნაციონალ-უკლონისტური, — ა. ა.) ცენტრალური კომიტეტი აიძულეს უარი ეთქვა თავის ხაზზე⁴³.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო გაერთიანება, შემდეგ რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის შექმნა და ბოლოს ფედერაციული რესპუბლიკის ჩამოყალიბება წარმოადგენდა პარტიის პოლიტიკის მთელ სისტემას. პირველი ნაბიჯი გადაიდგა ჯერ კიდევ 1921 წელს. მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა, რომ რესპუბლიკების დაახლოების გამოცდილება კარგ შედეგებს იძლევა, იდგმება შემდეგი ნაბიჯი — ფედერაციულ კავშირად გაერთიანება. ხოლო ამის მერე კვლავ შემდეგი ნაბიჯი — იქმნება ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა. დაბოლოს, როგორც დასკვნითი ეტაპი რესპუბლიკათა გაერთიანების გზაზე, — იქმნება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კავშირი. ასეთი იყო კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის სისტემა⁴⁴. ეს ვერ გაეგოთ ბ. მდივანს და მის მომხრეებს და საქმეს ისე წარმოგვიდგენდნენ თითქოს ს. ორჯონიკიძე და ი. ბ. სტალინი მათ თავს ახვევდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის იდეას, ვ. ი. ლენინი კი ამ საკითხში ს. ორჯონიკიძისა და ი. სტალინის წინააღმდეგი იყო თითქოს. ქართველ კომუნისტთა უმრავლესობა კარგად ხედავდა, რომ ვ. ი. ლენინი იყო ამიერკავკასიის შექმნის ინიციატორი, მისი სულისჩამდგმელი, ი. სტალინი და ს. ორჯონიკიძე კი პრაქტიკულად ახორციელებდნენ მას. ამას ზოგიერთი ბურჟუაზიული ისტორიკოსიც აღიარებს, კერძოდ, ქსენია იურკოვი და რობერტ ნორთი⁴⁵. ვ. ი. ლენინს არასდროს გამოუთქვამს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის საწინააღმდეგო აზრი. მხოლოდ კრიტიკული შენიშვნები გამოუთქვა ფედერაციის განხორციელების მეთოდების მიმართ. რკ(ბ) ცკ-ის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სწორი იყო, მხოლოდ მისი გატარების მეთოდები (ადმინისტრირება, ზედმეტი ცენტრალიზაცია და სხვ.) ზოგჯერ მახინჯდებოდა.

⁴² W. Kolarz, დასახ. ნაშრომი, გვ. 268.

⁴³ The Conscience of the Revolution. Communist opposition in Soviet Russia. Robert Daniels, 1960, Cambridge, გვ. 177—178.

⁴⁴ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 251—252.

⁴⁵ Soviet Russia and the East 1920—1927; დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ყველა მონაწილე თვით ცხოვრებამ გააქარწყლა. საბჭოთა ხალხების ნახევარსაუკუნოვანი ერთობლივი მოღვაწეობა თვალსაჩინო დადასტურებაა ლენინური ეროვნული პროგრამისა და პოლიტიკის ინტერნაციონალური ბუნებისა, მისი სიცოცხლისუნარიანობისა. საბჭოთა ხალხის თანამშრომლობის ფორმამ გაუძლო ყველა განსაცდელს, მან ჩამორჩენილი ხალხები მტკიცედ ჩააყენა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის მებრძოლთა რიგებში.

რამაზ კლიშიაშვილი

თანამედროვე დემოგრაფიული პროცესების სოციალური ასპექტები

1974 წელი მთელ მსოფლიოში გამოცხადებულია „დემოგრაფიულ წლად“. ეს ნათლად გვიჩვენებს დემოგრაფიის როლს თანამედროვე მსოფლიოში. მართალია, დემოგრაფიული სიტუაცია საბჭოთა კავშირში ისეთი მწვავე არ არის, როგორც უმეტეს ქვეყნებში, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ისეთი მთავარი პრობლემის, როგორცაა მოსახლეობის რაოდენობრივი მატება, წარსულში დროებით მივიწყებამ დაგვაყენა ზოგიერთი სიურპრიზის წინ — თავი იჩინა ორმა პოლარულმა ტენდენციამ — ზოგ რესპუბლიკებში (უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი) შობადობა თითქმის კატასტროფულ დონემდე დაეცა, ხოლო სხვა რესპუბლიკებში (შუა აზია, აზერბაიჯანი) შობადობის კოეფიციენტი საბჭოთა კავშირის საშუალო მაჩვენებელზე ორჯერ მაღალია. ამიტომ სულ უფრო აქტუალური ხდება ხალხთმოსახლეობის პრობლემათა კომპლექსის შესწავლა სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენელთა მიერ, და პირველ რიგში ეს უთუოდ სოციოლოგებს ეხებათ. ჩვენ აქ ძალიან ბევრ სირთულესთან გვაქვს საქმე, ვინაიდან დემოგრაფია მრავალი წლების მანძილზე შეცვლილი იყო დემოგრაფიული სტატისტიკით, ხოლო სოციალური დემოგრაფია — მალთუსის თეორიის ზერელე კრიტიკით.

მარქსისტული სოციოლოგიისათვის დემოგრაფიული პროცესების ანალიზისას ფუნდამენტს წარმოადგენს მარქსის თეზისი: „... წარმოების ყოველ განსაკუთრებულ ისტორიულ წესს სინამდვილეში აქვს თავისი განსაკუთრებული, ისტორიული ხასიათის კანონი მოსახლეობისა“¹. ისტორიულმა მატერიალიზმმა განსაზღვრა უშუალო მწარმოებლების — მშრომელი მასების გადამწყვეტი როლი ისტორიაში. ამას პირველადი მნიშვნელობა აქვს ხალხთმოსახლეობის კანონების შემეცნების მეთოდოლოგიისათვის, ვინაიდან კაცობრიობა ცხოვრობს განსხვავებულ, ისტორიულად ცვლად სოციალურ პირობებში, რომელთა ფორმირება ხდება საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე გაბატონებული წარმოების წესის ზეგავლენით.

ამავე დროს დემოგრაფიულ პროცესებს შესამჩნევი ინერციის ძალა გააჩნიათ და მათი კანონზომიერებების დადგენისას გარკვეული სიფრთხილეა საჭირო. მაგალითად, ვინაიდან განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის „უბრალო“ კვლავწარმოქმნა, შეიძლება გვევარაუდა, რომ საპირისპირო ეკონომიკური ფორმაციის — სოციალიზმის პირობებში მოსახლეობა უნდა სწრაფად გამრავლებულიყო. მართლაც სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირში ათწლეულის განმავლობაში

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, წ. I, 1954, გვ. 795.

აღინიშნებოდა მოსახლეობის მატების უარესად მაღალი ტემპები, მაგრამ ახალი ფორმაციის გავლენა ამ შემთხვევაში გამოიხატა მხოლოდ მოკვდავობის კოეფიციენტის მკვეთრ დაცემაში, შობადობის კოეფიციენტი კი იმავე დონეზე იდგა, როგორც მეფის რუსეთში! ბოლო დროს კი, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მოსახლეობის „უბრალო“ კვლავწარმოქმნის რეჟიმი შეიქმნა.

მოსახლეობის კვლავწარმოქმნის პროცესებზე წარმოებითი ურთიერთობის გავლენის მარქსისტული ანალიზი იქიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ბაზისი ამ პროცესებზე გავლენას ახდენს არა პირდაპირ, ავტომატურად და სწრაფად, არამედ ზედნაშენის მრავალი ფაქტორის მოქმედების საშუალებით, რომ მოსახლეობის კვლავწარმოქმნა დამოკიდებულია არა მარტო ცხოვრების დღევანდელ პირობებზე, არამედ ოჯახურ ტრადიციებზე, რელიგიაზე, ბიოლოგიურ და გეოგრაფიულ ფაქტორებზე. ამან გამოიწვია მსოფლიოს ქვეყნების ორ დიდ ჯგუფად დაყოფა: ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან დაბალი შობადობით და მათ სამეცნიერო ლიტერატურაში „განვითარებულიებს“ უწოდებენ, ხოლო ყოფილ კოლონიალურ ქვეყნებს, სადაც ჩვეულებრივ მაღალი შობადობა და ეკონომიკური ჩამორჩენილობაა — „განვითარებადებს“. დემოგრაფიული თვალსაზრისით ასეთი დაყოფა სრულად გამართლებულია მოსახლეობის კვლავწარმოქმნის თავისებურებებში აშკარა განსხვავებების გამო.

განვითარებულ ქვეყანათა ჯგუფში გაერთიანებულია: სსრკ, ევროპის ყველა ქვეყანა (თუმცადა ეს მართებული არ არის), ა. შ. შ., კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და იაპონია. ყველა ამ ქვეყანაში შობადობის საერთო კოეფიციენტი მერყეობს 15 პრომილიდან 20-მდე, მოკვდავობის — 7-დან 10-მდე, ხოლო მოსახლეობის ბუნებრივი მატება შეადგენს წელიწადში 0,5-დან 1,3 პროცენტს (საქართველოში 1970 წელს შესაბამისი კოეფიციენტები შეადგენდნენ: შობადობის — 19,2, მოკვდავობის — 7,3, ხოლო ბუნებრივი მატების — 1,2%)². ეს კოეფიციენტები ამ ქვეყნების უმეტესობისათვის დიდი ხანია სტაბილურია, ხოლო საბჭოთა კავშირმა, იაპონიამ და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ ესლა მიაღწია ამ დემოგრაფიულ დონეს და ყველა ნიშანია, რომ მოხდება აღნიშნული კოეფიციენტების ამ დონეზე სტაბილიზაცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

მსოფლიოს უდიდეს ნაწილში — განვითარებად ქვეყნებში ადგილი აქვს ძალიან მაღალ შობადობას და მოკვდავობის კოეფიციენტის მკვეთრ დაცემას. ბუნებრივი მატების კოეფიციენტები ყველა ამ ქვეყანაში 20 პრომილზე მეტია და ზოგან 40-საც აღწევს (ე. ი. ოთხი პროცენტი წლიური მატება). აი, სწორედ ეს საოცარი ტემპები იწვევენ ბევრი მეცნიერის შეშფოთებას. აქვე საჭიროა მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: კაცობრიობას დასჭირდა ასობით ათასწლეულები, რომ XIX საუკუნის 50-იან წლებში მოსახლეობას მიეღწია ერთი მილიარდი რაოდენობისათვის, მაგრამ შემდეგ 80 წლის განმავლობაში მოემატა კიდევ ერთი მილიარდი (1930 წ.), ხოლო იმისათვის, რომ დედამიწაზე მესამე მილიარდი გამოჩენილიყო, საჭირო გახდა 30 წელი (1960 წ.), მეოთხე მილიარდს კაცობრიობა მიაღწევს 1975 წლისათვის, ე. ი. უკვე 15 წელიწადში; აქედან გამომდინარე, საჭირო იყო დაახლოებით მილიონი წელიწადი დედამი-

² Грузинская ССР в цифрах в 1971 году. Краткий статистический справочник. Тбилиси, 1972, გვ. 15.

წაზე პირველი ადამიანების გამოჩენიდან. რომ მათ რიცხვს სამ მილიარდამდე მიეღწია, ხოლო ამ რიცხვის გაორჯეცება მოხდება დაახლოებით ორმოც წელიწადში. და ასეთი ტემპებით მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ხდება ძირითადად მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე! მაგალითად, ერთ წელიწადში, 1966-დან 1967 წლამდე, დედაძმის მოსახლეობა გაიზარდა 65 მილიონით, აქედან 56 მილიონი მოდიოდა აფრიკულ, აზიურ და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე³. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებიან ზოგიერთი ქვეყნები, რომელთაც ისედაც მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავთ. მაგალითად, წლიური ზრდა შეადგენს: ინდოეთში — 13 მილიონს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში — 10 მილიონს, ბრაზილიასა და ინდონეზიაში — ორ-ორ მილიონს და ა. შ.⁴ მოსახლეობის რაოდენობის ასე სწრაფ ზრდაზე უდიდეს გავლენას, რასაკვირველია, ახდენს მედიცინის თანამედროვე მიღწევების გამო მოკვდაობის (განსაკუთრებით მცირეწლოვანთა) კოეფიციენტის მკვეთრი დაცემა. მაგრამ ამავე დროს შობადობის საერთო კოეფიციენტი ყველა ამ ქვეყანაში უფარესად მაღალია. მაგალითად, აზიაში ის შეადგენს 41 პრომილს, ლათინურ ამერიკაში 44-ს და აფრიკაში 48-ს. განსაკუთრებით მაღალია ეს კოეფიციენტი დასავლეთ აფრიკაში, სადაც გვინეასა და მალიში რეგისტრირებულია ამ კოეფიციენტის მაქსიმუმი — 62 პრომილი⁵.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1750 წლიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე მოსახლეობის მატების ტემპები გაცილებით მაღალი იყო იმ ქვეყნებში, რომელთაც ჩვენ ამჟამად ვუწოდებთ ეკონომიკურად განვითარებულებს. მაგალითად, შობადობის საერთო კოეფიციენტი ა. შ. შ.-ში, რომელიც ამ ბოლო წლებში 18 პრომილზეა სტაბილიზებული, 150 წლის წინათ 55%-ს(!) შეადგენდა და მკვეთრი დაცემა დაიწყო XIX საუკუნის შუა წლებში. რაც შეეხება ამ მაჩვენებელს კანადისათვის, 1851—1861 წლებიდან, როდესაც შობადობის საერთო კოეფიციენტი 45,2% შეადგენდა, მან დაცემა დაიწყო და 1871—1881 წლებში 36,9% უდრიდა, ხოლო 1881—1891 წლებში კი 33,6% ი. ე. დაცემა შეადგენდა 25 ან 30 პროცენტს⁶! ეს პერიოდი კი შეერთებული შტატებისა და კანადის ისტორიაში ცნობილია როგორც მძლავრი ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პერიოდი.

* * *

სერიოზულ სოციალურ-დემოგრაფიულ გამოკვლევებს კარგა ხნის ისტორია აქვთ. ემპირიული ფაქტობრივი მასალის საფუძველზე დადგენილია დემოგრაფიულ პროცესებზე ამა თუ იმ სოციალური მოვლენის გავლენის ინტენსივობა. მართალია, არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი ფაქტორი, რომელიც შობადობის დინამიკაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდეს, მაგრამ ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპებზე რომელიმე სოციალური ფაქტორის გავლენა განსაკუთრებით ძლიერი ხდება.

³ Я. Н. Гузеватый, Проблемы народонаселения стран Азии, Африки и Латинской Америки, М., 1970, гл. 43.

⁴ იქვე, გვ. 44.

⁵ იქვე, გვ. 50.

⁶ Кузнец С а й м о н, Демографические аспекты современного экономического роста, «Население и экономика», М., 1970, гл. 119.

საკმარისია დაგხედოთ დემოგრაფიული სტატისტიკის დინამიკის ნებისმიერ ცხრილს, რომელიც ამ ერთი საუკუნის მონაცემებს მოიცავს, და ადვილად შეგამჩნევთ, რომ შობადობის საერთო კოეფიციენტის მკვეთრი დაცემა შეეფარდება ამ რეგიონის ინდუსტრიალიზაციის ინტენსივობის პერიოდს. მაგრამ ინდუსტრიალიზაცია დემოგრაფიულ პროცესებზე გავლენას ახდენს თავის თანამგზავრ ფაქტორთა კომპლექსის საშუალებით, რომელთაგან ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს ურბანიზაციასა და მისთვის დამახასიათებელი ოჯახის ტიპის შექმნას.

ვინაიდან ინდუსტრიალიზაცია ძირითადად წარმოებს სოფლის მოსახლეობის ხარჯზე, ამას მოსდევს ახალი ინდუსტრიული ცენტრების წარმოშობა და იმ ძველი ქალაქების სწრაფი ზრდა, რომელთაც ინდუსტრიული ბაზა გააჩნიათ. ცხადია, ინდუსტრიულ პერიოდამდე ქალაქების მცხოვრებთა მცირე ხვედრითი წონის გამო ისინი ვერ უზრუნველყოფენ მუშახელზე მზარდ მოთხოვნილებას და ამიტომ მიგრაციული ნაკადები სულ უფრო სერიოზულ სახეს იღებენ. ხოლო სოფლის მოსახლეობის მასობრივ გადასვლას ქალაქებში მოსდევს ნაყოფიერების დონის მკვეთრი დაცემა! სოციალურ დემოგრაფიაში უკვე დიდი ხანია დამტკიცებულად ითვლება, რომ შობადობა ქალაქში უფრო ნაკლებია, ვიდრე სოფელში და რაც უფრო დიდია ქალაქი, ეს კოეფიციენტი მით უფრო ნაკლებია. ამას მრავალი მიზეზი აქვს. შეეხედეთ, თუნდაც იმას, თუ რა მდგომარეობაშია მიგრანტი ქალაქში დასახლების შემდეგ: მას ეცვლება ცხოვრების პირობები და ხვდება ახალ სიტუაციაში; უჩნდება ახალი, უფრო მაღალი მოთხოვნილებანი და აქვს მათი დაკმაყოფილების შეზღუდული შესაძლებლობანი; ის თუ სოფელში ოცი წლის ასაკში მოიყვანდა ცოლს, ქალაქში არ აჩქარდება და მოიცდის, ვიდრე ეკონომიურად მოლონიერდება; მიგრანტმა რომ თავის შვილებს ქალაქის მოთხოვნილებების შესაბამისი განათლება მისცეს, მიდის ნაკლები წინააღმდეგობის გზით და ნაკლებს აჩენს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სოფლად არსებული ტრადიციული ტიპის ოჯახის მაგივრად დიდ ქალაქში ვხვდებით ე. წ. ნუკლეარულ ოჯახებს, რომელთა გავრცელებასაც ისიც უწყობს ხელს, რომ მასიური საბინაო მშენებლობის პირობებში უფრო გამართლებული ჩანს ერთ და ოროთახიანი ბინების პროექტირება. მაგრამ თანამედროვე პირობებში ურბანიზაციის ტემპები განსხვავდებიან ინდუსტრიალიზაციის პირველი ეტაპის ტემპებისაგან, როდესაც სწრაფად იზრდებოდნენ არა მარტო დიდი, არამედ პატარა და საშუალო ქალაქებიც. შემდგომ ეტაპზე იწყება მცირე ქალაქების განვითარების კრიზისი, რაც იმიტთა გამოწვეული, რომ ამჟამად ხდება დიდი ქალაქების მიზიდველი ძალა და მიგრაციული ნაკადებიც ძირითადად მიემართებიან უკვე მხოლოდ დედაქალაქებისა და მსხვილი სამრეწველო და სატრანსპორტო ცენტრებისაკენ, სადაც მოთხოვნა მუშახელზე გაცილებით უფრო დიდი და მრავალმხრივია, ვიდრე პატარა ქალაქებში თავიანთი გაყინული სოციალური სტრუქტურით. რა შეადგენს დიდი ქალაქების მაგნეტურ ძალას? მათი ჩამოთვლა დიდ დროს წაიღებდა, შევეხებით მხოლოდ ზოგიერთებს: პროფესიული ორიენტაცია — ვისაც სურს იმუშაოს მეცნიერების, ხელოვნების, მართვის, უმაღლესი სკოლის და ა. შ. სფეროებში, ცხადია, საცხოვრებლად უნდა ქალაქი აირჩიოს. ხოლო მუშათა კლასის, ჩვენი ეპოქის წამყვანი ძალის, განვითარება ორგანულ კავშირშია დიდი ქალაქების განვითარებასთან, პროფესიული ცოდნის მიღების შესაძლებლობა კი ხშირად პირდაპირ კავშირშია დასახლებული პუნქტის სიდიდესთან; დიდი ქალაქი მომსახურების სფეროს საშუალებით

ათავისუფლებს ადამიანს ბევრი საყოფაცხოვრებო წვრილმანისაგან და უთავისუფლებს მას დროს, რისი გამოყენების საშუალებებიც მით უფრო მრავალფეროვანია, რაც უფრო დიდია ქალაქი: ცხადია, რომ ქალაქის სიდიდესთან ერთად იზრდება მასში თეატრების, საკონცერტო დარბაზების, სპორტული ნაგებობების და სხვა გართობისა და დასვენების ცენტრების რაოდენობა. ამ ბოლო პუნქტს ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ტელევიზიის განვითარებამ კაცობრიობა ინდივიდუალიზმის მეტად საშიში საფრთხის წინაშე დააყენა — ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს პატარა და საშუალო სიდიდის ქალაქებსა და სოფლებში, სადაც საღამომობით ყველანი ტელევიზორს უსხედან.

დიდ ქალაქებს თავიანთი ბევრი სპეციფიკური ცული მხარეებიცა აქვთ — მოწამლული ჰაერი, ხმაური, მცირეწლოვანთა დანაშაულებანი და სხვა, მაგრამ სოფლისა და პატარა ქალაქების მცხოვრებლები ძირითადად მაინც მათ უპირატესობებს ხედავენ და ამიტომ ახლო მომავალში მოსალოდნელია დიდი ქალაქების კიდევ უფრო სწრაფი ზრდა ძირითადად მიგრაციის ხარჯზე, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო დაბალია მასში ქალის ნაყოფიერების კოეფიციენტი.

ისტორიაში ახალი მოვლენაა აგლომერაციების შექმნა. ეს ტერმინი შემოიღო XIX საუკუნის ბოლოს ამერიკელმა მეცნიერმა ა. ვებერმა დიდი ქალაქის გარშემო ურბანიზებული რაიონის გამოსახატავად. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა — XX საუკუნეში აგლომერაციები საყოველთაოდ გავრცელდნენ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ამჟამად აგლომერაციებში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 60%-ზე მეტი. ზოგიერთ ქვეყანაში აგლომერაციებს აქვთ გაერთიანების ტენდენციები, როგორც იაპონიაში ტოკიო-ოკოჰამას და ოსაკა-ნაგოიას აგლომერაციებს: გაერთიანებისა და მეგალოპოლისად ქცევის შემდეგ მასში მცხოვრებთა რიცხვი მრავალ ათეულ მილიონს მიაღწევს, ხოლო ინდოეთში კალკუტის მეგალოპოლისისათვის დემოგრაფები სულ რაღაც 2 ათეულ წელიწადში ვარაუდობენ 60 მილიონ მოსახლეობას. მეგალოპოლისები პრაქტიკულად უკვე წარმოიშვა ა. შ. შ.-ის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ სანაპიროზე. დასავლეთ ევროპაში რურის ოლქი მთლიანად ურბანიზებულია და, მიუხედავად სახელმწიფო საზღვრისა, აქვს მიდრეკილება შეუერთდეს ბრიუსელის აგლომერაციას. საბჭოთა კავშირში ბევრი კეთდება, რათა შეიზღუდოს უზარმაზარი აგლომერაციების ზრდა და ახლო მომავალში ჩვენ ალბათ მეგალოპოლისებთან არ გვექნება საქმე. მაგრამ მათ გარეშეც ურბანიზაცია ბევრ ძნელ პრობლემას აყენებს.

ურბანიზაცია — ეს არის არა მარტო დიდი ქალაქების რაოდენობის და სიდიდის ზრდა, ეს აგრეთვე ნიშნავს სოფლად ქალაქური ცხოვრების წესის გავრცელებას, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების თანდათანობით წაშლას. ყველაზე მეტს ამ მხრივ აკეთებენ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები.

აღსანიშნავია, რომ შობადობის კოეფიციენტმა თანდათანობით სოფლადაც დაიწყო კლება და სულ უფრო მიუახლოვდა პატარა და საშუალო ქალაქების დონეს! ამის მიზეზი ორია: ქალაქური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ფასეულობათა შეჭრა სოფელში, რის გამოც სოფლად საზოგადოებრივი აზრი თანდათანობით იხრება მცირერიცხოვანი ოჯახის უპირატესობისაკენ; მაგრამ

ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მიგრაციის გამო სოფლად დაირღვა მოსახლეობის ნორმალური სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა.

რაც შეეხება მიგრანტებს, ისინი ვიდრე თავიანთ მიზანს — დიდ ქალაქს მიაღწევდნენ, ხშირად დროებით ჩერდებიან მცირე ზომის ქალაქებში, რომლებიც ამრიგად ატარებენ დემოგრაფიულად საშუალოდ ხასიათს დიდ ქალაქსა და სოფელს შორის. ამავე დროს შეიმჩნევა მსგავსება მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაში როგორც მილიონზე მეტ მოსახლეობიან ქალაქებში, ისე პატარებში, რაც იმითაა გამოწვეული, რომ სწორედ ამ ორი ტიპის ქალაქში ხდება სხვადასხვა მიზეზების გამო მოსახლეობის „დაბერება“: დიდ ქალაქებში — ძირითადად დაბალი ნაყოფიერების შედეგად, ხოლო პატარებში — ახალგაზრდობის მიგრაციით.

მოკვდაობაზე ურბანიზაციის პროცესი და განსაკუთრებით დიდი ქალაქების ზრდა ორგვარ გავლენას ახდენს: ერთი მხრივ, ცხოვრების დონის ამაღლების და სამედიცინო მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესების გამო ეცემა მოკვდაობის კოეფიციენტი ზოგიერთი (განსაკუთრებით ინფექციური) ავადმყოფობების საგან და იზრდება ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა, მეორე მხრივ — მოსახლეობის მრავლობა, ატმოსფეროს გაკუჭყიანება, ცხოვრების ნაკლებად მოძრავი ხასიათი და ნერვულ-ფსიქიკური გადატვირთვები იწვევენ მოკვდაობის კოეფიციენტის ზრდას გულისა და სისხლძარღვთა დაავადებებისაგან, კიბოსაგან, ტრავმატიზმისაგან. მოკვდაობის კოეფიციენტი ამიტომ განსაკუთრებით მაღალია მრავალმილიონიან ქალაქებში.

რაც შეეხება ურბანული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ოჯახის ტიპს, იგი არსებითად განსხვავდება ტრადიციული ტიპის ოჯახისაგან. მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დიდ ქალაქებში, ხოლო ინდუსტრიალიზაციის შემდგომ ეტაპზე, მთელ საზოგადოებაში ოჯახი ჰკარგავს თავის მრავალრიცხოვან ფუნქციებს და მას მხოლოდ რამდენიმე არსებითი მათგანი რჩება, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ: შთამომავლობის გაჩენა, მათი პირველადი სოციალიზაცია და წყვილის სტაბილური სექსუალური დამოკიდებულება. ურბანულ საზოგადოებაში ოჯახი კიდევ ერთ ფსიქოლოგიური ხასიათის ფუნქციას იძენს — დიდი ქალაქის უპიროვნო დამოკიდებულებების პირობებში ოჯახი ხდება უკანასკნელი „თავშესაფარი“, სადაც აღამიანმა შეიძლება მოიხსნას ფსიქიური სტრესი. ყველა სხვა დანარჩენ ფუნქციებს, რომლებიც ტრადიციული ოჯახებისათვის იყო დამახასიათებელი, საზოგადოება თავის თავზე იღებს. მაგრამ ამ თავისი ფუნქციების დაკარგვის წყალობით ოჯახი საზოგადოების უფრო აქტიური ერთეული გახდა, ვინაიდან ამავე დროს ბოლო მოეღო მის ავტონომიურობას. ახალი ტიპის ოჯახზე გადასვლით შესუსტდა ნათესაური კავშირები, ვინაიდან დიდი ქალაქების პირობებში ახლო ნათესავები სივრცობრივად დაცილდნენ ერთმანეთს. გარდა ამისა ურბანული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ხდება ოჯახის მიერ თავისი არსებობის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილის რამდენჯერმე გამოცვლა ტრადიციული ოჯახებისაგან განსხვავებით, როდესაც მრავალი თაობა ერთდროივად სახლში ცხოვრობდა. ამ მოვლენის მთავარი შედეგი ურბანული საზოგადოებისათვის გახდა მეზობლური დამოკიდებულებების ხასიათის შეცვლა, ვინაიდან თანამედროვე ოჯახისათვის როგორც მისი ბინაა დროებით საცხოვრებელი ადგილი, ისე მეზობლებსაც დროებითად განიხილავს. ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ოჯახს დახმარების იმედი სულ უფრო ნაკლებადაა აქვს ნათესავებისა და მეზობლების-

საგან (რაც დრო გავა, ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება) და სულ უფრო მეტად — საზოგადოებისაგან. რასაკვირველია, საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარება ბევრ შემთხვევაში შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც იყოს, ვიდრე ნათესავეებისა, მაგრამ ამ გარდამავალ ეტაპზე ადამიანები ფსიქოლოგიურად ნაწილობრივ მოუშნადებლები არიან ორიენტაციის ასე რადიკალურად შეცვლისადმი, ამიტომ ერთგვარად არასტაბილურად გრძნობენ თავს. აღსანიშნავია, რომ ქალებს ბავშვების აღზრდისას ყოველთვის სჭირდებოდა დახმარება; ტრადიციულ ოჯახებში ქალი ამ დახმარებას ახლო ნათესავეებისაგან და, გარკვეულ პირობებში, მეზობლებისაგან იღებდა. ამჟამად ერთადერთი დამხმარე, ვისი იმედიც შეიძლება ქალს ჰქონდეს ბავშვების აღზრდისას — ეს არის თავისი დედა ან დედამთილი. მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ისინიც დაკავებული არიან პროფესიულ შრომაში და ამიტომ ქალი იძულებული ხდება ძალიან შეზღუდოს თავის ოჯახში ბავშვების რიცხვი. მაგრამ პატარა ზომის ნუკლეარული ოჯახები არ არის სრულიად აუცილებელი ურბანული საზოგადოების ყველა ეტაპისათვის. ოჯახში ერთი ან ორი ბავშვით შემოფარგულა — ეს არის დაქანასიათებელი ნახევრად ურბანული რეგიონისათვის, და მისი (რეგიონის) მთლიანი ურბანიზების შემდეგაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოდალური დარჩება პატარა ზომის ოჯახები. მაგრამ თუ განვითარების წინა ეტაპზე აღნიშნული ფაქტორები ერთნაირად მოქმედებენ სხვადასხვა ეკონომიკურ ფორმაციებში, შემდგომ, მთლიანად ურბანულ საზოგადოებაში ოჯახის ტიპზე გავლენას მოახდენს უკვე მატერიალური დოვლათის განაწილების პრინციპი. აქედან ცხადია, რომ როდესაც საზოგადოება გადავა პრინციპზე — თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით, ოჯახის რაოდენობრივ შეზღუდვას საფუძველი გამოეცლება. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს რომ შესაძლებელი გახდება მრავალშვილიანი დედების რაოდენობის გავრცელება: მრავალშვილიანობა თავისუფალ საზოგადოებაში შეუძლებელი იქნება, არა იმიტომ, რომ მას ვინმე აკრძალავს! მისი მთავარი მტერია ქალის სრული ემანსიპაცია თავისი მთავარი შედეგით — ქალის პროფესიული შრომით.

* * *

როდესაც შობადობის კლების მიზეზებს ვაკვირდებით, ბუნებრივია, ყურადღების ცენტრში ექცევა ქალი, მისი დემოგრაფიული ქცევა.

ოჯახში ბავშვების რაოდენობაზე დიდი გავლენა ჰქონდა ქალის საქორწინო ასაკს, ვინაიდან რაც უფრო ადრე გათხოვდებოდა ქალი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებოდა მას თავისი ფერტილური პერიოდი მთლიანად გამოეყენებინა. მაგრამ თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში ამ ფაქტორმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, ვინაიდან ერთ-ორ ბავშვზე ორიენტაციის შემთხვევაში გვიან გათხოვებისასაც შეიძლება დაგეგმილი რაოდენობით ბავშვის გაჩენა. ამჟამად დამტკიცებულია ქალის დემოგრაფიულ ქცევაზე ისეთი ფაქტორის სერიოზული გავლენა, როგორიცაა განათლება, თანაც აქ უარყოფით კორელაციასთან გვაქვს საქმე. ამჟამად დროს თუ დევაკვირდებით განათლების სისტემას, დაეინახავთ, რომ მას გამიზნული აქვს ქალიშვილისაგან აღზარდოს უპირველეს ყოვლისა სპეციალისტი და არა დედა. უფრო მეტიც — ეს ორი როლი ხშირად სერიოზულ კონფლიქტშია ერთმანეთთან. სახელმწიფო ძალიან დიდ სახსრებს ხარჯავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროებში, სადაც ქალთა რაოდენობა უმეტესად აღემატება მამაკაცების რაოდენობას.

დენობა 70—80% შეადგენს, და ბუნებრივია, რომ სახელმწიფო აქცენტს სწორედ მათ პროფესიულ როლებზე აკეთებს. ასეთ შემთხვევაში ქალი ხშირად ერთი შვილით იფარგლება, ხოლო განათლების სფეროში განსაკუთრებით ბევრია გაუთხოვარი ქალები. ეს კონფლიქტი განათლებული ქალის (მათი რიცხვი კი სულ უფრო და უფრო იზრდება) სოციალურ როლებს შორის ჩვენი დროის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა და მისი გადაჭრა მრავალ სიძნელეთანაა დაკავშირებული: ერთი მხრივ, სახელმწიფოს არ შეუძლია დათმოს მალაკალიფიციური სპეციალისტი ქალები და არც თვითონ ისინი დათანხმდებიან დათმონ თავიანთი ბრძოლით მოპოვებული საპატიო ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში. მეორე მხრივ, კი ოჯახებში ბავშვების რაოდენობის მატების მთავარი წინააღმდეგობა — ეს არის ქალის პროფესიული შრომა! აქ საჭიროა განვიხილოთ თუ საზოგადოება როგორ აღმოჩნდა ასეთი მდგომარეობის წინაშე.

პერიოდი, როდესაც ქალმა გაუბედავად შეალო ფაბრიკებისა და დაწესებულებების კარები, მიეკუთვნება კაპიტალიზმის განვითარების პირველ ეტაპს და გამოწვეული იყო მუშახელზე სულ უფრო მზარდი მოთხოვნით. მაგრამ ქალები სამსახურში რჩებოდნენ მხოლოდ გათხოვებამდე, შემდეგ კი მთლიანად დიასახლისობაზე გადადიოდნენ. ასე რომ ამ, პირველ ეტაპზე, ქალის შრომა დაწესებულებებსა და საწარმოებში დაბალკვალიფიცირებული ხასიათის იყო და არავითარ კავშირში არ იყო ოჯახში ბავშვების რაოდენობასთან. მოგვიანებით სულ უფრო გავრცელდა ახალი მოვლენა — ორმოც წელს გადაცილებული ქალების დაბრუნება სამუშაოზე (ძირითადად არაკვალიფიცირებულ ხასიათისაზე) ოჯახისათვის დამატებითი შემოსავლის გულისათვის. მართალია, ქალის შრომა სულ უფრო ვრცელდებოდა, მაგრამ მათ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის პროფესიები ეკავათ და, რაც მთავარია, სამუშაოს ადმინისტრაცია ქალებს განიხილავდა დროებით მუშახელად. მათი პროფესიული მომზადების დონე მეტად დაბალი იყო, განსაკუთრებით კი ხანში შესული ქალებისა, რომლებიც დიდი ხნის ინტერვალის შემდეგ უბრუნდებოდნენ სამუშაოს.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, განსაკუთრებით ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, როდესაც წარმოიშვა მუშახელის სერიოზული ნაკლებობა. სახელმწიფო სულ უფრო მეტ სახსრებს ხარჯავდა ქალების პროფესიულ მომზადებაზე და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალები საზოგადოებაში გავრცელებულ პრაქტიკულად ყველა პროფესიას დაეუფლნენ. არსად მათ ადმინისტრაცია აღარ განიხილავს დროებით მუშახელად და ისინი გათხოვების შემდეგაც განაგრძობენ მუშაობას, მაგრამ მათთვის მთავარი სიძნელეები იწყება პირველი ბავშვის დაბადების შემდეგ — დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა სრულიად არ არის საკმარისი და მომუშავე ქალი ჩვეულებრივად დგება მწვავე პრობლემის წინ — თუ სად დატოვოს თავისი ჩვილი ბავშვი, ვიდრე ის სამსახურში იქნება! ერთდროს თითქოს მოინახა გამოსავალი საბავშვო ბავშვის სახით, მაგრამ პრობლემის ამდაგვარი გადაწყვეტა გამართლებული იყო მძიმე მდგომარეობით, ხოლო ამჟამად, პროფესორ ბ. ურლანის სიტყვებით, „ჩვენ უკვე საკმაოდ მდიდრები ვართ იმისათვის, რომ მცირეწლოვან ბავშვებს არ მოვაკლოთ დედის აღერსი!“⁷ ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ თანამედროვე პირობებში ზოგიერთი მომუშავე ქალი გარკვეულ სიძნელეებს აწყდება მცირეწლოვანი ბავშვების აღზრდისას და ამჯობინებს წავი-

⁷ Б. Ц. Урлани, «Бабушка в семье». Литературная газета, № 10, 1971.

დეს ნაკლები წინააღმდეგობის გზით — აღარ აჩენს მომდევნო ბავშვს, რადგან რამდენიმე მცირეწლოვანი ბავშვის დედას გარკვეული წლების განმავლობაში არ შეუძლია სერიოზულად იფიქროს პროფესიულ კარიერაზე. მაგრამ ქალების ნაწილის ფსიქიკაში მათ მიერ საწარმოო ფუნქციის შესრულება პირველ ადგილზე დადგა, ხოლო შთამომავლობის გაჩენას უყურებენ როგორც პირად საქმეს, რომელსაც, თითქოს საზოგადოებისთვის უდიდესი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. ეს ალბათ იმის გამო ხდება, რომ ზოგიერთ პედაგოგებს ავიწყდებათ აუნხნან მზარდ თაობას ქალის განსაკუთრებული ბიოლოგიური ფუნქციის მნიშვნელობა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მართალია, ქალების ძირითადი ნაწილისათვის პროფესიული შრომა აუცილებელი მოთხოვნილება გახდა, მაგრამ წარმოებაში დაკავებულთა შორის ჩვენ ვხვდებით ისეთ ქალებსაც, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ ოჯახისათვის დამატებითი შემოსავლის გულისათვის ე. ი. ამქედანებენ ე. წ. დიასახლისის ორიენტაციას. დიასახლისები კი ჩვენ საზოგადოებაში საკმაოდ არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან: პასპორტში უწერიათ „სხვის კმაყოფაზე მყოფი“, სიბერეშიც მხოლოდ სხვის იმედზე უნდა იყვნენ და ა. შ. თუ ქალების უმეტეს ნაწილს რამდენიმე ბავშვის გაჩენაში ხელს უშლის პროფესიული შრომა. იმ ქალებს, რომელთაც მხოლოდ დიასახლისობა სურთ, ბავშვების გაჩენაში, როგორც ჩანს, ხელს უშლით დიასახლისობის დაბალი საზოგადოებრივი სტატუსი.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, დემოკრატიული სიტუაცია საკმაოდ რთულია, და არსებული დემოკრატიული პროცესების სტიქიური ხასიათის შენარჩუნება არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანდა. ამავდროს უნდა გვახსოვდეს რომ სოციალისტური საზოგადოებისათვის მნიშვნელობა აქვს შობადობის არა ამა თუ იმ დონეს, არამედ ისეთ დონეს, რომელიც მოცემულ კონკრეტულ პირობებში, მოკვდაობის მოცემულ დონესა და მწარმოებელი ძალების მდგომარეობის მიხედვით უზარუნველყოფს მატერიალურ და შრომით რესურსებს შორის ყველაზე ხელსაყრელ ფარდობას ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების ინტერესებისათვის. ხოლო აღნიშნული დონის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ ეფექტური დემოკრატიული პოლიტიკის გატარების საშუალებით.

შუა საუკუნეების განმავლობაში და, ნაწილობრივ, შემდეგაც დემოკრატიული პოლიტიკის გატარებაზე მონობოლია ეკლესიას ჰქონდა აღებული. ამჟამადაც სოციოლოგებმა შეამჩნიეს საკმაოდ მაღალი კორელაცია ადამიანის (განსაკუთრებით ქალის) რელიგიურობასა და ნაყოფიერებას შორის.

თვით საბჭოთა კავშირშიც კი, სადაც მორწმუნეები უმცირესობას შეადგენენ, ნათლად ჩანს სხვადასხვა რელიგიების დოგმატების ტრადიციული გავლენა ქალის ნაყოფიერებაზე. ამიტომ მოკლედ გადავხედოთ, თუ სხვადასხვა რელიგია როგორ უყურებს ამ პრობლემას (ჩვენ აქ შევხებით მხოლოდ 3 რელიგიას: ქრისტიანულს, მუსლიმანურსა და იუდაისტურს).

მუსლიმანური სარწმუნოება ყველა სხვა რელიგიაზე უფრო უწყობს ხელს მრავალშვილიანობას. როგორც ცნობილია, ყურანის მიერ ნებადართულია პოლიგინია (მრავალცოლიანობა); მუსლიმანურ ქვეყნებში პრაქტიკულად ვერ შევხვდებით გაუთხოვარ ქალს, დაქორწინება ძალიან ადრე ხდება. განქორწინება, მართალია, სულ ადვილია, მაგრამ ქალს თვენახევრის შემდეგ შეუძლია, და ჩვეულებრივად კიდევ თხოვდება; ბავშვები ითვლება ყველაზე დიდ სიმდიდრედ და ადამიანის, განსაკუთრებით კი ქალის პატივისცემაც ხშირად მისი შვილების რაოდენობაზეა დამოკიდებული. აბორტები კატეგორიულად აკრძალულია, სამაგიეროდ 1937 წლიდან დაშვებულია ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებათა ხმარება, მაგრამ ჯერჯერობით მას ნაკლებად მიმართავენ.

იუდეველთა სარწმუნოების მიმდევართა შორის განსაკუთრებით შეიმჩნევა სოციალური პირობების გავლენა: ღარიბ ებრაელებს შორის მრავალშვილიანობა უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე მუსლიმანებში, ხოლო მდიდარ ებრაელებში შობადობის კოეფიციენტი სხვა რელიგიების მიმდევართა შორის ყველაზე დაბალს შეადგენს.

მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული რელიგია — ქრისტიანობა არ ამჟღავნებს თავის მკვეთრად გამოხატულ დამოკიდებულებას მოსახლეობის მატებისადმი. შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ თუ რა პოზიცია აქვთ სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიებს შობადობაზე კონტროლის მიმართ.

პროტესტანტულმა ეკლესიებმა მეოცე საუკუნეში ნება დართეს თავის მიმდევრებს მიმართონ შობადობის კონტროლის რა ფორმასაც სურთ. ამის საწინააღმდეგოდ, კათოლიციზმი დღემდე კატეგორიულად კრძალავს აბორტებს და სასტიკად ებრძვის კონტრაცეპტივების არა მარტო რეკლამირებას, არამედ წარმოებასაც კი. რაც შეეხება მართლმადიდებლურ ეკლესიას, იგი ამ საკითხზე სდუმს, ხოლო მის მიმდევრებს შორის შობადობა ძალიან დაბალია. საერთოდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანებს შორის ყოველთვის უდიდესი პატივისცემით სარგებლობდნენ ბერები და მონაზვნები, ე. ი. ისინი, ვინც ყველაფერ ამქვეყნიურზე, მათ შორის ბავშვის დაბადებაზეც, ხელს იღებდნენ. ქრისტიანებს შორის ყველაზე მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევიან კათოლიკეები, მაგრამ ეს უფრო სოციალური ფაქტორების მნიშვნელობას უნდა მივაწეროთ, ვინაიდან მას შემდეგ რაც შუა საუკუნეების მიწურულში წარმოიშვა პროტესტანტიზმი, როგორც აღმავალი ბურჟუაზიის რელიგია, კათოლიციზმი ღარიბი მიწათმოქმედი მოსახლეობის „პრივილეგია“ გახდა. როგორც აღვნიშნეთ, ამჟამად მსოფლიოში ყველაზე მაღალი შობადობა ლათინურ ამერიკაშია, სადაც მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კათოლიკეა. ასევე დასავლეთ ევროპაშიც ყველაზე მაღალი შობადობის კოეფიციენტებია ესპანეთსა და პორტუგალიაში, ტრადიციულად კათოლიკურ ქვეყნებში.

მაგრამ მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაზე ყოველთვის გარკვეულ გავლენას ახდენდა სახელმწიფოს პოლიტიკა. ამ პოლიტიკის ნაწილია დემოგრაფიული პოლიტიკა, რაც წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გატარებული იმ სხვადასხვა ღონისძიებების ერთიანობას, რაც ტარდება შობადობის, ქორწინების, მიგრაციების ჩამოყალიბებული ტენდენციების შეცვლის მიზნით. დემოგრაფიული პოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ნაწილს, მაგრამ ჩვენ ის არ უნდა ავრიოთ სახელმწიფოს საერთო სოციალ-ეკონომიურ ღონისძიებებში, როგორებიცაა ხელფასის ზრდა, საბინაო მშენებლობა, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და ა. შ. მართალია, ამგვარმა

ლონისძიებებმაც შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინონ მოსახლეობის ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობაზე, მაგრამ მათი მთავარი მიზანია მოსახლეობის ცხოვრების ღონის ამალღება.

დემოკრაფიული პოლიტიკის ისტორიას ანტიკურ ეპოქამდე მივყევართ, სადაც ლიკურგი ცდილობდა სპარტის გადარჩენას დეპოპულაციისაგან. ძველი რომის ისტორიაში ცნობილია იულიოს კეისრის აგრარული კანონი (59 წ. ჩვ. წ-მდე), რომლის თანახმად თავისუფალი მიწები ეძლეოდათ მხოლოდ მათ, ვისაც 3 ან მეტი შვილი ჰყავდათ. მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიური დემოგრაფიული პოლიტიკა ტარდებოდა იმპერატორ ავგუსტის მმართველობის დროს, რომლის კანონებითაც პრივილეგიები ეძლეოდათ არა წლოვანებით უფროსებს, არამედ მათ, ვისაც მეტი შვილი ჰყავდა, განსაკუთრებით 3 შვილიანებს (ე. ი. მიმართული იყო ოპტიმალურ აღწარმოქმნაზე)⁶. რაც უფრო უახლოვდებოდა ძველი რომი თავისი დაცემის მომენტს, მით უფრო ინტენსიური ხდებოდა დემოგრაფიული პოლიტიკა, მაგრამ მარტო მისი დახმარებით კანონზომიერი ისტორიული მოვლენის შეჩერება შეუძლებელი იყო!

ამჟამად მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულია დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც გავლენას ახდენს შობადობის დინამიკაზე. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ შობადობის კოეფიციენტები უმეტეს ქვეყნებში განსაზღვრავენ მოსახლეობის მატების ტემპებს, მოსახლეობის მომავალ ასაკობრივ სტრუქტურას.

თანამედროვე პირობებში შობადობისადმი დამოკიდებულება ყოველ ქვეყანაში შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. განვითარებად ქვეყნებში სადაც მაღალი შობადობაა, ტარდება შობადობის შეზღუდვის პოლიტიკა, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში წარმოიქმნება შობადობის ამალღების აუცილებლობა.

დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტებია ეკონომიკური ღონისძიებები, ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი ქორწინებისა და ოჯახის სფეროში, აბორტებზე, მოსახლეობაში სანიტარულ-ჰიგიენური მუშაობა, აგრეთვე მასობრივი პროპაგანდისტული მუშაობა ოჯახში ბავშვების რიცხვზე სასურველი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად. ყველა ეს ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც შობადობის სტიმულირების, ისე შეზღუდვის პოლიტიკის გატარებისას, მაგრამ, რასაკვირველია, მიმართებით სრულიად განსხვავდებიან.

იმ ქვეყნებში სადაც დაბალი შობადობაა, სახელმწიფოებრივი დემოგრაფიული პოლიტიკის იარაღია ეკონომიკური ღონისძიებები, ხოლო სადაც მაღალი შობადობაა — სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებები. როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ოჯახში ბავშვების ოპტიმალურ რიცხვზე გარკვეული საზოგადოებრივი აზრის შექმნა.

ამჟამად მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნები იღებენ ზომებს მოსახლეობის ზრდის დასამუხრუჭებლად. ამ დემოგრაფიული პოლიტიკის ნეომალთუსიანობად მონათვლა არაფრით არ შეიძლება: ნეომალთუსიანობა ეს მაშინ იქნება, თუ მხოლოდ მისგან მოელიან ყველა სოციალური პრობლემის გადაჭრას.

⁶ М. С. А в е р б у х, Законы народонаселения докапиталистических формации. М., 1967, гл. 70.

განვიხილავთ რა დემოგრაფიული პოლიტიკის ისტორიას, უნდა აღინიშნოს, რომ თავისი არსებობის დიდი ხნის მანძილზე მან გარკვეული გავლენა მოახდინა შობადობის დინამიკაზე. ამის მაგალითი შეიძლება იყოს ფრანგული დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელსაც თითქმის საუკუნის ისტორია აქვს. მაგრამ გარკვეული ეფექტი გამოვლინდა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მშრომელთა ოჯახებში შემოსავალი პირდაპირ პროპორციული გახდა ბავშვების რიცხვთან საოჯახო ფულადი დახმარების გადიდების წყალობით და მოქმედებდა „საოჯახო კოდექსი“, რომელიც ამალვებდა ოჯახის, ქალის, დედის და ბევრი ბავშვის იდეალს. დემოგრაფიული პოლიტიკის ეკონომიკური სახის ღონისძიებებმა და გარკვეული საზოგადოებრივი აზრის შექმნამ გავლენა მოახდინეს ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებაზე: თუ 1939 წელს საფრანგეთში ოჯახში ბავშვების საშუალო რიცხვი იყო 2,0, ამჟამად ის გაიზარდა 2,4-მდე.

ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკის მაგალითად შეიძლება იაპონიაც დავასახელოთ. 1925 წლიდან დაბადებათა ყოველწლიური ციფრი 2 მილიონს სჭარბობდა და ომის შემდგომ წლებში 2,7 მილიონს მიაღწია. ამ ხნიდან იაპონიაში ტარდება შობადობათა შემცირების პოლიტიკა: 1948 წელს დაშვებულ იქნა აბორტები, მოიხსნა კონტრაცეპტული საშუალებების გაყიდვის აკრძალვა, დაიწყო სამედიცინო ცოდნის პროპაგანდის კამპანია და ა. შ. ყველა ამ ღონისძიებებმა, ქვეყნის სწრაფ ინდუსტრიალიზაციასა და კულტურის დონის ზრდასთან ერთად გავლენა მოახდინეს იაპონიაში შობადობის რეკორდულ შემცირებაზე: 24,3%-დან (1947 წელს) 16,8%-მდე (1961 წელს)⁹.

გაეანალიზოთ თუ როგორ ტარდება დემოგრაფიული პოლიტიკა ევროპის ზოგიერთ სოციალისტურ ქვეყანაში.

ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური წყობის დამყარებასას დემოგრაფიული პოლიტიკა არ გამოიყოფოდა საერთო სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებებიდან, რომელთაც სოციალისტური სახელმწიფო ახორციელებდა მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად. 1947 წელს დახმარების პროპორციული სისტემა (ე. ი. ერთნაირი დახმარება ყველა ბავშვის დაბადებისას) შეიცვალა პროგრესულით, რასაც ყოველი შემდეგი ბავშვის დაბადებისათვის სტიმულირება უნდა მოეხდინა. თითქმის ყოველ 2—3 წელიწადში ფულადი დახმარების ოდენობა იზრდებოდა, უფრო მეტად მრავალშვილიანი ოჯახებისათვის.

1962 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა დადგენილება დეკრეტული შვებულების ერთ წლამდე გადიდების შესახებ (ამ ვადიდან ნახევარი წელი ანაზღაურებითაა, ხოლო შემდეგი 6 თვე ითვლება სამუშაო სტაჟში). მართალია, ეს დადგენილება ძალაში შევიდა მხოლოდ ერთნახევარი წლის შემდეგ, მაინც ალბათ შვებულების მოსალოდნელმა გადიდებამ საგრძნობი როლი შეასრულა 1963 და 1964 წლებში შობადობის ზრდაზე 1962 წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ დეკრეტული შვებულების გადიდებამ არა მარტო გადმოსწია დაბადებანი დედის უფრო ადრე ასაკებზე (რაც შეეხება პირველ და მეორე ბავშვების დაბადებებს), არამედ ხელი შეუწყო ოჯახში მესამე და მეოთხე ბავშვის გაჩენას. მონაცემები გვიჩვენებენ, რომ გაიზარდა ქალების ნაყოფიერება

⁹ E. B. Урланис, Демографическая политика и её влияние на демографическое поведение населения. Доклад на VII международном социологическом конгрессе, 1970, 33-4.

ერთ-ერთ ყველაზე ძირითად ასაკობრივ ჯგუფში (25—29 წელი). ასე რომ, ახალმა კანონმდებლობამ გავლენა მოახდინა ქალის დემოგრაფიულ ქცევაზე¹⁰.

უნგრეთში პირველ წლებში დემოგრაფიული პოლიტიკა არ იყო მკვეთრად გამოხატული. ამის გამო, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასა და საერთო კულტურის დონის ზრდასთან ერთად შობადობა ყოველწლიურად მცირდებოდა 19,9-დან 1954 წ. 12,9-მდე 1962 წ. (მთელ მსოფლიოში ყველაზე დაბალი შობადობის კოეფიციენტი). ასეთ დონეზე შეუძლებელია მოსახლეობის იმავე რაოდენობით კვლავწარმოქმნა — იწყება მოსახლეობის კლება.

1967 წლამდე დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითად კომპონენტს შეადგენდნენ საოჯახო ფულადი დახმარებანი, რომლის სიდიდეც მუშის საშუალო ხელფასის 10—15% შეადგენდა. 1966 წლამდე დახმარებები ეძლეოდათ ქალაქში მეორე ბავშვიდან, ხოლო სოფლად მესამე ბავშვიდან.

უნგრეთის დემოგრაფიულ პოლიტიკაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა 1966—67 წლებში. მთელი წლის განმავლობაში ქვეყანაში ეწყობოდა ახალი კანონის პროექტის საჯარო განხილვა, რის შედეგადაც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პლენუმმა 1966 წლის ნოემბერში დაადგინა: „მიეცეს საშუალება მომუშავე ქალებს სახლში დარჩენენ ბავშვის 2,5 წლის მიღწევამდე, მათთვის ყველა შრომითი უფლებების შენარჩუნებით და ყოველთვიურად მიეცეთ დახმარება ბავშვის მოსავლელად 600 ფორინტის რაოდენობით“ (ეს შეადგენს მუშა ქალის ხელფასის დაახლოებით ნახევარს); სოფლის მეურნეობაში მომუშავე ქალებს იმავე პირობებში ეძლევათ 500 ფორინტი ყოველთვიური დახმარება.

უნგრეთის ახალმა დემოგრაფიულმა პოლიტიკამ სასურველი შედეგი გამოიღო. 1966 წლიდან (ე. ი. მაშინ, როდესაც ამ თემაზე დაიწყო საერთო დისკუსია) შობადობის კოეფიციენტი შეუჩერებლად იზრდებოდა — 1968 წელს უკვე შეადგენდა 15,1-ს, ე. ი. 2 წელიწადში გაიზარდა 15 პროცენტით. ნაყოფიერების კოეფიციენტების საგრძნობი ზრდა 1967 წელს მოხდა მთავარ ასაკობრივ ჯგუფებში (20—24 და 25—29). ამ დადგენილების კარგი ეფექტის გათვალისწინებით ქალებს შეღავათები გაუფართოვდათ — დახმარება ეძლევათ ბავშვის 3 წლის მიღწევამდე¹¹.

აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა ტარდება ბულგარეთშიც. 1969 წლის იანვრიდან შემოღებულია დახმარების და დეკრეტული შვებულებების ახალი სისტემა, რომელიც ყველაზე მეტად სტიმულირებას უწყევს მეორე და მესამე ბავშვის დაბადებას: პირველ ბავშვზე საოჯახო დახმარება უდრის 5 ლევს (საშუალო ხელფასის 5%), მეორეზე 15-ს, ხოლო მესამეზე 35-ს. ასეთივე სისტემა ერთდროულ დახმარებებზეც: 20 ლევი პირველზე, ორასი — მეორეზე, ხუთასი მესამეზე და 20 ყოველ შემდგომზე.

დეკრეტული შვებულება პირველი ბავშვის დაბადებისას უდრის 120 კალენდარულ ლევს, მეორე ბავშვზე — 150-ს, მესამეზე — 180 ლევს, ყოველ შემდგომზე — 120 ლევს. ასეთი დემოგრაფიული პოლიტიკა ყველაზე კარგად გამოხატავს სახელმწიფოს მიზანს — ოჯახში მეორე და მესამე ბავშვის დაბადების სტიმულირებას, და არა მეოთხისა და შემდეგების. ამგვარად, ბულგარეთი ახ-

¹⁰ Е. Б. Урланис, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

¹¹ К. Дзенье, Э. Быковская, Изменение уровня плодovitости женщин в Польше и 16 странах Европы и Северной Америки. «Методы демографических исследований», М., 1969, გვ. 86.

დენს თავისი ახალგაზრდა ოჯახების ორიენტირებას ბავშვების ოპტიმალურ რიცხვზე.

საბჭოთა კავშირში 1944 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომლის მიხედვით დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს 10 ან მეტი ბავშვი, ენიჭებათ „გმირი დედის“ საპატიო წოდება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პროფესორ ბ. ურლანისის მოსაზრება: „ჩემის აზრით, მრავალშვილიანი (7—8 ბავშვზე მეტი) დედების წახალისების პრაქტიკა უნდა გადაისინჯოს. დედა, რომელმაც აღზარდა 3—4 ბავშვი სრულფასოვან, საზოგადოებისათვის საჭირო ადამიანებად, უფროა წახალისების ღირსი, ვიდრე ის, ვინც გააჩინა 15 და პასუხისმგებლობას არ იჩენს მათადმი“¹². ამ ბოლო ფრაზის შეცვლა ასე შეიძლებოდა: „... და პასუხისმგებლობას ვერ იჩენს მათადმი“, ვინაიდან მრავალშვილიანი დედისათვის მართლაც ძალზე ძნელია გაზრდილი მოთხოვნილებების პირობებში ყველა ბავშვს ერთნაირად მიხედოს და კარგად აღზარდოს ისინი.

ამავე დროს საბჭოთა კავშირში მრავალშვილიან დედათა რიცხვი, რომლებიც ყოველთვიურ ფულად დახმარებას იღებენ, გაიზარდა 3079 ათასიდან 1950 წელს — 3529 ათასამდე 1967 წელს. და ეს მაშინ, როდესაც აღწარმოქმნის ნეტო-კოფიციენტი იცვლებოდა: 1,68 — 1926—1927 წწ.; 1,44 — 1938—1939 წწ.; 1,26 — 1958—1959 წწ. და 1,13 — 1966—1967 წწ.¹³.

ნათლად ჩანს, რომ ფულადი საოჯახო დახმარება საბჭოთა კავშირში არ არის გამიზნული შემდეგი ბავშვის დაბადების სტიმულირებისაკენ, თანაც ის გამოყენებულია იმ რესპუბლიკებში, სადაც ქალთა ნაყოფიერების კოეფიციენტი ისედაც მაღალია და ეს დახმარება რომ არ ყოფილიყო, საეჭვოა რომ იქ აღნიშნული კოეფიციენტი შეიცვლებოდა. ამავე დროს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ნაწილში ძალიან დაბალი შობადობაა და სწორედ იქ მოიპოვება მოსახლეობის აღწარმოების ოპტიმიზაციის რეზერვები, მაგრამ ვიდრე არსებული დემოგრაფიული პოლიტიკა არ შეიცვლება უფრო ეფექტურით, რომელიც მიმართული იქნება მეორე და, განსაკუთრებით, მესამე ბავშვის დაბადების სტიმულირებაზე, მანამდე სულ უფრო მეტ რაიონებს დაემუქრებათ დემოპულაციის საფრთხე (ამჟამად ასეთი საფრთხის წინაშე დგანან ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, უკრაინა, ბელორუსია, რსფსრ-ს დასავლეთი ოლქები).

* * *

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება: ურბანიზაციის პროცესი კვლავაც გაგრძელდება და დიდი ქალაქების რიცხვი სულ უფრო მოიმატებს, წარმოიქმნება კვალიფიციერებულ მუშახელზე სულ უფრო დიდი მოთხოვნა, რის გამოც განვითარებულ ქვეყნებში კიდევ უფრო გაიზრდება პროფესიულ შრომაში ჩაბმული ქალების პროცენტი. ოჯახის ახალი ტიპი დიდი ქალაქებიდან თანდათან მთელ ურბანულ საზოგადოებაში გავრცელდება, რის გამოც შობადობა კიდევ უფრო დაიწვეს განვითარებული ქვეყნების იმ რეგიონებშიც, სადაც ის ჯერ კიდევ შედარებით მაღალია. ამიტომ აუცილებელი ხდება სტიქიურ დემოგრაფიულ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევა მეცნიერულად დასაბუთებული რეგიონალური დემოგრაფიული პოლიტიკის სა-

¹² Б. Ц. Урланис, «Неделя», № 33, 1968.

¹³ А. Я. К'в'аша, Об оптимальном типе воспроизводства населения СССР. «Вопросы демографии», М., 1970, гл. 37.

შუალებით. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში, სადაც მოსახლეობის კვლავწარმოქმნის მეტად დაბალი დონეა, პრობლემა ხდება პროფესიულ შრომაში ჩაბმულ ქალთათვის მეორე ბავშვის, ხოლო დიასახლისებისა და არაკვალიფიცირებულ მუშა-მოსამსახურეთათვის — მესამე ბავშვის დაბადების სტიმულირება. თუ ეს პრობლემა, ისე იქნება შესწავლილი, რომ გათვალისწინებული იყოს ზემოთ დასახელებული ჯგუფების ინტერესები, მაშინ დემოგრაფიული პოლიტიკა აუცილებლად განდება მოსახლეობის კვლავწარმოქმნის ოპტიმალური დონის შექმნის ეფექტური იარაღი.

ჰუანზერ სონლუაზილი

მევენახეობა-მელვინეობის საალეზგიცემო ხასიათი ალმოსავლეთ საქართველოში

მევენახეობა-მელვინეობა საქართველოში ერთ-ერთი უძველესი დარგია. არქეოლოგიური განათხარი მასალის მიხედვით ჩანს, რომ ალმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა კარგად იცოდა ვენახის მოვლა და ღვინის დაყენება ჯერ კიდევ ადრე ბრინჯაოს ხანაში, ხოლო შემდეგი ეპოქა იმაზე მეტყველებს, რომ იქ, სადაც ვენახი არ ხარობდა, ღვინო მაინც „დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ბარიდან მთაში აჰქონდათ. ამ გარემოებაზე მიგვიითითებს შუა ბრინჯაოს განათხარი მასალა თრიალეთიდან. აშკარაა, რომ ღვინო როგორც სააღებმიცემო საშუალება გარკვეულ როლს ასრულებდა ამ ეპოქაშიაც და შემდგომ მომდევნო ხანაშიაც და საერთოდ ჩვეულებრივი ღვინო ექსპორტის საგანს შეადგენდა¹. ამას კარგად მოწმობს წერილობითი წყაროებიც. მაგალითად, VI ს. ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის ცნობით: „მესხები შრომის მოყვარულნი არიან; მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო შიამქვთ სხვადასხვა ქვეყანაში გასაყიდად“². თბილისის აღწერისას საინტერესო ცნობებს გვაწვდის დიონიჯო კარლი, რომელიც ჩვენში 1631 წ. ყოფილა. მისი მოწმობით: „გიორგი მეფემ სპარსეთის ხელმწიფეს თორმეტი საპალნე საუკეთესო ღვინო გაუგზავნა, რადგან კარგად იცოდა თუ როგორ უზომოდ და ხარბად სვამს. თუმცა ეს მისი სარწმუნოების საწინააღმდეგოა, მაგრამ ამას ხელმწიფე არ ერიდება“³. მისივე ცნობით, ქართველები მიწას „ხნავენ თორმეტი ხარით, ამიტომაც მიწები კარგადაა დამუშავებული და უხვ მოსავალსაც იძლევა. ესაა იმის მიზეზი, რომ აქ ყველაფერი იაფია. უნდა გავაფრთხილოთ, რომ [აქ] სარჩოს რთველსა და ღვინობისთვის იმზადებენ. ამ დროს ცოტა ფულით ჩვენ ქვეყნებთან შედარებით მთელი წლის სარჩოს შექმნა შეიძლება. სხვა დროს კი სამჯერ ძვირი ღირს, განსაკუთრებით ღვინო, რომელსაც უზომოდ სვამენ და, ცხადია, ძვირდება — კიდევ“⁴.

დაახლოებით ასეთსავე ცნობებს გვაწვდის საქართველოს ღვინის ექსპორტის შესახებ ე. შარდენიც, რომელიც აღნიშნავს, რომ: „არც იმისთანა ქვეყანა მოიპოვება, სადაც იმდენს და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ. ვაზი იქ ხეებზე აღის, როგორც კოლხიდაში. ტფილისიდან ბლომად მიაქვთ ღვინო შაჰისთვის, სომხეთში, მიდიაში, ისპანში, ცხენის საპალნე ღვინო ღირს 8 ფრანკი. მე ვამ-

¹ პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება, XIX—XX სს, ტ. V, თბ., 1962, გვ. 466.

² გეორგიკა, ტ. II, თბ., 1934, გვ. 113.

³ ბ. გიორგაძე, დიონიჯო კარლი, თბილისის აღწერა, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, 1951, ნაკვ. 29, გვ. 171.

⁴ იქვე, გვ. 160.

ბობ უკეთეს ღვინოზე, თორემ ცოტა მდარე ღვინო არც ამის ნახევრად ფასობს, ყველა სხვა სანოვავეც ღვინის ფასის შესაბამისად ძვირი არ არის⁵.

როგორც დამოწმებული წყაროებიდან ჩანს, ქართველი მიწისმოქმედი მევენახეობას გატაცებით მისდევდა. ეს გასაგებიც არის, რადგან მევენახეობა-მელვინეობას საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყურძენიც თავისდათავად საჭმელად თუ ჩამიჩად, გინდა მისი ტკბილისაგან დამზადებული თათარის, ფელამუშისა და ჩურჩხელის სახით, მეტად ნოყიერი და სასიამოვნო საჭმელია; ყურძენს საუცხოო კვებითი თვისებები აქვს და ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად მარგებელია⁶.

საგულისხმოა, რომ პურის ნაკლებობის, სიძვირისა და შიმშილის დროს მდებრივ ხალხს ძველ საქართველოში ყურძნით და ხილით იკვებებოდა. აბუსერიძე ტბელს მოთხრობილი აქვს: „იყო მათ ეამთა შინა სიმშილი დიდი და სიძვირე პურისა: და გაკირვებაში ჩავარდნილს ერთ ტაძრის აღმშენებელს ბოლოკ-ბასილს გამოსაკვებად ამ დროს „ხილი მოართვეს ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთისა, რომელსა ეწოდების ყოლი“-ო⁷.

ჩვენ აქ პირველ რიგში განვიხილავთ მევენახეობა-მელვინეობის სააღმშენებლო საქმეს და მის როლს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში, რომელიც განსაკუთრებულ მაღალ დონეზე იდგა, სავაჭრო მევენახეობა-მელვინეობა საქართველოს სოფლებში წარმოდგენილია არა თითო-ორიოლა წვრილმწარმოებელთა სახით, არამედ უკვე გამოყოფილია სოფლები, რომლებშიც თითქმის მთელი მოსახლეობა ცხოვრობს მხოლოდ უპირატესად მევენახეობა-მელვინეობით. ასე რომ, მელვინეობა, როგორც შინამრეწველური სარეწავი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული იყო. სიღნაღის მაზრაში 1830-იან წლებში ასეთი სოფლები იყო: მუკუზანი, გურჯაანი, ბაკურციხე, ახაშენი, განსაკუთრებით კი კარდანახი და ველისციხე. თელავის მაზრაში გამოირჩეოდნენ წინანდალი, ყვარელი, შილდა, კონდოლი, ახმეტა, რუისპირი, ფშაველი. აქ მრავალ სოფელში მელვინეობა წარმოდგენდა მცხოვრებთა არსებობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს⁸. ერთი იმდროინდელი ოფიციალური მიმომხილველის სიტყვები მოწმობს, რომ „თელავის მაზრის თითქმის მთელი მოსახლეობა მისდევს მევენახეობას, რომელნიც აწარმოებენ ღვინოსა და არაყს. ამ წარმოების ერთი მესამედი ადგილზე მოიხმარება, ხოლო ორი მესამედი გადის გასაყიდად. უპირატესად თბილისში, რაც ერთ მილიონ მანეთ შემოსავალს აძლევს მოსახლეობას“-ო⁹. 1830-იან წლებში თბილისიდან იმპერიის ფინანსთა მინისტრს გრაფ კანკრინს წერდნენ, რომ კახელები მხოლოდ იმდენს ზრუნავენ მელვინეობის გაუმჯობესებისათვის, რამდენიც საჭიროა მათი ფრიად დიდი მოხმარებისათვის და სრულიადაც არ იწუხებენ თავს მესარეწეობისათვის. ყოველი ოჯახი მოიხმარს ფრიად ბევრ ღვინოს და მხოლოდ მოსავლის მეოთხედი გადის გასაყიდად. ამავე ცნობით, სიღნაღის მაზრაში 54 520 მცხოვრებზე საშუალოდ წლიურად მოდიოდა პურის მოსავალი 90 000 ჩეტვერტი, ხოლო ღვინოსი — 350 000

⁵ ე. შ. ა. რ. დ. ნ. ი., მოგზაურობა საქართველოში, 1930, გვ. 83.

⁶ თ. ე. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ა., ქრონიკები, II, გვ. 115; ივ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, 1935, გვ. 604.

⁷ თ. ე. ო. რ. დ. ა. ნ. ი. ა., ქრონიკები, II, გვ. 115; ივ. ჯ. ა. ვ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 604.

⁸ პ. გ. უ. გ. უ. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 497.

⁹ Обзорение российских владений за Кавказом, I, гв. 378.

ვედრო, ე. ი. სულზე 6,5 ვედრო ღვინო, თელავის მაზრაში კი 32 000 სულზე 85 000 ჩეტვ. პური და 998 000 ვედრო ღვინო, 30 570 ვედრო არაყი, ე. ი. 1 სულზე 31 ვედრო ღვინო და თითქმის ერთი ვედრო არაყი; აქედან მხოლოდ მეოთხედი გადაიდა ბაზარზე¹⁰.

ასეთივე მდგომარეობაა ქართლის ზოგიერთ სოფლებშიაც, სადაც მევენახეობა სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი დარგია. ასეთი სოფლებია: ბოლნისი, შულავერი, თბილისის სანახების გარკვეული სოფლები, მუხრანი, ოძისი, ქსოვრისი, კავთისხევი, ხანდაკი, ახალქალაქი, ჭოპორტი, მეჭვრისხევი, ხიდისთავი, ატენი და სხვა მრავალი, სადაც მევენახეობა-მეღვინეობა ძველთაგანვე მაღალ დონეზე იდგა.

მეურნეობის მაჩვენებელია ერთი ხალხური ლექსი, სადაც ასახულია მევენახეობის წამყვანობა ამ სოფლისათვის:

ატენში ერთი ბალი,
ორასი კოკა გამოდის,
გვერდზე უბრუნავს წისქვილი,
შუაზე წყალი ჩამოდის,
იძისა მეწისქვილესა,
შიშლით სული ამოსდის¹¹.

* * *

აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ყველგან ზვრებში, ვენახებსა და ბაღებში გარკვეული ტერიტორია ეჭირა სუფრის ჯიშის ვაზს, რომელსაც საბაზრო მნიშვნელობა ჰქონდა და გარკვეულ შემოსავალსაც აძლევდა მოსახლეობას. ყურძნის ასეთი ჯიშები იყო: თითა, ხარისთვალა, გორული, ბუდეშური, სააბი, ჭიშური, დიდშური საბატონო და სხვ. ამ ყურძნის ჯიშებს ხშირად ვენახში ცალკე კუთხეც ჰქონდა გამოყოფილი, ძირითადად თალარზე იყო გამართული და რთვლის დაწყებამდე ბევრად ადრე კრეფდნენ და ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად, ზოგჯერ ყურძენს ადგილზე მოსულ ვაჭრებზე ყიდდნენ „ფეხად“ ანუ ნარდად, ისინი შემდეგ თვითონვე კრეფდნენ და ახარისხებდნენ საბაზროდ.

ყურძნის ბაზარზე გატანის მრავალნაირი საინტერესო წესი მოჩანს. მაგალითად, თბილისის სანახებში მეზვრე-მებაღეები, რომლებიც დიდ ზვარ-ვენახებს ამუშავებდნენ, მოსავლის შემოსავლის დროს, ჩალვადჩად აიყვანდნენ ჯამაგირით საშოვარზე მოსულ მუშას ან ადგილობრივ ახალგაზრდა ყმაწვილს. მის მოვალეობას შეადგენდა, მეზვრე-მებაღესთან ერთად მოემზადებინა ბაზარზე გასატანი საპალნე, ე. ი. მოეკრიფა-ყურძენი, გაერჩია და გოდრებში ჩაელაგებინა, შემდეგ სახედრებისათვის აეკიდნა და უკან გაჰყოლოდა, მოეტანა ბაყალთან დამზადებული სპალნე. ბაყალი თითო საპალნეში თითო შაურს აძლევდა საჩუქრად, რასაც „საჩალვადროს“ ეძახდნენ. ამას გარდა, სახედრის საპალნეებით მიჰქონდათ „ფესტამალში“ გამოკრული ვაზის ფოთოლი, ისვრამი, ან წვრილმანი მწვანილეულობა: კამა, ქინძი, ოხრახუში, რეჰანი¹², ან კიდევ კალათით ხი-

¹⁰ Акты, собранные Кавказской археографической комиссией, VII, გვ. 188—189.

¹¹ როცა მთხრობელს ეთხოვე ლექსის შინაარსი განემარტა, მან მიპასუხა რომ: „ჩენი სოფელი ვენახთ ცხოვრობს და არა მიწათმოქმედებით, პური არა გვეონდა, რომ გვეფქვა საფეკავი და მეწისქვილის შემოსავალი რაღა იქნებოდა. შიშლილობდა ის კაციო“.

¹² ქ. სონღულაშვილი, მეზოტენობა თბილისის სანახებში, 1959, გვ. 172.

ლი: ატამი, ლელვი, ვაშლი, მსხალი და სხვა, რასაც „საქაფე“-ს ეტყობდნენ. ამ გზით შემოსულ ფულს „ქაფის ფული“ ერქვა და ჩალვადრის საკუთრებას შეადგენდა¹³. ბაზრიდან ჩალვადარი სწრაფად ბრუნდებოდა ზვარში ან ვენახში და ისევ საპალნის დამზადებას შეუდგებოდა. თუ ბაყალთან პირობა ჰქონდა მიცემული, იმავე დღეს მიჰქონდა მეორე პირი საპალნე. ბაზარში ყურძნის საპალნეებთან ერთად ხილის საპალნეებიც მიჰქონდათ. ბაყალთან მოლაპარაკებას (მორიგებას) მეზვრე-მეზალე აწარმოებდა, მათ შორის ანგარიშგება კვირაში ერთხელ ხდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, ბაყალთან მიტანილ საქონელს ფასს თვითონ მეზალე ადებდა — „ჩემი საქონელი ასე უნდა გაიყიდოს“, მაგრამ ამავე დროის მასალებიდან ჩანს, რომ ფასს უსტაბაში ადებდა, რაც „მაზანდაზე“ იყო დამოკიდებული. ბაყალს გაყიდული პროდუქტებიდან პროცენტები ერგებოდა — „ოც თუმანზე თუმანს აიღებდა“. დაგროვილი თანხა კი პროდუქტის პატრონს მიჰქონდა და თუ ამხანაგობა იყო მეზვრეთა შორის, ერთმანეთში თანასწორად გაიყოფდნენ. ბაყალთან გასაყიდად ხილ-ბოსტნეულის ასეთ მიტანას „დაიაქი“ ეწოდებოდა. იტყობდნენ: „დაიაქით მიმაქვს“-ო „დაიაქით ეზიდებიანო“, ე. ი. მოცდით ბარდებოდა ბაყალს გასაყიდად, რაც მეზვრესა და ბაყალს შორის დადებული პირობა იყო.

მასალების მიხედვით ირკვევა, რომ თბილისელი ბაყლები ყურძნით მარაგდებოდნენ შემდეგი მხრის ვენახებიდან: ვერის, საბურთალოს, ბაგების, დიღმის, ძეგვის, არაგვის ხეობისა და სამუხრანოს მხრის სოფლებიდან. შემოტანილი ყურძენი იყიდებოდა „იარმუკაში“, „ვერაზე“, „ყაფანზე“ და თათრის მოედნის ბაყლებთან. კახეთიდან და გარეკახეთიდან მოტანილი ყურძენი ავლაბრის, თათრის მოედნისა და ჩუღურეთის ბაყლებთან იყიდებოდა ძირითადად. ორთაჭალის, კრწანისის, ბოლნისის და დმანისის ვენახების ყურძენი თათრის მოედნის „იარმუკისა“ და ვერის ბაზრებსა და ღუქნებში იყიდებოდა. კახეთიდან, ქვემო ქართლიდან და შიდა ქართლიდან ყურძენი მოდიოდა ურმებით.

ბაყლის ღუქნები არა მარტო ბაზრებში იყო მოთავსებული, არამედ ქალაქის სხვადასხვა ქუჩებსა და უბნებში. ბაყლები აწყობდნენ როგორც საკუთარ ნაგებობებს ღუქნებად, ასევე იყენებდნენ დაქირავებულ შენობებსაც.

ასეთივე სურათი მოჩანს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში: გორში, ცხინვალში, ხაშურში, სურამში, თელავში, სიღნაღში, გურჯაანში. ყურძენი იყიდებოდა როგორც ბაყლის ღუქნებში, ისე ბაზრებში, რომლებიც მარაგდებოდნენ ქალაქის ირგვლივ მდებარე სოფლებიდან.

როგორც აღვნიშნეთ, მეზვრეები, მეზალეები და მებოსტნეები დაკავშირებული იყვნენ ძირითადად ბაყლებთან, ენდობოდნენ მის სინდისს. ბაყალი საქონ-

¹³ თბილისელ ჩალვადრებზე და ბაყლებზე საინტერესო ცნობა მოეპოვება ა. დიუმას, რომელიც წერს: „ჩრდილოეთიდან მოსულისათვის ბაზარზე არა ნაკლებ საინტერესოა ბაყლების ღუქნები, სადაც მწვანილი და ხილი იყიდება. მართალი უნდა ითქვას, ძალზე სასიამოვნო სანახაია ამ ხილისა და მწვანილის ზვივები, იმისთანა ქვეყანაში, როგორც საქართველოა, სადაც ჰაეა ხელს უწყობს მცენარეულობას, მწვანილი და ხილი, რასაკვირველია, ყოველდღიურ და იაფ სანოვავეს წარმოადგენს, ყოველივე ეს, როგორც წესი, ჩამოაქვთ ორთვალა ურმებით, ანდა გოდრებით, რომლებიც ვირებს ჰკიდია, წეროებივით ჩამწყკრივებულ ვირებს ხშირად ერთი გამყოლი მისდევს. ეს პატარა-პატარა ქარავნები დატვირთული პირუტყვებისა, სადაც უნდაურად გამოიყურება, მეტადრე სადმე მთებში უდაბურ და უკაცურ ადგილას, მაგრამ თბილისის ქუჩებში ვირები ჩვეულებრივი სანახაია. გარდა ამისა, ვირებით მოაქვთ თბილისში თივა, ნახშირი, წყალი და შუშა. ასე რომ შუადღემდე საესეა ვირებით ქუჩება და მოედნება (ა. დ ი უ მ ა, კავკასია, 1965, თბილისი, გვ. 213).

ლის გაყიდვის შემდეგ იღებდა მთელი შემოსავლის $\frac{1}{5}$ ან $\frac{1}{6}$. ასეთი ანგარიში ხდებოდა კვირაში ერთხელ, ორშაბათობით¹⁴.

ბაყალსა და მებალეს შორის საქონლის მორიგება წინდაწინ ხდებოდა. ფულს, თუ საქონლის პატრონს სჭირდებოდა, იმავე დღით მიიღებდა, თუ არა და კვირაში ერთხელ ხდებოდა ანგარიშსწორება. მებალეთა გადმოცემის მიხედვით, „ბაყალთან საქონლის მიზიდვა გარიგებით ხდებოდა, ადრე ხილსა და ბოსტნეულს სახედრის გოდრებით ვყიდდით. ორი სახედრის გოდორი ერთი სახედრის საპალნე იყო. საპალნე ყურძენი ორი მანეთი, სამი მანეთი ღირდა. ყურძენს გააჩნდა რა ჯიშისა იყო ხარისთვალა, თითა, სააბი, კარგ ფასში გადიოდა, საპალნეში ორფუთ-ნახევარი, სამი ფუთი ჩადიოდა. ბაყალი გარიგების შემდეგ საპალნის გოდრებს დანიშნავდა და იმით ვეზიდებოდით ერთი კვირის განმავლობაში. მერე ფულს ერთი კვირისას ერთად მოგვცემდა, დღეში ხუთი-ექვსი საპალნე ყურძენი, ლელვი, ატამი, მსხალი, ვაშლი დამქონდა ხოლმე. თუ ფული გვინდოდა იმავე დღეს მივიღებდით. ხელისელში შეიძლებოდა. ბევრი ასე აკეთებდა, რომლებსაც შორი სოფლებიდან მოჰქონდათ ხილი ურმებით. იმათ დიდრონი ბზის გოდრებით მოჰქონდათ და იმავე დღით იღებდნენ ფულს და უკან ბრუნდებოდნენ. მაგრამ უფრო მიღებული იყო „ღიაქი“ — ერთიანად აღება. კვირაში ერთხელ დიდი მეზვრეები და მებალეები ასე აკეთებდნენ, ასე აკეთებდნენ შეამხანაგებული მეზვრე მებალეები, რომლებიც კვირაში ერთხელ იღებდნენ ბაყლისაგან, გაყიდულ ხილსა თუ ბოსტნეულის თანხას და თანასწორად გაიყოფდნენ“ (სოფ. დიდმის მცხოვრები გ. თოფჩიშვილი, 1957 წ.).

ძირითადად ბაყლების ვაჭრობა წარმოებდა მარცვლეულით, ხილით, მწვანე ხილით და სხვადასხვა ბოსტნეულით. ბაყლებს ხილისათვის ცალკე კუთხე ჰქონდათ გამოყოფილი, სადაც ყიდდნენ ყოველგვარ ხილს, როგორც „ხმელ ხილს“ ისე ახალშემოსულს. ხილს აწყობდნენ თაფხებზე. ყურძენს ალაგებდნენ ჯიშის მიხედვით, ცალ-ცალკე ხარისთვალას, თითას, სააბს, რქაწითელს, ასევე იყო ცალკე თაფხებზე ქიშმიში, ჩურჩხელა და სხვ.

ბაყლის დუქანშივე იყიდებოდა სანელებელი მწვანეხილიც, ქინძი, კამა, ოხრახუში, პიტნა, ნიახური, რეპანი, ქონდარი, ომბალო, ცერეცო, ნარგიზი, წიწაკა, ზირა და სხვ.¹⁵

ბაყლები შედიოდნენ ამქარში, რომელთა სათავეში იდგა უსტაბაში. როგორც ვიცით, „გვიანფეოდალურ საქართველოს ქალაქების ძირითად მოსახლეობას ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ. ქალაქში მოსაქმე ხელოსნები, ვაჭრები თუ სხვა პროფესიის წარმომადგენლები ხელობის მიხედვით, ამქრულ ორგანიზაციებში იყვნენ გაერთიანებულნი. მოსაქმეობა ამქრული ორგანიზაციის საფუძველს შეადგენდა და ამდენად, სხვადასხვა სახის საქონლის მწარმოებელნი ამ საქონლით მოვაჭრე ცალკე ორგანიზაციებს, ასნაფებს (ამქრებს) ქმნიდნენ“¹⁶.

თბილისში XIX საუკუნემდე ამქრის თავი, ანუ უსტაბაში ამქრის წევრების მიერ კი არ ირჩეოდა, არამედ მეფის მიერ ინიშნებოდა. მაგალითად, გიორგი XII, 1799 წ. წყალობის წიგნში წერდა: „აქ ჩვენ მეფემან ყოვლისა საქართვე-

¹⁴ Ш. Ч х е т н я, Тбилиси в XIX столетии, 1942, გვ. 181.

¹⁵ ქ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

¹⁶ შ. მესხია, ქართული ამქრული ორგანიზაციების ისტორიიდან, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1949, გვ. 141.

ლოსამ, კახეთისა და სხვათა გიორგიმ ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ყმას ერთგულსა და ნამსახურს, მოქალაქეს, იფრუმდანთ როსტომას შვილს ხატისა და მამასა შენსა მეშრობს კაკალას, ასე რომ ქალაქის ბაზრის ბაზარბაშობას დაგვიაჯენით: ვისმინეთ აჯა და მოხსანება თქვენი და გიბოძეთ ქალაქის ბაზრის ბაზარბაშობა, ასე რომ, როგორც ამას წინათ ბაზარბაშო მოქცეულან, შენც ისე უნდა მოიქცეთ და რაც ჩვენი სარქრისათვის და ან სხვისთვის ბაზასთან ერთმოდეს და ან ეძლეოდეს, ეს ყველა უთქვენოდ არ უნდა მოხდებოდეს და რაც ამას წინათ ბაზარბაშის რუსუმი და სარგო ქონდესთ თქვენ ისე უნდა მოგეცემოდესთ. გქონდეს და გიბედნიეროსთ“ ჩვენს სამსახურსა და ერთგულებასა შინა, აწ მიბრძანებთ ქალაქის მოურავო, მელიქ მამასახლისო და ჩვენი მოსაქმენო ეს ჩვენი ნაბოძები წიგნი თქვენც ასე დაუმტკიცეთ: „აღიწერა ნოემბრის ივ(16)ქვს, უპზ (1799 წ.) ბექედ“¹⁷. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ბაზაზების უსტაბაშის დანიშვნა ქალაქში ყოველთვის მეფის ბრძანებით ხდებოდა. ვაჭართა ამქრის ამ ხელისუფლის დანიშვნა პირველ რიგში ქალაქის მოხელეთ უნდა სცნობოდათ, რომ მათაც მეფის ბრძანებული დაემტკიცებინათ. მეფის მიერ თბილისში არა მარტო ბაზაზბაში ინიშნებოდა, არამედ სხვა ამქართა თავებიც. ამას გარდა, მეფეს შეეძლო, თუ კი ამქრის თავი მეფის სამსახურს წესიერად ვერ შეასრულებდა თანამდებობიდან გადაეყენებინა იგი.

როგორც სხვა ამქარს, ისე ბაყლებს თავისი საქმიანობის მიხედვით (ძველ საქართველოში), დაკისრებული ჰქონდათ სამოურავო გამოსაღები, ბაყლები ვალდებული იყვნენ ნათლისღებას მოურავისათვის მიერთობით ბრძნჯი თავისი ერბოთი. ყველიერში კიდევ ბრძნჯი ერბოთი, დიდმარხვას 50 ლიტრა სამარხი თავისი ნიგვზით“¹⁸. ამას გარდა „ქ. მოურავმა სხვაგან ერთი და ორი თვე რომ დააგვიანოს და ქალაქში მოვიდეს... ბაყალბაშებმა ხილი უნდა მიართვან“¹⁹.

მოურავის სხვა დასახელებულ სარგოსთან ერთად აღსანიშნავია დებულება განჯის ყურძნის შესახებ, რაზედაც ნათქვამია: „ქ. განჯილამ რამდენიც საპალნე ყურძენი შემოვა, ნახევარი ლიტრა საპალნეზედ მოურავს მიერთვას და ნისრიც მოურავმა უნდა მისცეს. ამას გარდა არა გამოერთმევარა“²⁰.

ისიც ირკვევა, რომ უსტაბაშის ძირითადი მოვალეობა იყო, თვალყური ედევნებინა ბაყლებისათვის, დაეცვა ზომიერება ვაჭრობაში და სხვ. თუ მაგალითად, ბაყალი მეზალის მოტყუებას ეცდებოდა, უსტაბაში ვალდებული იყო, გამოეკვლია საქმის ვითარება და დაესაჯა ბაყალი ჭარბით, რომელიც ამქრის საზოგადოებრივ საქმიანობას ხმარდებოდა. იოანე ბაგრატიონის კანონპროექტში ბაყლების შესახებ ნათქვამია: „იყოს ბაყალბაში და ბაყლებმა ამის ფასდებით გაყიდონ: ერბო, ყველი, ბრძნჯი, სამარხვო თევზი, ძველი და ახალი ხიზილალა და სხვანი“-ო“²¹. როგორც ამ კანონპროექტიდან ჩანს, ბაყალბაშის მოვალეობას კიდევ საქონლის შეფასებაც შეადგენდა, ალბათ ბაზრის კვალობაზე. მთხრობელთა გადმოცემით, ბაყალბაშის მოვალეობა იყო თვალყური ედევნებინა ბაყლებისათვის, რათა ერთმანეთი არ დაეჩაგრათ, კონკურენცია არ გაეწიათ: „როცა რომელიმე ბაყალს ავირჩევდით და დაიპაით მიგვქონდა მასთან საქონელი თუ რამეზე გაეუწყობოდით, ან სხვა ბაყალს ავირჩევდით და იმას მიუზიდავდით

¹⁷ შ. მქ ს ს ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

¹⁸ დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის რედაქციით, 1885, გვ. 15.

¹⁹ ე. თ ა ე ა შ ე ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, 1907, გვ. 525.

²⁰ იქავე, გვ. 527.

²¹ ს. ბ გ რ ა ძ ე, ქართული ლექსიკონი.

საქონელს, მაშინ დაწუნებულ ბაყალს შეეძლო ეჩივლა უსტაბაშთან, თუ მართალი იყო შეეძლო ჩვენი საქონელი ისევე უკან მოეთხოვნა. უსტაბაში გამოიკვლევდა ნამდვილ საქმის ვითარებას და თუ გაამართლებდა ბაყალს უსტაბაში, მაშინ მეორე ბაყალს აუტყრიალავდა ჩვენგან აღარ აეღო ბაზარში მოტანილი საქონელი“ (სოფ. დიდმის მცხოვრებები 78 წლის ს. მტრედამე)²².

ყურძნისა და მისი პროდუქტების რეალიზაციის საქმეში ბაყალზე არა ნაკლებ როლს ასრულებდა კინტო თავისი თავხებით, სახედრით ან სახედრის „ტაჩკით“. კინტოთა შორის არსებობდა ვაჭრობის სხვადასხვა საშუალებანი. თავხით მოვაჭრე კინტოს, რომელიც თავით ზიდავდა სავაჭრო ტვირთს, მარცხენა მხარზე გადებული ჰქონდა „უღლებიანი სასწორი“. ასეთი თავხით მოვაჭრე კინტოები ითვლებოდნენ „ღარიბ კინტოებად“. უფრო შეძლებულებს „სახედრით ან სახედრის „ტაჩკით“ დაქონდათ სავაჭრო საქონელი ქუჩა-ქუჩა, ზოგიერთი კინტო, რომელსაც საკუთარი სახედარი ან „ტაჩკა“ არ გააჩნდა, ქირაობდა. იყვნენ ისეთი შეძლებული კინტოები, რომლებსაც ათი სახედრის „ტაჩკა“ დაუდიოდა თბილისის სხვადასხვა უბნებში. საქონლის გასაყიდად, ისინი ქირით იყენებდნენ ღარიბ კინტოებს²³. თუ ბაყალი ბაზარში მოტანილ საქონელს ყიდულობდა, კინტო ხშირად მეზღვე-მევენახესთან თვითონ მიდიოდა და ადგილზევე ყიდულობდა მისთვის სასურველ ხილ-ბოსტნეულს. კინტო დაინტერესებული იყო შეეძინა ახალ-ახალი, ცოცხალი საქონელი, რომელსაც ქუჩა-ქუჩა, „კარი-კარ“ ტარებით ასაღებდა.

მთხრობელთა გადმოცემით, კინტო „მატყუარად და თაღლითად“ ითვლებოდა. მასთან ვაჭრობას ბაყალთან ვაჭრობას რჩებოდნენ. თბილისელი კინტოები ხილს ეზიდებოდნენ ორთაქალის, დიდუბის, ვერის, საბურთალოს, კრწანისის, ავჭალის, გლდანის. დიდმის ბალ-ვენახებიდან. ხშირად კინტო ხილ-ბოსტნეულს ბაზარშიც ყიდულობდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ღვინისა და არყის ერთ-ერთი მთავარი გამსაღებელი და ვაჭარი იყო სირაჯი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ძველად საქართველოში, ღვინის მსყიდველს ხამარ²⁴ ეწოდებოდა, ხოლო იმ ადგილს სადაც ღვინო იყიდებოდა, სამახარნო²⁵ რქმევია. წერილობით წყაროებში XVIII საუკუნისათვის ხამარის შესატყვის ტერმინად სირაჯი გვხვდება. მაგ. ძველ დებულებათა მიხედვით ქალაქის მოურავის სარგოში აღნიშნულია რომ: „მოურავმა სხვაგან ერთი და ორი თვე რომ დაიგვიანოს და ქალაქში მოვიდეს, სირაჯბაში სირაჯებს უნდა მიუძღვეს და მოურავს ტიკით ღვინო უნდა მიათვან“²⁶, იქვე აღნიშნულია, რომ „ქ. სირაჯების ნიხრანა თორმეტი მინანთული წელიწადში ერთხელ, როცა მოურავი/ს/ ნება/ა/, უნდა მიათვან სირაჯებმა, ერთი ოქრო მოურავის ნაცვალს უნდა მისცენ“²⁷.

საქართველოში და, შეიძლება ითქვას, ამიერკავკასიაში ღვინის შემსყიდველის ტიპის განვითარებამ ალბათ ყველაზე უფრო დასრულებულ ფორმას მიაღწია სირაჯის სახით. სირაჯი ღვინის შემსყიდველია, რომელიც არა მხოლოდ ჩარჩ-ვაჭართა, არამედ იმავე დროს არის მევახშეც, მიმწოდებელიც (მაგ.

²² ჯ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

²³ იქვე.

²⁴ ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928.

²⁵ იქვე.

²⁶ საქ. სიძველენი, II, 525, 529.

²⁷ იქვე, გვ. 530.

ვაზის შესაწამლი პრეპარატებისა), მეღვინეც, მიკიტანიც, მეტიკეც, შუამავალიც, კომისიონერიც. ერთი სიტყვით, იგი მრავალგვარ ფუნქციას ასრულებს²⁸.

სირაჯების ძირითადი ბუდე თბილისი იყო. მათი სარდაფები, თბილისის ყველა უბანში იყო განლაგებული, მაგრამ სირაჯების ძირითადი განთქმული ალაგი მანც იყო „სირაჯხანა“.

თბილისელ სირაჯებს ღვინო და არაყი შემოჰქონდათ ქართლიდან, კახეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

სირაჯებით ცნობილი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებიც: თელავი, სიღნაღი, გურჯაანი, გორი და ცხინვალი.

ხშირად სირაჯები ღვინით ამარაგებდნენ როგორც ქალაქებსა და დაბებში, ისე სოფელ-აგარაკებში გაბნეულ რესტორნებს, სასადილოებს, დუქნებსა და სამიკიტნოებს.

ლიტერატურის მიხედვით ირკვევა, რომ XIX საუკუნეში სირაჯთა კორპორაცია არსებობდა²⁹. ს. ტიმოფეევის ცნობით, თბილისის გუბერნიაში 1890-იან წლებში, სირაჯები უმეტეს შემთხვევაში მტკიცედ იყვნენ ორგანიზებული კავშირებში. სირაჯთა მთავარ ბირთვს შეადგენდნენ ღვინით მოვაჭრე თბილისელი სომხები. სოფელში მისული სირაჯები დადიოდნენ ეზო-ეზო, სინჯავდნენ და აფასებდნენ ღვინოს, აწარმოებდნენ ჩაწერას თუ ვისი ღვინო გასინჯეს და რა ფასი შეაძლიეს მას. თუ მეღვინე მაღალ ფასს მოითხოვდა, მაშინ შემდეგ მოსული შემსყიდველები ერთი მეორეზე სულ უფრო ნაკლებს შეაძლევდნენ და ამნაირად, სასურველ დონემდე დაიყვანდნენ ფასებს³⁰.

დასავლეთ საქართველოში ღვინით მოვაჭრე „სირაჯი“ არ გვხვდება; მის მაგივრობას სწევს „ჩალანდარი“. იმერეთიდან ღვინოები მიჰქონდათ ჩალანდრებს, რომლებიც სოფლებში ნასყიდ ღვინოებს ასაღებდნენ უმეტესად ქუთაისში, სურამში, და გორში, სადაც სპეციალურად იყო მოწყობილი საყანთრე (ფარდული). აქ ღვინოს ყიდულობდნენ როგორც მომხმარებლები, ისე მედუქნეებიც. რკინიგზის გაყვანამდე ღვინის რეალიზაცია თითქმის მონოპოლიზებული ჰქონდათ შემსყიდველ-ჩალანდრებს. ესენი იყვნენ უპირატესად ქვიტირელი და საჯავახოელი კულაკი-გლეხები. ზოგიერთ სოფელში შემსყიდველსა და მეღვინეს შორის იდგა დალალი. მდ. ყვირილას მარცხენა ნაპირის სოფლებში 1890-იან წლებში უკვე ცნობილი იყო პროფესიული დალალობა. დალალი ადგილობრივი გლეხია, რომელიც შემსყიდველისათვის მეგზურისა და გამრიგებლის როლს ასრულებდა³¹. დალალი ხშირად თვითონ იქცეოდა შემსყიდველად. შემსყიდველები ბატონობდნენ რაჭის მეღვინეობის სოფლებშიც³².

სირაჯთა საქმიანობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის რაფ. ერისთავი, ერთ-ერთ წერილში, იგი აღნიშნავს, სირაჯები კახეთს კალიასავით შეევიანო: „მე ვამბობ იმ კალიაზედ, რომელთა მოდგმა-შთამომავლობა, გვარი, ნათესაობა, თესლი, ჯიში და ჯილაგი ერთი და იგივეა და სახელები კი სხვა. პო-

²⁸ პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 547.

²⁹ Труды съезда виноградовладельцев и виноградарей Кахетии, 110, 112, 115, 124; შ. ვახტანგი, ჩვენებური ღვინოების უწყსოთ ვაჭრობის შესახებ, „კეალი“, 1896, № 50, გვ. 880, 881.

³⁰ С. Тимофеев, Сбыт кавказских вин, Тифлис, 1895, გვ. 16—17.

³¹ დალალი ნაწილობრივ წააგავს აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილ „ღვინის ამოღებს“, იხ. ქვემოთ.

³² ССВВК, 111, 125, IV, 61, 115, 127. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 554.

ლოსა, მიკირტუმა, გეურქა, ავეტიქა, გრიქურა და სხვანი... აი ეს კალიები დასევიან და ძირიანად აღმოფხვრიან კახელებს... ღვინის მოვაჭრეს ჩვენში სირაჯს ეძახიან. სარდაფები ეხლახან შემოიღეს... ეს სირაჯები თვითონვე წავლენ ხოლმე ღვინის სასყიდლად, გაჰყვებიან ურმებს, თვითონვე გაჰბერავენ და ვაქონავენ რუმბებს, იყიდიან უმეტეს ნაწილს განჯურს, ერეენულს და სხვა ნაზრების იაფი ფასის ღვინოს და „კახურ“ ღვინოდ მონათლავენ, შეღებენ, დააარაყიანებენ და კახურს ეძახიან. ზოგი სირაჯი ცოტაოდენ კახურ ღვინოსაც იქონიებს ხოლმე: ამ მდარე ღვინოში შესარეველ ანდა „შეშუღათ“ — იმგვარი მუშტრებისათვის, რომელნიც განსაკუთრებით კახურს ეწყობიან... სირაჯებს თითო შეგირდი ჰყავთ ღუქნის დამგველად და დარაჯად. ეს ბალები, ღარიბი ოჯახისელები, ყველა კინტოზე ცოდვანი და უმდარესნი არიან ხოლმე, ზოგს შეძლებულს სირაჯს „ფიშქარცა“ ჰყავს, ე. ი. უფროსი, შეგირდობაში გამოსული და გამოცდილი მოჯამაგირე, რომელსაც აგზავნიან ხოლმე თავიანთ მაგიერ ღვინის სასყიდლად და რომელნიც თავის დროზედ, ამგვარივე სირაჯები შეიქმნებიან“³³.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სირაჯების ამქარს ძველიდანვე თავის სირაჯბაში ჰყოლია, რომელიც 1867 წლიდან ფორმალურად დაიშალა, მაგრამ ფაქტიურად იგი მის შემდეგაც განაგრძობდა არსებობას, რათა უზრუნველყო სირაჯთა გაბატონებული მდგომარეობა ღვინის დაქსაქსულ წვრილმწარმოებელთა მიმართ³⁴.

მეოცე საუკუნისათვის სირაჯები საკმაოდ მომრავლდნენ მთელ კახეთში. ბევრ მათგანს ვენახებიც კი ჰქონდათ. სირაჯები ფულს სესხად აძლევდნენ კახელ მემამულეებსა და გლეხებს დიდი სარგებლით, რის გამო ხშირად გადაუხდელი რჩებოდა ვალი და დაგირავებული ვენახი ხელში უვარდებოდათ სირაჯებს. მთხრობელთა გადმოცემით, სირაჯებს სოფლები დანაწილებული ჰქონდათ და იქ სხვა სირაჯი ღვინოს ვერ იყრიდა. ღვინის ფასი ხშირად მათ ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. გაჭირვებული გლეხი სირაჯის ხელში იყო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ უხარო გლეხები, ისინი მხოლოდ და მხოლოდ მევენახეობას მისდევდნენ. უხარობის გამო, ვენახის მოვლაც ძვირი უჯდებოდათ. მთხრობელთა გადმოცემით, „ხარიანი კაცები სოფლებში ბევრნი იყვნენ. უხარო — ცოტა. ჩვენ ალოსაც ვყიდით ხოლმე და უხარო კაცი ყიდულობდა, ისინი მარტო ვენახებს აკეთებდნენ და ხშირად მიწას. ალაღებდნენ სამ მანეთად. ხარიანი კაცი ამუშავებდა. ისინი კი მშვიერი რჩებოდნენ განსაკუთრებით თუ ვენახი მოსცდებოდა. ვალში ცვიოდნენ და ვენახიც ხშირად სხვას რჩებოდა (სოფ. ხაშმის მცხოვრები 85 წლის ყირიმელაშვილი).

სირაჯები ცდილობდნენ თავიანთი მოღვაწეობის ლეგალიზაციას. 1883 წელს თელავში ამიერკავკასიის მეღვინეობის მთავარ ცენტრში, მეფასშე-სირაჯთა ჯგუფმა, ბაღდოევისა და კასუმოვის მეთაურობით დააარსა სადისკონტო ბანკი (учетный банк). ეს იყო, როგორც „დროება“ წერდა „თელაველ კინტოკრატებისაგან კახეთის გასაფცქვენლად დაარსებული კანტორა“, რომელიც ნამდვილად იღებდა არა 10% სარგებელს, არამედ ბევრად მეტს. თვით ბაღდოევი ერთ დროს „კულა ვირით თელავში გუღურებს ჰზიდავდა, ან რომელიმე სირაჯის ფიშქარი იყო“³⁵.

³³ რაფ. ე რ ი ს თ ა ვ ი, კახეთში ვახლით, გაზ. „დროება“, 1883, № 122.

³⁴ პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, ტ. V, გვ. 550.

³⁵ იქვე, გვ. 448; გაზ. „დროება“, 1887, № 122, გვ. 2.

როცა სოფელში სირაჯი მივიდოდა, ღვინის ასარწყავად თან მიჰქონდა საესე ხურჯინი: ღოში ერთ ფუთზე მეტი, ხიზილალა, თავი შაქარი, ბავშვებისათვის ტკბილეული, ხარაზული ჩუსტები, საჩოხე, საახალუხე ან ფარაჯა და სხე. ხშირად სირაჯი სოფელში „ნათელ-მირონსაც“ იჩენდა. არც ღვინის გამყიდველი უშვებდა ისე, აწყვის დროს საპალნეზე ერთ ჩაფს „აგაშენოს“ უსხამდა ზედმეტს; ზოგან ორსაც — ერთს „აგაშენოს“ და მეორეს „სასველოს“. ოცი საპალნე რომ აეწყა სირაჯს, 20 ჩაფი „აგაშენო“ მოსდიოდა და ოცი სასველო, ახლა საწყაოზე დახვეული დაზლა, ჩაფზე ერთი ჩარეკი მეტი ამოქონდა და კარგა ზედმეტი ღვინო უქუჩრდებოდა სირაჯს. სირაჯთა საქმიანობის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობებს ვხვდებით ძველ პერიოდულ გამოცემებში, მაგალითად გაზეთ „თემის“ ფურცლებზე შემდეგს ვკითხულობთ: „ამ სირაჯების ხელში იყო კახეთის მემამულეთა სვე-ბედი — თავიანთი ნება იყო: როგორც უნდოდათ, ისე გაჰკვეთავდნენ ფასებს, ამას კიდევ არ სჯერდებოდნენ, იმდენი ეცადეს, რომ საპალნეზედ დასხმა შემოაღებინეს. ე. ი. 2 ჩაფი (სამი ვედრო), ეს დასხმა გამოიწვია და მიაჩვია ხალხი სირაჯების ძღვენმა, სირაჯი რომ მოვიდოდა ცხენით მემამულის ეზოში ორ ბიჭს უნდა ხენეშით შეეტანათ სახლში ხურჯინი, შიგ იყო უსათუოდ: თავი შაქარი, გირვანქა ჩაი, ერთი ფუთის წონა ღოში, ზურგიელი რამდენიმე გირ. ხიზილალა (უნდა მკითხველმა წარმოიდგინოს, რომ მაშინ თევზეულობა ბადრიჯნის ფასად იყო). თუ გლენი იყო მემამულე, ან ფარაჯას მიუტანდა სირაჯი ან კიდევ საახალუხეს, ხშირად კიდევ უწინდელ ხარაზულ ჩექმებს და თუ თავადი იყო, სანოვავის გარდა აბრაშუმის საახალუხეს ან კიდევ ნივთს რასმეს, რითაც გულს მიუგებდა თავის მსხვერპლს. დიდი საღამოქალამით შეიპატიჟებდნენ სირაჯს სახლში. წამოიქცეოდა იმ წამსვე ქათამი, ან ინდაური და ხანდახან კარგი ჭედილა, თოხლიც ვიდრე ღვინოს ამოიღებდა სირაჯი, ვიდრე გაემგზავრებოდა თავის სახლად გრძნობდა მემამულის სახლს.

ვიდრე რუმბებს წყლით გამოჟღენთავდნენ, აწყავდნენ ურემზედ დაუღებდნენ თითქმის ორი კვირა გადიოდა ხოლმე და ის სირაჯი მარტო თვითონ შესჰამდა იმდენს, რამდენიც ძღვნად მიუტანა მემამულეს. ამ ძღვნით თვალეზახვეული კახელი მემამულე სიამოვნებით დაუსხამდა ხოლმე ყოველ ერთ საპალნე ამოღებულში ორ ჩაფს (3 ვედროს): ამიტომ იყო, რომ, იტყოდა ხოლმე — მემამულე ვარ, სირაჯი არასოდეს უძღვნოთ არ მოვა ჩემ სახლშიო და მეც კაცი ვარ უნდა გადაუხადო თუ არაო“³⁶.

ჯერ კიდევ ბევრად ადრე გაზეთი „გუთნის დედა“ სირაჯების შესახებ შემდეგს წერდა: „ჩვენი თვალთ გვინახავს, რა წინააღმდეგობა შეუძლიან ღვინის პატრონს სირაჯთან და რა ხანს უმაგრდება გადაკვეთილს ფასსა. სირაჯმა სრულად იცის მდგომარეობა ღვინის გამსყიდველისა, იცის რა დროს ვისთან მივიდეს ჰაშნიკის სანახავად, სად რა წუნი დასდოს ღვინოსა. რა ფასი შეაძლიოს, ანუ ხმა ამოუღებლივ დაიწუნოს, უკან დაბრუნდეს. სრულიად დარწმუნებულა, რომ ღვინის გამსყიდველი მოუთმენლად ათვალეირებს იმის მოძრაობასა და შიშით ელოდება იმის გადაწყვეტილებასა. დარწმუნებულა, რომ რაც უნდა იყოს ვაჭარს არ გაუშვებს კელიდან, ნურავის ეგონება რომ ამ შემთხვევაში მამულის პატრონების დაუდგრომელობა და სისუსტე იმათ უთანხმოებისაგან იყოს წარმომდგარი, ჩვენ შეგვიტყვია, რომ საერთო თანხმობაც და პირის მიცემაც წამლად ვერ გამოსდგომია ამ სენსა. ბევრჯერ მთელი სოფლებით შაუკრავთ

პირობა, რომ დადებულ ფასს არავინ გადასცილდეს, მაგრამ ბოლოს ისევ გატეხილან დაჭირებისაგან და აღრინდელ ნაძლევ ფასს ქვეით ჩამოსულან. რა დაჭირება აქეთ მამულის პატრონებსა და რათ ეშურებიან ღვინის გასყიდვასა. ეს ყველამ იცის. თუ პირობა ამ ერთმანეთში ვერა გაარიგა რა, უნდა ვთქვათ, რომ პირდაპირ ჩატანა ქალაქში და გაყიდვა ღვინისა, რომელიც აქეთ ფიქრად ჩვენ მამულის პატრონებსა, თუმცა ასრულება ჯერ არ საითა ჩანს, პირდაპირ გასყიდვაც დარჩება უსარგებლოთ და მოატყუებს ყველას იმედსა“³⁷.

სირაჯების თავნებობას ღვინის სყიდვის საქმეზე, კახელ მევენახე-მეღვინეს აიძულებდა ეფიქრა ისეთი ორგანიზაციის შექმნაზე, რომელიც სირაჯის საჯიჯგნს არ გახდიდა, არსდებოდა კახელ მეღვინეთა ამხანაგობები, რომლებიც აწესრიგებდნენ ღვინის რეალიზაციის საქმეს, ხშირად შეხვედებით ძველ გაზეთებში სათანადო განცხადებასაც³⁸.

ხშირად სირაჯები ღვინოს წინასწარ იბევებდნენ ძირითადად შემოდგომით მაჭრობას, დაბევებულ ქვევრებს, სარქველზე დააყრიდნენ ნაცარს და ზედ ბეჭედს დაასვამდა (ყველა სირაჯს თავისი საკუთარი ბეჭედი ჰქონდა), მერე ზემოდან კრამიტს დაათარებდა და მიწას წააყრიდა. ბეჭედი ერთჯერადი ქვევრის ნაპირზე.

ღვინის ამომღები — სირაჯი, ღვინის მორიგების შემდეგ შეუდგებოდა ამოწყვის თადარიგს. ის ჯერ რუმბებსა და კასრებს დაალობდა, შემდეგ მოყავდა ღვინის ამომღები და რამდენიმე დამხმარე მუშა.

ქართლ-კახეთის სოფლებში, ღვინის ვაჭრობასთან კავშირში, ერთ-ერთ საინტერესო როლს ასრულებს ღვინის ამომღები. იმ სოფელში, სადაც მევენახეობა-მეღვინეობა წამყვან დარგად ითვლებოდა, პროფესიული ღვინის ამომღები ყველგან იყო. ღვინის ამომღებმა ზეპირად იცოდა ვის როგორი ღვინო ჰქონდა, რომელი ადგილის (მამულის) ღვინო რა ხასიათის მატარებელი იყო. რა ნაკლი, ან რა ღვინო ჰქონდა შერეული. ღვინის ამომღები ითვლებოდა, ღვინის მცოდნედ, მეჭაშნიკედ. გადმოცემით, ღვინის ამომღები შეუპოვმეზიანთ ცოდნაში და ერთი ქვევრის რამდენიმე ჭაშნიკი უჩვენებიათ და არ შემცდარა: „კარგი მცოდნე არც შესცდებოდაო, გადმოგვცემენ მთხრობლები: „ერთხელ ფეიჭრიანთ ბოხონას მარანში, სირაჯები ყოფილიყვენ მოსულები და თოფჩიანთ რსეთასათვის დაეძახნათ ღვინის ამომღები იყო და გამოეცადნათ, შვიდი ჭაშნიკი დაედგათ ვითომ სხვადასხვა ქვევრისა ყოფილიყო, სინამდვილეში ერთ ქვევრიდან იყო ამოღებული, ოსეფას ყველა ჭაშნიკი გაესინჯა და გასცინებია და უთქვამს, რომ ყველა ჭაშნიკი ერთი ქვევრისააო“ (სოფ. დიღომი, 1960 წ., მ. სონღულაშვილი). იმიტომაც იყო, როცა სოფელში ღვინის მყიდველი გამოჩნდებოდა, ღვინის ამომღებს იკითხავდა და მის სინდისის კვლობაზე ირჩევდა ღვინოს. ღვინის ამომღები მორიგების დროს, ხშირად შუამავლის როლს ასრულებდა ღვინის გამყიდველსა და ვაჭარს შორის; იმიტომაც დიდ კავშირში იყო სირაჯი ღვინის ამომღებთან. ღვინის ამომღების გარეშე ქვევრი არ ამოიცლებოდა. საერთოდ ღვინის ამომღები, ღვინიერი და მოხერხებული კაცი უნდა ყოფილიყო, რადგან ამოღება ხერხსა და ცოდნას საჭიროებდა: „მარჯვე ამომღები, ქვევრი-

³⁷ გაზ. „გუთნის დედა“, 1863 წ. № 15.

³⁸ მაგალითად, „ამხანაგობა კახური მეღვინეობა ჩუბინაშვილისა და სონღულაშვილისა (კიროჩინის ქუჩა № 2). საკუთარი მამულებიდან მივიღეთ საუკეთესო ღვინოები თეთრი და წითელი, გურჯანაიდა, ვეჯინიდან და კახეთის სხვა განთქმული სოფლებიდან“ (გაზ. საქართველო, 1917, № 9, გვ. 4).

დან საწყაოს ერთ ჩარეკ ღვინოს ზედმეტს ამოატანდა“-ო (ქვემოხვითი, 1963 წ., 65 წლის გოგლა ბასილიძე).

ღვინის ამომღებს თავისი საწყაო ჰქონდა და ის უფრო სწორ საწყაოდ იყო მიჩნეული, ვიდრე სირაჯის, საწყაოს ხმარება დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი საწყაოთი ამოეწყოთ — სირაჯის, ღვინის პატრონის თუ ღვინის ამომღების. ისეც ხდებოდა, როდესაც ღვინოს სირაჯის საწყაოთი იღებდნენ, ხშირად, სოფლის ღვინის ამომღებს არ ჩარევდნენ საქმეში და სირაჯის კაცი „ფიშქარი“ ამოიღებდა. ამ პროცესს საინტერესოდ აღწერს რაფ. ერისთავი: „... ახლა უყუ-რეთ ღვინის ამორწყვას, ჯერ ოცდათოთხმეტით უნდა მიითვალონ. ესე იგი, სა-პალნე რომ ოცდაათი ჩაფია, იმათ ოცდათოთხმეტი ჩაფი უნდა მიიღონ. თითო საპალნეში: მერე საწყაოთ ისეთ ჩაფიანს მოიტანენ, რომელიც დაუდალავია, რომელშიც თორიოდ სტაქანი მეტი ჩადის და რომელსაც იმაოდენა დაწლი ახვე-ვია ყელზედ, რომ ერთს სამიოდე სტაქანს ეს დაბლა გადაიყოლებს, თითო ამო-ღებაზე“ ... ფიშქარი დამკლავებულია, ჩაფიანი საწყაო მარჯვედ უჭირამს ხელ-ში, რუმბი ქვევრის პირას ძევს... ქვევრის პირზე ტიკია მოფენილი, რომ, რაც ღვინო დაიღვაროს ჩაფის გადაქანებაში, ქვევრშივე ჩაიწუნწყოს და მოჰყვება ამომწყველი: „ეს ღმერთმა აღდგერქელოს ამ მარნის პატრონი, ჩაასხა რუმბში სამსე ჩაფი და სათვალავში არ ირიცხება, მემამულე უყუტრებს, სწუხდება თა-ნაც მწარე ღიმილი მოსდის.

ეს ღმერთმა აღდგერქელოს იმის ცოლშილი,
ეს ღმერთმა უმატოს იმის მარანსა,
ეს ღმერთმა ხეირი მისცეს იმის ენახსა,
ეს ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი.
და ესეც ღმერთმა ააშენოს ჩემი აღის ოჯახი.

ეს ჩაფიანები ჩავიდა რუმბში დასამწყალობლათ და ანგარიშში როგორ მიითვლება.

შემდეგ მოჰყვება „ფიშქარი“ ნამღვილ თვლას³⁹.

ღვინის ამოღების დღეს დაიწყებდნენ ქვევრის თავების მოხდას და მოსუფ-თავებას. თუ წინასწარ იყო, ღვინო დაბევებული, ქვევრის თავის მოხდას დროს მოწმდებოდა მყიდველის ნიშანი, ბეჭედი.

სანამ ღვინის ამოღებას დაიწყებდნენ მოხდილი ქვევრიდან ჩაფით ღვინოს ამოიღებდნენ და ჯამით ჩამოატარებდნენ მარანში მყოფ ხალხზე და დაილოცე-ბოდნენ: ღმერთის დიდებას და მათ მშვიდობას სადღეგრძელოს. მყიდველ-გამ-ყიდველს დალოცავდნენ „სიხარულში“ და ბედნიერებაში მოხმარებას“ უსურ-ვებდნენ ორთავე მხარეს. შემდეგ ოჯახის ბარაქას დალოცავდნენ, მესამეს „ყვე-ლას გამარჯვებისას და შეუდგებოდნენ ღვინის ამოღებას. მეტს არ დალევდნენ, რადგან ღმერთი სამობითა“-ო იტყოდნენ.

ღვინის ჩარწყვას აწარმოებდნენ რუმბებში ან ხის კასრებში. რუმბში ჩასხ-მის დროს, ორი კაცი შეუდგებოდა კეტებით, მესამე რუმბს ზემოდან მოექცეოდა და ის ასხამდა და ითვლიდა.

ღვინოს იღებდნენ საწყაო ჩაფით, ნახევარი ჩაფით ან თუნგიო, რომელიც დახლებით იყო მიბმული გრძელ ჯოხზე.

ღვინის ამომღები ყოველი ჩაფის ამოღებისას ხმამალა დაიძახებდა: ერთი! ორი!.. და ასე თანმიყოლებით ითვლიდა, რის დროსაც მარანში დამსწრენიც

³⁹ რ ა ფ. ერ ის თ ა ვ ი, კახეთში ვახლით, „დროება“, 1883, № 122.

იმეორებდნენ და ბანს დასძახოდნენ. ღვინის ამომღების სიტყვებს, საპალნის შესრულებაზე დაიძახებდა, საპალნე! სხვებიც იმეორებდნენ — საპალნე! საპალნეს მოსდევდა „აგაშენო“, აგაშენოს — სასველე⁴⁰.

ასეთივე წესი მოწმდება ქართლის კუთხეებშიც. სასველეს დასხმის შემდეგ ღვინის ამომღები კვლავ თავიდან იწყებს თვლას, და ყოველ საპალნეს შესრულებას ინიშნავდნენ თუ რამდენი ამოირწყო ქვევრებიდან. საპალნეს ინიშნავდნენ კედელზე ხაზის ჩამოსმით, ან ჯოხზე ქდის გაკეთებით.

ღვინის ამორწყვის დასრულების შემდეგ ღვინის პატრონი ამომღებს ერთ ჩაფ ღვინოს აძლევდა ხოლო სირაჯი ან მყიდველი ფულს უხდიდა. ბოლოს როცა მოთავდებოდა ღვინის ამომღება, შეუდგებოდნენ რუმბებისა და კასრების ურმებზე დალაგებას, ანუ „დადებას“. დადების შემდეგ სირაჯი უსწორებდა ანგარიშს, როგორც ღვინის პატრონს, ისე დაქირავებულ დამხმარეებს, რის შემდეგაც იმართებოდა პურის ქამა და დალოცვა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ იქ დამსწრენი და დამხმარენი.

ღვინის გადაზიდვა ურმებით ხდებოდა, წერილობით წყაროებში ხშირად ღვინის ურმებიც დასახელებული. მაგ. ქალაქის მოურავის სარგოში ნათქვამია: „ქ. ქალაქში რაც ღვინო შემოვა ურუმზედ ორი თუნგი მოურავისა არის და საპალნეზედ ნახევარი თუნგი. ამას ჰქვიან ქაშნიკი“⁴¹. 1808 წ. საპატრიარქო ბაჟის ნუსხაში დადგენილი ყოფილა, სამი აბაზი, ყოველ კახეთიდან შემოტანილ ღვინის ურუმზე⁴².

კახეთიდან თბილისამდის ურუმის ქირა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მანძილზე ცვალებადი იყო. გზების სიშორე და უვარგისობა აძნელებდა კახეთიდან ღვინის შემოზიდვას, რაზედაც XIX საუკუნის პრესაში ხშირად იწერებოდა. მაგალითად, გაზ. დროებაში ვკითხულობთ: „კახეთს სამიოდ ოთხი საურმე გზა აქვს და ოციოდე საცხენო და საქვეითო, ... თითო საურმე გზას ოთხიხუთი დღე უნდება და თითო საცხენოს — ორი და სამი დღე, მანამ თბილისში მოახწევს იქიდან წამოსული კაცი“⁴³.

კახური ღვინის რეალიზაციის საქმეს, რომ გზის სიშორე და ურუმის ქირის სიძვირე ართულებდა, ამის შესახებ თავის დროზე გაზეთი „გუთნის დედა“ თელავის უეზიდამ 22 იანვარს წერდა: „ეხლანდელი ურუმის გზა თბილისიდან სიღნაღზე სიშორის გამო აძვირებს ქირას ხუთიდან თხუთმეტამდე და ამით საგანს ეკარგება თავისი ნამდვილი ფასი. ამ გზის სამაგიეროდ შეიძლებოდა კარგი გზის გაკეთება გომბორზედ“⁴⁴.

ქირაზე ურუმით არა მარტო კახელები დადიოდნენ, არამედ მთელი ქართლი ამ საქმიანობაში იყო ჩაბმული. ჯერ კიდევ რთვლის დროს ბევრი მევენახე დაქირავებული ურუმებით ეზიდებოდა წლის სარჩო-საბადებელს ვენახებიდან. შორ გზაზე ქირაზე მიდიოდა 15—20 ურუმი, რასაც „აღალს“ უწოდებდნენ, აღალს თავისი მეთაური ჰყავდა და „აღალბაში“ ეწოდებოდა. აღალბაშს ებარა ურუმ-

⁴⁰ აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში „აგაშენოსა“ და „სასველეს“ მრავალი შესატყვისი ტერმინი გვხვდება. ზოგან „მსყიდველი გამყიდველის სადღეგრძელო“ და „მკვდრების მოსახსენებელი“ ეწოდება.

⁴¹ საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 525.

⁴² მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი II, ვალი, იქარით ვაჭრობა, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1953, გვ. 310.

⁴³ გაზ. „დროება“, 1883, № 122.

⁴⁴ გაზ. „გუთნის დედა“, 1862, № 4.

ბის ქირის საქმე და ორგანიზაცია. ეს აწესრიგებდა გზის საქმეს, რომელ ურემს უნდა ევლო მეწინავედ“. ერთი და იგივე ურმის სიარული „მეწინავედ“ არ შეიძლებოდა, საქონელი და მეხრე იღლებოდა. ამიტომ მორიგეობით იყო მეწინავე ურემი. ალალაში აწესრიგებდა საძოვრის ქირის საქმეს. თუ ურემი გაუტყდებოდა ალალაში ვისმე, მისი ორგანიზაციაც მას ევალებოდა. გზაში ხარის ან კამეჩის სიკვდილის შემთხვევაში ალალაში კრეფდა ფულს და დაზარალებულისათვის სამაგიეროს ყიდულობდა. ალალაში წინასწარ ირჩევდა ღამისა და ღლის მეხრეს. ასევე ირჩევდა დასასვენებელ და ღამის გასათევ ალაგს. ღამის მეხრე ფხიზელი კაცი უნდა ყოფილიყო. ღამისა და ღლის მეხრეობა მორიგეობით იყო. ჭამის საქმეც ალალაშს ებარა. „ღვინოს სამზე მეტ ჭამს არ დააღვინებდა მეურმეებს“, მკაცრად იცავდა ამ წესს. ურემები წყლიანი ადგილის ახლოს უნდა გამოეშვათ. გზებში მეურმეები „საბალახე ფულს“ უხდიდნენ მებატონის, ან მონასტრის მეველეებს, უღელზე ორ შაურს, რასაც „საბალახე“ ეწოდებოდა. ღვინის ურემზე უღებდნენ ორ რუმბს ან ორ, 40-ვედროიან კასრს. ურემზე სამ საპალნე ღვინოს ანგარიშობდნენ. მეურმეებს სირაჯებისაგან ეძლეოდათ გზაში სახარჯო ღვინო, რომელიც ტიკებით მოჰქონდათ, ღვინის ურმის ალალს, ზედამხედველობდა სირაჯის კაცი „ფიშკარი“, რომელიც ცხენით მოსდევდა. თუ სანდო მეურმეები იყვნენ, მაშინ სირაჯი ფიშკარს არ გააყოლებდა მეურმეთა ალალაშს.

* * *

სირაჯების სარდაფებისა და დუქან-სამიკიტნოების გარდა, ღვინო და არაყი იყიდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ბაზრებში, რომელთა შორის ყველაზე დიდ ცენტრს წარმოადგენდა თბილისი. ღვინის ყველაზე დიდი მომხმარებელი კავკასიაში თბილისი იყო, სადაც ყოველწლიურად 350 ათას ფუთამდე ღვინო შემოდის კახეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, განჯიდან, შემახიდან და სომხეთიდან⁴⁵.

ღვინო შემოდის თბილისის ბაზრებში, როგორც რუმებითა და კასრებით ისე კოლოტებითა და ტიკებით⁴⁶. ღვინის შემოსავლი ტრანსპორტად ძირითადად გამოყენებული იყო ურემები, მოჰქონდათ ცხენისა და სახედრის საპალნეებითაც.

XIX საუკუნის სამოციანი წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ, „... ქალაქის გამოკვებისათვის ტფილისს აქვს დიდი საბრუნავი კაპიტალი — 3¹/₂ მილიონიდან 5 მილიონამდე. ასე, მაგალითად, ქალაქს ყოველწლიურად სჭირდება 400 000 ფუთამდე პურის ფქვილი. 500 000 ვედრომდე ღვინო ადგილობრივი წარმოებისა (განთქმულ კახურ ღვინოსთან ერთად), 50 000 ვედრომდე სპირტი და არაყი; 150 000 ფუთამდე ძროხის ხორცი, ამდენივე ცხვრის ხორცი, 25 000 ფუთამდე ხიზილალა და თევზი, 50 000 ფუთამდე ზეთი; 400 000 ფუთი ძროხის, კამეჩის და ცხვრის კარაქი; 200 000 მანეთის მწვანელი; ახალი ხილი, რძე და ყველი; 10 000 ფუთამდე კარტოფილის სანთელი; 25 000 ფუთამდე ქონის სანთელი; 10 000 ფუთამდე ფოტო ნეფტილი; 150 000

⁴⁵ პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 536.

⁴⁶ 1860—1870-იან წლებში კი საქართველოდან ღვინოები პეტერბურგში და მოსკოვში ტიკებით მოჰქონდათ (იხ. „გუთნის დედა“, 1868, № 1).

ფუთამდე ქერი; 350 000 ფუთამდე თივა; 40 000 საენი შეშა; 40 000 გუდურამდე ნახშირი (თითოში 2—3 ფუთი)⁴⁷. ამ სტატისტიკური აღწერილობიდან ირკვევა, რომ თბილისში 1864—65 წლებში ფუთი პურის ფქვილი ღირებულა 60 კაპიკიდან 80 კაპიკამდე. ვედრო ღვინო 1 მანეთიდან 2 მანეთამდე. სპირტი და არაყი 3 მანეთიდან 5 მანეთამდე⁴⁸.

ამ დროს თბილისში არსებობდა ღვინის შემდეგი სავაჭრო დაწესებულება⁴⁹:

1. ლუქნები 441
2. სასადილო 96
3. ღვინის საწყობები და სარდაფები 71

გარდა ამ სავაჭრო დაწესებულებებისა ღვინო და არაყი საღებოდა ბაზრებში. ბაზრებში ღვინოსა და არაყს, ცალკე ადგილი ჰქონდა გამოყოფილი, სადაც საწყაობებით და ჭიქებით იყიდებოდა. აქვე ბაზრებში ღვინისა და არაყის გამყიდველს გამოეყო არაყით მოვაჭრე, რომელიც არაყის ჭიქით „ჩამოსხმით“ ვაჭრობდა გამკვლე-გამომკვლელზე ან ბაზარში მოტრიალე ხალხზე.

ღვინო და არაყი ასევე ფართოდ საღებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ დაბებსა და ქალაქებში: თელავში, გურჯაანში, სიღნაღში, საგარეჯოში, თიანეთში, დუშეთში, ზოლნისში, თეთრწყაროში, კასპში, გორში, ცხინვალში, ხაშურში, ბორჯომში და მთელ რიგ სხვა ადგილებში.

ფართოდ ვაჭრონდათ ღვინო და არაყი სოფლის საკვირაო ბაზრებზე: ბობისხევში, მუზრანში, ახალქალაქში, მეჯვრისხევში და სხვაგან.

კარგად საღებოდა ღვინო და არაყი აღმოსავლეთ საქართველოში რელიგიურ დღესასწაულებზე, სადაც ეწყობოდა ბაზრობა.

აქვე აღსანიშნავია ღვინისა და არაყის გატანა უვენახო რაიონებსა და სოფლებში, რომელიც მიჰქონდათ ცხენისა და სახედრის საპალნეებით, აგრეთვე ურით. უვენახო მთიან ალაგებში ღვინო მიჰქონდათ „გადასაცვლელად“ მათთვის საჭირო პროდუქტებზე: ყველზე, ერბოზე, კართოფილზე, პურზე, ქერზე, სიმინდზე, მატყლზე, საკლავზე და ა. შ.

მთხრობელთა გადმოცემით, „ღვინოს ზოგი პურზე სცვლიდა; ხელადა ღვინო და ერთი ლიტრა პური. ხელადა ღვინო და ორი ლიტრა სიმინდი (სოფ. ახმეტის მცხოვრები მამულაშვილი მიხეილ, 1960 წ.). ასეთსავე ცნობებს ვხვდებით მთიან რაიონებშიაც: „ერთ ლიტრა პურს გადაცვლიდნენ ღვინოში და ერთ ხელადას აძლევდნენ, ვისაც ცხვარი ჰყავდა და პური არ ჰქონდა ცვლიდნენ, ყველს პურზე აძლევდნენ, ერთ კოდ პურში ერთ ფუთ ყველს მისცემდნენ. მატყლიც იცვლებოდა“. (თიანეთის რაიონი, სოფ. საყდრიონის 80 წლის მცხოვრები მოხვეიშვილი ილია, 1955 წ.). მაგრამ ქართული ღვინისათვის გასაღების ეს არეალი პატარა იყო, რის გამოც XIX საუკუნის სხვადასხვა გამოცემებში ხშირად ვხვდებით ქართული ღვინისათვის ბაზრის მოპოვების გარშემო ჩივილისა და საშუალებების გამონახვას, რასაც აფერხებდა ფრანგული ღვინოები, რომელიც ბატონობდა მსოფლიოს ყველა ბაზარზე. შემდეგ როცა საფრანგეთში ფილოქსერა ძლიერ გავრცელდა, შემცირდა ღვინის ექსპორტი ევროპასა და

⁴⁷ შ. ჩხეტია, ტფილისის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, 1938, გვ. 77.

⁴⁸ იქვე, გვ. 80.

⁴⁹ იქვე, გვ. 119.

რუსეთის ბაზრებზე, რამაც გზა გაუხსნა კავკასიურ ღვინოებს⁵⁰. ამავე დროს რუსეთში უცხოური ღვინის შემოტანას აფერხებდა ბაჟის გადიდებაც, რაზედაც რუსი მეცნიერი დ. ი. მენდელევი წერდა: „ბაჟების აწვევის მიხედვით შემოტანა მცირდებოდა და მთელს რუსეთში გავრცელდა მოხმარება კავკასიის, ყირიმისა და ბესარაბიის ღვინოებისა, რომლებიც მანამდე უპირატესად მხოლოდ წარმოების მახლობელ ადგილებში მოიხმარებოდა და რომლებიც ჭეროვნად დაყენებასა და დაძველების პირობებში განირჩევიან მაღალხარისხოვნობით განსაკუთრებით კახეთი, რომელსაც სთვლიან ვაზის სამშობლოდ⁵¹. ქართულ ღვინოზე, ბაზრის მოპოვების შესახებ წინასწარმეტყველებდა ილ. ჭავჭავაძე, როცა აღნიშნავდა: „... დღეს ჩვენებურ ღვინოს დიდი ფართო გზა ეხსნება. მეტისმეტად გადაჭარბებული იმედი არ იქნება ვთქვათ, რომ ჩვენებურს ღვინოს საქმეს ამ ათიოდ წელიწადში დიდი ბაზარი ექნება მთელს რუსეთში“⁵². 1899 წ. კახელ მევენახეთა ყრილობაზე ს. ვახვახიშვილი აღნიშნავდა: „კახურს როგორც შედარებით ძვირ ღვინოს არ შეუძლია დაჭერდეს თბილისზე როგორც გასაღების ერთ-ერთ ბაზარზე. თბილისში უკვე დიდხანია რაც ღვინო გადაიქცა სახალხო სასმელად. აქ წარმატება შეუძლია, მოიპოვოს მხოლოდ იაფმა ღვინომ. კახურმა კი უნდა ეძიოს სხვა უფრო ფართო ბაზრები, მაგრამ ასეთის ძიება დიდხანს არ დაგვკვირდება, ვინაიდან საუკეთესო ბაზარს წარმოადგენს რუსეთის უზარმაზარი იმპერია. რომელიც დიდი რაოდენობით ღებულობს უცხოეთის ძვირფასიან ღვინოებს და სვამს აუარებელ ღვინოს, მათ შორის ფალსიფიცირებულსაც. საჭიროა მხოლოდ დაპყრობა ამ ბაზრისაო“⁵³.

მართლაც, ჭერ კიდევ ადრე საქართველოდან ღვინო და არაყი გაჰქონდათ ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, ხოლო შემდეგ, როცა ქართულ ღვინოს ტრანსპორტმა ხელი შეუწყო, მან რუსეთის შორეულ ქალაქებსაც მიადწია. ამიტომაც ყველა რუსისათვის პოპულარულია „კახური ღვინო“ და „ჭაჭა“.

1890-იანი წლებიდან ამიერკავკასიიდან უპირატესად კახური და განჯური ღვინოები საღებდებოდა შიდა რუსეთის 50-მდე ქალაქში, მათ შორის აღსანიშნავია: მოსკოვი, პეტერბურგი, ოდესა, ხარკოვი, კიევი, ვარშავა, ლოდი, რიგა, ვილნო, ნოვოროსიისკი, სევასტოპოლი, მარიუპოლი, ნიკოლაევი. ქერჩი და სხვ. წლიურად გაჰქონდათ 500—750 ათას ფუთამდე ღვინო. ღვინოები მიჰქონდათ სხვადასხვა ზომის კასრებით, ბოთლებით, რომლებიც 1870 წლებიდან ნელ-ნელა შეცვალეს ტიკებმა და რუმებმა. თუმცა საქართველოს ბაზრებზე ეს უკანასკნელი ჭურჭელი ბოლო დრომდის ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას. ღვინოები გაჰქონდათ უმთავრესად რკინიგზით — პეტროვსკის მიმართულებით, აგრეთვე კასპიისა და შავი ზღვის ნავსადგურის მეშვეობით და საქართველოს სამხედრო გზითაც⁵⁴.

⁵⁰ პ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., 545.

⁵¹ Труды съезда виноградовладельцев и виноградарей Кавхетии; პ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 529.

⁵² ილ. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, ტომი VII, 1956, გვ. 268.

⁵³ С. В а х в а х и ш в и л и, Некоторые меры для улучшения сбыта кахетинского вина, (ТСВВК, 120—121).

⁵⁴ პ. გ უ გ უ შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 535, 536.

4. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 1.

ამ ხანისათვის ღვინის დიდ მოთხოვნილებაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის ს. მაჩაბელი, როდესაც აღნიშნავს რომ „რკინიგზის გაყვანამდე გორის მაზრის ღვინოები იშვიათად გაჰქონდათ მაზრის საზღვრებიდან, რადგან მათ თბილისში არ შეეძლოთ მეტოქეობა გაეწიათ კახური ღვინოებისათვის, მაგრამ რკინიგზის გაყვანის შემდეგ ღვინის გადატანის ხარჯები როცა მნიშვნელოვნად შემცირდა, გორული ღვინოები იყიდება თბილისში და გააქვთ რუსეთის შიგა გუბერნიებში კახური ღვინის სახელით. და იქვე აღნიშნავს რომ კავკასიის საზღვრებიდან კახურის სახელით გატანილი ღვინოების მესამედი ნაწილიც კი არ არის კახეთის ნაწარმოები. მათი უმეტესი ნაწილი განჯისა და ქუთაისის გუბერნიებიდან მიდისო“⁵⁵. ამ ფაქტს კარგად აღწერს ცხრაასიანი წლების ელიზავეტოპოლის გუბერნიის მიმომხილველი ი. სეგალი, რომელიც აღნიშნავდა რომ აქ ღვინის მყიდველთა უმრავლესობა თბილისელი სირაჯები არიან იმიერკავკასიიდან და შიდა რუსეთიდან მოსული მსხვილი ვაჭრები, რომლებიც განჯურ ღვინოებს ურევენ ბესარაბიის ყიზლარისა და სხვა რაიონის იაფ ღვინოებში, რათა ამ სახით მიჰყიდონ ღვინის მომხმარებელს როგორც კახური ღვინო⁵⁶.

კარგი იქნება აქვე მოვიყვანოთ ის რიცხვები, რაც მთელ იმპერიაში ღვინის მოსავალს შეადგენდა და რა როლს ასრულებდა საქართველო. მაგალითად, 1870 წ. რუსეთის მთელ იმპერიაში ღვინის მოსავალს ვარაუდობდნენ 14 904 000 ვედროს. ამათგან ამიერკავკასიაზე მოდიოდა 8 648 000, ე. ი. 58%, ხოლო მარტო საქართველოზე 7 271 993 ვედრო ანუ 48,61 პროცენტი, ე. ი. თითქმის ნახევარი მთელი იმპერიის მოსავლისა (იმერეთზე — 2 319 270 ვედრო, ე. ი. 15,57%, რაჭა-ლეჩხუმზე — 637 200 ვედრო, ე. ი. 4,27%, სამეგრელოზე — 125 090 ვედრო, ე. ი. 0,84%, გურიაზე — 91 630 ვედრო, ე. ი. 0,69%. სოხუმსა და შავი ზღვის ოკრუგზე — 79 400 ვედრო, ე. ი. 0,53% კახეთზე — 2 915 080 ვედრო, ე. ი. 19,56%, ქართლზე — 1 104 413 ვედრო, ე. ი. 7,40%). აზერბაიჯანზე — 417 233 ვედრო, ე. ი. 2,78%, სომხეთზე — 959 200 ვედრო, ე. ი. 6,44%⁵⁷.

ამრიგად, ირკვევა, რომ ღვინო ძველი დროიდანვე გარკვეულ როლს ასრულებდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში, როგორც სააღებშიცემო და საექსპორტო ნაწარმი.

⁵⁵ МИЭБГКЗК, VI, 222, 223.

⁵⁶ И. Сегал, Сборник сведений о Елизавете, т. I, гл. 102.

⁵⁷ ВРИ, Серия II, вып. XV, гл. 539—541. პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 504.

3. ღუნღუა

საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტების მონეტატი

საქართველოს მიწა-წყალზე აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები სპეციალური კვლევა-ძიების საგნად ჯერ არავის გაუხდია. უფრო მეტიც: თუ არ ჩავთვლით პროფ. ს. მაკალათიას მიერ გამოქვეყნებულ, სოფ. რეყეში (ზუგდიდის რ-ნი) აღმოჩენილ ალექსანდრე მაკედონელის ერთადერთ სტატერს¹, მათი პუბლიკაცია კი არ არსებობს. ნათქვამი, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ მათ შესახებ საერთოდ არაფერი დაწერილა. ს. მაკალათიას, ა. ზოგრაფის, ე. პახომოვის, დ. კაპანაძისა² და სხვათა შრომებიდან ჩვენ შეგვიძლია ვრცელი ტოპოგრაფიული ხასიათის ცნობების ამოკრება ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ეს ვერ შეცვლის მონეტის მეცნიერულ პუბლიკაციას.

ზემოთქმული თავისთავად განსაზღვრავს ჩვენი წერილის მიზანს, რაც საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი საფასეების გამოქვეყნებით შემოიფარგლება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკმარისი რთული ამოცანაა, თუ გავითვალისწინებთ სპეციალური ლიტერატურის სიმცირესა და ამ მონეტების ვარიანტების კალეიდოსკოპურ სიჭრელეს, რაც მეტისმეტად აძნელებს მათ მეცნიერულ ატრიბუციას.

აქად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფონდში დაცულია ჩვენს მიწა-წყალზე აღმოჩენილი. ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი რვა სტატერი, ერთი ტეტრადრამა და ერთი დრამა. გარდა ამისა, ჩვენს ხელთაა აგრეთვე ამ მონეტების ოქროს მონეტების კიდევ სამი ანაბეჭდი (დენდები ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ვანში, კერძო პირის ოჯახში). რაც შეეხება ლისიმაქეს სახელით მოჭრილ პასპორტიან მონეტებს, მათი რიცხვი ძალზე მცირეა: თითო-თითო სტატერი ინახება საქ. სახელმწიფო, ქუთაისისა და ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

მასალაც სწორედ ამ თანმიმდევრობით იქნება აღწერილი, ე. ი. ყურადღებას ჯერ საქ. სახელმწიფო მუზეუმში დაცულ მონეტებზე გავამახვილებთ, შემ-

¹ ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგადი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1928, გვ. 163.

² ს. მაკალათია, დსახ. ნაშრ., А. Н. З о г р а ф, Античные золотые монеты Кавказа, Известия ГАИМК, вып. 110, 1935, г. 189—190, №№ 27—28, 30, 30а, 37; его-же, Распространение находок античных монет на Кавказе, ТОНГЭ, 1945, I, гв. 54—55, № 14; Е. А. П а х о м о в, Монетные клады Азербайджана и других республик, край и областей Кавказа, вып. I, №№ 14, 15, 18, 19; вып. II, № 316; вып. III, №№ 651, 653; вып. IV, гв. 97; вып. V, №№ 1318, 1319, 1328; вып. VII, №№ 1702, 1704; вып. VIII, №№ 1909, 1910; Д. Г. К а п а н а д з е, Монетные находки Мичетской экспедиции, ВДИ, № I, 1955, гв. 172.

დღე ჩვენს ხელთ არსებული ანაბეჭდების გარშემო, ხოლო დასასრულ ლიტერატურულ ცნობებს შეეცხებით.

ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 336—323 წწ.)
სახელით მოჭრილი სტატერები

1. 1925 წ. გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოწყობილმა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციამ სვანეთიდან ჩამოიტანა ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტა, ნაპოვნი ჭუბერიდან 20 კმ-ის დაშორებით, მდ. ენგურის შესართავ ნენსკრას ველზე³.

საქ. სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძების ფონდი (შემდეგში გ. ფ.) № 2228, მონეტის წონა — 8,59 გრ, ზომა — 19 მმ.

შუბლი — გრძელთმიანი ათენა ქალღმერთის თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ, მუზარადზე დაკლაკნილი გველია გამოსახული.

ზურგი — გრძელ ქიტონში ჩაცმული მარცხნივ მიმავალი ფრთოსან ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით. მარჯვენა ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში — სტილიდა. მარჯვენა ხელს ქვემოთ ამოტიფრულია მონოგრამა № 1. მარჯვენა ფეხთან გამოსახულია ყანწი. ქალღმერთის უკან ბერძნული ზედწერილი: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ.

ლ. მიულერის აზრით, სტატერის ეს ტიპი მოჭრილია ცელაში⁴ (Coela — თრაკია). სხვა გამოცემებში იდენტურ ცალს ვერ მივაკვლიეთ⁵.

2. ნაპოვნია 1930-იან წლებში სვანეთში, სოფ. თავრალში⁶.

გ. ფ. № 3065, წონა — 8,43, ზომა — 19/20, მონეტა გაღუნულია, დეტალები გადასული.

შუბლი — ათენა ქალღმერთის თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ, მუზარადზე გველი გამოსახული არ არის.

ზურგი — ისეთივე როგორც № 1, ოღონდ გამოსახულების წინ მონოგრამა № 2, ხოლო უკან — ჩუგლუგის ტიპის ცული(?).

³ А. Н. Зограф, Античные золотые монеты Кавказа, гв. 189, № 30; Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана... II, № 316, IV, гв. 97.

⁴ L. Müller, Numismatique d'Alexandre le Grand, Copenh., 1855, № 372.

⁵ ამ საკითხის ირგვლივ იხ.: E. T. Newell, Some Cypriote Alexanders, Num. Chr., 1915 XV, მისივე, Alexander Hoards Olympia, Numismatic Notes and Monographs, № 39, New York, 1929. მისივე, Alexander Hoards Demanhur 1905, Num. Notes and Monographs, № 19, 1923, New York. მისივე, Alexander Hoards Andritsaene, Num. Notes and Monographs, № 21, 1923, New York, მისივე, Tarsos Under Alexander, American Journal of Numismatics, 1918, vol. LII, 69—115. მისივე, Alexander Hoards, II Demanhur, 1905, The American Numismatic Society, New York. 1923. მისივე, Reattribution of Certain Tetradrachms of Alexander the Great, Amer Journ. of Numismatics, XLV, 1911. მისივე, Tyrus Rediviva, New York. 1923. მისივე, The Coinage of Sinope, Amer. Journ. of Numism., LII, 1918. მისივე, Alexander Hoards, I, Introduction and Kyparissia Hoard, NNM, N 3, 1921., E. T. Sellman, Rare Gold Staters with Types of Alexander III, Num. Ztschr., XLVI (VI), 1913; Ph. Lederer, Ein Goldstater Alexanders d. Grossen, Ztschr. f. Num., XXXIII; Alfred R. Bellinger, An Alexander Hoard from Byblos, Copenhagen, Berytus X, 1950—51, გვ. 37—49; Felix Schlessinger, Sammlung Griechischer Münzen aus Museumbesitz, Berlincharlottenburg, 1935; Е. Придикъ, Анадолийский кладъ золотых статовъ 1895 года, Изв. Импер. Арх. Ком., вып. 3, 1902.

⁶ А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ., 189, № 30; Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., III, № 652

ამ ვარიანტს ლ. მიულერი არ იცნობს. არაა ცნობილი იგი სხვა ლიტერატურიდანაც და არც სახელმწიფო ერმიტაჟის ფონდებშია დაცული.

3. აღმოჩნდა 1920 წ. სამეგრელოში, სოფ. რეყეში (ზუგდიდის რ-ნი) ევგ. ვეკუას მიერ თბილისის გაყვანის დროს მიკვლეულ ძველ სამარხში. სამარხში სხვა ინვენტარიც ყოფილა, რომელიც მპოვნელს გაუყიდა. 1924 წ. მას აღმოაჩნდა მხოლოდ ორი თქროს მონეტა, რომლებიც საქ. სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა⁷.

გ. ფ. № 3066. წონა — 8,45. ზომა — 19. დაცულია შესანიშნავად.

შუბლი — გრძელთმიანი ათენა ქალღმერთის თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ. ქალღმერთს ყელზე მძივები უკეთია და ყურებზე საყურეები ჰქიდა. მუზარადზე გველია გამოსახული.

ზურგი — ისეთივე როგორც № 1, ოღონდ ბერძნული ზედწერილი მთლიანი სახით შერჩენილი არაა: ΑΛΕΞΑΝΔΡ[ΟΙ].

ნიკეს გაწვილ ხელს ქვემოთ ასო K. გამოსახულების ფეხების წინ მონოგრამა N 3⁸.

ლ. მიულერთან არ არის. გამოქვეყნებული აქვს ფ. შლესინგერს⁹, მაგრამ ზარაფხანას არ უთითებს. ა. ზოგრაფი მას ძვ. წ. III ს. დასაწყისით ათარიღებდა. რაც არ არის მართებული. ამაზე მიუთითებს ალექსანდრეს სახელის მოხსენიება მონეტაზე ტიტულის გარეშე (ამ საკითხის შესახებ იხ. ქვემოთ).

4. აღმოჩენილია მცხეთაში 1951 წლის 12 მაისს თ. ხუბიეროვის სახლის (ჯაფარიძის ქ. № 9) სარდაფში შემთხვევით მიკვლეულ სამარხში¹⁰.

გ. ფ. № 7798, წონა — 8,37. ზომა — 18/20. დაცულია შესანიშნავად.

შუბლი — როგორც № 3.

ზურგი — როგორც № 1, ოღონდ გამოსახულების წინ — გაწვილ ხელს ქვემოთ — მონოგრამა № 4, ფეხებთან — № 5.

ლ. მიულერის აზრით, ეს მონეტა მოჭრილია საბერძნეთის რომელიღაც ქალაქში¹¹.

5. ნაპოვნია ფიჭვნარში კოლხურ ტრიობოლებთან ერთად 1950 წ.¹²

გ. ფ. № 8705. წონა — 8,42. ზომა — 17/18. დეტალები კარგად არ ირკვევა.

შუბლი — გრძელთმიანი ქალღმერთ ათენას თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ.

⁷ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 162; А. Н. З о г р а ф, დასახ. ნაშრ., გვ. 189, № 27; Е. А. Па х о м о в, დასახ. ნაშრ., III, № 651.

⁸ ს. მაკალათია ასე აღწერს ამ ცალს: «As.: მაღალი ხელოვნებით ამოკვეთილი ღეთაება ათენას ჩაფხუტიანი(?) პროფილი. Rs.: გამოსახულია ფრთებგაშლილი ძძლეობის ღეთაება Nike, რომელსაც მარჯვენა ხელში შტო(?) უჭირავს და მარცხენაში შუბი(?). მარჯვენა კიდურზე მოთავსებულია ასო «K», რომლის ქვემოთ მოჩანს მონოგრამა «PH». მარცხენა კიდურზე წარწერა «ΑΛΕΞΑΝΔΡ[ov]» იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 163; ეს მონეტა აღწერილი აქვს ე. მახოპოსაც: «...Статер Александра III Македонского обычного типа, но с буквой К перед Никой и монограммой из букв Р и Н у ее ног. Позади Ники, как всегда, помещено имя Александра, d—около 17 мм(?), p—8,37. и. х. დასახ. ნაშრ., IV, გვ. 97, № 651-სათვის.

⁹ F. Schlessinger, Sammlung Griechischer Münzen aus Museumsbesitz, Berlin Charlottenburg, 1935, გვ. 37, ტ. 24, №№ 675—676.

¹⁰ Д. Г. Ка п а н а д з е, Монетные находки Мухетской экспедиции, გვ. 172; Е. А. Па х о м о в, დასახ. ნაშრ., VIII, № 1909.

¹¹ L. Müller, დასახ. ნაშრ., № 816.

¹² კოლხური მონეტები ინახება საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზ. განყ. გ. ფ. №№ 8700—8701.

ზურგი — ისეთივე როგორც № 1. ზედწერილიდან იკითხება მხოლოდ ΑΛΕΞ-ΑΝΔ... გამოსახულების წინ ყვაელი (ვარდი?) და ΔΙ.

ლ. მიულერი ამ სტატერს ტრელიუმში (Traium — საბერძნეთი) მოჭრილად თვლის¹³.

6. აღმოჩენილია კუბერში (სვანეთი) 1957 წ. ლარილარის სამარონის ტერიტორიაზე. გ. ფ. № 10210. წონა — 8,56. ზომა — 17.

შუბლი — როგორც № 3.

ზურგი — ისეთივე როგორც № 1. გამოსახულების წინ ხარის თავი an face. მიულერის მიხედვით, მოჭრილია მაკედონიის მთავარ ქალაქ ამფიპოლისში (Amphipolis)¹⁴.

7. ნაპოვნია 1950 წ. სოფ. კუბერში მიწის ხენის დროს.

გ. ფ. № 10213. წონა — 8,52. ზომა — 18.

შუბლი — როგორც № 3.

ზურგი — როგორც № 1. გამოსახულების წინ ΒΑΣΙΛΕΥΣ, უკან — ΑΛΕΞΑΝΔΡ[Ι]. ნიკეს ფეხებთან მონოგრამები, წინ № 6, უკან № 7.

ლ. მიულერი თვლის, რომ ასეთი მონოგრამები საერთო იყო მაკედონიის, თრაკიისა და თესალიის ქალაქებისათვის¹⁵.

8. აღმოჩენილია 1928 წ. რაჭაში, სოფ. ჭიორას ტერიტორიაზე მიწის დამუშავების დროს, „საყანე ადგილას“ — „საკანაფოებში“.

გ. ფ. № 11942. წონა — 8,54, ზომა — 18.

შუბლი — გრძელთმიანი ათენა ქალღმერთის თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ.

ზურგი — როგორც № 1, გამოსახულების წინ — მონოგრამა № 8, უკან — ჩუგლუგის ტიპის ცული.

ლ. მიულერის მიხედვით, მოჭრილია მაკედონიის, თრაკიის ან თესალიის უცნობ ქალაქში¹⁶.

9. ნაპოვნია ვანში და ინახება ადგილობრივ მცხოვრებთან. ჩვენს ხელთაა ამ მონეტის ანაბეჭდი. წონა — 8,44.

შუბლი — როგორც № 3.

ზურგი — როგორც № 1. ნიკეს გაწვდილ ხელს ქვემოთ მონოგრამა № 9, მონოგრამის ქვემოთ ხუთქიმიანი ვარსკვლავი. გამოსახულების ფეხებთან ყანწი.

ლ. მიულერის აზრით, მოჭრილია ცენტრალური თრაკიის უცნობ ქალაქში¹⁷. მსგავსი სტატერები ცნობილია აგრეთვე ანადოლის უზარმაზარი განძიდან¹⁸.

¹³ L. Müller, დასახ. ნაშრ., № 121; 6, ხოშტარის მიანია, რომ ფიჭენარში აღმოჩენილი მონეტა სინოპია მოჭრილი, რაც არ არის მართებული (იხ. საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 246).

¹⁴ L. Müller, დასახ. ნაშრ., № 96.

¹⁵ იქვე, № 726.

¹⁶ იქვე, № 577; E. M. Придик, დასახ. ნაშრ., გვ. 69, № 239—243, ტ. IX, № 239.

¹⁷ L. Müller, დასახ. ნაშრ., № 381.

¹⁸ E. M. Придик, დასახ. ნაშრ., გვ. 66, №№ 59—64, ტაბ. IX, № 59.

10. შემთხვევითაა აღმოჩენილი სოფ. რეყეში ბორცვ ნაოხვამუს ახლოს. ინახება ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 1962 წ. ამ მონეტის ანაბეჭდი აიღო პროფ. დ. კაპანაძემ და თავაზიანად ჩვენ ვადმოგვცა¹⁹.

წონა — 9,22.

შუბლი — იგივე ტიპი, ოღონდ მუზარადზე გრიფონია გამოსახტული.

ზურგი — როგორც № 1. გამოსახულების წინ — ΒΑΣΙΛΕΥΣ და წრეხაზში

ჩასმული ხუთქიმიანი ვარსკვლავი, უკან — ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ.

როგორც ჩანს, ეს სტატერი მოჭრილი უნდა იყოს თრაკიაში²⁰. ლ. მიულერთან ვარსკვლავი წრეხაზის გარეშეა ამოტვიფრული²¹.

11. ნაპოვნია ზემო სვანეთში, ნაკრისა და ენგურის შესართავის მიდამოებში. 1908 წ. „სვანეთის ბილიკის“ გაყვანის სამუშაოებთან დაკავშირებით სამუშაოს მწარმოებელმა ნ. ი. პროზოროვსკიმ მოაჭრეინა დიდი ძელქვის ხე, რომლის ფულეროში აღმოჩნდა ასი ერთნაირი ოქროს მონეტისაგან შემდგარი განძი. აღმოჩენა მპოვნელებმა დანაწილეს. სამუშაოს მწარმოებლის შვილს — ვ. ნ. პროზოროვსკის წილად ორი ცალი ხვდა. ერთს მან ყური გაუკეთა და სამკაულად აქცია²². ამჟამად ეს ცალი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კუთვნილებაა (№ 48). მონეტა ძალიან ცუდათაა დაცული.

წონა — 8,5.

შუბლი — ქალღმერთ ათენას თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ. სხვა დეტალები არ ირკვევა.

ზურგი — ნიკე მთელი ტანით გრძელ ქიტონში. სხვა დეტალები არ ირკვევა.

12. არქეოლოგ შ. ჩართოლანის ცნობით, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ალექსანდრე მაკედონელის სტატერი ნაპოვნი 1957 წ. ჭუბურში, ლარილარის სამაროვნის ტერიტორიაზე № 6 მონეტასთან ერთად²³. სამწუხაროდ, მონეტის ანაბეჭდი მას არ აუღია.

ახლა მოვიყვანთ ლიტერატურაში დაცულ ცნობებს საქართველოს მიწა-წყალზე აღმოჩენილ ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილ ოქროს მონეტების შესახებ. ნუმერაცია საერთოა.

13. თავისუფალ სვანეთში (ლეჩხუმის რ-ნი) 1912 წ. იპოვნეს 200 ოქროს მონეტა, რომელზედაც ეწერა „ალექსანდრე“²⁴. ე. პახომოვის აზრით, მონეტების რიცხვი გადაჭარბებულია.

14. პროფ. ს. მაკალათიას ცნობით, სოფ. ზემო მარხში (ჭუბურის თემი, სვანეთი) გლეხმა ივანე დევდარიანმა 1913 წ. ეზოს მოსუფთავევის დროს ლოდის ქვეშ იპოვნა ორი ოქროს ფული. „დევდარიანი შედგომია გათხრას და აღმოჩენილა ქვით შემოფარგლული წრე, რომლის დიამეტრი ყოფილა დაახლოებით 2 მეტრი. სამარხიდან მას ამოუყრია ბრინჯაოს შუბის წვერები და ცულები, თინისა და ლითონის ჭურჭლის ნატეხები. სამარხის შუაგულიდან ამოუკრეფია 60 ცალი ალექსანდრე მაკედონელის ოქროს ფული და ერთიც უჩაფხუტო მამა-

¹⁹ Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., VII, № 1702.

²⁰ Е. М. Придикъ, დასახ. ნაშრ., გვ. 75, №№ 475—476.

²¹ L. Müller, დასახ. ნაშრ., № 377.

²² Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., V, № 1319.

²³ ცნობის მოწოდებისათვის ვ. ჩართოლანს მადლობას ვუხდით.

²⁴ გაზეთი «Терек», 19/V—1912 г.; Приложение Изв. И. А. К. прил. № 22 к вып. 46, გვ. 135; Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., I, № 15; А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 189, № 29.

კაცის პროფილით (ნიშნების მიხედვით ეს ლიზიმახეს ფული უნდა ყოფილიყო). სამარხის წრის ირგვლივ დევდარიანს ამოუყრია ადამიანის ჩონჩხის ნაწილები. აღმოჩენილი ფულები მას კერძო პირებზე გაუყიდა, კურკელი და იარალი გაუფანტავს. აღნიშნულ ადგილზე დღეს მას კალო აქვს გამართული და 1925 წელს ჩემი, ზემო სვანეთში ჩასვლის რამოდენიმე დღის წინათ ივანე დევდარიანს ამ კალოს გათოხნის დროს ეპოვნა ორი ოქროს ფული, რომელიც მე იქვე გავსინჯე და აღვწერე (ხაზი ჩვენია — გ. დ.). ერთი აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის ოქროს ფული.

As — ათენის ჩაფხუტიანი პროფილი.

Rs — გამოხატულია NiKe, ხელში ხის შტოთი და შუბით, ფეხქვეშ დოვლათის ყანწით. ფულის ერთ კიდურზე მოთავსებულია მონოგრამა ME, მეორეზე წარწერა „ΑΛΕΞΑΝΔΡΟΣ“. ფულის დიამეტრი — 17 mm²⁵.

მეორე — ლიზიმახეს ფული.

As — გამოხატულია ალექსანდრეს პროფილი ამონის რქით.

Rs — ათენა ხელზე „Nikephoros“ შუბით და ფარით, „ΒΑΣΙΛΕΥΣ ΑΥΣΙΜΑΧΟΙ“ დიამეტრი — 2 mm.

ი. დევდარიანის გადმოცემით მის მიერ ამავე ადგილზე წინათ აღმოჩენილ ოქროს ფულებში ერთი ასეთივე ლიზიმახესი ყოფილა, დანარჩენი კი ამგვარივე ალექსანდრე დიდისა (ხაზი ჩვენია — გ. დ.)²⁶. იქვე პროფ. ს. მაკალათია დასძენს, რომ „ჩვენ არ გვქონდა საშუალება ა. დევდარიანისაგან მუზეუმისათვის ორივე ეს ფული შეგვეძინა. დღეს ეს ფულები კერძო პირთა ხელშია“²⁷.

ა. ზოგრაფი თვლის, რომ, შესაძლებელია, აქ იმავე აღმოჩენის შესახებაა საუბარი, რომელიც № 13 აღნიშნული²⁸.

№№ 13—14 აღმოჩენებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს შეიცავს სინქრონული პრესა. მოგვყავს სიტყუასიტყუით გაზ. „Русское чтение“—ში (20/VIII, 1913, № 177, გვ. 3) დაბეჭდილი ანონიმური ავტორის სტატია, რომელსაც ეწოდება „Таинственная страна“ „24 июля в Кутаиси приехал ученый Марр и отсюда отправился в Сзанетию для исследования памятников старины. Марр намерен проникнуть далеко в глубь страны, в места, представляющие наибольший научный интерес. Раскопки только нескольких курганов и в особенности небольшого горного плато выше сел. Бечо, где найдены монеты времен Александра Македонского, слитки золота, неизвестного металла и пр., а также развалины древних сооружений, указывающих на существование здесь когда-то монетного двора, (ხაზი ჩვენია—გ. დ.)

²⁵ ეს სტატერის ზუსტად იდენტურია იმ მონეტისა, რომელიც აღწერილია № 1-ით. ჩანს, საქ. გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციამ სწორედ ის ცალი ჩამოიტანა, რომელიც ს. მაკალათიამ აღწერა. ამდენად ეს აღმოჩენა ექვს არ უნდა იწვევდეს.

²⁶ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 165—166.

²⁷ იქვე, გვ. 166, სქოლიოში.

²⁸ А. Н. Зограф., დასახ. ნაშრ., გვ. 189, № 29. ეს აღმოჩენა მოთავსებული აქვე № 28-ის ქვეშ. იხ. აგრეთვე Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., III, № 653.

могли бы обогатить историю Грузии новыми данными“.²⁹ ა. ზოგრაფი ამასთან დაკავშირებით წერს: „Подробности фантастичны“³⁰.

№ 15. ნაკრისა და ენგურის შესართავთან (ზემო სვანეთი) ხის ფულტრო-ში აღმოჩნდა განძი, რომელიც შედგებოდა 100 ც. ალექსანდრე მაკედონელის სტატერისაგან (იხ. № 11). აღმოჩენილი განძის ერთ-ერთი მონეტა ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, რაც ადასტურებს ამ ცნობის სისწორეს. ამასვე ადასტურებს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის დ. ი. სოსნოვსკის განმარტება, რომ ძელქვის იმ ჯიშს, რომლის ფულტრო-შიაც განძი აღმოჩნდა, 3000 წელს შეუძლია იცოცხლოს³¹.

16. სოფ. ბაბუშერაში (გულრიფშის რ-ნი) ადგილობრივმა მცხოვრებმა ძველი ეკლესიის ნანგრევების ახლოს იპოვნა ოქროს მონეტა, რომელიც პროფ. ს. კაკაბაძის განსაზღვრით (1937 წ.), ალექსანდრე მაკედონელის სტატერი აღმოჩნდა. მონეტა დარჩა მპოვნელს³².

ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტები.

17. დაახლოებით 1948 წ. ქუთაისში, კიბულის ქ. № 2-ში (მწვანე ყვავილთა რ-ნი) მოჭ. გიორგი გრიგოლის-ძე ბერიჩივიძემ ფესვიანად ამოიღო სიმინდი და ფესვებს ალექსანდრე მაკედონელის ტეტრადრაქმა ამოჰყვა.

გ. ფ. № 5267. წონა — 16,48. ზომა — 23.

შუბლი — ახალგაზრდა პერაკლეს თავის გამოსახულება ლომის ტყავში მარჯვნივ. მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკეთები აქვს.

ზურგი — ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულება მარცხნივ. მის უკან ნაწილობრივ გადასული ზედწერილი: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ ზევს. მარჯვენა ხელზე არწივი უზის. ტახტის ქვეშ მონოგრამა: № 10³³. (ტაბ. № 9).

ლ. მიულერის მიხედვით, ეს მონოგრამა მაკედონიის, თრაკიისა და თესალიის ქალაქების საერთო(?) ნიშანია. ანალოგიურ ტეტრადრაქმაზე, რომელიც მას აქვს გამოქვეყნებული, ზევსის წინ იგივე მონოგრამაა ამოტივფრული, როგორც ტახტის ქვეშ³⁴.

18. ნაპოვნია კაპრეთის რ-ნ სოფ. მახარაძეში.

გ. ფ. № 9713. წონა — 4,00. ზომა — 15/17. დრაქმა.

შუბლი — ისეთივე როგორც № 17.

ზურგი — ისეთივე როგორც № 17. იკითხება ლეგენდის ფრაგმენტი. [ΑΛΕΞ]ΑΝΔΡ[ΟΥ]. არწივის ქვემოთ — პალმის შტო (ტაბ. № 10).

ასეთი ვარიანტი ლ. მიულერს გამოქვეყნებული არა აქვს.

ლიტერატურაში მხოლოდ ერთი ცნობაა დაცული საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ვერცხლის მონეტის აღმოჩენის შესახებ.

²⁹ იხ. აგრეთვე «Голос Москвы», 15/VIII, 1913, № 188; «Колокол» 18/VIII, 1913; Прибавление к вып. 52 «Известия» Археолог. комиссии (- Хрон. и библи., вып. 25, СПб., 1914) გვ. 93.

³⁰ А. Н. Зограф, დასახ. ნაშრომი, გვ. 189, № 29.

³¹ Е. А. Пахомов, დასახ. ნაშრ., V, № 1319.

³² იქვე, № 131.

³³ ე. პახომოვი ასე აღწერს ამ მონეტას: «Она была осмотрена мною в 1957 г. и оказалась чеканенной по обычной типу, с расположением имени Александра за спинкой трона и с орлом на вытянутой руке Зевса. Под треном — монограмма из букв М и Р в венке; перед коленями Зевса сбито» (იხ. მისი დასახ. ნაშრ., VIII, № 1910).

³⁴ L. Müller, დასახ. ნაშრ., № 713.

19. 1907—1908 წწ. ყვირილას მიდამოებში აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის დრაქმა, რომელიც ერთ-ერთ კერძო კოლექციონერს ჩაუვარდა ხელთ³⁵.

ლისიმაქეს სახელით (ძვ. წ. 306—282 წწ.) მოჭრილი
სტატერები

20. 1925 წ. სვანეთიდან გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოწყობილმა გეოგრაფიული საზოგადოების ექსპედიციამ, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტასთან ერთად, ლისიმაქეს სტატერიც ჩამოიტანა³⁶ (ტაბ. № 11).

გ. ფ. № 2229. წონა — 8,52. ზომა — 20.

შუბლი — ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება დიადემაში და ამონის რქით მარჯვნივ.

ზურგი — ტახტზე მჯდომი ათენა პალადა მარცხნივ. მარცხენა ხელში მას შუბი უჭირავს და ფარს ეყრდნობა. მის გაწვდილ მარჯვენა ხელზე დგას ნიკე. ნიკეს ქვემოთ, რომელიღაც მტაცებელი ფრინველის (არწივი?) გამოსახულება. ათენას უკან ΠΑΣΙΑΡΕΩΣ, წინ ΑΥΣΙΜΑΧΟΥ³⁷.

ლ. მიუღერი თვლის, რომ ეს სტატერი აპიტისშია (Aphytis — მაკედონია) მოჭრილი³⁸.

21. ნაპოვნია სოფ. ეკში (ცხაკაიას რ-ნი) 1935—36 წწ. ინახება ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში³⁹. ანაბეჭდი თავაზიანად გადმომცა პროფ. დ. კაპანაძემ.

წონა — 9,20.

შუბლი — ისეთივე როგორც № 20.

ზურგი — ისეთივე როგორც № 20, ოღონდ გამოსახულების წინ მონოგრამა № 11, ხოლო ქვემოთ — სამთითა⁴⁰.

სტატერი მოჭრილია ბიზანტიონში ძვ. წ. II ს-ში⁴¹.

22. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილის რ. ფუთურაძის ცნობით, ადგილობრივ აღმოჩენილი ლისიმაქეს სტატერი ქუთაისის მუზეუმს შეუძენია. მანვე გადმოგვცა ამ მონეტის დიაპოზიტივი, რომლის მიხედვითაც ჩვენ აღვწერეთ ეს სტატერი.

შუბლი — ისეთივე როგორც № 20.

ზურგი — ისეთივე როგორც № 20. გამოსახულების წინ, გაწვდილ ხელსა და მუხლს შორის მონოგრამა № 12, ტახტის ქვეშ — № 13. გამოსახულების ქვემოთ — სამთითა.

მონეტა მოჭრილია ბიზანტიონში.

ლიტერატურაში დაცული ცნობები საქართველოში აღმოჩენილი ლისიმაქეს ოქროსა და ვერცხლის მონეტების შესახებ:

³⁵ E. A. Пухомов, დასახ. ნაშრ., I, № 14.

³⁶ A. H. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 189, № 30; E. A. Пахомов, II, № 316.

³⁷ შესაძლებელია, ეს სტატერი ის ცალია, რომელიც ს. მაკალათიამ ნახა და აღწერა 1925 წ. სოფ. ზემო-მარხში, ივანე დედარაიანის ოჯახში (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 165).

³⁸ L. Müller, Die Münzen des Thracischen Königs Lisimachus, Kopenhagen, 1858, № 343.

³⁹ A. H. Зограф, Распространение находок античных монет на Кавказе, გვ. 55, № 14; E. A. Пахомов, V, № 1328.

⁴⁰ L. Müller, დასახ. ნაშრ., № 227.

⁴¹ A. H. Зограф, Распространение... გვ. 54—55, № 14.

23. 1889 წლის ახლო ხანებში ვანში ა. სტოიანოვმა იყიდა ადგილობრივ აღმოჩენილი ლისიმაქეს სტატერები, რომელიც მან პ. ს. უვაროვას გაუგზავნა⁴².

24. 1927 წ. გულრიფში ადგილობრივმა მცხოვრებმა იპოვნა ლისიმაქეს სტატერი, მოჭრილი ბიზანტიონში ძვ. წ. III ს. დასასრულს. მონეტა იყიდა სოხუმელმა კოლექციონერმა და განსაზღვრა ა. ზოგრაფმა მ. ივანჩენკოს მიერ გავზავნილი ჩანახატის მიხედვით⁴³.

25. სოფ. ზემო — მარხში (კუბერის თემი) 1913 წ. ივანე დევედარიანმა თავის ეზოში იპოვნა 60 ალექსანდრე მაკედონელისა და ერთი ლისიმაქეს ოქროს მონეტა (იხ. ჩვენი სია, № 14)⁴⁴.

26. 1896 წ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ვანის გათხრების დროს, მდ. საქვაბიას ნაპირზე, აღმოჩნდა ლისიმაქეს ვერცხლის მონეტა⁴⁵.

27. მაკრიალასთან (ბათუმის რ-ნი), ზღვის ნაპირთან ახლოს, 1900-იან წლებში იპოვნეს რამდენიმე ვერცხლის მონეტა. ერთი მათგანი, ე. პახომოვის განსაზღვრით, ლისიმაქეს დრაქმა აღმოჩნდა⁴⁶.


⁶⁴ Л. П. Семенов, Археологические и этнографические изыскания в Чечено-Ингушетии в 1925—1932 г. г., Грозный, 1963, стр. 54.

⁶⁵ Там же.

⁶⁶ Там же.

⁶⁷ Там же.

Сходство кровли со ступенчатым перекрытием обнаруживает и бойница замка Шиолашвили около села Цно⁶⁸. Семенов указывает на то, что «возле зубчатой башни, находящейся в сел. Папшети, имеется небольшая пристройка, прикрывающая лаз нижнего этажа. Кровля этой пристройки ступенчатая. Она сильно напоминает кровлю двускатных ингушских склепов и храмов»⁶⁹.

Помимо этого, автор указывает на сходство боевых башен Ингушетии с башнями другого горного района Грузии — с хевсурскими башнями. Сходство с последними он в наибольшей степени усматривает в машикулях. С фактом большого стилистического сходства чеченских башен с хевсурскими соглашается и исследователь В. И. Марковин, но он тут же параллельно подчеркивает и существенное различие между ними. В хевсурских башнях он указывает на отсутствие опорных столбов-колонн и наличие одного лишь крупного дверного проема⁷⁰. Среди характерных особенностей, присущих хевсурским башням, Марковин особо выделяет такую деталь, как «купольные перекрытия с опорными плитами и кладкой типа «дарбази». Таковой является башня в селе Пакоч⁷¹.

Множество башен, напоминающих чечено-ингушские, имеется и на территории Тушетии, граничащей с Чечней⁷². Это в первую очередь относится к территории общества Цови, населенной выходцами из Чечни.

С фактом сходства хевсурских пирамидальных башен с ингушскими соглашается и грузинский исследователь С. Макалатия, по поводу чего он пишет: «По своему плану и технике постройки хевсурская пирамидальная башня представляет собою интересный памятник материальной культуры. Подобные башни имеются и на горной Грузии в Тушетии и на Северном Кавказе у ингушей и чеченцев. Однотипность этих башен не подлежит сомнению»⁷³.

В результате изучения тушетских башен исследователи М. И. Джандиери и Г. И. Лежава пришли к заключению, что форма машикулей последних такого же типа, как в Хевсуретии, в Чечне и в Ингушетии⁷⁴.

Примечательно сходство и осетинских башен с грузинскими. Констатируя этот факт, Семенов выделяет почти те же элементы общности, которые сближают чечено-ингушские и грузинские башни, а именно, квадратную форму основания и машикулей⁷⁵.

Разительное сходство северокавказских башенных сооружений с грузинскими, естественно, порождает вопрос о том, кому же именно принадлежит приоритет в создании этих гигантов, и на чьей именно территории зародился их своеобразный стиль.

⁶⁸ Л. П. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Чечено-Ингушетии в 1925—1932 г.г., стр. 54.

⁶⁹ Там же.

⁷⁰ В. И. Марковин, Исследование памятников средневековья в высокогорной Чечне, Краткие сообщ. ин-та археологии, вып. 90, 1962, стр. 48.

⁷¹ В. И. Марковин, Ук. соч., стр. 50.

⁷² Там же, стр. 51.

⁷³ С. И. Макалатия, Хевсуретия, 1940, Тбилиси, стр. 100—101.

⁷⁴ М. И. Джандиери и Г. И. Лежава, Архитектура горных районов Грузии, М., 1940, стр. 95.

⁷⁵ Л. П. Семенов, Археологические разыскания в Северной Осетии, Известия СОНИИ, т. XII, 1948, стр. 100.

Прежде чем сделать какой-либо вывод по этому вопросу, мы считаем необходимым привести мнения по этому поводу различных авторов. **Настоящим будет сделана попытка суммировать имеющиеся данные соответствием достигнутому уровню изучения башенной культуры горного Кавказа и уже на основе этого сделать возможные выводы.** Мнения исследователей этой проблемы в сущности расходятся. К сторонникам чечено-ингушского происхождения этих сооружений относится художник-архитектор И. П. Щерблякин, участвовавший вместе с проф. Семеновым в археолого-этнографических экспедициях в 1925—1927 г.г. и проанализировавший общее описание башен. Щерблякин ссылается на то, что в Грузии почти не встречается башен чечено-ингушского типа, за исключением ее торных районов, граничащих с Чечено-Ингушетией. В виде исключения Щерблякин указывает на Ананурскую башню⁷⁶. Допуская возможность участия грузинских мастеров в строительстве этих башен, автор все же выражает свою уверенность в том, что «тип и оригинальный стиль башен зародился на территории, принадлежащей чеченцам, ингушам и хевсурам»⁷⁷. Сторонником решения этого вопроса в пользу обратного влияния чечено-ингушской башенной культуры на грузинскую — является и грузинский исследователь А. Шавхелишвили. Он исходит опять-таки из того же соображения, т. е. из того же показателя, что башни чечено-ингушского типа в Грузии редки, и встречаются, в основном, в районах, граничащих с Чечено-Ингушетией⁷⁸. Кроме этого обстоятельства, Шавхелишвили свое мнение подкрепляет тем аргументом, что чечено-ингушские башни превосходят грузинские степенью совершенства⁷⁹. Автор прямо заявляет: «Имеются основания считать, что горная Ингушетия была родиной «башенной культуры». Отсюда эта культура, по видимому, проникла в Хевсуретию и в Осетию и, возможно, в Чечню. Ни в Кабарде, ни в Дагестане не встречаются такого типа башни, какие имеются в Чечено-Ингушетии. Тип башен Сванетии совершенно отличен от чечено-ингушских. Последние представляют собой усеченные четырехгранные пирамиды, а сванские — прямоугольные четырехгранные призмы»⁸⁰.

Что касается мнения проф. Семенова, в течении многих лет занимавшегося вопросами, связанными с башенной культурой, то в вопросе освещения происхождения этой культуры и ее связи с аналогичной грузинской культурой, он ограничился лишь фиксацией факта неоспоримого сходства.

Теперь приведем мнения авторов, высказавшихся в пользу грузинского происхождения башенной культуры. Сторонником подобного разъяснения проблемы был еще В. Ф. Миллер. Миллер предполагал, что искусство сооружения башен было занесено в Чечено-Ингушетию из Грузии. Эту возможность он связывал с общим культурным влиянием грузин на ингушей, имевшем место в изучаемый период. Доказательством того, что именно грузины должны были быть создателями боевых башен, он приводил тот факт, что на некоторых ингушских башнях были найдены изображения крестов. Миллер писал по этому поводу: «Мес-

76 И. П. Щерблякин, Искусство Ингушетии в памятниках материальной культуры, Известия Ингушского НИИ краеведения, вып. I, 1928. стр. 280.

77 Там же.

78 А. Шавхелишвили, Из истории взаимоотношений грузинских и чечено-ингушских народов, стр. 90.

79 Там же.

80 Там же.

торасположение башен указывает на их стратегическое значение: они обыкновенно были воздвигаемы в таких местах, откуда удобно наблюдать за местностью. Притом изображение крестов и плиты с крестами указывают на строителей — христиан, которыми всегда скорее всего могли быть грузины»⁸¹. Через некоторое время, по мнению Миллера, чеченцы и ингуши, научившись у грузин, сами стали возводить подобные сооружения⁸².

Аналогичное мнение высказал впоследствии проф. Яковлев. Он предполагал, что начало башенной культуры было положено грузинами мастерами, а затем заимствовано и продолжено чечено-ингушскими мастерами.

Грузинский исследователь проф. П. П. Закарая утверждает, что тип башен, распространенный в Хевсуретии, Тушетии и на территории Северного Кавказа, зародился именно на территории Грузии, и что первой из них должна была быть Ананурская башня, построенная в позднефеодальную эпоху, но не позднее XVI в.⁸³. Интересны наблюдения проф. С. Макалатия. По его мнению, допустимо предположение, что пирамидальные башни, распространенные в горных районах Грузии и Северного Кавказа, впервые строились в Грузии. Естественность такого вывода он находит в бывшем факте политического и культурного влияния Грузии в историческом прошлом на ингушей, и, кроме того, в том обстоятельстве, что подобная башня сохранилась в центре Грузии в ограде Ананурской крепости⁸⁴. Интересно, однако, то обстоятельство, что Макалатия ссылается на Щерблыкина, когда пишет, что «существует предположение, что ингушские пирамидальные башни впервые строились в Грузии и строили их грузинские мастера»⁸⁵. Однако, из приведенной нами выше цитаты из статьи Щерблыкина «Искусство ингушей в памятниках материальной культуры» явствует лишь предположение автора в возможности участия грузин в строительстве этих башен, что же касается места их зарождения, то автор, как было отмечено, заявляет, что «тип и оригинальный стиль башен зародился на территории, принадлежащей чеченцам, ингушам и хевсурам»⁸⁶.

Таким образом, Макалатия вносит поправку и уточнение в вывод Щерблыкина. Ведь Хевсуретия, названная Щерблыкиным, является районом Грузии.

Исследователи архитектуры горных районов М. Джандиери и Г. Лежава на вопрос о происхождении грузинской башенной архитектуры и ее связи с северо-кавказской также не дают конкретного и исчерпывающего ответа. Они ограничиваются, в основном, соображениями общего порядка, хотя, в целом, и проявляют тенденцию в сторону грузинского происхождения башенной культуры⁸⁷.

Таким образом, сконцентрировав основные, известные нам доводы исследователей чечено-ингушской и горно-грузинской башенной культур

⁸¹ В. Ф. Миллер, Ук. соч., стр. 131.

⁸² Там же.

⁸³ П. П. Закарая. Фортификационные сооружения Шида-Картли, КСИИМК, X/VI, 1952, стр. 123.

⁸⁴ С. Макалатия, Ук. соч., стр. 100—101.

⁸⁵ Там же.

⁸⁶ И. П. Щерблыкин, Ук. соч., стр. 280.

⁸⁷ М. И. Джандиери, Г. И. Лежава, Ук. соч., стр. 97—98.

и их связи между собой, мы убеждаемся в том, что этот вопрос изучен недостаточно и ждет своего специального исследования, выводы более глубокой и исчерпывающей аргументации. Однако, уже имеющиеся, приведенные выше данные способны оказать нам помощь для решения поставленной нами задачи, а именно освещения грузино-северокавказских взаимоотношений в области материальной культуры. В данном случае мы не задаемся целью решить вопрос — где именно возникла башенная культура вообще. Но из приведенных выше данных нам кажется очевидным, что башенная культура горных районов Грузии подверглась значительному влиянию чечено-ингушской башенной культуры.

Однако, мы этим вовсе не склонны утверждать, что башенная культура горных районов Грузии своим происхождением обязана башенной культуре Чечено-Ингушетии.

Во-первых, это видно из следующего: прежде всего здесь решающую роль сыграли одинаковые или по крайней мере очень сходные географические и социально-экономические факторы. Ведь сходными по своему назначению жилыми и боевыми башнями изобилуют все горные районы Кавказа, возникновение которых диктовалось одинаковыми историческими факторами. По словам Джандиери и Лежава «башенными сооружениями покрыт весь кавказский хребет, как раз в тех районах, которые были как-бы созданы для консервации древней формы человеческих взаимоотношений, какой является родовой строй»⁸⁸. Тут разумеется, авторы не правы в том, что объясняют строительство башен родовым строем, однако они справедливо отмечают аналогичность крепостных сооружений на всем горном Кавказе. Иллюстрацией этого положения могут служить похожие по своему назначению жилые дома-крепости, распространенные как в горных районах Грузии, так и Северного Кавказа. К таковым относятся тушетские четырехгранные дома-крепости, т. е. «чардахнани», близкие как по конструкции, так и по назначению с хевсурскими «квиткири». Аналогичные дома-крепости имеются и в Раче, — это т. н. «дуроиани сахли», а также и в Сванетии — т. н. «губерд», котрых в настоящее время осталось всего три⁸⁹. Аналогичными домами-крепостями, как было отмечено, являются в Осетии — «галуаны», в Чечено-Ингушетии — «гала».

Во-вторых, не исключена и та возможность, что башенные постройки горных районов Грузии обязаны своим происхождением равнинным районам Грузии, т. к. в последней традиция башенного строительства прослеживалась еще в далеком прошлом, когда родовые башни в Грузии строились не только в горах, но и на равнинах⁹⁰. Что касается архитектуры крепостного жилья, то Джандиери и Лежава полагают даже, что они могли возникнуть в горных районах Грузии еще в первых веках н. э.»⁹¹. Академик Г. Чубинашвили в своем труде «История грузинского искусства» высказал предположение, что у иберов еще в IV в. д. н. э. могли существовать многоэтажные башни⁹².

⁸⁸ М. И. Джандиери, Г. И. Лежава, Ук. соч., стр. 97.

⁸⁹ С. Макалатия, Ук. соч., стр. 105.

⁹⁰ М. И. Джандиери, Г. И. Лежава, Ук. соч., стр. 97.

⁹¹ Там же.

⁹² Г. Чубинашвили. История грузинского искусства, т. I, Тбилиси, 1936, стр. 6.

Таким образом, можно прийти к заключению, что связывать само возникновение башенных сооружений горных районов Грузии с чечено-ингушскими башнями было-бы необоснованным. Они могли возникнуть независимо друг от друга, порождаемые одинаковыми историческими условиями. Однако, многочисленные черты сходства в стиле и конструкции башен, заставляют думать, что они — суть отражения грузино-вейнахских культурно-исторических взаимоотношений, имевших место на протяжении веков. В данном случае башенное строительство горных районов Грузии испытало бесспорное влияние чечено-ингушской башенной культуры. При этом, разумеется, из всей массы предложенных извне архитектурных элементов, были восприняты лишь те, которые оказались наиболее подходящими к данным условиям, они творчески перерабатывались местными мастерами, придававшими этим сооружениям свой собственный художественный облик.

И так, башенная архитектура Центрального Предкавказья, равно как и его христианско-церковное зодчество в X—XII веках — суть яркое свидетельство тесных материально-культурных взаимосвязей между Грузией и Северным Кавказом в названную эпоху.

იოსებ უთურაშვილი

დროებითვალდებულ გლეხთა სანადელო მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში

(„საადგილმამულო რეგისტრაციის“ მონაცემების მიხედვით)

საგლეხო რეფორმის გატარება ამიერკავკასიაში თბილისის გუბერნიით (აღმოსავლეთ საქართველო) დაიწყო. 1864 წლის 13 ოქტომბრის საკანონმდებლო აქტებით ბატონყმობა გაუქმებულად გამოცხადდა — ყმა გლეხებს პირადი თავისუფლება მიენიჭათ. ამავე დროს, ის მიწები, რომლებითაც გლეხები საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდნენ მემამულეთა საკუთრებად დარჩა. გლეხებს გადაეცათ მიწები (ე. წ. სანადელო მიწები) მუდმივი სარგებლობის უფლებით, რისთვისაც სათანადო გადასახად-ვალდებულებანი დაწესდა. მემამულეებსა და ყოფილ ყმა გლეხებს (ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ისინი დროებითვალდებულ გლეხებად იწოდებოდნენ) შორის საგანგებო დოკუმენტები — საწესდებო სიგელები დგებოდა. ამ სიგელებით სამიწათმოქმედო ურთიერთობა მემამულესა და მის მიწაზე მცხოვრებ დროებითვალდებულ გლეხებს შორის კონკრეტულად იყო განსაზღვრული. ამგვარად, საწესდებო სიგელებით იურიდიულად ფორმდებოდა ყოფილი ყმა-გლეხების დროებით-სავალდებულო ურთიერთობა მემამულეებთან, რომელთაც მიწით სარგებლობისათვის რენტას უხდიდნენ.

საწესდებო სიგელების შედგენისა და ძალაში შესვლის ვადად ორი წელი დაწესდა — ეს საქმე 1866 წლის 13 ოქტომბრამდე უნდა დამთავრებულიყო. სინამდვილეში გაჭიანურდა საწესდებო სიგელების შედგენა, რაც ძირითადად მხოლოდ 1868 წლისათვის დამთავრდა. სიგელების შედგენას ადგილი ჰქონდა 1868 წლის შემდეგაც, მაგალითად, გორის მაზრის სოფ. ფლავის დროებით-ვალდებულ გლეხ სოლომონ ბიძიონაშვილთან მეჯვრისხეველ მემამულე თავად კონა ერისთავს საწესდებო სიგელი მხოლოდ 1872 წლის ივლისში შეუდგენია.

საწესდებო სიგელები შეიცავს მნიშვნელოვან მასალას, რომელიც რეფორმის მომდევნო ხანის სოფლის სოციალ-ეკონომიური ისტორიის საკითხების შესწავლაში დაგვეხმარება.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით აღმოსავლეთ საქართველოს დროებითვალდებულ გლეხთა სანადელო მიწათმფლობელობის საკითხის განხილვას ერთ ისტორიულ პირველწყაროს მონაცემებზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში, რომელსაც ჩვენ ამის შემდეგ შემოკლებულად „საადგილმამულო რეგისტრაციას“ ვუწოდებთ¹, საწესდებო სიგელების მონაცემთა საფუძველზე ასახულია

¹ «Поземельная регистрация временно-обязанных крестьян Тифлисской губернии (по уставным грамотам)». Составлена по поручению Тифлисского губернатора К. И. Орловского, старшим чиновником особых поручений А. Добровольским, Тифлис, 1873—1874.

მდგომარეობა 1873—1874 წლებამდე. დასახელებულ დოკუმენტს იყენებდა რევოლუციამდელი პერიოდის აგრარული ურთიერთობის არაერთი მკვლევარი.

დოკუმენტში აღნიშნულია მიწათმფლობელთა გვარები, რომლებსაც დროებითავალდებულ გლეხებთან შედგენილი ჰქონდათ საწესდებო სიგელები. აქვეა დროებითავალდებულ გლეხთა კომლობრივი და მამაკაცთა სულადობრივი მაჩვენებლები, საკარმიდამო ნაკვეთების, ვენახების, ხეხილის ბაღების ფართობი. აღნიშნულია სახნავ-სათესი და სათიბი მიწების ფართობი, რაც გლეხთა ამა თუ იმ ჯგუფს გააჩნდა რეფორმამდე და რამდენიც მათ რეფორმის შემდეგ დაუტოვეს. წყარო შეიცავს ცნობებს იმის შესახებ თუ დროებითავალდებულ გლეხთაგან რამდენი კომლი ღარჩა საკარმიდამო ნაკვეთებისა თუ სახნავ-სათესი მიწის გარეშე. ცალკეა გამოყოფილი მონაცემები სრულიად უმიწაწყლო, ე. წ. ბოგანო გლეხთა რაოდენობის შესახებ.

წყაროშივეა მასალა რენტული ურთიერთობის შესახებ (რენტის სახეები და რაოდენობა).

დოკუმენტში საწესდებო სიგელებიდან ამოღებული მონაცემები დალაგებულია მაზრების მიხედვით². ზოლო მაზრების შიგნით სამომრიგებლო განყოფილებებისა და სოფლების მიხედვით.

ქვემოთ წარმოვადგენთ „საადგილმამულო რეგისტრაციიდან“ ამოკრეფილ მონაცემთა ზოგიერთ შემაჯამებელი ხასიათის შედეგს.

I. გლეხთა იმ იურიდიული მხარეების რაოდენობა, რომლებთანაც შედგა საწესდებო სიგელები, კომლთა და მამაკაცთა რიცხვი

მაზრები	რაოდენობა გლეხთა იურიდიული მხარეებისა	კომლთა რაოდენობა 1860 წლის სტატისტიკური აღწერებით	მამაკაცთა სულადობა კომლობრივი ადამიანებით	დროებითავალდებულ გლეხთა რიცხვი სიგელების შედგენისას	მამაკაცთა სულადობა სიგელების შედგენისას
თბილისის გორის	237	2 104	8 647	2 425	9 222
დუშეთის	1146	5 317	22 163	5 156	22 247
სიღნაღის	513	2 242	9 456	2 416	9 679
თელავის	289	2 168	8 331	2 080	8 127
	246	2 288	8 480	2 153	8 367
სულ თბილისის გუბერნიისში	2 431	14 119	57 077	14 230	57 632

ცხრილში აღნიშნული ცალკეულ გლეხურ კომლთა ან გლეხთა ჯგუფის რაოდენობის მაჩვენებელი, ვფიქრობთ, უდრის იმ იურიდიულ მხარეთა რიცხვს, ვისთანაც შედგენილი იყო საწესდებო სიგელები. ასეთია — 2 431. იგივე რიცხვი უნდა აღნიშნავდეს შემამულებთა ცალკეულ სამფლობელოთა რაოდენობას.

² ბატონყმობის გადაყარების დროს (1864 წ.) ადმინისტრაციულად თბილისის გუბერნია თბილისის, გორის, სიღნაღის, თელავის და ელისავეტპოლის (განჯის) მაზრებისგან შედგებოდა. შემდეგში მოხდა ცელილებები, 1868 წელს თბილისის გუბერნიას ჩამოსცილდა ელისავეტპოლის მაზრა და გუბერნიად ჩამოყალიბდა, ქუთაისის გუბერნიას გამოეყო და თბილისის გუბერნიას შეუერთდა ახალციხის მაზრა, შეიქმნა დუშეთის მაზრა.

ადმინისტრაციული ხასიათის სხვა ცელილებებს ადგილი ჰქონდა უკვე ჩვენი დოკუმენტის შედგენის მომდევნო ხანაში: 1874 წელს ახალციხის მაზრის ერთი ნაწილისაგან შეიქმნა ახალქალაქის მაზრა, თიანეთის ოკრუგი გარდაიქმნა თიანეთის მაზრად, დაბოლოს, 1880 წელს თბილისის მაზრის ნაწილისაგან ჩამოყალიბდა ბორჩალოს მაზრა.

„საადგილმამულო რეგისტრაციის“ მონაცემებიდან ჩანს, რომ ერთი მხრივ, კამერალური აღწერებისა და, მეორე მხრივ, საწესდებო სიგელების შედგენის დროს, გლახთა რიცხობრივი განსხვავება 111 კომლს შეადგენს. კომლთა მატება თბილისისა და დუშეთის მაზრებზე მოდის, მატება ამ შემთხვევაში უმთავრესად მოსახლეობის ბუნებრივ გამრავლებას უნდა მიეწეროს. სხვა მაზრებში კი პირიქით, ადგილი ჰქონია დროებითვალდებულ გლახთა რაოდენობის შემცირებას. ივარაუდება, რომ ეს შემცირება კომლთა ერთი ნაწილის მიერ თავის დახსნის, ზოგიერთი კომლის მთიდან ბარში ჩამოსვლის და ა. შ. შედეგი უნდა ყოფილიყო.

11. დროებითვალდებულ გლახთა სანადლო ვენახებისა და ხეხილის ბაღების, აგრეთვე სანადლო სახნავ-სათესი და სათიბი მიწების ფართობი ბატონყმობის გადავარდნამდე და ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ

მაზრები	ფართობი კვადრატული ს. ვენახით			სან.დლო სახნავ-სათესი და სათიბი მიწის ფართობი			
	საკარმი- დამო	ვენახები	ხეხილის ბაღები	ბატონყმობის გადა- ვარდნამდე		ბატონყმობის გადა- ვარდნის შემდეგ	
				სარწყავი	ურწყავი	სარწყავი	ურწყავი
	დლიური და კვ. საგ.	დლიური და კვ. საგ.	დლიური და კვ. საგ.	დლიური და კვ. საგ.			
თბილისის	1 312,704	846 972	17 860	13 044— 341	30 075— 290	6 980— 144	14 192— 1113
გორის	1 451 417	3 025 470	54 270	33 250— 973	20 993— 274	17 928— 214	11 815— 1008
დუშეთის	460 580	920 809	21 107	3 559— 600	19 788— 1180	2 554— 901	15 450— 96
სიღნაღის	905 633	2 216 729	300	1 156— 1 192	14 035— 406	743— 568	8 923— 67
თელავის	1 291 636	4 371 694	—	18 976— 191	407— 603	17 728— 871	132— 00
სულ თბილისის გუბერნიაში	5 421 970	11 381 674	93 537	69 987— 900	85 300— 353	45 935— 298	50 513— 1084

ცხრილის მონაცემებს ფართობის ერთგვაროვან მაჩვენებლებზე თუ გადავიყვანოთ აღმოჩნდება, რომ თბილისის გუბერნიაში დროებითვალდებულ გლახთა ნადელში სხვადასხვა საეარგული შედიოდა:

საკარმიდამო ნაკვეთები — 2 260,4 დესეტინა

ვენახები — 4 742,3 „

ხეხილის ბაღები — 39 „

სულ, ნადელში შემავალი საკარმიდამო ნაკვეთების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების საერთო ფართობი, 7 041,7 დესეტინას შეადგენდა. ეს ფართობი ეჭირათ გლახებს როგორც რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგაც. რაც შეეხება სანადლო მინდვრებს (სახნავ-სათესი და სათიბი მიწები), აღმოსავლეთ საქართველოს დროებითვალდებულ გლახებს რეფორმამდე ჰქონიათ: სარწყავი — 34 993,5 დესეტ., ურწყავი — 42 650 დესეტ., სულ — 77 643 დესეტ.

საწესდებო სიგელებით კი გლეხებს დაუტოვეს მინდორი: სარწყავი — 22 967,5 ღესეტ., ურწყავი — 25 256 ღესეტ., სულ — 48 223,5 ღესეტ.

საერთოდ კი, ყოველგვარი სახის მიწები რეფორმამდე საბატონო გლეხებს ეკირათ 84 685 ღესეტ., ხოლო რეფორმის შემდეგ გლეხებს ღარჩათ — 55 265 ღესეტ.

ამგვარად, გლეხებისთვის ჩამოუჭრიათ 29.420 ღესეტ. მინდორი ანუ 37,8%.

ჩამონაკერი მიწები მაზრების მიხედვით შეადგენდა:

მაზრები	რეფორმამდე ყმა გლეხებს ეკირათ (ღესეტ.)	რეფორმის შემდეგ დო. ვალდ. გლეხებს ღარჩათ (ღესეტ.)	ჩამოაჭრეს (ღესეტ.)	ჩამონაკრები %%-ით
თბილისის	21 559,5	10586	10 973	50,8%
გორის	27 121,5	14 871,5	12 250	45%
ღუშეთის	11 573,5	9 002	2 671	22,8%
სიღნაღის	7 595	4 833	2 762	36,3%
თელავის	9 691,5	8 930	761	7,8%

ამგვარად, ყველაზე მეტი მიწა ჩამოუჭრიათ თბილისისა და გორის მაზრის გლეხებისათვის.

ჩამონაკრებს უმეტეს შემთხვევაში ამუშავებდნენ ისევე ის გლეხები, რომელთაც ჩამოაჭრეს მიწები, მხოლოდ ახლა საიჯარო ქირას ახდევინებდნენ და ამასთან უფრო ვადიდებული ზომით.

ზემოთ მოტანილ ციფრებს თუ შევხედავთ ნადელების კომლობრივი თუ სულადობრივი ფართობის თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ ამ მხრივაც ძალზე თვალსაჩინოა რეფორმის მომდევნო ხანაში სანადელო მიწების მნიშვნელოვნად შემცირება.

ბატონყმობის გადაეარდნამდე ყმა გლეხთა თითოეულ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 5,9 ღეს. ყოველგვარი სახის მიწა მათ შორის 5,4 ღეს. მინდვრის ნაკვეთი, ხოლო მამაკაცთა თითოეულ სულს უწევდა 1,4 ღეს. ყოველგვარი სახის მიწა, აქედან 1,3 ღეს. მინდვრის ნაკვეთი.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, საწესდებო სიგელების შედგენის შედეგად გლეხებს დაუტოვეს კომლზე საშუალოდ 3,9 ღეს. (3,88) ყოველგვარი სახის მიწა, მათ შორის 3, 3 ღეს. მინდვრის ნაკვეთი; ნადელი მამაკაცთა თითოეულ სულზე საშუალოდ შეადგენდა 0,95 ღეს. ყოველგვარი სახის მიწა, აქედან 0,83 ღეს. მინდვრის ნაკვეთებზე მოდიოდა.

მაზრების მიხედვით მიწის საშუალო ფართობი შეადგენდა (ღესეტ.).

მაზრები	კომლზე				მამკცთ. თითო სულზე			
	ბატონყმობის გადაეარდნამდე		ბატონყმობის გადაეარდნის შემდეგ		ბატონყმობის გადაეარდნამდე		ბატონყმობის გადაეარდნის შემდეგ	
	ყოველგვარი მიწა	მინდორი	ყოველგვარი მიწა	მინდორი	ყოველგვარი მიწა	მინდორი	ყოველგვარი მიწა	მინდორი
თბილისის	9,26	8,89	4,73	4,36	2,43	2,34	1,24	1,15
გორის	5,62	5,26	3,25	2,88	1,30	1,21	0,75	0,66
ღუშეთის	5,07	4,83	3,96	3,72	1,26	1,20	0,99	0,93
სიღნაღის	4,27	3,64	2,94	2,32	1,09	0,93	0,75	0,59
თელავის	5,59	4,50	5,24	4,15	1,44	1,15	1,34	1,06

მოტანილი ციფრობრივი მონაცემები მოწმობენ, რომ სანადელო მიწების საშუალო ნორმა არცერთ მაზრაში ვერ უზრუნველყოფდა გლეხური კომპლეს აუცილებელ საარსებო მოთხოვნებს. გორის, დუშეთისა და სიღნაღის მაზრებში მამაკაცთა თითო სულზე თითო დესეტინაზე ნაკლები მიწა მოდიოდა, ამ მაზრებში კი გუბერნიის დროებითვალდებულ მამაკაცთა 69,5% (40 053 სული 57 632 სულისაგან) ცხოვრობდა. მხოლოდ დანარჩენ ორ მაზრაში მამაკაცთა თითო სულს საშუალოდ 1,3 დეს. უწევდა. შედარებისათვის შეიძლება გავიხსენოთ, რომ რუსეთში 10 050 203 სულისაგან მხოლოდ 5,5% მიიღო თითო დესეტინაზე ნაკლები მიწა³.

ნაბატონრებსა და ნაყმევეებს შორის საადგილმამულო ურთიერთობების განსაზღვრისას გლეხებს არა მარტო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაჭრეს, არამედ გლეხთა ნაწილი თითქმის სრულიად უმიწოდ დატოვეს.

111. მინდვრის სანადელო ნაკვეთების მფლობელ კომლთა რაოდენობა, საკარმიდამო და მინდვრის ნაკვეთებს მოკლებულ კომლთა რიცხვი, სრულიად უმიწონი (ბოვანობები)

მაზრები	სანადელო მინდვრის მქონე კომლთა რიცხვი	კომლები რომლებსაც არ გააჩნდათ		უმიწაწყლონი (ბოვანობები)
		საკარმიდამო ნაკვეთები	სანადელო მინდვრობი	
თბილისის	2 348	30	61	1
გორის	4 421	248	600	71
დუშეთის	2 205	57	179	2
სიღნაღის	1 763	33	259	45
თელავის	1 975	18	235	3
სულ თბილისის გუბერნიაში	12 712	386	1 334	122

ჩვენ შეგვიძლია გამოვთქვათ ზოგიერთი სავარაუდო მოსაზრება ამ ციფრობრივი მაჩვენებლების მიმართ, ეს ეხება, მაგალითად, კომლთა იმ რიცხვს, რომელთაც არ გააჩნდათ მინდვრის სანადელო ნაკვეთები ასეთი უნდა იყოს არა 1 334 კომლი, როგორც ეს ნაჩვენებია დოკუმენტში, არამედ 1 396, რადგანაც არსებულ კომლთა შორის სახნავ-სათესი და სათიბი მიწა ჰქონდა 12 712 კომლს, ხოლო სრულიად უმიწო იყო 122 კომლი. სულ კი სანადელო მინდვრის ნაკვეთები არ მიუღია 1 518 კომლს, ანუ დროებითვალდებულ გლეხთა 10,6%, ხოლო თუ მათ საკარმიდამო ნაკვეთებს მოკლებულთა რიცხვს დავუმატებთ მივიღებთ 1904 კომლს. ამგვარად, დროებითვალდებულ გლეხური კომლთა 13,4% ფაქტიურად უმიწო გლეხები იყვნენ.

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის დროებითვალდებულ გლეხთა რაოდენობა თითქმის 17 ათას კომლამდე გაიზარდა, ხოლო მათ განკარგულებაში მყოფ სანადელო მიწების ფართობს თვალსაჩინო მატება არ მოჰყოლია იმასთან შედარებით, რაც დროებითვალდებულ გლეხებს საწესდებო სივრცეების შედგენის დროს მიეცათ.

³ П. А. Запичковский, Отмена крепостного права в России, Москва, 1968, стр. 244.

საგლეხო საქმეთა თბილისის საგუბერნიო საკრებულოსი და სხვა წყაროების მონაცემებით, 80-იანი წლების დასასრულისათვის (1890 წლამდე) დროებითვალდებულ გლეხთა 16 977 კომლის (1886 წ.) განკარგულებაში ყოფილა 7 040 დესეტინა საკარმიდამო ნაკვეთებით, ხეხილის ბაღებითა და ვენახებით დაკავებული ფართობი. სახნავ სათესი მიწები კი 48 630 დესეტ. რაოდენობითაა ნაჩვენებ⁴. აღსანიშნავია, რომ ეს ციფრობრივი მაჩვენებლები მოაქვს ავტორთა უმრავლესობას თავის ნაშრომებში.

ახლა შევეცადოთ შევუპირისპიროთ „საადგილმამულო რეგისტრაციის“ (1873—1874 წწ.) მონაცემები, 1893 წ. სტატისტიკურ კრებულში დაცულ საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს და სხვა წყაროების მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც 1890 წლამდელი მდგომარეობაა ასახული.

დროებითვალდებულ გლეხთა სანადელო მიწების ფართობი (დესეტ.):

საერაგულები	„საადგილმამულო რეგისტრაციის“ მონაცემებით	საგუბერნიო საკრებულოს და სხვა წყაროების მონაცემთა მიხედვით (1890 წლამდე)
საკარმიდამო ნაკვეთები	2 260	2 258,5
ვენახები	4 742,3	4 742,5
ხეხილის ბაღები	39	39,25
სახნავი სარწყავი სათესი ურწყავი	22 967,5	23,376
	25 256	25,254
სულ სახნავი მიწები....	48 223,5	48 630

ამრიგად, გლეხთა საკარმიდამო ნაკვეთების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების ფართობის ამსახველი მონაცემები ორივე წყაროში თითქმის სავსებით ერთი სიდიდისაა. რაც შეეხება სახნავ-სათესი მიწების ფართობს, აქ შედეგები რამდენადმე განსხვავებულია. ეს ეხება სარწყავი სახნავი მიწების რაოდენობას, — განსხვავება აქ 408,5 დეს. უდრის. ეს არის მატება 80-იანი წლებისათვის 60—70-იან წლებთან შედარებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა ლაპარაკია საგუბერნიო საკრებულოს მონაცემებზე, ისინი, ჩემის აზრით, ძირითადად იმავე „საადგილმამულო რეგისტრაციის“ მონაცემებს იმეორებენ. ეს იმიტომ, რომ საკრებულოს საქმეებში არ მოიპოვებოდა სხვა რომელიმე მთელი გუბერნიის მდგომარეობის ამსახველი ზოგადი ხასიათის ისეთი წყარო, როგორცაა „საადგილმამულო რეგისტრაცია“. ხოლო შემჩნეული განსხვავება ეტყობა მომდინარეობს „სხვა წყაროებიდან“, რომლებშიც ასახულია ცვლილებები, რაც მომხდარა „საადგილმამულო რეგისტრაციის“ შედგენა-გამოქვეყნების (1873—1874 წწ.) შემდგომ პერიოდში — 1890 წლამდე.

ამდენად, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ დროებითვალდებულ გლეხთა XIX საუკუნის 60—70-იან წლების სანადელო მიწათმფლობელობის საკითხებზე მსჯელობისას გამოვიყენებთ „საადგილმამულო რეგისტრაციის“ მონაცემებს, რადგანაც ეს წყარო შექმნილია დასახელებულ პერიოდში შედგენილი საწესდებო სიგელების მონაცემთა აღრიცხვა-დაანგარიშების საფუძველ-

⁴ Свод статистических данных о землевладении в тифлисской и кутаисской губерниях, издано Закавказским статистическим комитетом под редакцией члена того же комитета Е. Кондратенко, Тифлис, 1893, гл. 12. -

ზე. ხოლო მომდევნო პერიოდის დახასიათებისათვის, რასაკვირველია, გამოყენებულ უნდა იქნეს აგრეთვე სხვა შესაფერისი წყაროები.

ამასთან, ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარმა ე. კვასნიკოვამ საწესდებო სიგელების დიდი რაოდენობის შესწავლის საფუძველზე მიიღო მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ზემოთ დასახელებული ორი წყაროს მონაცემისაგან. მისი გამოთვლის მიხედვით, ყოფ. საბატონო გლეხების განკარგულებაში 1864 წლამდე ყოფილა 73 624 დესეტ. სახნავ-სათესი მიწა (31 197 დეს. სარწყავი, 42 427 დეს. ურწყავი). რეფორმის შემდეგ კი დროებითვალდებულ გლეხებს სანადელო მიწები დარჩენიათ 48 289 დეს. (სარწყავი — 16 730 დეს., ურწყავი 31 559 დეს.) რაოდენობით⁵.

ამასთან გაურკვეველია, ე. კვასნიკოვას მიერ შესწავლილ საწესდებო სიგელებში იგულისხმება მხოლოდ ის საწესდებო სიგელები, რომლებიც შედგენილი იყო მემამულეებსა და დროებითვალდებულ გლეხებს შორის, თუ სხვადასხვა კატეგორიის მიწათმფლობელებსა და მათ მიწებზე მცხოვრებ გლეხებს შორის შედგენილი სიგელებიც, ეს გარემოება და აგრეთვე ის რომ არქივში, როგორც ჩანს, ვერ მოინახა ყველა საწესდებო სიგელი, რამდენადმე გავლენას ახდენს კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საერთო ღირებულებაზე.

1864 წლის საგლეხო რეფორმის საკანონმდებლო აქტებით დროებითვალდებულ გლეხებს ევალდებოდათ მემამულეებისათვის გადაეხადათ ფულადი რენტა — საკარმიდამო ნაკვეთებისათვის, ხოლო ნატურალური (პროდუქტადი) ან ფულადი რენტა — ბალ-ვენახებისა და მინდვრის სანადელო ნაკვეთებით სარგებლობისათვის. ეს ვითარება ასახულია საწესდებო სიგელებში და, მაშასადამე, „საადგილმამულო რეგისტრაციაში“.

„საადგილმამულო რეგისტრაციის“ მონაცემები სანადელო მიწებით სარგებლობისათვის დროებითვალდებულ გლეხთა ვალდებულება-გადასახადების შესახებ:

მაზრები	ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა - გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი					
	ფ უ ლ ა დ ი				პროდუქტებით	
	საკარმიდამო	ბალები	მინდვრის სანადელო ნაკვეთები	ს უ ლ	ბალები, ვენახები	მინდვრის სანადელო ნაკვეთები
მანეთობ. კაპ.	მან. კაპ.	მან. კაპ.	მან. კაპ.	მან. კაპ.		
თბილისის გორის დუშეთის სიღნაღის თელავის	5 592—17 3 538—17 1 213—4 2 118—3 5 879—17	109—61 — 79—98 — —	2 492—42 3 865—84 2 596—78 6 893—89 5 851—72	6 194—20 7 404—1 3 889—80 9 011—92 11 730—89	ვენახებიდან მკვლევარის (აღიკვლი) (1/1)	სახნავ-სათესი მიწებიდან (აღიკვლი) (1/1) — მინდვრის მიწებიდან (აღიკვლი) (1/1) — მინდვრის მიწებიდან (აღიკვლი) (1/1)

ამრიგად, მინდვრის იმ ნაკვეთების სარგებლობისათვის, რაც სანადელოთ ჰქონდათ გადაცემული გლეხებს ყოველწლიურად იხდიდნენ ფულადი სახით 21 700 მანეთს. დანარჩენს კი — ნატურით. ძნელია განისაზღვროს მიწის ფართობი, რომელზედაც ფულადი რენტის ეს რაოდენობა უწევდა, ხოლო თუ როგორი იყო შეფარდება რენტის ფულად და ნატურალურ სახეებს შორის, ამაზე გარ-

⁵ Е. А. К в а с н и к о в а, Изменение крестьянского наделного землепользования в Восточной Грузии в результате реформы 1864 года, Научные доклады высшей школы, исторические науки, № 4, 1961, გვ. 92.

კვეული წარმოდგენა შეუძლია შეგვიქმნას დასახელებული ფულადი რენტის ოდენობის ნატურალური რენტის (პირობითად ფულად სახეზე გადაყვანილი) ოდენობასთან შედარებამ.

მომდევნო ხანის ცნობით, პროდუქტების ღირებულება, რასაც გლეხები მინდვრის სანადელო ნაკვეთების სარგებლობისათვის იხდიდნენ ნაჩვენებია 110 646 მანეთის რაოდენობით⁶. ასე რომ დროებითვალდებული გლეხები იხდიდნენ რენტას პროდუქტებით 83,6%, ხოლო ფულადი სახით — 16,4%.

რაც შეეხება რენტას ვენახებისა და ხეხილის ბაღებისათვის, ის შეადგენდა: ფულადი სახით — 189 მანეთს, ხოლო ნატურალური (პროდუქტების ღირებულების ფულზე გადაყვანით) — 271 527 მანეთს⁷.

მაშასადამე, საწესდებო სიგელების მონაცემთა თანახმად, დროებითვალდებულ გლეხებსა და მემამულეებს შორის რენტულ ურთიერთობებში გაბატონებული ადგილი ეკავა რენტას პროდუქტებით, ხოლო მეორე ხარისხოვანი როლი — ფულად რენტას.

ასეთია დოკუმენტის „საადგილმამულო რეგისტრაციის“ ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებელი და მისგან გამომდინარე დასკვნა.

⁶ Сборник статистических данных о землепользовании и способов хозяйства в пяти губерниях Закавказского края, Закавказский статистический комитет, под редакцией Е. Кондратенко, Тифлис 1899, Приложение II, გვ. 150—151.

⁷ იქვე.

მერი ზამთარაძე

ნასახლარი ნოსტა

გიორგი სააკაძის რეზიდენცია

სააკაძეთა ფეოდალური სამფლობელოს წარმოშობა და მისი განვითარება ერთ-ერთი ტიპური მაგალითია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან, რომელიც, როგორც ცნობილია, ძირითადად მე-13—15 საუკუნეებში მიმდინარეობდა და დამთავრდა ერთიანი საქართველოს დაშლით სამეფო-სამთავროებად. ამიერიდან უკვე არსებობდა არა ერთი მთლიანი საქართველო, არამედ „ექვესი საქართველო“: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, სამეგრელო და გურია. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „შინა-პოლიტიკურად დაყოფილი ერთი მოდგმისა და კულტურის თანამომკმეები და, იმდენადვე, უცხოელებისაგან განსხვავებულნი“¹.

თავისთავად კი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა მოხდა ბატონყმობის სრული გამარჯვებისა და განვითარებული იმუნიტეტის პირობებში, ეკონომიური რეგრესისა და სამეურნეო დეგრადაციის შედეგად, რაც თავის მხრივ იყო შედეგი წოდებრივ-კლასობრივი და საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა მეტად რთული გადახლართვისა².

ქვეყნის დაშლა მარტო ცალკეული სამეფო-სამთავროების წარმოშობით არ შემოსაზღვრულა, რამდენადაც მათ გვერდით და იმავე სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბდა კიდევ უფრო მცირე თვითკმარი ორგანიზაცია — დიდებული აზნაურის სახლი, რომელიც შემდეგში სათავადოდ იწოდა და, რაც მთავარია, თანდათან ერთადერთი დასაყრდენი გახდა გამრავლებული მთავრებისა თუ დამცირებული მეფეებისათვის.

მართალია ქვეყანა დაიშალა სამეფო-სამთავროებად და თავისებურად კი ცალკეული მათგანი სათავადოებად, რომლებიც უკვე თავის მხრივ წარმოადგენდნენ რამდენადმე ერთმანეთისაგან მეტნაკლებად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს, მაგრამ ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა, ამისდა მიუხედავად მაინც არ შეწყვეტილა; აღნიშნულ გარემოებას საქართველოსათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მტრული გარემოცვის პირობებში, რომლებიც მას მე-15—16 საუკუნეების მიჯნაზე თურქეთ-ირანმა შეუქმნეს, თავადთა დიდი ნაწილი კვლავაც განაგრძობდა ბრძოლას ცენტრალური ხელისუფლების წინა-

¹ ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან მე-15 საუკუნეში (დოკუმენტები), მასალები საქს და კავკ. ისტ. ნაკვ. 1, თბ., 1937, გვ. 321.

² Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв), Вопросы истории Грузии, т. II, Тб., 1965, გვ. 86. Из истории феодальных отношений в Грузии XV в.. Воп. ист. Грузии, т. II, გვ. 143.

³ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII საუკ., თბ., 1958, გვ. 61.

აღმდეგ, ხოლო ნაწილი კი ისევ ცენტრალური ხელისუფლების გვერდით დადგა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

ამ თვალსაზრისით სააკაძეთა საგვარეულო სწორედ იმ დიდებულ აზნაურთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც მე-13 საუკუნიდან მოყოლებული⁴ მე-17 საუკუნემდე სამეფო კართან ახლოს იდგნენ და მასთან ერთად იბრძოდნენ. იმის გამო, რომ სააკაძეთა საგვარეულო არ განეკუთვნებოდა ძირძველ დიდებულთა საგვარეულოს, ხოლო მათი სოციალური აღზევება კი საუკუნეთა მანძილზე მთლიანად სამეფო კარისადმი მათი „ერთგული სამსახურითა და თავდადებით“ იყო განპირობებული. ბუნებრივია, ამ გარემოებამ სააკაძეთა გვარი იმთავითვე მჭიდროდ დააკავშირა სამეფო კართან. ასეთ ვითარებაში სააკაძეებს სამეფო კარის ძლიერებასა და სიმტკიცეზე ზრუნვა ორნაირ მოგებას აძლევდა; ჭერ ერთი, ისინი ამით რამდენადმე ზღუდავდნენ დიდ თავადთა უფლებებს და ამდენად აძლიერებდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, ხოლო მეორეც, ძლიერდებოდა რა ცენტრალური ხელისუფლება, ბუნებრივია, თვითონაც ძლიერდებოდნენ, რაკი ასეთი სამსახურით ისინი დამატებით ყმა-მამულებს იღებდნენ მეფისაგან და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს ხდებოდა მეფის მფარველობის ქვეშ.

სამეფო კართან დაახლოების ტენდენციით იყო ალბათ განპირობებული სააკაძეთა ის ნაბიჯიც, რომელიც მათ მე-15 საუკუნის დასაწყისში გადადგეს, როდესაც სხვადასხვა საშუალებებით თავისი მამულების ერთ ადგილზე თავშეყრას, ახალი რეზიდენციის ძიებას შეუდგნენ, სწორედ სამეფო კარის ერთ-ერთ რეზიდენციასთან ახლოს. ამ მიმართებით აღსანიშნავია სამეფო სოფლის კავთისხევის მოურავის ივანე სააკაძის მოღვაწეობა, რომელმაც 1412 წელს თემძის ხეობაში ქართლის დედოფალ გულშარისაგან კავთისხეური მამულის სანაცვლოდ „ნოსტესა რომალისშვილისა გულიასეული სასახლე მიიღო მისითა მიდამოთი“⁵, რის შედეგადაც უკვე აშკარად შეიმჩნევა ამავე ხეობაში სააკაძეთა სულ უფრო თანმიმდევრული განსახლება განსაკუთრებით მე-16 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-17 საუკუნის პირველ მესამედში, კერძოდ, ნოსტეში, ერთაწმინდაში, ოძისში და სხვ.

საკაძეთა ასეთი სწრაფვა, თემძის ხეობაში, არა მარტო ერთ სივრცეში მათი საგვარეულო მამულების თავმოყრით იყო განპირობებული, რაც თავის მხრივ მართლაც მეტად აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სათავადოსათვის, არამედ იმითაც, რომ ახლოს ყოფილიყვნენ ცხირეთთან, სადაც სამეფო კარის ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია იყო.

თავისი ფეოდალური რეზიდენციის შემდგომ მშენებლობასა და განმტკიცებაში დიდი წვლილი გიორგის უახლოესმა წინაპრებმა, მამამ სიაუშმა და ამ უკანასკნელის ძმებმა — ეშთელმა, ზურაბმა და ივანე სააკაძეებმა შეიტანეს, რომელთაც თავიანთი ფეოდალური სამფლობელო სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით გააფართოვეს, კერძოდ, ზოგი თავადის დასჯის გამო, ზოგი სხვისი მამულების შესყიდვით, ზოგი მზითვში მოყოლით, ზოგი თვით მეფის წყალობის შედეგად და სხვ. ასე მაგალითად, 1588 წელს სიმონ მეფემ „ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა“ სიაუშ სააკაძეს სოფ. ნოსტესა და ერთაწმინდაში რამდენიმე გლეხი უწყალობა თავისი მამულით. ამავე წელს სიმონ მეფეს კვლავ უწყალობებია სიაუშისათვის ყმა-მამული, ამჯერად უკვე შალვა ჭავჭავაძისა

⁴ კ. კეკელიძის სახ. საქ. სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი — Hd—13. 956^o.

⁵ საქართველოს სიძველენი, თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909, საბ. № 35, გვ. 47.

და მისი ძმების წილი სოფელ ოძისში „ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სასართითა, სათიბითა და სახნავითა... მთით და ბარით“⁶.

1590 წლის ერთ-ერთ ნასყიდობის წიგნში კი ვკითხულობთ, რომ მასურ და ბეჟან ჯავახიშვილებმა სახლთუხუცეს ზურაბ სააკაძეს, გიორგი სააკაძის ბიძას, მიყიდეს მკვიდრი მამული „ზემო და ქვემო ცხირეთი და მისი გარშემო და ცუცუბანი და ოძისის ზეეს გამოღმა და ზემო ნასოფლარები, ცხავერი, მეტათ უბანი, სამებანი; ჯვარნი და მადლნი ამათითი ჭალითა, სახნავ-სათიბითა, მისისა შემოსავლითა და გამოსავლითა, საქმითა, სამძღვრითა, საძოვრითა, სასართითა და მთითა ვიდრე ბარამდის“⁷.

ისეთ ვითარებაში, როდესაც სააკაძეები თეძმის ხეობაში სულ უფრო და უფრო აფართოვებდნენ თავიანთ მამულებს, არ არის გამორიცხული, რომ მათ აქაურ ძირძველ თავადებთან დამოყვრებისას სხვასთან ერთად ისიც ჰქონდათ მიზნად, რომ მათი მამულების ნაწილი მზითვის სახით ჩაეგდოთ.

ამის დამადასტურებელი უნდა იყოს თითქოს 1597 წლის შამანდუხ ჯავახიშვილის მზითვის წიგნი, რომელიც გამრეკელ ჯავახიშვილმა მისცა თავის ქალიშვილს შამანდუხს მისი გათხოვებისას ივანე სააკაძეზე, გიორგი სააკაძის უმცროს ბიძაზე. ამ მზითვის წიგნში გამრეკელი წერს მზითვად მოგვეცითო „ცხირეთი გოჩიას (წილი მამულის) გარეთად, რაც ჩვენი კერძი მამული იყო, ანუ ციხეშიგან, ანუ სოფელშიგან“⁸.

მამულების გაფართოებისა და მის გაძლიერებაში სააკაძეთა წინა თაობას არც მომდევნო თაობა ჩამორჩა, კერძოდ კი გიორგი სააკაძე, რომელმაც თავის მხრივ მამა-პაპისეულ წამოწყებულ საქმეს კიდევ უფრო ინტენსიურად მოჰკიდა ხელი და უფრო გააფართოვა მთელი სააკაძეთა ფეოდალური სამფლობელო; მით უფრო, რომ მას მეტი ეკონომიური შესაძლებლობაც ჰქონდა და მეტი პოლიტიკური გავლენაც. საქმე ისაა, რომ გიორგი სააკაძე, ვახუშტის ცნობით, გარდა იმისა, რომ იყო თბილისის მოურავი, იყო აგრეთვე „მოურავი ქრცხინვალისა და დვალეთისა“⁹ და როგორც შ. მესხია ვარაუდობდა მარტო ქ. თბილისიდან მას წლიური შემოსავალი 4 ათასამდე მანეთი ჰქონდა, რაც რასაკვირველია იმ დროისათვის საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა⁹. მით უფრო, რომ იგი დამატებით კიდევ დიდძალ პროდუქტს იღებდა ბაჟისა თუ სხვადასხვა ძღვენის სახით. ამიტომაც სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული ბერი ეგნატაშვილის ცნობა, რომელიც, სხვათაშორის, პირდაპირ წერს, რომ „ამ უამში გამდიდრებული იყო ქართლის მოურავი სააკაძე გიორგი... და ესრეთ გამდიდრებულიყო, რომე შემდგომად მეფისა იგი იყო“¹⁰.

ასეთ ვითარებაში თავისთავად ცხადია, არაფერს მოულოდნელს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ გიორგი სააკაძე ერთიმეორის მიყოლებით იძენდა მამულებსა და ამით სულ უფრო და უფრო აფართოვებდა თავის სამფლობელოს, რაზეც მეტყველებს ჩვენამდე შემორჩენილი არა ერთი ნასყიდობის წიგნი. ასე მაგალითად, 1607 წლის ერთ-ერთ ნასყიდობის წიგნში, აღნიშნულია, რომ მან ჟარსადან და შერმაზან ჯავახიშვილებისაგან იყიდა მათი „მკვიდრი მამული მო-

⁶ საქართველოს სიძველენი, თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1907, საზ. № 35, გვ. 47. ო

⁷ იქვე, საზ. № 36, გვ. 48.

⁸ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, მეორედ გამოცა ზ. კიქინაძემ, თბ., 1913, გვ. 53.

⁹ III. A. M e s x i a. Города и городский строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 258.

¹⁰ ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, „ქართლის ცხოვრება“, ტ. 2. თბილისი, 1959, გვ. 385.

უსარჩლელო და მოუდევარი... სიონთ ვენახი, შაველაური ნახევარი და სხვა¹¹. 1609 წლის ნასყიდობის წიგნში კი აღნიშნულია, რომ მან შალვა ჭავჭავაძის შვილებისაგან შანშე, ბიძინა, ფარსადან და შერმაზანისაგან იყიდა „მკვიდრი მამული სასახლე არჩევანული მამული მისით სახნავითა, ნაფუძვრითა, მითთა, ბართთა, ქალითა, სისარითა, საჯალჯითა, საკალითა, წყლითა, წისქვილითა, მისითა შესავლითა და გასავლითა ყოვლითა უნაკლულად“¹².

გიორგი სააკაძემაც, რომელმაც სამეფო კარზე თანამდებობითაც და მდგომარეობითაც დიდად გაუსწრო თავის მამა-ბიძებს, არანაკლებად გაზარდა თავისი ფეოდალური სამფლობელო სწორედ „ერთგული და თავდადებული“ სამსახურის გამო. ასე მაგალითად, 1608 წელს ლუარსაბ ქართლის მეფემ გიორგი სააკაძესა და მის ძმს ქაიხოსროს „მკვიდრათ და სამამულეთ“ უბოძა „საბარათიანოში სოფელი კრწანისი... მთას აქეთ ჭავჭავაძის გამრეკელის კერძი, ცხირეთის ურუმ ბენაშვილი გოჩია კომლი ერთი, საჯავახიანოს ხანდაკს ჭავჭავაძის გამრეკელის კერძი მამული და სხვ.“¹³.

როგორც ვხედავთ, სააკაძეებმა და განსაკუთრებით გიორგიმ მნიშვნელოვნად გაიფართოვეს თავისი სამფლობელო თემის ხევსა და მის მიდამოებში.

ასე, რომ მე-17 საუკუნის პირველ მესამედში თემის ხევსა და მის ზევით მთაში გიორგი სააკაძის სამფლობელო უკვე მოიცავდა ნოსტეს, ახალშენს, ნოსტის ოძისს, გველდეს ორბეთს, ცხირეთს, ერთაწმინდას, ფავნისს, ეზეტს, გულაღეთს, კავთისხევს, წინარებს, მარჯანაანთ უბანს, ტყემლოვანას, მზვარეს, კოტმანს, ზემო და ქვემო ვერხვეულას, გავაზურს, სამტრედოს, გოსტიბეს, კაბერისს, გარგარისს, მერიას, ჭავჭავაძის, კვირიკასა და გოგოთს.

მაგრამ სააკაძის სამფლობელო მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. მისი მამულები გაფანტული იყო აგრეთვე ქართლის სხვა რაიონებშიც. ასე მაგალითად, მანგლისის ხევზედ მას ეკუთვნოდა ზემო ოძისი, ტყის უგულეთი და სხვ. ატენის ხეობის ზემო წელში — ფელი, ღვწე, ხანდისი, სიქალეთი, ღვედრეთი, კიკანათბერი და სხვ. ალის ხეობაზედ — ნაბახტევი, კლდის წყარო და სხვ. თბილისის შემოგარენში — ლისი, ნახშირგორი, წოდორეთი და სხვ. ქვემო ქართლში — კრწანისი, ყიბლაღი, ბერდიკი და სხვ.

რაკი სააკაძეების ყმა-მამულებმა საუკუნეების მანძილზე და განსაკუთრებით კი გიორგის ღროს თავი თემის ხევსა და მის ზევით მთაში მოიყარა, თავისთავად ცხადია, ახალი რეზიდენციის საკითხიც ამის შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო. ეს პრობლემა კი, როგორც ჩანს სააკაძეთა თაობიდან გიორგი სააკაძემ გადაწყვიტა, რომელმაც თავისი საგვარეულოს პოლიტიკური რეზიდენცია ფელიდან სოფ. ნოსტეში გადმოიტანა და ამით დაავიკრივინა ის პროცესი, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. თავისთავად ნოსტეს გადაქცევა რეზიდენციად შემთხვევითი არ იყო.

მთავარი ამ შემთხვევაში ის იყო, რომ ნოსტე, თემის ხეობაში სააკაძეების მამულების თითქმის შუაგულში აღმოჩნდა, რომელიც ამასთან საკმაოდ განვითარებული სამიმოსელო გზებით იყო დაკავშირებული ქართლის სხვა რაიონებთან. თავისთავად არც ის გარემოება იყო ინტერესმოკლებული, რომ ნოსტე ეკონომიურად დაწინაურებულ ხეობაში მდებარეობდა და ამასთან ერთად იყო აგრეთვე საკმაოდ ახლოს მეფეთა საზაფხულო სადგომთან.

¹¹ საქართველოს სიძველენი, ტ. II, სპ. № 38, გვ. 49.

¹² იქვე, ტ. II, სპ. № 40, გვ. 51.

¹³ იქვე, ტ. II, სპ. № 39, გვ. 50.

თუ კონკრეტულად როლის გადაიქცა ნოსტე გიორგი სააკაძის სამფლობელოს რეზიდენციად, ძნელია ამის თქმა, თუმცა ვარაუდით შეიძლება ეს მომხდარიყო მე-16 საუკუნის 90-იან წლებში, როცა გიორგი სააკაძე უკვე სამოღვაწეო ასპარეზზეა გამოსული.

მართალია, თანამედროვენი გიორგი სააკაძეს არ უწოდებენ თავადს და მის სამფლობელოს სათავადოს, მაგრამ ფაქტიურად ანუ სოციალურ-ეკონომიურად და პოლიტიკურად როგორც სამართლიანად შენიშნავს გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე უკვე თავადი იყო და მისი სამფლობელო სათავადო, თუმცა ტრადიციით არ იყო განმტკიცებული და ამდენადვე ოფიციალურადაც აღიარებულნი¹⁴. აღსანიშნავია, რომ სააკაძეები ასეთნაირად მხოლოდ გიორგი სააკაძის სიკვდილის შემდეგ იწოდებოდნენ.

მართალია, სააკაძეთა საგვარეულო სამეფო კარისადმი თავისი „ერთგულებითა და თავდადებით“ სამსახურით გამოირჩეოდა, ვიდრე ბევრი მათი დროინდელი ძირძველი თავადები, რომლებმაც მეფისაგან სრულ დამოუკიდებლობას მიადრწიეს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, სააკაძეებმაც თავიანთი სამფლობელო მანაც მეფისაგან ნახევრად დამოუკიდებელ ეკონომიურ და ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულად აქციეს, თუმცა მეფეს არასოდეს ჩამოსცილებიან.

ისე, როგორც სხვა სათავადოები, სააკაძის სამფლობელოც წარმოადგენდა გარკვეულ ფეოდალურ სამყაროს თავისი სოციალურ-ეკონომიური და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სტრუქტურით. ასე, მაგალითად, სოციალურად სააკაძის სამფლობელო თავისთავად პატარა ფეოდალურ საზოგადოებას წარმოადგენდა თავისი შემადგენელი ძირითადი სოციალური ელემენტებით. კერძოდ, აქ იყო გაბატონებული კლასი — თავადი, თავადიშვილი, საერო და საეკლესიო აზნაური და ამასთან ერთად ექსპლუატირებული მასაც — ყმა გლეხობა, მსახური, ნებით მოსული, ხიზანი, ნასყიდი და სხვები. რაც შეეხება მის ეკონომიურ საფუძველს, აქაც ამ საფუძველს, სრული საკუთრება წარმოადგენდა წარმოების საშუალებებზე და არასრული საკუთრება ყმა-გლეხებზე. სააკაძეებსაც, როგორც მსხვილ ფეოდალებს, რასაკვირველია, მოპოვებული ჰქონდათ გარკვეული პოლიტიკური უფლებებიც, მაგრამ განსხვავებით სხვა თავადებისაგან მათ ეს მოიპოვეს არა სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლით, არამედ მასთან სამსახურში. მისი პოლიტიკური უფლებები კი პრაქტიკულად იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი კანონიერი მფლობელი იყო სათავადოსი და თუ იგი სამშობლოსადმი ღალატს არ ჩაიდენდა მეფეს უფლება არ ჰქონდა ჩამოერთმია საგვარეულოსათვის მოპოვებული ძალა-უფლება მის სამფლობელოზე. მეორე, სააკაძეს ჰქონდა უფლება ეწარმოებინა ბრძოლა მეზობელ თავადთან, თუკი ამას მისი სამფლობელოს ინტერესები მოითხოვდა, ან სულაც გამოსულიყო მისი სიუზერენის, მეფის წინააღმდეგ. მას, როგორც მსხვილ ფეოდალს ჰქონდა იძულებითი აპარატიც. აზნაურების მსახურთა რაზმები, რომლის საშუალებითაც იგი აწარმოებდა ბატონობას უშუალო მწარმოებლებზე. იგი თვით განაგებდა თავის სამფლობელო სასამართლო წარმოებას, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც მეფეს ან მდივანბეგს უნდა განეხილა. გიორგის უფლებები, როგორც ფეოდალის, მთლიანად მისი მამულების ფარგლებში ხორციელდებოდა და არა მის გარეთ.

¹⁴ გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 33.

სააკაძის სამფლობელოც, მსგავსად მეზობელი სათავადოებისა — ჭავჭავიშვილების, ბარათაშვილების, ციციშვილებისა და სხვების, წარმოდგენდა დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს, რომლის ეკონომიური ბაზა იყო „სახასო“ საქონელი, ანუ საერთო-საგვარეულო ქონება.

ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში ძალზე ცოტა ცნობებია შემორჩენილი სააკაძეთა საგვარეულოს მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, რაც, რასაკვირველია, დიდად ართულებს აღნიშნული მეურნეობის უფრო დეტალურად წარმოდგენის საქმეს. მიუხედავად ამისა, არსებული წყაროების საფუძველზე მაინც შეიძლება გარკვეული სურათის წარმოდგენა.

სააკაძეთა სამფლობელოში მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა მიწათმოქმედება, რომლის ყველაზე განვითარებული დარგები იყო მემინდვრეობა, მებაღეობა და მევენახეობა. მარცვლეული კულტურებიდან, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად კულტივირებული იყო ხორბალი, ქერი და შვრია. არა ნაკლები ყურადღება უნდა მიქცეოდა აგრეთვე მევენახეობასაც. მართლაც, ნასყიდობისა და წყალობის წიგნებში არაერთხელაა მოხსენიებული ვენახების დიდი ფართობები, რომლებიც სააკაძეთა მფლობელობაში აღმოჩნდნენ¹⁵. სავარაუდებელია, რომ სააკაძეთა კარზე მეღვინეთუხუცესის სპეციალური თანამდებობაც კი არსებობდა. ვახუშტი ახასიათებს რა თემის ხეობას პირდაპირ წერს, რომ „არს თქმაში ვენახ-ხილითა ნაყოფიერი“¹⁶.

მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს მესაქონლეობაც წარმოადგენდა, რაზეც არაერთი საბუთი მეტყველებს, რომლებშიც საგანგებოდაა მოხსენიებული სათიბებისა და საძოვრების შესახებ¹⁷. აღსანიშნავია ისიც, რომ სათიბ-საძოვრების სარგებლობისათვის სააკაძეებისაგან სათანადო გამოსაღებიც კი იყო შემოღებული. ასე მაგალითად, „სამლაშე“, „საბალახე“ და „სამთო“.

მეტად მწირი ცნობების გამო თითქოს ძნელდება რაიმე გარკვეულის თქმა ხელოსნობასა და ხელოსნებზე, მაგრამ გაბატონებული და კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის პირობებში შეუძლებელია, რომ მას სათანადო ადგილი არ ჰქვოდეს სააკაძეების სამფლობელოში.

თავისთავად ცხადია, რაკი ნოსტე, სააკაძეების პოლიტიკურ რეზიდენციად გადაიქცა, ჩქარა იგი ამის შესაბამისად სამეურნეო ცენტრალაც უნდა გადაქცეულიყო, რასაც, სხვათაშორის, არა მარტო სასახლის, ეკლესიისა და სხვადასხვა თავდაცვითი ნაგებობის არსებობა მოწმობს, არამედ მათ გვერდით სწორედ ის სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მთელი კომპლექსი, რომელიც საერთოდ იყო დამახასიათებელი შუა საუკუნეების მსხვილი ფეოდალის რეზიდენციისათვის.

ცნობილია, რომ შუასაუკუნეებში ფეოდალების რეზიდენცია გამაგრებული უნდა ყოფილიყო; თვით ადგილს კი სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვანაირად ირჩევდნენ. კერძოდ, გვიან შუასაუკუნეებში რეზიდენციები უნდებოდა არა მიუდგომელ მთის წვერზე, არამედ შედარებით დაბალ ადგილებში, ხეობებში, მთების ფერდობებზე¹⁸, ასე იქცევიან სააკაძეებიც: ტანას ვიწრო ხეობაში მომწყვდელი ფელდან და კიკანათბერიდან ისინი ჩამოდიან დაბლა, გამწვანებულ ადგილას — ნოსტეში. ფეოდალთა ასეთი მოქმედება, შეპირობებული

¹⁵ საქართველოს სიძველენი, ტ. II, საბ. № 35, გვ. 47; საბ. № 38, გვ. 49; საბ. № 39, გვ. 50.


¹⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 56.

¹⁷ საქართველოს სიძველენი, ტ. II, საბ. № 35, გვ. 47; საბ. № 38, გვ. 49; საბ. № 39, გვ. 50.

¹⁸ П. З а к а р а я, Древние крепости Грузии, Тб., 1969, გვ. 16, 201—203.

იყო უპირველესყოვლისა პოლიტიკური სიტუაციით. გამუდმებული საშიშროება, ყოველდღე მტრის მოლოდინი, ფეოდალებს უკარნახებდა უფრო მობილურ ტაქტიკაზე გადასვლას. თვით ფეოდალი უნდა ყოფილიყო საფეოდალოს ცენტრში, რომ მტრისათვის წინააღმდეგობა ორგანიზებულად გაეწიათ. ამავ დროს, მისი რეზიდენცია ისეთი სიმაგრე უნდა ყოფილიყო, რომ თავშესაფარად გამოდგომოდათ ქვეშევრდომებსაც.

სააკაძის სამფლობელოში ნოსტე ამ მხრივ ასეთ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. რეზიდენციისათვის შერჩეულია მთის ფერდობი, რომელიც პირით მიქცეულია შედარებით გაშლილი მიდამოებისაკენ. ამ სიმაგრით იგი თავსაც იცავდა და ამავე დროს ბატონობდა თავის სამფლობელოზე¹⁹.



სურ. 1. ნოსტე. ნასახლარის გე მა.

ნაგებობანი განლაგებულია ფერდობზე და მთის შვერილზე (სურ. 1). გალავანი რელიეფს მიჰყვება და იკეტება სამხრეთის მთის ძირას. გალავნის ჩრდილო კედლები იქ სადაც მაღალია, გამაგრებულია ნახევარწრიული კონტრაფორსებით. განიერი კიშკარი მდებარეობს დასავლეთით, საიდანაც გზა მიჰყვე-

¹⁹ ნასახლარ ნოსტეს არქეოლოგიურ შესწავლას აწარმოებდა 1965 და 1967 წლებში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური პერიოდის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილება პროფ. პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. ექსპედიციაში ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ: ლ. კილაშვილი, ი. კიკვიძე, ვ. ლეჭენაძე, რ. დოლაბერიძე და მ. იაშვილი.

ექსპედიციის მონაპოვარი მთლიანად დასამუშავებლად გადმოემცა მე.

ბა ფერდობს და ჩადის მოშორებით დაბლა. გალავნის ზედა მონაკვეთი არ შერჩენილა.

ნოსტეში გათხრების დაწყებამდე ჩანდა მხოლოდ კოშკი და ნაწილობრივ გალავანი, ხოლო გათხრებმა გამოავლინეს ციხე-დარბაზისათვის დამახასიათებელი მრავალი ნაგებობა. ასეთებიდან აღსანიშნავია: სასახლე, სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლები, აბანო, საჯინიბე და სხვა. ხოლო რაც შეეხება ციხე-დარბაზისათვის აუცილებელ ე. წ. კარის ეკლესიას, იგი მდებარეობს იქვე ახლოს, დასავლეთით ხევგალმა 300-იოდე მეტრზე.

ნოსტეს ანსამბლის განხილვა უნდა დავიწყოთ კოშკიდან (სურ. 4, ტაბ. Iა). იგი წარმოადგენს ანსამბლის კომპოზიციის ცენტრს და ჰქმნის დამახასიათებელ, შთაბეჭდვად სილუეტს, ასე ჩანს დღევანდელ ნანგრევებში.

პირამიდული კოშკი ექვსსართულიანია. მისი ერთადერთი შესასვლელი მეორე სართულზეა ფერდობის სამხრეთის მხრიდან. ხის კოკოვანი სართულშუა გადახურვა არსად არ შერჩენილა (იყო მხოლოდ დამწვარი კოჭების ნაშთები).

პირველი სართული ყრუ კედლებით, დამხმარე იყო. მეორე, მესამე და მეოთხე სართულები კი — თავდაცვითი. მათ კედლებში განლაგებულია თითო-ოროლა ცალმაგი სათოფე. მეხუთე სართულის კედლები უფრო რთულია. ოთხივე კედლის ცენტრში სარკმლის მაგვარი მოზრდილი ხვრელებია, რომელთა ქვედა თაროებზე მოთავსებულია ძირს დახრილი სათოფეები. უკანასკნელი სართული (მეექვსე) კი მაღალი კედლებით შემოფარგლული ბანი ყოფილა. კედლების ცენტრები მოკავებული აქვს სწორკუთხად შვერილ, მოზრდილ სალოდებებს. კოშკი ნაგებია ყორე ქვით. ფასადები მოსწორებულია, ხოლო კედლები შიგნიდან შელესილი ყოფილა.

კოშკი უთარიღოა, მას არც წარწერა აქვს და არც ისტორიულ წყაროებში იხსენიება. ანალოგიების მიხედვით კი იგი ნოსტეში რეზიდენციის გაჩენის დროისა ჩანს. ამაზე უპირველესყოვლისა მიუთითებს კოშკის პირამიდული ფორმა, სწორკუთხა შვერილი სალოდებები და სათოფეები. როგორც ცნობილია, ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების პირველხანებში კეთდებოდა მარტივი ფორმის სათოფეები. მათი რაოდენობაც ცოტა იყო. კოშკი მიახლოებით ანალოგიებს პოულობს ქართლის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა გვეძინეთი²⁰, კოდისწყარო²¹, დიდი ატენი და სხვა.

ანსამბლის ნაგებობებში გამოირჩევა სასახლე (სურ. 2, ტაბ. Iბ). იგი მდებარეობს გალავნის შიგნით სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში, ჰიშკართან ახლოს. სასახლე ორსართულიანი ყოფილა, დარჩენილია პირველი სართული და მეორე სართულის მცირე ფრაგმენტი.

პირველი სართული შედგება დიდი დარბაზისა და ორი ოთახისაგან. დარბაზი შეჭრილია ფერდობში. ოთახები გამოდის საერთო ეზოში.

სასახლის ქვედა სართული, როგორც ეტყობა წარმოადგენდა დამხმარეს, ხოლო მეორე სართულზე იქნებოდა საცხოვრებელი და მისაღები დარბაზები. პირველი სართულის წინა მხარეს, ჩრდილოეთით, ხის აივანი უნდა ყოფილიყო. რაზედაც მიგვითითებს შვერილი კედლის ნაშთი ცალმხარეს. აივნიდან შემსვლელი მოხვდებოდა განიერ ტალანში. ტალანი მიემართება დარბაზის კარისა-

²⁰ П. З а к а р а я, Древние крепости Грузии, гв. 199—200, 216—220.


²¹ П. З а к а р а я, Крепостные сооружения Картли, Тб., 1968, гв. 34—37.




ა. ნოსტე, კოშკი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.



ბ. ნოსტე. სასახლე ჩრდილო-დასავლეთიდან.




ა. ნოსტე. კოშკის ჩრდილოეთით მდგარი შენობა



ბ. ნოსტე. სახლი აბაზანით.

კენ, ხოლო გვერდებზე თითო კარით მოხვდებოდა წინა ოთახებში. ამ ორივე ოთახს თითო ბუხარი აქვს. ოთახებიდან აღმოსავლეთით ერთი დიდი და ერთი პატარა ხარო ყოფილა მოთავსებული. სასახლის მთავარი ნაწილი, რომელიც ამჟამად დიდ დარბაზად გამოიყურება, თავის დროზე ასე არ იქნებოდა. იგი გრძელი და განიერია (11,2—13,4 მ). მის გადახურვას სვეტები ორრიგად მაინც დას-



სურ. 2. კოშკი. სასახლე და საცხოვრებელი სახლები.

პირდებოდა. ეს სვეტები ხისა უნდა ყოფილიყო. ნაშთი არ შემორჩენილა. სვეტებზე ზემოდან კი გასდებდნენ კოჭებს. გადახურვის ასეთი კონსტრუქცია ნორმალურია იმ დროისათვის. ამ დიდი სათავსის კედლებში ამჟამად მხოლოდ სამი ნიშა ჩანს.

გვიანსაუკუნეების ფეოდალთა რეზიდენციებში, თითქმის ყველგან არის სასახლის ნანგრევები. სამწუხაროდ, არცერთ მათგანს თავდაპირველი სახით არ მოუღწევია. რამდენადაც დღეს ამის გარკვევა შეიძლება, სასახლეები ძირითადად შენდებოდა ერთი ან ორსართულიანი. ორსართულიანი სასახლეების მაგალითები შეიძლება ვნახოთ ქსნის ერისთავებისა ახალგორში²² და სხვადასხვა ფეოდალებისა — ყორბისში²³, ტბისში²⁴, საბუეში²⁵, ფორქალისში²⁶ და სხვაგან.

აქ ჩამოთვლილი ყველა სასახლის, ნოსტეს მსგავსად, პირველი სართული დამხმარეა, ხოლო მეორე სართული საცხოვრებელი ოთახებისა და დარბაზების განლაგებას წარმოადგენს. ჩვეულებრივად პირველი სართულები ნაკლებადაა

²² П. Закарая. Крепостные сооружения Картли. გვ. 94, სურ. 28.

²³ იქვე, გვ. 177.

²⁴ პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, XVI—XVIII საუკუნეების სასახლეები, საბ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. 24-ბ, 1963, გვ. 132, სურ. 20.

²⁵ იქვე, გვ. 134, სურ. 21.

²⁶ იქვე, გვ. 136, სურ. 22.

7. „მ ა ც ე ა“, ისტორიის... სერია, 1973, № 1.

განათებული, რადგან საშიშროების გამო ერიდებოდნენ ფანჯრების დიდი რაოდენობით დატანებას. მეორე სართულს კი სარკმლები ბლომად აქვს და საკმაოდ დიდი ზომისაც.

მე-16—18 საუკუნეები სასახლეების ცუდი დაცულობის გამო მათ შიდა კედლებზე ფრესკული მხატვრობის კვალი არსად არ არის შერჩენილი, ხოლო კედლები რომ შიგნით შელესილი იყო, ამის დადგენა არსებული ნაშთების მიხედვით ყველგან ხერხდება.

გალავნის შიგნით არსებული საცხოვრებელი ნაგებობებიდან სხვებზე მასიური და კაპიტალურია კოშკის ქვემოთ, ჩრდილოეთ მხარეს მდგარი შენობა (სურ. 1, შენობა გ, ტაბ. IIა). ამ ორსართულიანი ნაგებობის მეორე სართულიდან სულ მცირე ფრაგმენტი იყო დარჩენილი, ხოლო გათხრების შედეგად პირველი სართული რთული ფორმებით წარმოგვიდგა. აქ სულ მცირე ოთხი სამშენებლო ფენა მაინც ჩანს. სასახლის აგებამდე აღმოსავლეთის მხარეს ყოფილა მხოლოდ კოშკის კუთხიდან გამომავალი გალავანი. შემდეგ ამ გალავანზე მიდგმით აქ აუცილებელია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, თითო სართულში ორ-ორი მონაკვეთით.

პირველი სართულის იატაკის გაწმენდამ გამოავლინა ძველი მარნის ნაშთი. ამ მარნის გაბარიტები არ დგინდება, მაგრამ დიდი ზომის სამი ქვევერი ახლაც მიწაშია. ქვევრებს თავები მომტვრეული აქვს.

შენობის პირველი სართული დამხმარე, სამეურნეო დანიშნულებისა ყოფილა. აღმოსავლეთის მონაკვეთი საშუალო ზომის ოთხკუთხა სათავსია, რომელსაც სარკმელი ჩრდილოეთით, ფერდობისაკენ აქვს. სარკმლის ხვრელები მალაა აშვებრილი. ეს გვიანი საუკუნეებისათვის ჩვეულებრივი გადაწყვეტაა, რომ გარედან მტრის მიერ ნასროლი ტყვია ჭერს მოხვედროდა და არა შიგ მდგომს. სათავსის კედლებს შორის სწორკუთხა ნიშა, მოთავსებულია სამხრეთის კედელში გვერდი-გვერდ. ხოლო აღმოსავლეთით დიდი ნიშაა საკმაოდ ღრმა საიდუმლო „ჯიბით“.

ამ სართულის მეორე სათავსი ორჯერ აღემატება პირველს. მის კედლებში ჩანს თითო პატარა სწორკუთხა ნიშა აღმოსავლეთით და სამხრეთით, ხოლო განაპირა ჩრდილოეთის კედელი საკმაოდ გადატვირთულია. ცენტრი მოკავებული აქვს განიერ და დიდი ზომის ბუხარს. მის მარცხნივ მაღალი ნიშაა, მარჯვნივ კი სარკმელი, ისევე ზემოთ აწეული თავით. ამ სათავსს შემოსასვლელი დასავლეთით აქვს. ამავე სათავსიდან ხდებოდა შესვლა აღმოსავლეთით მდებარე შენობაში.

ამ სახლის მეორე სართულიდან გადარჩენილია სამხრეთის კედლის მცირე ფრაგმენტი და იქვე მდებარე კარის კუთხე. ამ სართულზე მონაცემების უქონლობის გამო, სხვა არაფრის თქმა არ ხერხდება.

ეს საცხოვრებელი სახლი შესამჩნევად დაზიანებულია. პირველი სართულის დარბაზში აღმდგენელს დასავლეთის მონაკვეთი კედლით გამოუყვანია და ბუხარი შესამჩნევად დაუპატარავებია, ცენტრში კი აგურით მოზრდილი თონე აუგია.

იმავე პერიოდში უნდა მომხდარიყო შენობის გაზრდა. შენობის მთელ სიგრძეზე, დასავლეთით მიუდგამთ გრძელი სათავსი, რომელსაც საკუთარი

ბუხარი სამხრეთით აქვს. ეტყობა, იმავე დროს ამ ახალი მინაშენის შესასვლელი შემოუზღუდავთ. ჩანს სამხრეთით გალავნის კვალი, ხოლო ჩრდილოეთით ორი მცირე სათავსი შუაში ღარიტ, ეზოდან გალავნის გარეთ წყლის გასაყვანად. განხილული შენობა ნაგებია კაპიტალურად, ყორე ქვით, კირის სქელ დულაბზე. პირველი სართულის იატაკი აგურით ყოფილა მოფენილი, ხოლო სართულშუა გადახურვა ხის იყო, კოჭებზე გაწყობილი. განათხარი მასალით თუ ვიმსჯელებთ, შენობა კრამიტით ყოფილა გადახურული.

ნოსტეში მშენებლობის პირველ ეტაპს მიეკუთვნება აგრეთვე კოშკზე დასავლეთით მიდგმული გრძელი შენობა. სამწუხაროდ, ამ შენობამაც ძალზე დაზიანებულმა შოაღწია ჩვენამდე. გათხრებმა კი მხოლოდ პირველი სართულის გადაწყვეტაზე მოგვცა ზოგადი წარმოდგენა (სურ. 2). ამჟამად ჩანს მშენებლობის ორი პერიოდი. თავდაპირველად აქ მდგარა ორსართულიანი სახლი სიგრძეზე განლაგებული ოთახებით. პირველი ფენიდან გადარჩენილია ქვედა სართულში ორი ოთახი და სამხრეთ-დასავლეთისკენ, საყრდენი კედელი. მეორე სართულიდან კი სამხრეთით გრძელი კედლის მცირე ფრაგმენტებია დარჩენილი. შენობა შეჭრილია ფერდობში, მისი პირველი სართულის სამხრეთის კედელი ამავე დროს შენობის საყრდენსაც წარმოადგენდა. წინა შენობის მსგავსად აქაც პირველი სართული დამხმარე დანიშნულების ყოფილა. მეორე ალბათ საცხოვრებლად იქნებოდა განკუთვნილი.

შენობის ის ოთახი, რომელიც კოშკზეა მიდგმული გეგმით თითქმის კვადრატულია. მისი ერთადერთი კარი მდებარეობს ჩრდილოეთ მხარეს. კარის გვერდით ნახევარწრიული გეგმის მქონე მეორე ბუხარია. ორ-ორი ნიშა კი მდებარეობს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებში — ნიშები დიდი ზომისაა, სწორკუთხა. სათავსის იატაკში მოზრდილი თონე იყო ჩადგმული, წინ კი აივანი ყოფილა. მათ გვერდებიდან კედლები შემოზღუდავს, ხოლო გარე მხრიდან ღიაა. დაახლოებით ანალოგიური გადაწყვეტა აქვს დასავლეთით მდებარე მომდევნო ოთახს. ეს სათავსი ოდნავ პატარაა აღწერილზე. ბუხარი ისევ ჩრდილოეთით, შემოსასვლელთან არის მოწყობილი. მის გვერდით კი ნიშა ყოფილა, რომელიც იატაკიდან იწყება. ორი მოზრდილი სწორკუთხა ნიშა კი მდებარეობს დასავლეთ კედელში. ორივე სათავსის ნიშებში თავდაპირველად განჩინები იქნებოდა მოთავსებული.


მეორე სართულის ფრაგმენტებით ირკვევა მხოლოდ, რომ ოთახების განლაგება, ქვედა სართულისას იმეორებდა. სართულშუა გადახურვა აქაც ხისა ყოფილა, კოჭოვანი.

შენობა თავდაპირველად გრძელდებოდა სასახლემდე, მაგრამ ეს მონაკვეთი რომელიღაც დროს დანგრეულა. შემდეგ გეგმა იმავე მოხაზულობით აღუდგენიათ, მაგრამ არა კაპიტალურად. თავდაპირველი შენობა კირის დულაბზეა აშენებული, აღდგენილი — თიხის ხსნარზე. ამ ახალი ოროთახიანი სათავსის კედლები დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლემდეა შემორჩენილი, მეორე სართული შეიძლება ამ აღდგენით ნაწილში არ ყოფილიყო. არსებულ ორ ოთახს ერთი კარი ჩრდილოეთით აქვს, სხვების მსგავსად, ხოლო მეორე კარი ჰქონია სასახლის მხარეს, რომელიც შემდეგ ამოუქოლავთ. ოთახები ურთიერთდაკავშირებული ყოფილა გამყოფკედელში მოთავსებული კარით.

განხილული სახლის პირველ ფენას კომპაქტური გეგმა და ორიგინალურად გადაწყვეტა აქვს. მისი მშენებელი ეტყობა გამოცდილი არქიტექტორი იყო. სამწუხაროდ, მას ანალოგიები არ მოეპოვება.

სასახლის დანარჩენ ტერიტორიაზე გათხრილი ნაგებობებიდან აღსანიშნავია სახლი — აბაზანით (სურ. 3, ტაბ. 4/ე.). იგი მდებარეობს კოშკის აღმოსავლეთით, ნასოფლარის განაპირას. ნაგებობა დაზიანებულია და არ იკითხება მთლიანად. გათხრის შედეგად გაირკვა, რომ აქ ყოფილა მოზრდილი სათავსი, მიღებული აბაზანით. სათავსი სამხრეთის კედლით ფერდობშია შეჭრილი და სიმალით ორ მეტრამდეა დარჩენილი. მისი გეგმა კვადრატს მიახლოებულია და სხვა შენობასთან დაკავშირებული არ ყოფილა. კარი ჩრდილოეთიდან, ფერდობის მხარეს აქვს. შიგნით კედლებში ერთი ბუხარი და ნიშვბია განლაგებული. ამ თაღოვანი ნიშებიდან, სამი მოთავსებულია ჩრდილოეთის კედელში, ხოლო ერთი აღმოსავლეთის კედელში. იქვეა ბუხარი, რომლის წრიული მოხაზულობის ზურგი კედლის გარეთ გამოდის ისე, როგორც ეს სხვა შენობებშიც ვნახეთ. ამ ნაგებობასაც ხის გადახურვა ჰქონია.

აბაზანა ამ სათავსთან ერთად იყო დაგეგმილი. მას მოკავეებული აქვს შენობის დასავლეთი მონაკვეთი. კედლები გადარჩენილია ნაწილობრივ. ჩანს მოზრდილი აბაზანა, რომლის ქვის კედლები სიმალით 40 სმ არ აღწევს. ჩრდილო-სამხრეთ კედელთან კუთხეებში ორი ქვის საყრდენია, რომელზედაც წამოსაწოლად ფიცრები ყოფილა გადებული. შენობის აღმოსავლეთ კედელში



სურ. 3. სახლი აბაზანით.

მოზრდილი ბუხარია, რომლის წრიული ზურგი ოთახში გამოდის. აი ამ ბუხარში, ალბათ ქვებით წყალი ცხელდებოდა. თვით აბაზანის ჩაღრმავება კარგად მოზრდილი 2,0—1,5 მ ზომისაა. წყალი როგორ შემოდისა აბაზანაში არ ჩანს კედლების დანგრევის გამო, ხოლო აბაზანის ჩაღრმავებიდან წყალი კერამიკული მილებით მიდიოდა ფერდობისაკენ. აბაზანის კედელი დასავლეთით და ჩრდილოეთით არ შემორჩენილა. ლოგიკურად აბაზანის წინა ნაწილი დახურუ-

ლად უნდა დაკავშირებოდა თვით გვერდით მდებარე სათავსს. თავის დროზე ალბათ ასე იქნებოდა, მაგრამ ჩვენამდე ვერ მოაღწია.

გიორგი სააკაძეს დიდხანს არ მოუხდა თავის რეზიდენციაში ყოფნა, ხოლო როდესაც იყო მაშინაც მოუსვენრად გრძნობდა თავს. სხვა ფეოდალებით მას არ მისცემია საშუალება აეგო კაპიტალური აბანო. მისი დროის სხვა ფეოდალები — ქსნის ერისთავები — ახალგორში, ამილახვრები — ქვემოქალაქში²⁷, ციციშვილები — მძოვრეთში და სხვები, სასახლის გვერდით აგებენ აბანოს. გიორგი სააკაძეს და მის მემკვიდრეებს რომ დასცლოდათ, ალბათ აქაც დაგვხვდებოდა ამ ეპოქაში გავრცელებული აბანოების ერთ-ერთი სახე.

განხილულ აბაზანასა და კოშკს შორის გაითხარა კიდევ რამდენიმე ნაგებობის ნაშთი. აქედან ჩვენთვის საინტერესოა სამოთახიანი სახლი. ამათგან ორ დიდ ოთახს სამხრეთ დასავლეთის კუთხე უჭირავთ, ხოლო მცირე ოთახი მასზე აღმოსავლეთითაა მიდგმული (სურ. 1, შენობა ე). ამ ოთახის კედლები ერთ მეტრამდეა შემორჩენილი. აქ დარჩენილ კედლებში ჩანს მხოლოდ კარები ჩრდილოეთით და მცირე ოთახში ბუხარი, სამხრეთით მდებარე უკანა კედელში დიდი ოთახის წინ საკმაოდ დიდი ზომის ხაროა, მისი პირი ამოშენებულია ოლილი ქვით. შენობის ეს მონაკვეთიც კედლებით ყოფილა შემოზღუდული, ახლა მხოლოდ დასავლეთის კედლის მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი.

ერთი მოზრდილი ოთახი, ტრაპეციული გეგმით, გაითხარა სასახლის აღმოსავლეთით 70-ოდე მეტრზე. გადარჩენილია ისიც ნაწილობრივ სამი კედლით, მეოთხე აღმოსავლეთისა კი — მორღვეულია (სურ. 1, შენობა ზ). ამ ნაშთების მიხედვით ირკვევა მხოლოდ, რომ კარი ყოფილა ჩრდილოეთით. შენობის დარღვევის შემდეგ იქვე ჩრდილო-დასავლეთით, სხვა შენობა აუგიათ. მისი გაბარიტებიც არ ირკვევა დასავლეთის მონაკვეთის მორღვევის გამო. კიდევ ერთი შენობა გაითხარა სამხრეთით, ფერდობის ძირას (სურ. 1, შენობა თ). იგი რომელიდაცა საცხოვრებელი სახლის ნანგრევზეა აგებული, რადგან იქვე დარჩენილია იმ შენობის ძირი.

ამ შენობის გეგმა თითქმის კვადრატულია. კედლები ფერდობისაკენ ორ მეტრამდეა შერჩენილი, ხოლო მოპირდაპირე მხარეს ნახევარ მეტრს არ აღემატება. ნაშთებით ირკვევა, რომ მას კარი ჩრდილოეთით ჰქონია, ხოლო მოპირდაპირე კედლის ცენტრში ბუხარია, რომლის გვერდებზეც სწორკუთხა მაღალი თითო ნიშაა განლაგებული. შენობის კედლები სხვების მსგავსად აქაც ყორე ქვითაა ნაგები. გადახურვის კვალიც არ ჩანს, შესაძლოა ბანური იყო.

როგორც აღრევე აღვნიშნეთ, ნოსტეს ნასახლარის მთელი ტერიტორია არ გათხრილა. ორი კამპანიის დროს მოესწრო მხოლოდ ძირითადი ობიექტებისა და ცენტრალური ნაწილის გათხრა. ზემოგანხილულის გარდა აღმოჩნდა სხვა ნაგებობათა კედლების ნაშთები, მაგრამ არამეტყველი, ამიტომ მათ არ განვიხილავთ.



²⁷ შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1971, გვ. 378, სურ. 60, გვ. 380.

გალავნის გარეთ გაიწმინდა კიდეც ორი ნაგებობის ნაშთი. პირველი მათგანი მდებარეობს გალავნის ჩრდილო-დასავლეთით, მეორე კი სამხრეთ-დასავლეთით.

გალავნის გვერდით, მცირე ხევის ვალმა მდგარი ნაგებობის ნაშთს ადგილობრივნი „ბატონების საჯინბეს“ ეძახიან (სურ. 1, შენობა ი). ნაგებობის კედლები სიმაღლით 1—1,5 მეტრამდეა შერჩენილი. ამ ნაგებობის გეგმა გრძელი სამკუთხედიანია (გარე ზომები — 11,2—13,3 მ). მის კედლებში ჩანს მხოლოდ კარი ჩრდილოეთით. ეს კარი ჩვეულებრივ საცხოვრებელი სახლის კარზე განიერია (1,30 მ), ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი მართლაც საჯინბესათვის საჭირო განიერი შესასვლელია.

შენობის კედლები ამოყვანილია ამ ნასახლარისათვის დამახასიათებელი ყორე ქვით.

ნასოფლარის სამხრეთ-დასავლეთის განაპირას დგას რომელიღაც ნაგებობის ნანგრევები. ადგილობრივნი მას „ფურნეს“ ეძახიან. ნაშთით ირკვევა, რომ წრიული გეგმის ორი სათავსი ერთმანეთზეა მიდგმული და მათ საერთო კედელი აქვთ. ნაგებობებს თავები მორღვეული აქვთ, მაგრამ დარჩენილი კედლე-



სურ. 4. ნოსტე. სამების ეკლესია.

ბით შეიძლება დაეადგინოთ, რომ ისინი ზემოთკენ ვიწროვდებოდნენ. ერთი მათგანის დიამეტრია 1,35 მ, მეორისა კი — 2,85 მ. ფორმით ესენი უახლოვდებიან ხაროებს. არ არის გამორიცხული, რომ ეს მართლაც ხაროები ყოფილიყო, მხოლოდ ჩვეულებრივისაგან იმ განსხვავებით, რომ მათ მიწის ზემოთ

თითქმის ორ მეტრამდე ჰქონდათ თავი ამოშვერილი. არ არის გამორიცხული, რომ ამ ნაგებობასთან იყო დაკავშირებული საცხოვრო-სახაბაზო. თუ ეს ასე იყო, მაშინ ადგილობრივ შერჩენილ სახელს — „ფურნე“-ს მოეძებნება გამართლება (სახაბაზო-თანე, თანამედროვეთათვის ფურნე).

ტიპური ხარო მდებარეობს იქვე ახლოს ჩრდილოეთით. იგი დიდაა. მისი სიღრმე სამ მეტრს აღემატება და მთლიანად ქვითაა ამოყვანილი. ამ ნასახლარზე ხაროს ხშირად იყენებდნენ. დანარჩენ ხაროებს ქვით მხოლოდ თავი აქვთ ამოყვანილი, ეს კი მთლიანად ქვის კედლებითაა ნაგები.

ნოსტეს დასახლების ადგილზე წყარო არ ჰქონია, მაგრამ უწყლოდ ხომ არ იქნებოდნენ. ცხადია, წყლის მოძიება დასახლებისათვის, ადგილის შერჩევის თანადროულად მოხდებოდა.

დასახლებისათვის შერჩეული ადგილი, როგორც აღვნიშნეთ, მთის ფერდობზეა. ამ მთას ორივე მხრიდან ხევი ჩამოუდის. დასავლეთის წყლიანია, მეორე კი მშრალი. დასავლეთით ხევის პატარა მდინარე ნოსტურა ჩამოუდის. მისი სათავე არც ისე შორსაა, მაგრამ რელიეფი რთულია, მაღალი კლდიდან ვარდება წყალი. ცხადია, წყაროს მაღლიდან ვერ გამოიყვანდნენ და სადღაც ამ წყალვარდნილის ძირში გააკეთებდნენ სათავეს. საქმე იმაშია, რომ ადგილობრივებმა გვიჩვენეს წყალსადენის მიღების აღმოჩენის ადგილები. იგი მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა და ადიდებულ წყალს წაუღია, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ ნასახლარის ტერიტორიას, აქ კი ექსპედიციამ რამდენიმე ადგილას მიაგნო ტრასას. გაირკვა, რომ წყალსადენი მარტივად იყო გადაწყვეტილი. კერამიკული მილები პირდაპირ მიწაში ჩაულაგებიათ (მილის ზომები: სიგრძე — 50 სმ. თავის დიამეტრი — 15 სმ, ბოლოს დიამეტრი — 10 სმ).

მეორე წყალსადენი კი კაპიტალური ნაგებობაა, რაც გამოწვეული იყო ტრასის სირთულით.

აღმოსავლეთით დაახლოებით ერთი კილომეტრის დაცილებით, მცირე დებიტის მქონე წყაროს წყალია. იქვე სათავე დიდი ქვებით და დულაბით ამოუყვანიათ. ასევეა გადაწყვეტილი ტრასაც. გზა ისეთი რთული იყო, რომ აქ უბრალოდ კერამიკული მილების მიწაში ჩაწყობა არ გამოვიდოდა. ტრასისათვის სპეციალური თხრილი გაუკეთებიათ. თხრილის ძირზე და გვერდებზე ბრტყელი ფილებია ჩამოწყობილი და შუაში დულაბია ჩასხმული. კერამიკული მილები სწორედ ამ დულაბშია ჩაფლული. ასე კაპიტალურად ნაგები წყალსადენი ცხადია, უფრო საიმედო იყო.

ორი მხრიდან შემოსული წყალი, ალბათ, ამ მცირე დასახლებას დააკმაყოფილებდა.

ნასოფლარის დასავლეთის განაპირას მაღალი გორის ძირას ადგილობრივნი მიგვითითებდნენ ერთ ჩაღრმავებაზე, რომელსაც გვირახს ეძახდნენ. გათხრის შედეგად ბევრი არაფერი გაირკვა. აქ აღმოჩნდა გვირახის მაგვარი ნაგებობა, შემდგარი ორი შტოსაგან. ერთი მათგანი, მარჯვენა, ერთი მეტრის შემდეგ შეწყდა. შიგ არაფერი არ იყო, ხოლო მარცხენა გაგრძელდა ორიოდ მეტრამდე და შეუერთდა ხელოვნურად ნაგებ ტალანს. აქ ტალანი 1,5 მ სიღრმისაა. სამიოდ მეტრზე ის მკვეთრად უხვევს მარცხნივ, ნელ-ნელა ნიადაგი მაღლდება და 5—6 მეტრის იქით საერთოდ იკარგება. როგორც ეტყობა, გვირახში აქედან იყო შესასვლელი. თავში ტალანი კოჭებით იქნებოდა გადახურული, შემდეგ კი ქვით გადახურული გვირახი იყო. გვირახში ნივთები არ აღმოჩენილა.

იქვე ჩრდილოეთით ათიოდე მეტრზე კიდევ ერთი ნაგებობის ნაშთი გაითხარა. შერჩენილი სამი კედლისა და ქვის ფილების იატაკის მიხედვით იგი საცხოვრებელი სახლი უნდა ყოფილიყო.

იმავე გორის დასავლეთის ფერდობზე, ხევის პირას გამოვლინდა მცირე ეკლესიის ნაშთი. ფაქტიურად გადარჩენილია ეკლესიის ჩრდილო კედლისა და აფსიდის საძირკველი. დგინდება მხოლოდ მისი გეგმის მოხაზულობა (ზომით 6,8, 4,4 მ). ერთი ორნამენტიანი ფრაგმენტის მიხედვით ეკლესია თარიღდება მე-II საუკუნით. ცხადია, ამ ეკლესიის მე-II საუკუნეში არსებობა, თავისთავად ადრე აქ რაღაც დასახლებაზე მიუთითებს, მაგრამ იმ პერიოდის სხვა არაფერი გვიპოვნია.

ფეოდალს, დიდი იყო ის თუ პატარა, თავისი სამლოცველო, კარის ეკლესია უნდა ჰქონოდა. ასეთს სააკაძეებისთვის წარმოადგენდა ნასახლარის სამხრეთ-დასავლეთით, ნოსტურას გაღმა მაღალ გორაკზე მდგარი ეკლესიები. ერთი მათგანი „სამების“ სახელს ატარებს (სურ. 4) და რამდენიმეჯერაა გადაკეთებული, ხოლო მეორე „ღვთისმშობლის“ სახელობისაა, ერთი ფენით წარმოადგენილი. „სამების“ ყველა ფენა თავსდება მე-16—18 საუკუნეებში.

თავდაპირველად აქ მდგარა მოზრდილი დარბაზული ეკლესია. იგი რაღაც მიზეზით დანგრეულა, მისგან გადარჩენილია მხოლოდ სამხრეთის კედელი, ისიც ნაწილობრივ. როგორც ეტყობა ეკლესია მალე აღუდგენიათ, მხოლოდ სხვა მასშტაბით და გამარტივებული სახით.

ეკლესიის აბრისი არ შეუცვლიათ, მხოლოდ დასავლეთით მცირედ დაუმოკლებიათ. თავდაპირველი ეკლესიის სამხრეთის კედელი თაღებითაა დამუშავებული. მოპირდაპირე კედლის აღდგენის დროს თაღების ეს კომპოზიცია არ გაუმეორებიათ. იმავე დროს აფსიდიც ცოტათი დაუვიწროვებიათ. შიგნით ეს გადაკეთება ვერაა ზუსტად შესრულებული, ხოლო გარედან უკეთაა გადაწყვეტილი. საკურთხევლის მონაკვეთი გარედან ორივე მხრიდან კონტადაა შეწყული. დარბაზის გადახურ კამარასაც არა აქვს ზუსტი მოხაზულობა.

აღდგენილი ეკლესიის შიდა კედლები მთლიანად ფრესკული მხატვრობით დაუფარავთ. ახლა მხატვრობიდან მცირე, მაგრამ საინტერესო ფრაგმენტებია გადარჩენილი. ადგილობრივნი ყვებიან, რომ სამხრეთის კედელზე ცხენოსანი გიორგი სააკაძე ეხატაო. ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან ფრესკის ფრაგმენტები სწორედ მე-17 საუკუნეზე მიგვითითებს.

ამ საუკუნის დასაწყისში ეკლესია, „წესრიგში“ მოყვანის მიზნით, შეუღესიათ. სწორედ ამ ნაღესობის ქვეშ საკმაოდ ბლომად უნდა იყოს მხატვრობის ნარჩენები. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ საკურთხეველში მდგარი ტრაპეზის ორი ქვაც მოხატული ყოფილა. ორნამენტოვანი არშიების ფრაგმენტები აქა-იქ ახლაცაა.

ეკლესიის შიდა სივრცე ნათლებოდა თითო სარკმლით ყოველი მხრიდან, გარდა ჩრდილოეთისა. ეკლესიის მცირე ფენას სამხრეთით და დასავლეთით ჰქონია შესასვლელი. ამათგან დასავლეთისა გვიან ამოუქოლავთ.

ეკლესიის მეორე ფენის აგების დროს სამხრეთით და დასავლეთით პატარა სამლოცველოები გაჩენილა, ე. ი. არსებული ეკლესია ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას.

ჩრდილოეთით მიდგმული სამლოცველო ეკლესიაზე მოკლეა. იგი კარით უკავშირდებოდა ძირითად ნაგებობას. ამ მინაშენის დაზიანების გამო მისთვის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში ბურჯი მიუშენებიათ. ამჟამად მინაშენი ბურჯიანად დანგრეულია და საძირკვლები ჩანს მხოლოდ.

სამხრეთის მხარეს ეკლესია და კარიბჭეა. მინაშენი ეკლესია მცირე ზომისაა მასში შესასვლელი კარიბჭიდანაა, ხოლო სარკმელი მხოლოდ აფსიდშია.

კარიბჭე კომპოზიციით შუა ფეოდალურ ხანისას იმეორებს — შუაზე აწეული და გვერდებზე თითო ქანობიანი სახურავით. კარიბჭეში შესასვლელი ორი თალითაა დამუშავებული. შუაზე მდებარე კოლონა ვერაა მაღალი ოსტატობის მაჩვენებელი.

ეკლესია მთლიანად ნაგებია ადგილობრივი ფლეთილი ქვით. ამჟამად გადასურულია კრამიტით. კარნიში ფლეთილი ქვის ერთი რიგითაა შედგენილი.

იქვე სამხრეთ-აღმოსავლეთით ათიოდე მეტრზე მდებარე ეკლესიის გადახურვა მთლიანად ჩანგრეულია. დარჩენილის მიხედვით ირკვევა, რომ ეკლესია მოზრდილ დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენდა. შესასვლელი მხოლოდ დასავლეთიდან იყო. სარკმელი კი თითოა აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. აფსიდის გვერდებზე თითო ნიშია, რომელთაც სარკმლის მსგავსად შეისრული ფორმის გადახურვა აქვს.

ეკლესია სადათაა ნაგები. მას განსაკუთრებული არაფერი აქვს, უპრეტენზიო ნაგებობაა. ნაგებია ადგილობრივი ფლეთილი ქვით. ეკლესიის შიდა კედლები შელესილი კი ყოფილა, მაგრამ მოხატული იყო თუ არა არ ჩანს. ამ ეკლესიას ზუსტად დამათარიღებელი დეტალები არ გააჩნია, მაგრამ საერთო ნიშნებით, ანალოგიების მიხედვით მე-17 საუკ. შეიძლება დაეთარიღოს.

ნოსტეს ნასახლარზე ამით მთავრდება ნაგებ-ნაშენის განხილვა. სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ. ძალიან ცოტაა გადარჩენილი იმისგან, რაც სააკაძეების აქ ყოფნის დროს უნდა ყოფილიყო.

აქვე უნდა შევეხოთ ნოსტეს გარემოს. სააკაძის აქ დასახლებას უნდა მოჰყოლოდა ამ მიდამოების აღმავლობაც. საქმე იმაში გახლავთ, რომ ფეოდალი საფეოდალოს გარეშე არ არსებობს, ახალი ცენტრის გაჩენის შემდეგ სააკაძეების კუთვნილი ახლო მდებარე სოფლები მოლონიერდებოდა და უფრო ხალხმრავალი გახდებოდა. სწორედ ახალი სოფლების გაჩენაზე მიგვიითითებს ნოსტედან სამიოდე კილომეტრის რადიუსით იმავე ეპოქის ეკლესიებისა და ნასოფლარების არსებობა. ამთვან რამდენიმეს აქვე განვიხილავთ. ნოსტეს დასავლეთით ორიოდე კილომეტრზე მდებარეობს ნასოფლარი ოძისი. მისი მცხოვრებნი ამ ასიოდე წლის წინათ გადასახლებულან ქსნის ხეობაში, სადაც დღესაცაა სოფ. ოძისი. თვით ნასოფლარიდან მცირე ნაშთებია დარჩენილი, მაგრამ ეკლესიის ნანგრევი კი საკმაოდ დიდია.

ეს მოზრდილი ეკლესია სამნაეიან ბაზილიკას წარმოადგენს. მისი გეგმა უსწოროთხეხილია ჩასმული აღმოსავლეთით შევრილი აფსიდით.

ეკლესიის შიდა გადაწყვეტა ტიპური სამნავიანი ნაგებობისაა. შიდა სივრცე შესდგება ცენტრალური განიერი ნავისაგან და გვერდითი ვიწრო ნაგებობისაგან. მათ ჰყოფთ სამ-სამი წყვილი ნავი. თაღები ეყრდნობა ორ-ორ კოლონაზე და ბოლოებში იმავე პროფილის მქონე პილასტრებზე. კოლონები თაღების საყრდენი სწორკუთხედებისაგან მარტივადაა გამოყოფილი. თაღები კი ზუსტი მოხაზულობის ისრულ ფორმებს ატარებს. ასეთი თაღები მხოლოდ მე-16—17 საუკუნეებისთვისაა დამახასიათებელი²⁸. ნაგებს კამარები არ შერჩენიათ, ამიტომ მათ მოხაზულობაზე ვერაფერს ვიტყვი. აფსიდის კამარა კი ნახევარწრიული მოხაზულობისაა.

სამი ნავისაგან მხოლოდ ცენტრალური მთავრდება აფსიდით. დანარჩენები სწორი კედლებითაა ჩაკეტილი. აფსიდის ცენტრში ტრაპეზის ქვა დგას. აფსიდის კედლები სამი განიერი და მალალი ნიშითაა დამუშავებული. ნიშების გადახურვა საფეხურებიანი თაღებითაა. ასეთი დეკორატიული ელემენტიც მხოლოდ ზემოაღნიშნული ეპოქისთვისაა დამახასიათებელი.

ეკლესიის განათებისათვის ერთი დიდი სარკმელი აფსიდშია. ასევე თითო სარკმელი ყოფილა გვერდითი ნაგების აღმოსავლეთის კედლებში (ამჟამად სანახევროდ დანგრეულია). ორი სარკმელი კი მოთავსებულია ცენტრალური ნავის სამხრეთის კედელში, მალა, გვერდითი ნაგების სახურავს ზემოთ. როგორც ვხედავთ, სარკმლები რაოდენობით ცოტაა, მაგრამ ზომებით დიდებია, ამიტომ ინტერიერის გასანათებლად სრულიად საკმარისია.

ეკლესიაში შესასვლელი მოწყობილია სამხრეთით და ჩრდილოეთით კედლების დასავლეთის მონაკვეთებში. ასეთი გადაწყვეტა საერთოდ არ არის დამახასიათებელი. კარი ჩვეულებრივ კეთდება ცენტრში, ან ცენტრთან ახლოს. ეკლესიის შიდა კედლები შელესილი კი ყოფილა, მაგრამ მოხატვის კვალი არ დარჩენილა.

ეკლესიის ფასადები ნაგებია ადგილობრივი ფლეთილი ქვით, სადაც დაცულია საკმაოდ წესიერი წყობა. მორთულობა ფასადებზე არ ყოფილა. გარე მასებში მკვეთრად გამოიყოფა აღმოსავლეთით შევრილი ხუთგვერდა აფსიდი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შევრილი აფსიდები ამ ხანისათვის დამახასიათებელი არ არის, მაგრამ გვხვდება როგორც გამოჩაკლისი.

მეორე ნასახლარი მდებარეობს სოფელ ახალციხის მიმართულების ვაკეზე, მას მუხაურს ეძახიან. ნოსტედან ორ-სამ კილომეტრზე მდებარე ამ ნასოფლარზე მხოლოდ ეკლესიაა გადარჩენილი. იგი საკმაოდ დიდი ზომისაა, ტიპით დარბაზული. შესასვლელი სამხრეთითაა. შიგნით აფსიდი ღრმადაა, დარბაზი თითქმის კვადრატული. აფსიდის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. განათება ხდება თითო სარკმლით, რომლებიც განლაგებულია აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით. დარბაზის კამარა და კონქი შეისრული ფორმისაა. კონქში

²⁸ გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, 1936, გვ. 134.

ჩასმულია ორი ქვევრი რეზონატორად. აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლების გადახურვა შეისრული ფორმისაა.

ეკლესიის ფასადები მარტივია, ნაგები ყოველ ქვით. ქვები მოზრდილია. სახურავზე გამოყენებულია აგური. ასევე, კბილანა კარნიზიც აგურისაა. აგურები სამრიგადაა დალაგებული. ეკლესიას თარიღი არ გააჩნია. მისი დათარიღება ანალოგიებით, სტილისტიკური ნიშნებით შეიძლება XVI—XVII საუკუნეებით.

აღწერილის გარდა ნოსტეს გარშემო არის კიდევ სხვა ეკლესიების ნანგრევები და ნასახლარები, მაგრამ ისეთი აშკარა მონაცემები არა აქვთ, უშუალოდ ნოსტეს დაეუკავშიროთ. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ძველი ეკლესიის ვეერდით მოზრდილი ნასახლარია. ასეთია მაგალითად, ნასოფლარი „ახაშენი“. იგი ნოსტესთან ახლოსაა ჩრდილო-აღმოსავლეთით. საფიქრებელია, რომ აქ ძველ ნასახლარზე ნოსტეს გაძლიერებასთან ერთად ცხოვრება განახლებულიყოს. ამ შემთხვევაში ვასაგები იქნება, რომ მას „ახაშენი“ დაარქვეს.

ოთარ ჩიქოვანი

კოლხეთის დაბლობის ამოშროვის ისტორიიდან

(1945—1952 წწ.)

სამამულო ომმა დიდად დააზარალა საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობა. ომის შედეგად დანგრეული მეურნეობის აღდგენა ჩვენი ხალხის დაძაბული შრომის შედეგად გახდა შესაძლებელი. ომის შედეგები საქართველოსათვისაც ძალზედ მძიმე იყო.

მრეწველობასთან ერთად სამამულო ომმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობასაც. მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურების განვითარება, რომლებიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებს წარმოადგენდნენ, შეჩერდა. ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 700 კგ-დან შემცირდა 450 კგ-მდე, ყურძნისა 30-დან 14 ცენტნერამდე¹. ომის დასასრულს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე უფრო დაბალი იყო ვიდრე 1940 წელს.

სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარება შესაძლებელი გახდა პარტიისა და მთავრობის რიგ ღონისძიებათა გატარებით. 1946 წლის მარტში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე მიღებულ იქნა კანონი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“. ეს იყო მეოთხე ხუთწლიანი გეგმა. მეოთხე ხუთწლედის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ომის შედეგად დაზარალებული სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება. ამ გეგმით უნდა მიგვეღწია და გადაგვეჭარბებინა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონისათვის. კანონში დასახული იყო მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ძირითადი დავალებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე სესიამ (1946 წ. აგვისტო) განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების 1946—1950 წწ. ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდ პროგრამას ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკას უნდა აღმოეფხვრა სახალხო მეურნეობაში ომის შედეგები, აღედგინა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ მნიშვნელოვანი ოდენობით გადაეჭარბებინა ამ დონისათვის².

¹ „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1971, გვ. 795.

² კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1946, გვ. 6.

მრეწველობის აღდგენასა და განვითარებასთან ერთად საქართველოს სსრ მეოთხე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის ახალ აღმავლობას — სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობის, მეხილეობის, მეაბრეშუმეობის, მეთამბაქოეობის, მარცვლეული კულტურებისა და მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარებას.

სოფლის მეურნეობის აღმავლობა საქართველოში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული მელიორაციული სამუშაოების ფართოდ განვითარებაზე. ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებული იყო ძველი საირიგაციო სისტემების აღდგენა და ახალი სისტემების მშენებლობაც. ხუთწლედის მანძილზე საქართველოში დიდი მუშაობა ჩატარდა საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობის ზაზით. ექსპლუატაციაში შევიდა სალთვისის, კეხვის, დოესი-გრაკლისა და აჯამეთის სარწყავი სისტემები. მორწყული მიწის ფართობი 16,6 ათასი ჰექტარით გაიზარდა³.

სუბტროპიკული ზონის მეურნეობის განვითარებისათვის დიდი სამუშაო იქნა ჩატარებული კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობად. საბჭოთა ხელისუფლება პირველი დღეებიდანვე დიდი ყურადღებით მოეკიდა კოლხეთის დაბლობის დაშრობისა და ათვისების პრობლემის გადაწყვეტას. კოლხეთის დაბლობის ამოშრობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის. კოლხეთის დაბლობი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს რაიონს მთელს საბჭოთა კავშირში სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა ფართო სამრეწველო მასშტაბით განვითარებისათვის. კოლხეთის ჭაობის დაშრობის მნიშვნელობა განუზომელია იმ მხრივაც, რომ იგი სპობს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უსაშინელეს მტერს — მალარიას; ჭაობების ამოშრობა იძლევა დამატებით ახალ მიწებს, რომლებიც გამოიყენება დასავლეთ საქართველოს ჭარბი მოსახლეობის დასახლებისათვის, იქმნება დიდი პერსპექტივა საკურორტო საქმის განვითარებისათვის და ა. შ.

ცნობილია, რომ საქართველოში დიდ სამამულო ომამდე ჩატარებულ მელიორაციულ სამუშაოებს შორის ყველაზე გრანდიოზული იყო კოლხეთის დაბლობის დასაშრობი სამუშაოები. მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით 1941 წელს დაშრობითი სამუშაოები კოლხეთში მთლიანად შეწყდა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო კოლხეთის დაბლობის ამოშრობის სამუშაოთა განახლება, რათა მიგვეღო ახალი მიწები სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების გასაშენებლად. ხუთწლიან გეგმაში ნათქვამია: „გადიდდეს ჩაის პლანტაციების ფართობი 57,5 ათას ჰექტარამდე, ამასთან სავსებით უზრუნველყოფილ იქნან პლანტაციები ნინერალური სასუქით. გადიდდეს ციტრუსოვან და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა ფართობები. 1946.—1950 წლებში გაშენდეს ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები 11 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის ფორთოხალი 3 ათასი ჰექტარი, ლიმონი 3 ათასი ჰექტარი... განახლდეს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოები და საქსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 20 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწები“⁴.

³ „საქართველოს ისტორია“, 5. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. III, თბ., 1960, გვ. 273.

⁴ კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1946, გვ. 88.

დაშრობითი სამუშაოები კოლხეთში მნიშვნელოვანი მოცულობით განახლდა 1946 წლის დასაწყისიდან. მეოთხე ხუთწლედით გათვალისწინებული 20 ათასი ჰექტარი მიწების ამოშრობის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. დამშრობი არხები აშენდა 500 კმ, დამბები მდინარეთა გასწვრივ — 90 კმ, გზები — 170 კმ, რკინაბეტონის ხიდი და მილი — 300 ცალი, წყალსადენის ქსელი — 110 კმ, ტელეფონის ქსელი — 140 კმ⁵; აშენდა მრავალი ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლი ფოთში, ხობში, ცხაკაიასა და აბაშაში, აგრეთვე კეთილმოწყობილი მუშათა დასახლებული ადგილები. კოლხეთის დაბლობის ამოშრობას მეოთხე ხუთწლედში 80 მილიონი მანეთი მოხმარდა⁶.

საქართველოს კ(ბ) XIV ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის მიერ წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია: „რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებს. ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა კოლხიდშენმა გადაჭარბებით შეასრულა როგორც სამუშაოთა მოცულობის, ისე ამოშრობილ ფართობთა მიღების მხრივ. შესრულებულია 27,6 მილიონი მანეთის სამუშაოები, გეგმით გათვალისწინებული 24 მილიონის ნაცვლად, და გადაცემულია 10319 ჰექტარი ამოშრობილი მიწა, გეგმით გათვალისწინებული 9500 ჰექტარის ნაცვლად. საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ კოლხიდის ამოშრობის სამუშაოები და უზრუნველვყოთ ამოშრობილი მიწების ათვისება“⁷.

1950—1951 წლებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შედგომოდა კოლხეთის დაბლობის მეორე რივის 20 ათასი ჰექტარი მიწების ამოშრობას მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე — სამხრეთის მასივის აღმოსავლეთ ნაწილში (ლანჩხუთის რაიონში) და 10 ათასი ჰექტარისა — ჩრდილოეთის-ხობი-ენგურის მასივში. სამხრეთის მასივში ამომშრალ მიწებს გამოიყენებდნენ ჩაის გასაშენებლად, ხოლო ლობი-ენგურის მასივის ამოშრობით იქმნებოდა ხე-ტყის ნედლეულის ბაზა ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატისათვის⁸.

უნდა აღინიშნოს მდ. რიონის მარცხენა მხარეზე მდებარე მიწების მელიორაციის მიზანშეწონილობა. ეს მიწები როგორც რაოდენობისა და ხარისხის, ისე კლიმატური და ნიადაგობრივ-გეოლოგიური პირობების მხრივ არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მარჯვენა ნაპირის მიწებს. ამიტომ, თუ მარჯვენა ნაპირის მასივის ამოშრობა მიზანშეწონილად და სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით ფრიად ხელსაყრელად ითვლებოდა, მარცხენა ნაპირის მასივის ამოშრობაც არანაკლებ მიზანშეწონილი იყო, მით უმეტეს, რომ ამ ფართობთა მეტი ნაწილი კოლმეურნეთა სარგებლობაში იმყოფებოდა. მარცხენა ნაპირის მასივის თითოეული ჰექტარის ამოშრობის ღირებულება მარჯვენა ნაპირის მასივთან შედარებით შეადგენდა არა უმეტეს 60-70 პროცენტს. ეს აიხსნებოდა იმით, რომ აქ არ იყო ისეთი მდინარეები, რომლებიც მოითხოვდნენ ზვინულების გავლებას ორივე ნაპირზე. მაგალითად, თუ მარჯვენა ნაპირის მასივზე წყალდიდობის დროს ნაპირებიდან წყლის გადასვლის თავიდან აცილებისათვის სა-

5 ნ. იაშვილი, იფურჩქნება და ვითარდება საბჭოთა კოლხეთი (ეურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1952, № 2, გვ. 5.

6 ნ. იაშვილი, კოლხეთის მელიორაციისა და სამეურნეო ათვისების შედეგები (ეურნ. „მნათობი“, 1951, № 4, გვ. 113).

7 ვაზ. „კომუნისტი“, 1949 წლის 27 იანვარი.

8 ტრესტ „კოლხიდშენის“ მიმდინარე არქივი.

ქირო გახდა დამბების გავლება 200 კილომეტრის სიგრძეზე, მარცხენა ნაპირის მასივზე ზენიულების სიგრძე მხოლოდ 80 კილომეტრით განისაზღვრებოდა⁹.

სამხრეთ მასივის აღმოსავლეთ ნაწილში „კოლხიდმშენმა“ ჯერ კიდევ 1936 წელს შეასრულა მიწების დაშრობის ზოგიერთი სამუშაო. დაგროვილი საპროექტო-საძიებელი და საკვლევი-სადელი მასალები საშუალებას იძლეოდა შეედგინათ სამხრეთ კოლხეთის ამ ნაწილის ამოშრობის მაღალხარისხოვანი პროექტი, მაგრამ 1952 წელს დაწყებული ეს სამუშაოები ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით შეწყდა 1953 წელს¹⁰.

კოლხეთის დაბლობის ამოსაშრობად ჩატარებულ ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ღონისძიებანი, რომლებიც ჩატარდა ქ. ფოთის წყალდიდობისაგან დასაცავად. საუკუნეთა მანძილზე წყალდიდობა ქ. ფოთის მოსახლეობას ნორმალური ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა. თავისი მასშტაბითა და მიყენებული ზარალის რაოდენობით ყველა წარსულ სტიქიურ უბედურებას აღემატებოდა ის წყალდიდობები, რომლებიც თავს დაატყდა ფოთს 1895 და 1922 წლებში. 1922 წლის წყალდიდობის დროს წყლის დონემ ქალაქში 1 მეტრსა და 80 სმ-ს მიაღწია.

მდ. რიონის კალაპოტის ნორმალური წყალგამტარობა უდრის 1300 კუბურ მეტრს წუთში. წყალდიდობისას კი ეს დებიტი იზრდებოდა ერთიოთხად და მეტად (5500 კმ³ წუთში)¹¹. წყლის მთელი ეს ნაჭარბი გადმოდიოდა ნაპირებიდან და აურაცხელ ზარალს აყენებდა როგორც ქ. ფოთს, ასევე მთელ კოლხეთის დაბლობს. როგორც ცნობილია, ქ. ფოთის წყალდიდობისაგან საიმედოდ დასაცავად ჯერ კიდევ სამამულო ომამდე ჩატარდა დიდი მოცულობის სამუშაოები (ქალაქს სათანადო მხრიდან შემოავლეს დამბები; გაითხარა 5 კილომეტრი სიგრძის 70 მეტრი სიგანის არხი, რომლითაც მდ. რიონი ფოთის გვერდის ავლით პირდაპირ შეუერთდა ზღვას). ომის შემდგომ პერიოდში ნათლად გამოჩნდა მდ. რიონის ახალ კალაპოტში გადაადგების არა მარტო დადებითი შედეგები (წყალდიდობების შეწყვეტა, გრუნტის წყლების დონის შემცირება და სხვ.), არამედ შემდეგი უარყოფითი მოვლენებიც:

1. მოკლე შესართავი არხის ფსკერის ძლიერი წალეკვა (დიდი დაქანების გამო), რამაც გამოიწვია წყლის დონის შემცირება და ფოთის საკოლმატაციო უბნის წყალმიმღები არხების მუშაობის შეწყვეტა. ამის გამო საკოლმატაციო უბანი ამოღებულ იქნა პირველი რიგის სამუშაოებიდან.

2. ქალაქის ფარგლებში მდ. რიონის ძველ კალაპოტში (ჩრდილოეთისა და სამხრეთის ტოტები) წყლისა და დანალექების შეწყვეტა, რამაც გამოიწვია ამ ადგილების გადაქცევა ანტისანიტარიის კერებად.

3. გადასადგები არხის საშუალებით ნარიყი მასალის უხვმა შესვლამ ზღვაში გამოიწვია ფოთის პორტის შესასვლელის სწრაფი ამოვსება.

რიონის გადაადგების ამ უარყოფითი მოვლენების აღმოსაფხვრელად „გიპროვოდხოზმა“ 1949 წელს შეადგინა მარეგულირებელი ნაგებობების — რაბისა და კაშხალის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ახალი ავტოსაგზაო ხიდების მშენებლობას მდინარესა და ქალაქის ფარგლებში რიონის ახალი კალაპოტის დასაწყისთან. მარეგულირებელი ნაგებობების მშენებლობა „კოლ-

⁹ „საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობა“ (სტენოგრაფიული ანგარიში), გვ. 384.

¹⁰ ტრესტ „კოლხიდმშენის“ მიმდინარე არქივი.

¹¹ ნ. ი ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

ხიდმშენმა“ დაიწყო 1952 წელს და დაამთავრა 1960 წელს. მშენებლობაზე გამოყენებული იყო ახალი ტექნიკა და სამუშაოთა წარმოების მოწინავე მეთოდები. წყლის გადაქაჩვა მარეგულირებელი ნაგებობების ქვაბულებიდან წარმოებდა მცურავი ღიზელიანი მიწისმთხრელი იარაღებითა და ელექტროტუმბოებით¹².

როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის დაბლობის ამოშრობის პირველი რიგის სამუშაოები შეწყდა 1941 წლის ზაფხულში დიდი სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით. ეს სამუშაოები დიდი მოცულობით განახლდა 1945 წლის ბოლოდან და დამთავრდა 1954 წლის ზაფხულში, როდესაც სსრ კავშირის მთავრობის მიერ დანიშნულმა კომისიამ მიიღო „კოლხიდმშენისაგან“ 40 ათასი ჰექტარი ამოშრალი მიწა. პირველი რიგის ამოშრალი ფართობები, რომლებიც მდებარეობდნენ რიონის დაბლობის მარჯვენა სანაპიროზე სსრ კავშირის მთავრობამ ასათვისებლად გადასცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

პირველი რიგის ამოშრალ ფართობებზე „კოლხიდმშენმა“ შეასრულა შემდეგი სამუშაოები:

1. გაყვანილ იქნა 1147 კმ საერთო სიგრძის არხები, მათ შორის: 11 კმ მთისძირა და გადასადგები, 104 კმ — მაგისტრალური, 260 კმ — კოლექტორები და 1072 კმ სიგრძის — შემკრებები;

2. აგებულ იქნა 209 კმ-ის სიგრძის დამბები (მდ. ხობის ორივე ნაპირის გასწვრივ — 45 კმ, მდ. რიონის გასწვრივ — 100 კმ, მდ. ცივას გასწვრივ — 19 კმ, მდ. ტეხურის გასწვრივ — 20 კმ, მდ. აბაშის გასწვრივ — 16 კმ და მდ. ნოღელას გასწვრივ — 9 კმ);

3. გაიყვანეს 340 კმ გზა, მათ შორის — 228 კმ ხრეშიანი და 112 კმ — ყამირგზა;

4. ცივა-ტეხურის, აბაშა-ნოღელასა და ნოღელა-ცხენისწყლის მასივების მაგისტრალურ არხებზე აგებულ იქნა 3 რკინაბეტონის პიდროტექნიკური ნაგებობა მარეგულირებელი კაშხალების სახით;

5. გზებზე აგებულ იქნა 364 რკინაბეტონის ნაგებობა (ორი დიდი ხიდი მდ. ხობზე, 62 ც. პატარა ხიდი, 300 ც. შემკრები მილი და სხვ.)¹³.

კოლხეთის დაბლობის ამოშრობის პირველი რიგის სამუშაოების დამთავრებისას მნიშვნელოვანი სამუშაოები იყო შესრულებული რიონის გადადგების სათავესთან. დამთავრებული იყო დროებითი ზღუდარის გაკეთება და წყალი გაშვებული იყო სპეციალურ არხში¹⁴.

„კოლხიდმშენის“ საპროექტო კვლევითი განყოფილების მიერ შედგენილი იქნა პალიასტომის ტბის გამტკნარების პროექტი, რათა აღედგინათ ამ ტბის თევზჭერის დიდი სამეურნეო მნიშვნელობა. ეს საკითხი ფოთის საქალაქო კომიტეტმა დასვა სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს წინაშე¹⁵.

კოლხეთის დაბლობის ამოშრობის პირველი რიგის სამუშაოებზე შესრულდა 12 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაოები. შესრულებულ სამუ-

¹² ტრესტ „კოლხიდმშენის“ მიმდინარე არქივი.

¹³ იქვე.

¹⁴ ვაზ. „მგზნებარე კოლხიდელი“, 1954 წლის 1 დეკემბერი.

¹⁵ ვაზ. „კომუნისტი“, 1954 წლის 20 თებერვალი.

შაოთა საერთო ღირებულებამ შეადგინა (ძველი მასშტაბით) 188 მილიონი მანეთი, ხოლო სამუშაოთა ფაქტობრივი თვითღირებულება განისაზღვრა 186 მილიონი მანეთით¹⁶.

კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული მიწების პირველი რიგი ამოშრობის საქმის წარმატებით დამთავრება განაპირობა „კოლხიდმშენის“ კოლექტივის თავდადებულმა მუშაობამ ომის შემდგომ წლებში, მექანიზაციის ფართოდ დაწერგვამ, შრომის ნაყოფიერების ზრდამ და მშენებლობის თვითღირებულების შემცირებამ.

მიღწეული წარმატებებისათვის „კოლხიდმშენის“ კოლექტივმა 1954 წელს მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 67500 მანეთის რაოდენობით¹⁷.

¹⁶ ტრესტ „კოლხიდმშენის“ მიმდინარე არქივი.

¹⁷ გაზ. „კომუნისტი“, 1955 წლის 20 მარტი.

ალექსანდრე აბლაძაძე

შამქორის ბრძოლის თარიღისათვის

საქართველოს ისტორიის, კერძოდ XII—XIII სს., ქრონოლოგიის ბევრი საკითხი შეუსწავლელია ან ნაკლებადაა შესწავლილი. ამისი ძირითადი მიზეზი წყაროთა სიმცირეა; გარდა ამისა, მართალია, ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხის შესახებ ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ იმდენად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისა, რომ მათზე დაყრდნობით ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა. ასე მაგალითად, თამარის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით ჩვენ რამდენიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაცემი გვაქვს, მაგრამ იმდენად ძნელდება მათ შორის არსებულ განსხვავებათა ახსნა, რომ დღესდღეობით თამარის გარდაცვალების თარიღი დადგენილად ვერ ჩაითვლება. ასეთ პირობებში, ყოველი ახალი ცნობა, ქრონოლოგიის ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად რომ გამოდგება, ბუნებრივია, მკვლევრის ყურადღებას იპყრობს ხოლმე. წინამდებარე წერილში გვინდა მოვიტანოთ XIII ს. ერთი სომხური ქრონიკის ცნობა, სადაც შამქორის ბრძოლის თარიღია მოცემული; ეს ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოყენებული არ ყოფილა.

XII ს. მეორე ნახევარში საქართველოს სახელმწიფო საზღვრების განმტკიცებასა და გაფართოებას სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით განსაკუთრებით ილდეგიზიანი ათაბეგები აღუდგნენ წინ. მათი თაოსნობით საქართველოს წინააღმდეგ რამდენიმე კოალიციური ლაშქრობაც მოეწყო. მას შემდეგ კი, რაც ილდეგიზიანი ათაბეგი აბუ ბაქრი შამქორის ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა, საქართველოს მხედრობის წინსვლა სამხრეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, კერძოდ, სომხური მიწა-წყლის საბოლოოდ შემოშტკიცება, რაიმე სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ წაწყდომია. ამ მხრივ ნიშანდობლივია იბნ ალ-ასირის ცნობა: „599 (1202/3) წელს ქართველებმა დაიპყრეს ქალაქი დვინი აზერბაიჯანში, აიკლეს იგი და გაწყვიტეს მრავალი ხალხი. ქალაქსა და მთელ აზერბაიჯანს მაშინ მართავდა ფეჰლევანის ვაჟი ამირა აბუ ბაქრი, კაცი ყოვლად უქნარა და ლოთი... როდესაც ქართველებმა აღყაში მოაქციეს დვინი, ქალაქის რამდენიმე მცხოვრები აბუ ბაქრს ეახლა და შეელა სთხოვა. ამირამ კი პასუხიც არ გასცა“¹... აბუ ბაქრი კიდევ რომ ყოფილიყო „უქნარა და ლოთი“, რასაკვირველია, მართო ეს კი არ იყო მისი პასიურობის მიზეზი, არამედ შამქორის ბრძოლის შემდეგ იგი მალე დარწმუნდა, რომ საქართველოს სამეფოსათვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო; საქართველოსაგან თავის და-

¹ ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, იხ. კრებული: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966, გვ. 114 (ხაზი ჩვენია — ა. ა.).

ცვის მიზნით აბუ ბაქრი სხვა გზას ადგება: გადაწყვეტს საქართველოს სამეფო კარს დაუმოყვრდეს².

თუ შამქორის ბრძოლამდე ილდეგიზიანი ათაბეგები საქართველოში ამტყუდარ შინაარეულობათა ქაშს სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა წამქეზებელნი და მხარდამქერნი იყენენ (დემნა უფლისწულისა და ივანე ორბელის ამბოხება, ვიორგი რუსის მეორედ ცდა საქართველოში შემოსვლისა), შამქორის ბრძოლის შემდეგ მათ, ცხადია, მსგავსს რაიმეზე ფიქრიც კი აღარ შეეძლოთ.

ზემოთქმულის გამო, შამქორის ბრძოლასთან დაკავშირებული ყოველი საკითხი, კერძოდ, ამ ბრძოლის მიახლოებით მაინც დათარიღება, ბუნებრივია, დიდ ინტერესს იწვევს.

თ. ჟორდანიას მტკიცებით შამქორის ბრძოლა 1195 წელს მოხდა³. აკად. ივ. ჯავახიშვილმაც, გაითვალისწინა რა თ. ჟორდანიას მოსაზრებანი, შესაძლებლად მიიჩნია შამქორის ბრძოლის 1195 წლით დათარიღება⁴. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი „მოთხრობის დროს ქრონოლოგიურ წესს მისდევს“⁵ და აქედან გამომდინარე, ამ თხზულების მონაცემების გათვალისწინებით, იგი ასკვნიდა, რომ შამქორის ბრძოლა „შეუძლებელია 1194 წ. აღრე და 1202 წ. გვიან მომხდარიყო“⁶. შემდეგ ივ. ჯავახიშვილს მოქონდა თ. ჟორდანიას ერთი, მისი სიტყვით, გონებამახვილური მოსაზრება: „თვით მათიანე⁷ გვიჩვენებს, წერს თ. ჟორდანიას, რომ შამქორის ომში მოხდაო: „თუესა ივნისა: დღესა ხუთშაბათსა, რომელი განთენდებოდა პარასკევად“. რაკი მემათიანეს ესრე დაწერილებით უჩვენებია თვე, დღე ხუთშაბათი, ძნელი დასაჯერებელია, რომ თვის რიცხვიც არ ეჩვენებინოს. აღბად ეწერებოდა: „ივნისსა: ა:“ და გადამწერს აღბად ბოლო ანი გამორჩენია, რადგან ეს ასო ორჯერ გამეორებული ყოფილა... ხოლო პირველი ივნისი 1193—1204 წლებს შუა ხუთშაბათს მოდიოდა მხოლოდ 1195 და 1200“⁸. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „ადვილად შესაძლებელია გადაწერის დროს ამგვარი შეცდომა („ა“-ს გამოტოვება) მომხდარიყო“ და თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მაშინ 1200 წელზე უფრო 1195 წელი ჩანს შამქორის ბრძოლის თარიღად მისაღები, რადგანაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ზოგიერთი რეალია ამ თარიღს უფრო უჭერსო მხარს⁹.

უნდა აღინიშნოს, რომ თ. ჟორდანიას მოტანილი არგუმენტი შამქორის ბრძოლის დასათარიღებლად, არ არის დამაჯერებელი: თუ დავუშვებთ, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს აუცილებლად მოცემული

² Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-камиль Ибн-ал-Асира, Баку, 1940, გვ. 131; «Cambridge History of Iran», V, 1968, გვ. 179.

³ თ, ჟორდანიას, ქრონიკები, I, გვ. 282.

⁴ ამჟამად ეს თარიღი ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 269.

⁶ ამის გამო ივ. ჯავახიშვილი მკდარად თვლიდა მ. ბროსეს ვარაუდს შამქორის ბრძოლის თარიღად 1203 წ. მიჩნევის შესახებ. შამქორის ბრძოლის 1203 წლით დათარიღებას ზოგჯერ ბოლო ხანებშიც ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში; იხ. История Азербайджана, I, Баку, 1958, გვ. 144; М. А л ь т м а н, Исторический очерк города Ганджи, Баку, 1949; იხილეთ ამ ნაშრომისადმი დართული ქრონოლოგიური ცხრილი.

⁷ იგულისხმება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედანი“; იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 68.

⁸ ქრონიკები, I, გვ. 282; იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 270.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 270.

Если, высказанное здесь, предположение о значении агše подтвердится, то это может объяснить ряд деталей сообщений урартских надписей о них: количество захватываемых агše урартскими завоевателями, постоянное упоминание их (ввиду их производственного значения) на первом месте в перечне людской добычи урартских правителей, до упоминания «мужчин», «воинов», «женщин», поголовное (как социально порабощенных) исчисление агše без разделения по полу.

Только в одном случае (219) сказано, что все захваченные агše были умерщвлены.

Это же предположение будет способствовать расширению фактической базы, широко известного тезиса о том, что движущей социальной силой экспансии древневосточных государств было их стремление к захвату рабов.

Подтверждение того же предположения об агše позволит лучше судить о социально-политических отношениях в Антарпаттану (Атропатене), на территорию которой и на смежные с ней земли Азербайджана распространялась военная экспансия урартских правителей (416, 417, 420, 421, 422, 423—424, 425 трижды, 427, 430, 431, 433 дважды, 434, 436, 438, 442, 444, 445, 446, 447), захватывавших там агše.

¹² В. А. Рубин, Рабовладение в древнем Китае, ВДИ, 1959, № 3, стр. 21.

¹³ Ю. П. Аверкиева, Рабство у индейцев Северной Америки. М.-Л., 1941, стр. 78—80; Н. В. Пигулевская, Анонимная сирийская хроника, ЗИВАН СССР, VII (1939), стр. 74.

ახორ ქალანი

სარკმლის დანიშნულება კვილ სვანურ ნაგებობებში

სვანეთის ტერიტორიაზე თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების უამრავი ძეგლია შემორჩენილი. ეს ძეგლები გამოკვლეულია სხვადასხვა სპეციალისტების მიერ მრავალრიცხოვან ნაშრომებში¹.

ანალოგიური ნაგებობანი ფართოდაა გავრცელებული საქართველოს მთიანეთში და ბარის ზოგ რაიონშიც². ამ ძეგლების ანალიზი წარმოაჩენს, რომ მათ ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ და მათი განვითარების პირველი საფეხურები უთუოდ შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ სვანური თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს —


¹ М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура Сванетии, М., 1938; ს. შაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბილისი, 1945; А. И. Робакидзе, Жилища и поселения горцев Грузии в прошлом и настоящем, краткие сообщения ИЭ АН СССР, XXXVI, М., 1961; მისივე, Поселения как источник изучения общественного быта, М., 1964; მისივე, К вопросу о формах поселения в Сванети, краткие сообщения ИЭ АН СССР, XXXIX, М., 1958; მისივე, სვანური „ქალაქო“-ის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების «მოამბე», № 3, 1962; რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის საფელი ძეგლად, თბ., 1964; რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939; მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961; მისივე, სამეურნეო ნაგებობანი სვანეთში, «სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის», თბ., 1970.

² ს. შაკალათია, დასახ. ნაშრომი; მისივე, მთის რაქა, ტ., 1930; მისივე, მთიულეთი, ტ., 1930; მისივე, ხევი, ტ., 1934; მისივე, ფშავი, ტ., 1934; მისივე, ხეესტრეთი, ტ., 1935; მისივე, კეთიურას-ხეობა, თბ., 1960, М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура горных районов Грузии, М., 1940; გ. ჩიტაია, ხეესტრულ სახლის სენე, ანალები, I, 1947; მისივე, დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ., 1953; Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1956; აღ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომები; მისივე, Новые черты современного Грузинского крестьянского жилища, СЭ, № 1, 1961; რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძეგლად, თბ., 1965; П. Закарая, Древние крепости Грузии, Тб., 1962; ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად, თბ., 1967; მისივე, საცხოვრებელი ნაგებობანი ხევიში, «მაცნე», თბ., 1965; მისივე, საცხოვრებელი ნაგებობანი თრუსოს ხეობაში, კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, I, თბ., 1966; ლ. რჩეულიშვილი, გვიანი ფეოდალური ხანის კოშკური საცხოვრებლის ერთი სახეობა, «მაცნე», № 2, თბ., 1964; ვ. დოლიძე, ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლი, ქართული ხელოვნება, V, თბილისი, 1959; ვ. ცინცაძე, საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში, ქართული ხელოვნება, IV, თბ., 1955; მ. ჩართოლანი, საცხოვრებელი ნაგებობანი მთიულეთში, საქ. სახ. მეზეუმის მოამბე, XXV, თბ., 1968.

სარკმელს (ლა-კ ვ რ-ა). ანალიზისათვის ვიყენებთ ეთნოგრაფიულ, ხუროთ-მოძღვრულ და ენობრივ მასალას. ამგვარი კვლევა საშუალებას გვაძლევს დაეადგინოთ ამა თუ იმ ნაგებობის, მისი ცალკეული ელემენტის, სამშენებლო მასალის თავისებურებათა და სახელწოდებათა წარმომავლობა. ხერხდება იმის გამორკვევა, თუ რომელი ეთნიკური ერთეული მონაწილეობდა ამ ტერმინების შექმნაში და სხვა.

მკვლევართა ან მოგზაურთა ერთი ნაწილი, რომელსაც სვანური საცხოვრებელი კომპლექსები აღუწერია ან შეუსწავლია, სარკმელს სათოფურთან აიგივებს. ი. ივანიუკოვი და მ. კოვალევსკი აღნიშნავენ: მაჩვიბისა და კოშკის სათავსებს სარკმლები არ გააჩნიათ და სათოფურებიდან შემოსული შუქით ნათდებიან³. ი. კანევსკი მოგვითხრობს: კედლებში სარკმლების მაგიერ სათოფურები⁴. ამასვე იმეორებს ს. ტარსკი⁵. მ. ჯანდიერი და გ. ლეჟავა ამტკიცებენ, რომ სვანური სახლისა და კოშკის სათავსების გასანათებლად კედლებში სათოფური ხერხელებია დატოვებული⁶.

მკვლევართა მეორე ნაწილს კარგად შეუძინევია, რომ სათოფური და სარკმელი განსხვავდებიან მოყვანილობით, ზომებით და ისინი სხვადასხვა მიზნებს ემსახურებიან. ბ. ნიჟარაძე აღნიშნავს, რომ სარკმელი სახლისა და კოშკის სათავსების გასანათებლად გამოიყენებოდა, ხოლო სათოფურები კოშკის ბოლო სართულზე იყო გამართული და თავდაცვის საქმეს ემსახურებოდა⁷.



სურ. 1. I — ადამიანის სამყოფი. II — საქონლის სადგომი.

³ В Сванетии; Из путешествия И. Иванюкова и М. Ковалевского, ВЕ, СПб., 8, 1886, стр. 577, 569.

⁴ И. Каневский и, Любопытные уголки Кавказа, Тиф., 1886, стр. 156—157.

⁵ С. Тарский, В стране Сванов, Всемирный Турист, № 3, 1929, стр. 82.


⁶ М. Джандиери и Г. Лежава, Архитектура Сванетии, стр. 8—10, 12.

⁷ ბ. ნიჟარაძე, უშუგლის აღწერა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, გვ. 69.

ა. კოჟენიკოვი და ს. მაკალათია კი სარკმლის ორ სახეობას წარმოგვიჩვენენ, რომელთაგან ერთის დანიშნულებაა მხოლოდ სათავისის განათება, ხოლო მეორე კი ძირითადად სამეურნეო მიზნებისათვის გამოიყენებოდა⁸.

სევანურად სარკმელს ლ ა-კ ვ რ-ა ეწოდება. ძველ სევანურ ნაგებობებს რამდენიმე სახის სარკმელი გააჩნდათ და თითოეული მათგანი თავისი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდებოდა. ქვემოთ ვცდილობთ ამ თავისებურებათა წარმოჩენას.

ბალსქვემო სევანეთში საზაფხულო საძოვრებზე გავრცელებულია სამეურნეო დანიშნულების სადგომი (კ ა რ ა ვ), რომელიც მესაქონლეობასთან არის დაკავშირებული. ნაგებობა შენდება ხით ან ქვით. სამშენებლო მასალად ქვის გამოყენების შემთხვევაში კედლის წყობა მშრალად ამოჰყავთ. კედლის წყობაში ერთ კარის ღიობს ტოვებენ და ერთს ან ორს — სარკმლისას. სარკმლები ხვრელს (კ უ რ უ) უფრო წააგვანან (სურ. 1). სევანური კ უ რ უ 'ხვრელი' გენეტურ კავშირშია ქართულ ხ ვ რ-ე-ლ- ძველ-ქართულ კ უ რ-ე-ლ- ფუძესთან. სწორედ ამ საერთო ქართულ-სევანური კ უ რ- ძირისაგან არის ნაწარმოები დანიშნულების საწარმოებელი ლ ა — ა აფიქსების დახმარებით სევანური პარკმლის სახელი ლ ა-კ ვ რ-ა. ლ ა — ა აფიქსების ფუნქცია იმაზე მიგვანიშნებს, რომ თავდაპირველად ამ ტერმინით აღინიშნებოდა არა ზუსტად სარკმელი,



სურ. 2.


⁸ ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, გვ. 18—21; 36; А. К о ж е в н и к о в, Человеческий заповедник, М.—Л., 1930, გვ. 74, 76, 122.

ფანჯარა, რასაც იგი დღეს აღნიშნავს, არამედ ნაგებობის ის ადგილი, სადაც სარკმელი უნდა გამოეყვანათ. ტერმინი დიდი ხნოვანებისა ჩანს. მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, რომ სარკმლის (ფანჯრის) აღსანიშნავად თავის დროზე კ უ რ - ძირისაგან ნაწარმოები ტერმინი ქართულ ენაშიც არსებულებოდა, თუმცა ამის შესახებ ჩვენამდე არავითარ ცნობას არ მოუღწევია.

ზოგი სარკმელი სათავსისათვის ძირითადად სინათლის წყაროს წარმოადგენს. მაგრამ არის ისეთი სარკმლებიც, რომელთაც მხოლოდ სამეურნეო დანიშნულება აქვთ. ასეთია სანახევ ან სანაგვე სარკმელი სვანურ საცხოვრებელ სახლში. მას **ლ ა ნ გ ვ ლ ი** ($\parallel > \text{ნ ა ნ გ ვ ლ ი}$) ეწოდება. ტერმინის ძირად აქაც საერთო ქართულ-სვანური მასალა **ნ ა გ ა ე**- გამოიყოფა (***ლ ა -ნ ა გ ა ე ლ**-). ეს სარკმელი კეთდებოდა საქონლის სადგომის (გ ვ ა ლ) ბოლოს იატაკიდან 75 სმ. სიმაღლეზე და გარდა ნეხვისა და ნაგვის გადაყრისა, სხვა ფუნქციას არაფერს ასრულებდა.

საცხოვრებელი სათავსების გასანათებლად სვანები თავიდანვე განსხვავებული კონსტრუქციისა და მოყვანილობის სარკმლებს იყენებდნენ. განვიხილოთ მათი აგებულება უშუალოდ მდებარე გ. ნიჟარაძის საცხოვრებელი კოშკის მაგალითზე (კოშკის გეგმები იხ. სურ. 2; ერთ-ერთი სარკმლის გეგმის, ჭრილისა და ხედის გადიდებული ფრაგმენტები იხ. სურ. 3; სურ. 5-ზე მოცემულია სარკმლის აქსონომეტრიული ჭრილი).


კოშკის პირველი და მეორე სართულების გასანათებლად დაახლოებით ერთნაირი მოყვანილობის სარკმლებია გამოყენებული. ანალოგიური მოყვანილობის სარკმლები გვხვდება ძველ სვანურ საცხოვრებელ კომპლექსებშიც (ი. ნიჟარაძის საცხოვრებელი კოშკი ჩაქაში, ჩარკვიანების შეწყვილებული საცხოვრებელი კოშკები ჩუბიანში, იოსელიანების საცხოვრებელი კომპლექსი ლაღაში. ბ. ჩარქელიანის საცხოვრებელი კომპლექსი მურყმელში, ს. ღვაჩლიანის საცხოვრებელი კომპლექსი იქვე, ქალდანების საცხოვრებელი კომპლექსი ჟამუშში, ი. მარგიანის საცხოვრებელი კომპლექსი ლახირში...).



კოშკის პირველი სართულის ჩრდილოე-სურ. 3. I—ნათხალბეა. II—საუ რდულე თის კედელში დატოვებული სანათი სარკმე- ზერელება. III—IV—ღარაბა. V—ქარის ზედა და ქვედა ჭუსლი. ლი ნათხალბეა (ნ ა ე შ თ ხ ე ი). ნათხალბეების შიგნით სარკმელი სათავსისაკენ განიერდება. ნათხალბეებს შორის სივანე 28 სმ-ია. ფასადის მხარეს სარკმლის სიმაღლე 32 სმ. უღრის. სარკმლის ზედა და ქვედა გვერდები საფეხურების მაგვარადაა გადაწყვეტილი. სარკმლის ღიობის ოთხივე გვერდიდან თანდათანობით გაფართოება სათავსისაკენ მშენებლის მიერ სინათლის გავრცელების კანონების კარგ ცოდნას გვიჩვენებს (სურ. 4-ზე მოცემულია ამ ფაქტის გრაფიკული გამოსახულება).


სარკმელი ღარაბით (**ლ ა კ ვ რ ა ყ რ**) იხურება. ღარაბას ზედა და ქვედა ჭუსლი (**ყ ი ბ ე ი ჩ უ ბ ე ლ ა ჰ ვ ე ი**) გააჩნია და ისინი სარკმლის ზედა და ქვედა საქუსლე ხერელებში (**ყ ი ბ ე ი ჩ უ ბ ე ჰ ა გ ვ**) ჯდება. ღარაბის მი-

სურვის შემდეგ მას ურდულით (ურდუმ) კეტავენ, რომელსაც საურდულე ხერელებში (ლაურდუმ) გაუყრიან. როგორც ამას ა. კოვენიკოვიც აღნიშნავდა ერთ-ერთი სარკმლის აღწერისას⁹, სარკმლის ზომები, მოყვანილობა და კონსტრუქცია გამორიცხავდა მომხვედურთა მიერ შენობაში მყოფი ადამიანების სასროლი იარაღით დაზიანებას.




სურ. 4.

სამხრეთის კედელში ნახვის გადასაყრელი ხერელია. რომელიც სულ სხვა მოყვანილობისაა. სათავსიდან გარეთკენ ოდნავაა დავიწროებული. ზამთრობით სათავსში სითბოს შენარჩუნების მიზნით ეს ხერელი ჩვეულებრივ ხის ნაჭრისაგან გამოთლილი სარქველით (ცუყვბა) იხურება (იხ. სურ. 6).



სურ. 5.




სურ. 6. I—ცუყვბა.

⁹ А. Кожевников, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.


სოფ. ჩაქაშში დგას კიდევ ორი საცხოვრებელი კოშკი. ერთი მათგანი ი. ნიქარაძისაა, ხოლო მეორე კი — თ. ნიქარაძის (ი. ნიქარაძის კოშკის გეგმა და კრილი იხ. სურ. 7, 8). მათგან პირველი კოშკის მეორე სართულის სათავსის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარეს დატოვებულია თითო დიდი ზომის სარკმელი, რომელთაც ამჟამად თითო ნაოთხალი ვააჩნიათ. აღრე სარკმლებს ნაოთხალები არ ჰქონიათ. აღმოსავლეთის კედელში დატოვებული სარკმლის შიგა ზომებია 70×90 სმ. სარკმელი გარეთკენ ოღნავ ვიწროვდება. ჩრდილოეთის კედელზე დატოვებული სარკმლის სათავსის მხარის ზომებია $1,00 \times 0,75$ მ.მ. სარკმელი აქაც ოღნავ ვიწროვდება გარეთკენ.

გადმოცემით ეს სარკმლები საბრძოლველად გამოიყენებოდნენ. კოშკთან ახლოს მოსულ მტერს აქედან ისარსა და ქვას უშენდნენ. ცეცხლსასროლი იარაღის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ დიდი ზომის სარკმლები სახიფათო გახდა დამცველთათვის და სარკმლების ცალი მხრიდან ქვის ნაოთხალები ამოიყვანეს ქვითკირით და სარკმლის ღიობი ძალზე დაავიწროეს. ანალოგიური ტიპის სარკმლებია კოშკის საბრძოლო სართულზეც.



სურ. 7. O — სარდაფის სართულის სავარაუდო გეგმა. I — პირველი სართული.
II — მეორე სართული. III — მესამე სართული.

თ. ნიყარაძის საცხოვრებელ კოშკს საბრძოლო სართულზე, პირველი სართულის სათავესში შემავალი კარის თავზე, ერთი დიდი ზომის სარკმელი გააჩნია. გადმოცემით სარკმილიდან შორ და საშუალო მანძილზე მტერს ისრით იგერიებდნენ, ხოლო კართან მომდგარ მტერს თავზე ქვას აყრიდნენ. გადმოცემით ანალოგიურადვე ყოფილა გადაწყვეტილი საბრძოლო კოშკის ზედა სართულის სარკმლებიც. ამის ნათელი მაგალითია დ. ჩარქსელიანის საბრძოლო კოშკი სოფ. მურყმელში, კაკრიაშვილების კოშკის პირვანდელი საბრძოლო სართული სოფ. მურყმელში (თოფის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ მას კიდევ ერთი სართუ-




სურ. 8.

ლი დაადგეს), ბარლიანების კოშკის აღრინდელი საბრძოლო სართული სოფ. ლალამში (მომდევნო პერიოდში მას ორი სართული დაამატეს) და სხვა. ეს სარკმლები ერთმანეთს უთავსებდნენ საბრძოლო და გასანათებელ ფუნქციებს, თუმცა მათში საბრძოლო ფუნქცია ჭარბობდა.

შედარებით გვიან საბრძოლო სარკმელი კლასიკურმა შდურებიანმა საბრძოლო პარაპეტმა შესცვალა. თავდაპირველად შდურქვეშა სათვალთვალ და საბრძოლო ღიობი დიდი ზომისა კეთდებოდა, რათა მოისარსა და ქვის ჩამომგდებს თავისუფლად მოქმედების საშუალება ჰქონოდა. შდურქვეშა საბრძოლო ღიობი კოშკის ოთხივე მხარის მიმდებარე ტერიტორიას მოწინააღმდეგის დასაზიანებლად გამოყენებული იარაღის მიხედვით ორ ზონად ჰყოფდა (სურ. 10).


პირველ ზონაში მოხვედრილ მტერს დამცველი ისრით ვეღარ დააზიანებდა, რადგანაც საბრძოლო პარაპეტის კედლები ისარს 22°-ზე მეტი კუთხით დახრის საშუალებას არ აძლევდა. ეს ზონა კოშკის კედლიდან დაწყებული 5—10 მ. მანძილს მოიცავდა. ამ ზონაში შემოსული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ქვას იყენებდნენ. მეორე ზონა კოშკის კედლიდან 5—10 მ. მ-ის შემდეგ იწყება. ამ ზონაში მოხვედრილი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მშვილდისარი გამოიყენებოდა.



ცეცხლსროლი იარაღის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ სარკმლისა და შდურის დიდი ზომის ღიობები უკვე სახიფათო ხდება დამცველთათვის და მათ ავიწროებენ ქვითკირის წყობით ან ფიქალის ქვის ფილით. ზოგ შემთხვევაში კოშკს ახალ სართულს ადგამენ, რომელიც თოფით თავდაცვისათვისაა გამიზნული

სურ. 9. ლეხთაგის ხერგინების საცხოვრებელი კომპლექსის გუბანდის ერთ-ერთი სარკმელი. I-ნაოთხალი, II-ურდული, III-დარბა.


სვანურ კლასიკურ საბრძოლო პარაპეტში თავდაპირველად თავდაცვისათვის გამოიყენებოდა შდურების თაღებქვეშა ღიობები (სურ. 11 ა). აქედან უთვალთვალებდნენ მტერს. ახლოს მოსულ მტერს ისარსა და ქვას უშენდნენ. თოფის შემოსვლის შემდეგ შდურებიანი პარაპეტის ზედა ნაწილში სათოფური



სურ. 10. I — მოწინააღმდეგის ქვით დაზიანების ზონა. II — მოწინააღმდეგის ისრით დაზიანების ზონა.

ხერელები ჩნდება, რომელთა ფასადის მხარის ზომები ჩვეულებრივ 8×10 სმ. არ აღემატება (სურ. 11 ბ).

რელიგიური რიტუალებისა და ლოცვის შესასრულებლად სენეთში საცხოვრებელი სახლის მაჩვიების აღმოსავლეთის კედელზე კეთდება კიდევ ერთი სარკმელი, რომელსაც სალოცავ სარკმელს (ლ ა მ ზ გ რ ლ ა კ ვ რ ა) უწოდებენ.



სურ. 11.


ამ სარკმლის წინ ხდებოდა ზეარაკის შეწირვა; ოჯახის უფროსი აქ აღავლენდა ლოცვას ღმერთისა და სხვა სალოცავებისადმი, ევედრებოდა ოჯახის წინსვლას და გამრავლებას¹⁰. მოყვანილობით სალოცავი სარკმელი არაფრით განსხვავდებოდა სანათი სარკმლისაგან ქვეთკირიან სახლებში. ხის სახლებში სალოცავ სარკმლებს ზოგჯერ დეკორით ამკობდნენ. მერაბ ქალღანის ხის საცხოვრებელი სახლის სალოცავი სარკმლის ფორმა სოფ. ლაწომბაში სტილიზებული ხარის თავის გამოსახულებისა (სურ. 12). ცხადია, რომ აქ ტოტემის კულტის გადმონაშთური ფორმა ქრისტიანული რელიგიის მოთხოვნილებებს ემსახურება.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული მასალიდან ირკვევა, რომ ძველ სენურ ნაგებობებს სარკმლების რამდენიმე ნაირსახეობა გააჩნდათ, რომლებიც შესაბამისად სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებდნენ: I. სათავის გასანათებლად გამოიყენებოდა ლ ა ნ ა რ ჰ ა ლ ა კ ვ რ ა ან უბრალოდ ლ ა კ ვ რ ა, რომლის აგებულება სათავსში მყოფთა დაცვის და სათავსში სინათლის მეტი რაოდენობით შემოსვლას უზრუნველყოფდა.

II. სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა კედელში დატოვებული ხერელი (ლ ა ნ გ ვ ლ ი).

III. საცხოვრებელი სახლის მაჩვიებს გააჩნდა სალოცავი სარკმელი (ლ ა მ ზ გ რ ლ ა კ ვ რ ა).

IV. საბრძოლო დანიშნულებისათვის განკუთვნილი იყო დიდი ზომის სარკმლები, რომლებიც საცხოვრებელ კოშკებში გამოწკლისის სახით მეორე სართულზეც კეთდებოდა, ხოლო, როგორც წესი საბრძოლო სართულზე იყო განლაგებული. ასევე საბრძოლო სართულებზე კეთდებოდა ის კოშკებშიც. სარკმლის დიდი ზომა დამცველ მოისრეებსა და ქვის მსროლელებს თავისუფლად მოქმედების საშუალებას აძლევდა.



სურ. 12.

¹⁰ ბ. ნიქარაძე, ჩვეულებითი მართლიერება სენეთში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 188; რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სენეთში, გვ. 48.

V. შდურებიან პარაპეტში სათვალთვალოდ და საბრძოლველად შდურის თაღქვეშა ლიობი გამოიყენებოდა.

VI. თოფის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ შდურებიან პარაპეტს სათოფურ ხერვლებს უკეთებენ.

სენური ხუროთმოძღვრება ქართული ხუროთმოძღვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მან დღემდე შემოგვინახა ზოგად-ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების თანმიმდევრული ეტაპები. მათი შესწავლა ავლენს იმ ფაქტს, რომ ქართული საცხოვრებელი კომპლექსი არ წარმოადგენდა ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ სტატიკურ ფორმას, რომელიც ნეიტრალური იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების მიმართ. ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებას გააჩნდა მატერიალური კულტურის თავისი დროისათვის იმდენად მაღალგანვითარებული ფორმა, რომ მან შეძლო ხანგრძლივი დროის მანძილზე მიჰყოლოდა საზოგადოებრივი განვითარების პროცესს და ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად ახალი ფორმები შეექმნა ძველის ბაზაზე.

კ უ ბ ლ ი კ ა ს ი ა

ვახტანგ გამრეკელი, ზურაბ ციტიშვილი

1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა

დღემდე შემორჩენილი ქართული დემოგრაფიული ხასიათის ძეგლები თა-
რილდება XVII—XVIII სს. და ტერიტორიულად აღმოსავლეთ საქართველოს
განეკუთვნებიან. მათი ნაწილი შემოფარგლულია კერძო სამფლობელოების
(სათავადოს, საეპისკოპოსოს, სადედოფლოს და სხვ.) ყმათა აღწერით, ხოლო
მეორე ნაწილი საერთო სახელმწიფო მასშტაბის აღწერების ძეგლებია.

ძეგლების ვაცნობა-შესწავლით დადგინდა¹, რომ საერთო სახელმწიფო
აღწერები არ წარმოადგენდნენ ფაქტიურად საყოველთაო სახალხო აღწერებს,
რომ ამ აღწერის დათრებში შექმნდათ მხოლოდ სახელმწიფო გადასახა-
დების გამოღების და სამხედრო სამსახურის უნარის მქონე პირები და რომ
ამასთან დაკავშირებით აღირიცხებოდა კომლთა რაოდენობა.

მიუხედავად კომლობრივ აღრიცხვიანობისა, მიუხედავად იმისა, რომ აღ-
მოსავლეთ საქართველოში შემავალ ზოგიერთ შორეულ თემში, როგორც ქვე-
მოთ ვასაბუთებთ, მოსახლეობის აღწერები არ უწარმოებიათ და ზოგიერთი
სოციალური კატეგორია (სამეფო კარი, ფეოდალები, სამღვდელოება, „შეუძ-
ლებელნი“) საზოგადოდ არ აღირიცხებოდა, რის გამოც მათი რიცხოვნობა სა-
ერთოდ არ არის ასახული აღწერის დათრებში, მაინც შეიძლებოდა ამ აღწე-
რებიდან სულადობის საერთო რიცხოვნებაზე მიახლოებითი წარმოდგენის
შემუშავება. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი წლის აღწერის დათრებმა არ
მოაღწიეს ჩვენამდე სრული სახით. ის, რაც სადღეისოდ გამოვლინდა და და-
ცულია, წარმოადგენს სხვადასხვა წლებში ჩატარებული აღწერების მხოლოდ
ფრაგმენტებს, ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობის რი-
ცხოვნობაზე წარმოდგენას ვერ ჰქმნის ვერც ერთი დღემდე შემონახული დე-
მოგრაფიული ძეგლი. დღეისათვის ცნობილ ერთადერთ გამოჩაკლისს წარმო-
ადგენს 1770 წლის 5 აპრილით დათარიღებული ნუსხა.

ამ უწყისში წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის
საერთო კომლობრივი რიცხოვნობა ცალკეული პროვინცია-თემების და ქალა-
ქების მიხედვით. უწყისი დაცულია სრული სახით და მის მონაცემთა დაჯამე-
ბით მიიღება აღმოსავლეთ საქართველოს მთელი მოსახლე კომლთა რიცხვი
(რამდენად რეალურია ეს რიცხვი ჯერ კიდევ ვასარკვევია). სწორედ ის სძენს
გარკვეულ უპირატესობას ამ უწყისს და აღვივებს მისდამი ინტერესს, რომ
მასში წარმოდგენილია რამდენადმე მიახლოებით მთელი აღმ. საქართველოს
მოსახლეობის კომლთა საერთო რიცხოვნობა, არსებული თუ ნავარაუდვეი, ერთ
გარკვეულ წელს.

¹ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მასლანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII ს-
ში, თბ., 1907, გვ. IX; იე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, თბ.,
1930, გვ. 46.

ԼԿ Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԵՆԸ ԵՆՆ ՅԶԵԿ. ՅԳԻ:

ԸԶ Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԳՆԻՆ ԱՆԿԵԼ ԳՅԻՆԷ Է ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ. ԵՆԸ
ԷՆԻՆ:

Ս Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԳՆԻՆ ԱՆԿԵԼ ԳՅԻՆԷ Է ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ. ԵՆԸ
ԷՆԻՆ:

Ս Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ.

ԸԶ Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԳՆԻՆ ԱՆԿԵԼ ԳՅԻՆԷ Է ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ. ԵՆԸ
ԷՆԻՆ:

ԸԶ Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԳՆԻՆ ԱՆԿԵԼ ԳՅԻՆԷ Է ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ. ԵՆԸ
ԷՆԻՆ:

ԸԶ Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԳՆԻՆ ԱՆԿԵԼ ԳՅԻՆԷ Է ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ. ԵՆԸ
ԷՆԻՆ:

ԸԶ Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԳՆԻՆ ԱՆԿԵԼ ԳՅԻՆԷ Է ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ. ԵՆԸ
ԷՆԻՆ:

ԸԶ Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԳՆԻՆ ԱՆԿԵԼ ԳՅԻՆԷ Է ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ. ԵՆԸ
ԷՆԻՆ:

ԸԶ Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԳՆԻՆ ԱՆԿԵԼ ԳՅԻՆԷ Է ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ. ԵՆԸ
ԷՆԻՆ:

ԸԶ Դ. ԱՆ ԼԻՆԻՆ ԷՆ. ԳՆԻՆ ԱՆԿԵԼ ԳՅԻՆԷ Է ՅԶԵԿ ԵՆՆՈՒ. ԵՆԸ
ԷՆԻՆ:

2000 20000. 60000 10000 2000 10000

1. 1000 2000 3000 4000 5000 6000 7000 8000 9000 10000
10000 20000 30000 40000 50000 60000 70000 80000 90000 100000

1. 1000 2000 3000 4000 5000 6000 7000 8000 9000 10000
10000 20000 30000 40000 50000 60000 70000 80000 90000 100000

1. 1000 2000 3000 4000 5000 6000 7000 8000 9000 10000

1. 1000 2000 3000 4000 5000 6000 7000 8000 9000 10000

1. 1000 2000 3000 4000 5000 6000 7000 8000 9000 10000
10000 20000 30000 40000 50000 60000 70000 80000 90000 100000

1. 1000 2000 3000 4000 5000 6000 7000 8000 9000 10000
10000 20000 30000 40000 50000 60000 70000 80000 90000 100000

1. 1000 2000 3000 4000 5000 6000 7000 8000 9000 10000
10000 20000 30000 40000 50000 60000 70000 80000 90000 100000

1. 1000 2000 3000 4000 5000 6000 7000 8000 9000 10000
10000 20000 30000 40000 50000 60000 70000 80000 90000 100000

ამასთანავე პროვინციებში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დიფერენცირებულა ეთნიკური ნიშნით, მაგრამ ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა ეთნიკური ნიშნით დაჯგუფებული არ არის და თითოეული ქალაქის მოსახლეობა წარმოდგენილია ერთი შემაჯამებელი ციფრით, ე. ი. მოსახლეობის დაჯგუფება ტერიტორიულ-ეთნიკური ნიშნით არ არის თანმიმდევრულად გატარებული; თუმცა ამ მხრივაც ეს უწყისი მაინც გაცილებით მეტის მთქმელია ვიდრე სხვა რომელიმე ქართული დემოგრაფიული ძეგლი.

1770 წლის 5 აპრილის უწყისის ხსენებული ღირსებები აღნიშნა ჯერ კიდევ ივ. ჯაეახიშვილმა² და მიუხედავად რიგი ხარვეზებისა, რომლებიც ახლავს ამ უწყისს, როგორც საისტორიო წყაროს, სცნო ის „სავულისხმო და მნიშვნელოვან ძეგლად“³. პროფ. ა. ცაგარელიც, რომელმაც ამ უწყისს მიაგნო არქივში და პირველმა შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში მისი მონაცემები, წერდა: „Нужно-ли прибавлять, что приведенные выше статистические сведения далеки от полноты и безусловной точности, но и в таком виде они весьма поучительны“⁴. ცაგარელი გამოჰყოფს ან. მოურავოვის (მოურავიშვილი) საარქივო საბუთებს შორის ამ უწყისს და დასძენს, რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XVIII ს-ის საქართველოს შინაგანი ისტორიისათვის⁵.

1920 წ. ს. კაკაბაძეც წერდა: „მცხოვრებთა რიცხვის ანგარიშს XVIII ს-ში შეიძლება საფუძვლად დაედოს 1770 წლის 5 აპრილის ოფიციალურად, როგორც ჩანს, ერეკლე მეფის განკარგულებით შედგენილი ... ნუსხა“⁶.

ამრიგად, საეჭვო არ უნდა იყვეს, რომ საქართველოს ისტორიის კვლევის ინტერესები მოითხოვენ ამ უწყისში დაცული ცნობების შესაძლო მაქსიმალურ დაწურვას და დახვეწას. ამისათვის კი საჭიროა უწყისის მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლა. პირველი ნაბიჯი ამ საქმეში უნდა იყვეს თვით ნუსხის ტექსტის გამოცემა.

ტ ე ქ ს ტ ი ს გ ა მ ო ც ე მ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ ე ი ს. 1. 1881 წ. პროფ. ა. ცაგარელი მივლინებული იყო მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში სამუშაოდ. აქ მან მიაკვლია 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული უწყისის დედანს შედგენილ ქართულ ენაზე. 1883 წელს მან დაბეჭდა სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალის (ЖМНП) იანვრის ნომერში ხსენებული მივლინების ანგარიში სტატიის სახით „Новые архивные материалы для истории Грузии XVIII стол.“ ამ სტატიაში პირველად იქნა გამოქვეყნებული 1770 წ. 5 აპრილის უწყისის მონაცემები; უწყისი თარგმნილია რუსულად თავისუფალი ფორმით; ძირითადად შინაარსი გადმოცემულია სწორად. მაგრამ ეს თარგმანი ვერ ჩაითვლება დოკუმენტის ასლად ან თარგმანად არა მხოლოდ თვითნებური ფორმის გამო, არამედ შინაარსის არაზუსტი და არასრული მოცულობით გადმოცემის გამოც. თვით ცაგარელმა თავის პუბლიკაციას წარუმიძღვარა ასეთი ფრაზა: „Несколько, выдержен из этого интересного документа.“

² ივ. ჯაეახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

³ იქვე, გვ. 39.

⁴ ახ. მისი «Новые архивные материалы для истории Грузии XVIII стол.» ЖМНП, 1883, январь, გვ. 131.

⁵ იქვე, გვ. 127.

⁶ ს. კაკაბაძე, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფ., 1920, გვ. 27.

10. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 1.

უფრო გვიან, 1891—1902 წწ., ალ. ცაგარელი მიუბრუნდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის არქივში დაცული ქართული საბუთების პუბლიკაციის საქმეს, მაგრამ ამ უწყისის დედანი არ გამოუქვეყნებია.

2. 1770 წ. 5 აპრილის უწყისის ქართული დედნის გამოქვეყნების პირველი ცდა ეკუთვნის ალ. ხახანაშვილს, რომელმაც გამოსცა ის „კვალი“-ს 1898 წ. № 11-ში. პუბლიკაციას ახლავს ცნობა, რომ უწყისის დედანი ინახება საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის არქივში. მაგრამ, დედანთან შედარებით, გამოცემულ ტექსტში დაშვებული ხარვეზები, უზუსტობათა ხასიათი და სიმრავლე საფიქრებელს ხდის, რომ გამოცემა შესრულებულია არა უშუალოდ დედნის საფუძველზე. ამ ხარვეზებსა და უზუსტობათა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

3. 1920 წელს ს. კაკაბაძემ 1898 წ. „კვალში“ გამოქვეყნებული ხახანაშვილისეული რედაქცია უცვლელად გადაბეჭდა თავის სტატიაში „მოსახლეობის რიცხვი საქართველოში XV—XVIII სს. სიგარებზედ“⁷.

4. ასევე უცვლელად არის განმეორებული 1770 წ. 5 აპრილის უწყისის „კვალში“ დაბეჭდილი ტექსტი 1965 წ. ი. დოლიძის მიერ გამოქვეყნებული „ქართული სამართლის ძეგლების“ II ტომში (გვ. 420—422).

დემოგრაფიის საკითხებით დაინტერესების გამო 1770 წ. 5 აპრილის უწყისის ტექსტმა ჩვენი ყურადღებაც მიიქცია. მაგრამ ზედაპირულმა დაკვირვებამაც კი ცხადი გახდა ამ უწყისის ცნობათა რიგი შინაგანი შეუსაბამობა⁸ და რამდენიმე შემთხვევაში შეუთანხმებლობა ალ. ცაგარელის რუსულად გამოცემული ტექსტის ცნობებთან. ამის გამო აუცილებელი გახდა თვით დედნის ნახვა.

დედნის გაცნობამ და შეჯერებამ ალ. ცაგარელის და ალ. ხახანაშვილის გამოცემებთან (1720 და 1965 წწ. გამოცემებს არა აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რადგანაც უცვლელად იმეორებენ ხახანაშვილის გამოცემას) თვალნათლივ დაგვანახა ალ. ცაგარელის გამოცემის უზუსტობანი და მთელი რიგი ხარვეზები და შეცდომები, რაც დაშვებულია ხახანაშვილისეულ გამოცემაში. სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე უფრო მნიშვნელოვან მაგალითს:

№№ რიგ.	დე დ ა ნ შ ი	ალ. ხახანაშვილის პუბლიკაციით
1	2	3
1	“ ფ ქ არს ქალაქი გორი... ქართველნი, ფრანგნი და სომეხნი ხიზნითვე კომლი 500“.	1. „არს ქალაქი გორი... ქართველნი, ფრანგნი, და სომეხნი, კომლი 500“.
2	“ღ ქ არს ქალაქი ქციხილვანისა“...	2. „არს ქალაქი წილკანი...“
3	“რმ ქ არს მცირე ქალაქი ქსანზედ ახალგორი... 140 კომლი ერისთავის დავითის მამულია“.	3. „ქსანზე მცირე ქალაქი ახალგორი... 140 კომლი“.

⁷ А. Цагарели, дасახ. ნაშრ., გვ. 128.

⁸ ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომ., გვ. 27—29.

⁹ ზოგიერთი ამ შეუსაბამობათაგანი შეაჩინა ჟერ კიდეც ს. კაკაბაძემ, იხ. დასახელებული ნ. შ. რომი, გვ. 30.

1	2	3
4	(ზემო მოტანილ ცნობას ახალგორზე მოსდევს სტრიქონი) „ჩუ ქ არს სახასო ოსი ნარა, შპა, კუდარო კომლი“	4. (ეს სტრიქონი მთლიანად გამოტოვებულია)
5	„ჩ ქ არს თათარი. დემურჩი ასანლუ ერთი სასულთნო და ამისი ოიმალები კომლი 1000“.	5. „არს თათარი დემურჩი არანლუ ერთი რასულთა და ამისი ოიმალები, კომლი 1000“.
6	„ს ქ არს ბაიდარი ერთი სასულთნო. მრავალი დაფანტულია სხვას ქვეყნებში. და ახლა რომ არის კომლი ორასი“	6. „არს მეიდარი ერთი რასულთან, მრავალი დაფანტული სხვის ქვეყნებში და ახლა რომ არის კომლი ორასი“.
7	„ძვ ქ არს ყაზახი ერთი მთელი სახანო... და დღეს არის თათარი 3500...“	7. „არს ყაზახი ერთი მთელი სახანო... და დღეს არის თათარი 3000...“
8	„ქ. არს ქვეყანა აოკრებული კახეთისა ივრის პირი ადგილი დიდი და ფრიად კეთილი. რომელსა შინა მკვიდრებულან თათრის ელნი 12000 აბრეშუმისა ბანხისა და ბრინჯისა მუშაკნი მრავალნი“.	8. „აოხრებული ქვეყანა ივრისპირი, ადგილი დიდი. თათარი ელნი 12000. აბრეშუმის და ბრინჯისა მუშაკნი მრავალნი“.

ამის გარდა არის სხვა შეცდომებიც და რამდენიმე შემთხვევა დედნის ტექსტის პუბლიკაციაში შემოკლებულად გადმოცემისა. გამოცემული ტექსტის ესოდენ დიდი დაშორებულობა დედნისაგან უკარგავს პირველს მეცნიერულ ღირებულებას და აუცილებელს ჰქვია ამ ძეგლის ხელახალ გამოცემას;

ნ უ ს ხ ი ს ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ა. 1770 წ. 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხის დედანი ინახება რუსეთის საგარეო საქმეთა პოლიტიკის არქივში (მოსკოვი), რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონდში, 1769—1770 წწ. საქართველოში რუსეთის მთავრობის რწმუნებულად ნამყოფ ანტონ რომანის ძე მოურავოვის (მოურავიშვილის) ქაღალდებში (ფ. 110, ან. 2, ს. 6, ფურ. 210—211)¹⁰. უწყისი დაწერილია 18X29 სმ ზომის ქაღალდის ორ ფურცელზე და ავსებს ამ ფურცლების ოთხსავე გვერდს. ფურცლები და ტექსტი დაზიანებული არ არის, ტექსტი შესრულებულია მხედრული დამწერლობით, ერთი ხელით და იკითხება კარგად, ხელმოუწერელია, არც რაიმე სათაური აქვს, და არც აღრესათია დასახელებული. თავში (ფურ. 210). ასომთავრულით აწერია „ქს აქეთ ჩლო აპრილს ე“, „ე. ი. ქრისტეს აქეთ 1770 წლ. აპრილის 5-ს. მომღვენო მესამე ფურცელზე (ფურ. 213) არის ცნობა ლაშქრის თეორიულად შესაძლე-

¹⁰ ანტონ რომანის ძე მოურავოვი (თარხნიშვილი) იყო რუსეთში წასული ქართველი ემიგრანტის თარხან-მოურავიშვილის შთამომავალი. 1768—1774 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით, ის მოვლინებული იყო რუსეთიდან რუსეთის საქმეების რწმუნებულად ერეკლე II და სოლომონ I სამეფო კარზე. მან დაპყრო საქართველოში 1769 წლის სექტემბრიდან 1770 წლის ოქტომბრამდე.

ბელ რიცხოვნობაზე. ლაშქრის ნაჩვენები რიცხოვნობა წარმოადგენს კომლთა რიცხოვნობის შესაბამისად გამოთვლილ ნავარაუდევ რიცხოვნობას. ეს ფურცელი დაწერილია იმავე ხელით რაც წინა ორი ფურცელი და იმათ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს. ეს ფურცელიც ხელმოუწერელია. ნუსხის თითოეული აბზაცი იწყება მასში გათვალისწინებული მოსახლეობის რიცხოვნობის გამოსახულებით ასო-რიცხვნიშნის საშუალებით; ამას მოსდევს ტრადიციული ქანწილის ნიშანი ქ და შემდეგ მოდის აბზაცის ტექსტი.

ასევე ხელმოუწერელია და უადრესატოა აქვე დატული რიგი სხვა ქალაქებისა, რომლებიც შეიცავს ცნობებს მოქმედ და გაპარტახებულ მონასტრებზე, ეპარქიებზე, დედოფლის და კათალიკოსის მოხელეებზე და სხვ. ოღონდ ეს ქალაქები დაწერილია განსხვავებული ხელით.

ნუსხის შემდგენლის ვინაობა. უწყისი, ჩანს, შედგენილი იყო ერეკლე II კარზე და საქართველოს შესახებ სხვა აღწერილობით მასალებთან ერთად გადაეცა რუსეთის რეზიდენტს, ა. რ. მოურავოვს, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ასეთი მოსაზრება, სავსებით გასაზიარებელი, გამოთქვეს ჯერ კიდევ ალ. ცაგარელმა, ს. კაკაბაძემ, ივ. ჭავჭავიძელმა. ამ ცნობების მოცემა ალბათ, თვით მოურავოვმა მოითხოვა (რუსეთის მთავრობა ამ ხანებში თავის მოხელეების მეშვეობით ფართოდ აგროვებს ინფორმაციას საქართველოზე და საერთოდ კავკასიაზე). ამ შემთხვევაში მოურავოვის განსაკუთრებულ როლს გვაგულვებინებს ის გარემოება. რომ მთელი ეს მასალა ადრევე და ეხლაც მოურავოვის ქალაქებში ინახება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამავე 5 აპრილს მოურავოვმა გაუგზავნა გრაფ. ნ. ი. პანინს¹¹ პატაკი, რომელიც შეიცავს ცნობებს ზოგიერთ იმ საკითხზე, რასაც — 1770 5 აპრილის უწყისი (ქალაქების ნუსხა, მოსახლეობის კომლობრივ რიცხოვნობაზე, ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავალზე და სხვ.).

უწყისის შემდგენლის ვინაობის ძიების პროცესში გასახსენებელია, რომ: 1. 1770 წელსვე საქართველოში მყოფი კაპიტანი იაზიკოვი თავის „Записка о Грузии“-ში წერდა, რომ საქართველოს შესახებ ცნობათა მეტრ წილი მიაწოდა კათალიკოსმა ანტონიმ¹²; 2. 1772 წ. საქართველოში ყოფნისას გულდენ-შტედტი, მისივე სიტყვით, ხშირად საუბრობდა კათალიკოს ანტონთან და მისგან უთუოდ იღებდა საჭირო ინფორმაციას საქართველოს შესახებ¹³; 3. მოურავოვის და ანტონ კათალიკოსის შორის პირად კონტაქტებს და მიმოწერას მოწმობს შემონახული წერილები და სხვა საბუთები. 4. 1770. 5 აპრილის უწყისის გვერდით მოურავოვის ქალაქებში დატულია კათალიკოსის კარის ხელისუფალთა ნომენკლატურული სია, სია მონასტრებისა და ეპარქიების. ეს ყველაფერი ეჭვს პბადებს, თუმც გადაწყვეტი დასკვნისათვის არ იძლევა საკმარის საფუძველს, რომ 1770. 5 აპრილის ნუსხა ანტონ კათალიკოსისაგან იყოს მოწოდებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მისი დამწერი საქმეებია უფრო სამეფო კარის მდივანმწიგნობრებს შორის ან მეფესთან ახლო მდგომ სხვა საერო პირთა შორის. საკითხის დამაჭერებლად გადაწყვეტისათვის შესაძლოა მასალა

¹¹ Грамоты и др. исторические документы XVIII стол., т. I. под ред. А. А. Цагарели. СПб., 1891, გვ. 216—218.

¹² იქვე, გვ. 189.

¹³ გულდენ-შტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 7, 13.

მოგვეცეს ხელნაწერების ვრცელმა შედარებამ (ამის შესრულებას ამჯერად ჩვენ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ ვახერხებთ).

გასაარკვევი რჩება 1770 წ. 5 აპრილის უწყისის ხალხთ-მოსახლეობაზე ციფრობრივი მონაცემების წყაროს საკითხი. ამის გარკვევას დიდი მნიშვნელობა აქვს დასკვნისათვის, თუ რამდენად სანდოა ხსენებული მონაცემები.

ივ. ჯავახიშვილმა ეს უწყისი მოიხსენია თავის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი ტომის იმ თავში, რომელშიც განხილული აქვს აღწერის დავთრებიდან გაკეთებული „სტატისტიკური ამონაკრებები“ და მიიჩნია ის სამეფო მთავრობის დავალებით „შედგენილ განსაკუთრებულ საბუთად“¹⁴. მაგრამ საიდან არის მიღებული თუ ამოკრეფილი ეს ციფრები, ამაზე არაფერი აქვს ნათქვამი.

ზოგიერთი მკვლევარი კი (დ. გვრიტიშვილი, გ. თოგოშვილი) ახსენებს რა ამ უწყისთან დაკავშირებით „1770 წ. აღწერას“, „ერეკლე II ბრძანებით 1770 წ. ჩატარებული აღწერას“¹⁵, ჩანს ამ ცნობებს მიიჩნევს თითქოსდა 1770 წელს ჩატარებულ აღწერის მონაცემებად.

დ. გვრიტიშვილის, და გ. თოგოშვილის ეს აზრი ჩვენ ვფიქრობთ მცდარი უნდა იყოს.

1770 წელი ოსმალეთთან ომის წელია; საქართველოში მოქმედებდა გენერალ ტოტლებენის საექსპედიციო კორპუსი და საექვთა მთავრობას მოეცალა აღწერის ჩატარებისათვის. ამასთან უწყისში წარმოდგენილი ციფრების დიდი უმეტესობა დარგვალბულია ათასებად და ასეულებად, რაც უთუოდ იმის ნიშანია, რომ ციფრები საორიენტაციო, სავარაუდო ხასიათს ატარებენ და არ წარმოადგენენ დავთრებიდან ამონაკრებს. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას უკიდურესობაში გადავიდეთ და ვამტკიცოთ ციფრების ხალასი სუბიექტური ხასიათი და ობიექტური საფუძვლის უქონლობა. კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოში მიღებული წესით, კომლობრივი აღწერები ტარდებოდა შვიდ წელიწადში ერთხელ, რომ ჩვენამდე მოაღწია 1774 და 1781 წლებში ჩატარებულ აღწერათა დავთრების ნაწილმა და მამასადამე, ამათ წინარე აღწერა უნდა ჩატარებულიყო 1767 წ. ან მის მომიჯნავე წელს.

აქედან დასკვნა, რომ 1770. 5 აპრილის უწყისის შედგენისას მოსახლეობა რიცხობრივად განსაზღვრისათვის არ შეიძლება არ გაეთვალისწინებინათ 1767 წ. ნავარაუდები აღწერის მონაცემები.

მაგრამ 1770 წ. 5 აპრილის ყველა ციფრი ამ აღწერიდან მომდინარედ ვერ ჩაითვლება. „დასტურლამალი“—ს პარაგრაფი „ქართლის აღწერის“ ერთი ადგილი გვაფიქრებინებს, რომ აღმ. საქართველოში შემავალ ზოგიერთ თემში აღწერა არ უწარმოებიათ. იმაზე თუ როგორ „აწერილა და ან აიწერების“ იქ წერია: „მუხრანისა და ორი ერისთავის მამულის, რომელიც კვლავ დავთარში ჩავარდნილია, იმაზედ (აღსაწერად — ვ. გ.—ზ. ც.). მუხრანის ბატონი და ერთი მდივანი წაეღენ“¹⁶. აქ სიტყვა „რომელიც“ გულისხმობს არა მთელ სამუხრანთ-ბატონოს და საერისთავოებს, არამედ ამ ტერიტორიის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც უწინაც აღწერილა („კვლავ დავთარში ჩავარდნილა“); ე. ი. იგუ-

¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

¹⁵ „მომოხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 119; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV—XVIII სს., თბ., 1969, გვ. 165.

¹⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გამოსცა ი. დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 272.

ლისხმება, რომ რაღაც ნაწილი ამ ტერიტორიისა არ აღწერილა და არც აღიწერება.

არის ერთი უფრო კონკრეტული მითითებაც, ქვემო ქართლის 1721 წლის აღწერის დავთრის მრავალმხრივ საყურადღებო წინათქმაში, მეფისადმი მიძღვნილი ხოტბის შემდეგ სწერია: „ბრძანა (მეფემ — ვ. გ.) აღწერა თვითოეულად, თვითნიერ კავკასთა: ოვსთა და დვალთა“¹⁷. საგულეებელია არა ყველა „ოსი და დვალი“, არამედ მხოლოდ მაღალმთიან ზოლში (კუდარო, ნარა, მალრანდვალეთი და სხვ.) მოსახლენი. ამაზე უთითებს სიტყვა „კავკასთა“. ესენი ნაწილობრივ სწორედ ქსნის და არაგვის საერისთაოთა გამგებლობაში იყვნენ, ხოლო ნაწილობრივ სახასოდ ითვლებოდნენ.

საგულისხმოა, რომ 1803—1804 წლებში ჩატარებული პირველი კამერალური აღწერაც ლიახვის ხეობის, კუდაროს, დვალეთის ხეობების ოსებს და თუშ-ხევსურ-ფშაველებს არ შეეხო¹⁸.

მოტანილი ფაქტები, ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოთა გათვალისწინებულთან ერთად, გვაეარაუდებინებს, რომ მაღალმთიან ზოლში მოსახლე ოსები და თუშ-ხევსურ-ფშავენიც ერეკლე II მეფობაშიც არ აღწერილან კომლობრივ. 1770 წ. 5 აპრილის უწყისში ნაჩვენები მათი რიცხოვნობა რაღაც სხვა წყაროდან უნდა მომდინარეობდეს.

ამ ციფრებს შეიძლება საფუძვლად ედოს დაბარებულ მკვიდრთა და მოუჩრავთა გამოკითხვით მიღებული ცნობები ან რაიმე არა პირდაპირი ნიშნით შეპირობებული ვარაუდი.

იგივე ითქმის დიდოეთზე და აღმოსავლეთ კახეთზე („ენისელი, ფადარი, ლალალი“). ეს კუთხეები ამ ხანებში უკვე აღმოსავლეთ საქართველოს არ ეკუთვნოდა, ამიტომ იქ აღწერების ჩატარება აღმოსავლეთ საქართველოს ხელისუფლებისათვის შეუძლებელი იყო. უწყისში მოტანილი ციფრები მხოლოდ ნაგარაუდევ რიცხოვნობას უნდა გამოხატავდენ.

ამრიგად, განსახილველი უწყისის ციფრობრივ მასალას სხვადასხვა წყარო ჰქონდა. ქართლ-კახეთის ძირითადი ნაწილის შესახებ, სადაც XVIII ს-ში სისტემატურად ტარდებოდა აღწერები, უწყისის შემდგენელთ უნდა ეხელმძღვანელად 1767 წელს ან მის მომიჯნავე წელს) ნაგარაუდევი აღწერის მონაცემებით; რასაკვირველია, ისინი დაუშვებდნენ შემაჯამებელი ციფრების ერთგვარ დამრგვალებას; ხოლო მაღალმთიანი ზოლის (დვალეთი, თუშ-ფშავე-ხევსურეთი) მიმართ, სადაც აღწერები ჩვეულებრივ არ ტარდებოდა და იმ დროისათვის საქართველოსაგან ჩამოშორებული თემების (აღმოსავლეთ კახეთი, დიდოეთი) მიმართ კომლთა რიცხოვნობის განსაზღვრისას შეეძლოთ ეხელმძღვანელათ ან ადგილობრივ კომპეტენტურ მკვიდრთა გამოკითხვით მიღებული მონაცემებით ან მხოლოდ საკუთარი მიახლოებითი ვარაუდით.

ცალკე გამოსაყოფია და თავისებურ ყურადღებას იმსახურებს თრიალეთის, ქვემო ქართლისა და სამხრეთ საქართველოს თემების ჯგუფი; თრიალეთი, გუჯარეთი, ტაშირი, ყაიყული, სომხითი, საბარათიანო. ამ თემებში ხალხთმოსახლეობის კომლობრივ რიცხოვნობას უწყისი სრულიად არ უჩვენებს მათი აოხრებულობის საბაბით. ზოგიერთ თემზე შენიშნავენ „უმკვიდრო ქმნილი“, ხოლო სომხითი — საბარათიანოში თუმცა კი სცნობს დარჩენილად მოსახლეო-

¹⁷ ვ. თაყაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 2.

¹⁸ სსსრცისა, ფ. 254, ან. 1 ს. 76, ფურც. 59, ს. 70.

ბის 1/40—1/100 ნაწილს, მაგრამ რიცხოვნობას აბსოლუტურ რიცხვებში არ უჩვენებს. „უშეკიდრო ქმნილი“ თემები, მიუხედავად მათი აოხრებულობისა, მთლად გაუქცირებულად ვერ წარმოიდგინება.

ამრიგად რიგი თემების მოსახლეობა 1770 წ. 5 აპრილის უწყისში ასახული არ არის. ასახული არ არის უწყისში წარჩინებული წოდებაც (სამეფო კარი, თავადაზნაურობა, სამღვდლოება) მთლიანად, თუ არა მისი უდიდესი ნაწილი შინც. ყველა ამ მომენტს ხაზი უნდა გაესვას რათა ცხადი იყოს თუ რამდენად ფრთხილი, კრიტიკული მიდგომა არის საჭირო ამ უწყისში წარმოდგენილი ციფრებისადმი, თუ მოვინდომებთ ამ უწყისის მონაცემთა საფუძველზე გავარკვიოთ იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის საერთო ზუსტადობრივი რიცხოვნობა (რასაკვირველია, მხოლოდ მიახლოებით), ეთნიკური შემადგენლობა და სხვა საკითხები.

ამჟამად ჩვენ ვასრულებთ სტატიას ცხრილით, რომელშიც დაჯამებულია:

1. რამდენი კომლია აღრიცხული 1770 წ. 5 აპრილის უწყისით იმდროინდელ ქართლ-კახეთის სამეფოში, იმ თემების გამოკლებით, რომლებიც ნამდვილად აღარ შედიოდნენ სამეფოს საზღვრებში და 2. რამდენი კომლი აღირიცხა იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღესაც საქართველოს ფარგლებში შემოდის.

ცალკეული ციფრები მეტ-ნაკლებ დაზუსტებას მოითხოვენ და მათი რამდენადმე დაზუსტება შესაძლებელიც არის; მაგრამ ეს სპეციალური კვლევის საგანია და აქ ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით.

რ.გ. №№	აღრიცხვის ერთეულები	კომლთა რიცხოვნობა საერთოდ	1770 წ. კომლთა რიცხოვნობა დიფერენცირებულად				შენიშვნა
			იმდროინდელი აღმ. საქართ. ფარგლებში	მის გარეთ	დღევანდელი აღმ. საქართ. ფარგლებში	მის გარეთ	
1	2	3	4	5	6	7	8
1	თბილისი	4000	4000		4000		
2	გორი	500	500		500		
3	ქცილენი	700	700		700		
4	სურამი	200	200		200		
5	თელავი	750	750		750		
6	სიღნაღი	100	100		100		
7	ანანური	100	100		100		
8	ახალგორი	140	140		140		
	სულ ქალაქებში	6 490	6 490	—	6 490	—	
9	ოსი (ნარა-კუდარო)	1400	1400		400	1000	დეაღეთი
10	ოსი-არაგვისა	1200	1200		900	300	
11	მართლმად. არაგვზე	2000	2000		2000		
12	ოსი (ქსნისა)	2000	2000		2000		
13	მ/მად. (ქსნისა)	1600	1600		1600		
14	ოსი (მაჩაბლისა)	860	860		860		
15	ებრაელი "	40	40		40		
16	მ/მად. (ქართლში)	4000	4000		4000		
17	სომეხი (ქართლში)	500	500		500		
18	თათარი (დემურჩი ასანლუ)	1000	1000		1000		
19	თათარი (აიდარი)	200	200		200		
20	ბორჩალო-ფაშბაკი						
	თათარი და სომეხი	2560	2560		1500	1060	} ყაზახ-შამ-შაღილო
21	ყაზახი-თათარი	3500	3500		—	3500	
22	ყაზახი-სომეხი	1200	1200		—	1200	
23	მამშაღილო თათარი	2200	2200		—	2200	
24	" სომეხი	1200	1200		—	1200	
25	ხეცური	1200	1200		1200		

- რ ქ არს მცირე ქალაქი. არაგვზე ანანური. და ამას შინა მკვიდრობენ ქართველნი და სომეხნი კომლი ასი:
- რმ ქ არს მცირე ქალაქი ქსანზედ ახალგორი. და ამას შინა მკვიდრობენ. ქართველნი და სომეხნი. ას ორმოცი: ერისთვის დავითის მამულაია.
- 210v
- ჩუ ქ არს სახასო ოსი. ნარა შვა კუდარო. კომლი:
- ჩს ქ არს არაგვის ოსი. ზაქას თრუსოს ჭერიც და ჯადას და ლუდას. ათას ორასი:
- ც ქ არს არაგვის ქრისტეანე მართლ მადიდებელი მთას და ბარს კომლი ორი ათასი.
- ც ქ არს ქსნის ოსი. კომლი ორი ათასი:
- ჩქ ქ არს ქსნის საერისთოს ქრისტეანე მართლ მადიდებელი. კომლი ათას ექვსასი.
- შ ქ არს მაჩაბლის ოსი: რვაას სამოცი: ურია არის. ორმოცი.
- წ ქ არს ქართლი მართლ მადიდებელი ქრისტეანე ქართველი ხიზანს გარდა სახასო, ეკლესიების ყმა, თავადების ყმა და აზნაურშვილებისა ოთხი ათასი.
- ფ ქ ქართლში სომეხი. არის კომლი ხუთასი.
- ჩ ქ არის თათარი. დემურჩი ასანლუ ერთი სასულთნო. და ამისი ოიმაღები კომლი ათასი: ამისი მრავალი დაფანტულია. სხვას ქვეყნებში მისულან და ხიზნათ დგანან.
- ს ქ არს ბაიდარი ერთი სასულთნო. მრავალი დაფანტულია სხვას ქვეყნებში. და ახლა რომ არის კომლი ორასი.
- ცფჟ ქ არს ბორჩალი და ფამბაკის კეობა ერთი მთელი სახანო. ამისი კაცი მრავალი დაფანტულია სხვას თემში. და ახლა არის ორი ათას ხუთას სამოცი სომხით:
- 211r
- ძფ ქ არს ყაზახი ერთი მთელი სახანო და მრავალი ამისი კაცი სხვას ქვეყნებში არის დაფანტული. და დღეს არის თათარი. სამი ათას ხუთასი.
- ჩს ქ სომეცი არის ყაზახისა ათას ორასი.
- ცს ქ არს შამშადილუ ერთი მთელი სახანო ამაში მკვიდრობს თათარი ორი ათას ორასი.
- ჩს ქ სომეხიც არის ათას ორასი: ესენი ზოგჯერ განჯისათვის დაგვიანებებია რადგან იმაზედ ახლოს არის. მაგრამ იმისი ყმა არ ყოფილა.
- ჩს ქ არს ჭვესურეთი კერძო ქრისტეანე ჩვენის მოუცლელობით და უამთ ვითარებით სჯულზედ წამყდარნი. კომლი. ათას ორასი.

- ჩ ქ არს ფშავი. მართლ მადიდებელი ქრისტიანე კომლი ათასი:
- ჩუ ქ არს თუშეთი მართლ მადიდებელი ქრისტიანე კომლი. ათას ოთხასი.
- წ ქ არს დილდეთი ლეკისაგან წართმეული ამ ასს წელიწადში. ოთხი ათასი.
- ც ქ არს კახეთი ქრისტიანე მართლ მადიდებელი ხიზნით კომლი შვიდი ათასი
- უნ ქ არს კახეთის სომეხი. კომლი ოთხას ორმოცდაათი ხიზნით
- ჩ ქ არს კახეთის თათარი კომლი. ათასი.
- ჟ ქ არს კახეთის მამული ხარაბაებს გარდა რომელნიც ჩვენს ყამში კიდევ ხარჯს გვაძლევდნენ და ამ მცირეს ყამში ველარ დავინებეთ კომლი ენისე-ლი ფადარი ლალალი და სხვანი რომელნიც ესენი ერთი საპროვინციო იქმნება. ქრისტიანე || მართლ მადიდებელი. და სომეხი და თათარი. კომლი ათი ათასი:
- ქ არს აოკრებული და უმკვიდრო ქმნილი თრიალეთი ადგილი ვრცელი. და ფრიად კეთილი და დიდი და სოფელი მრავალი.
- ქ არს აოკრებული ყაიყული უმკვიდრო ქმნილი ქვეყანა ფრიად კეთილი და სოფელი მრავალი.
- ქ არს აოკრებული ტაშირი.
- ქ არს აოკრებული გუჯარეთი.:
- ქ არს აოკრებული სრულად სომხითი. ქვეყანა დიდი. და მრავალი. და ამისი აყრილი კაცი ორმოცისაგან ერთი თუ დარჩომილა. ერთმანერთში არიან ხიზნად.

211v

- ქ აგრეთვე არს საბარათასშვილო აოკრებული ქვეყანა დიდი და კეთილი ამისი კაცი ასისაგან ერთი თუ მორჩომილა სადმე ერთმანერთში არიან ხიზნად: და ეს სომხითი და საბარათიანო. შესწორებული არის ქართლისა ნახევარ ქართლი ჰქვიან. და უწოდებენ ამჟამად ქვემო ქართლად.
- ქ არს ქვეყანა აოკრებული კახეთისა ივრის პირი ადგილი დიდი და ფრიად კეთილი. რომელსა შინა მკვიდრებულან თათრის ელნი თორმეტი ათასი აბრეშუმისა ბამბისა და ბრინჯისა მუშაქნი მრავლისა:
- ქ დღეს რომელიც შემოსავალი არის მეფის ერეკლესი წელიწადში ათი ათასი თუმანი თუ ყამი კეთილია იქნება რომ თორმეტი ათასად შესრულდეს ხოლმე. ამ ყამად წლის შემოსავალი მისის სიმალლისა:

213

- ქ დღეს რომელიც ჩვენს სამეფოში ქვეყნები არის საქართველოებში ან ქალაქები. ან მთები. და ან ბარში ქვეყნები. ამაებში რაც კაცნი მკვიდრობენ. თუ ეს ორი მიზეზი არა გვქონდეს. პირველი ესე რომე ჩვენის სამარადისოს მტრის უცალოება არ გვაბრკოლებდეს. და მეორედ თუ მისის თადარიკის კელისა მომართულობა გვქონდეს ქართველისა და სომხის გამოყვანა შეიძლება რიცხვით (იწ) ათასი:

- ქ თათრის გამოყვანა შეიძლება რიცხვით (ე) ათასი
- ქ იქმნა ორისავე რიცხვი: (კგ) ათასი
- ქ ერევნელნი ჩვენ როგორც გვემორჩილებიან. და ან განჯელნი ჩვენზედ როგორც მოკიდებულნი არიან ეს ყოველივე მაღალს კარს ჩვენგან ინსტრუქციით მოჰსენებია:
- ქ შემოსავალს მკვიდრობა არა აქვს. მრავალჯერ მომატება იქმნება. და ხან დაკნინება ბარბაროსთ მტერთ მეზობლობისაგან.
- ქ ქართლისა და კახეთისა ჩვენს მოკვლეთ ყოელთავე იცნობთ. სალთხუცებსა მსაჯულთა. მანდატურთუხუცესთა. ეშიკადასბაშთ რომ უწოდებენ. მეჩინიბეთუხუცესთა ქეშიკიბაშთა. მდივნებთა ნაზირებთა მოლარეთუხუცესებთა და სხვათა ყოელთავე. როგორც ხედაეთ ასე არის.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივი, ფ. 110, ან. 2. ს. 6. ფრ. 210—211 v., 213r.

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნიკოლოზ სუჟაა

სოციალისტური რევოლუციის ისტორიის საკითხები უკანასკნელი 10 წლის ძარბულ ისტორიულ ლიტერატურაში

„დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის“ საქართველოს სექციამ ათი წლის მუშაობის ანგარიში ჩააბარა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო სამეცნიერო საკოორდინაციო საბჭოს და ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარებული მუშაობის შედეგები გავაცნოთ საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოებრიობასაც.

საანგარიშო პერიოდში საბჭოთა ხალხმა აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი, დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავი, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი. ამ დიდმნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით ისტორიკოსებმა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნეს. ბუნებრივია, ამ ლიტერატურაში ცენტრალური ადგილი იმ ნაშრომებს უკავიათ, სადაც გაშუქებულია სოციალისტური რევოლუციის ისტორიის საკითხები.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, ქართულ, რუსულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოვიდა სოციალისტური რევოლუციის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი ასობით სამეცნიერო ნაშრომი.

რევოლუციური პროცესის განვითარება და სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრების მომწიფება საქართველოში განხილულია მრავალ ისტორიულ გამოკვლევაში. ამ ნაშრომთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეექვსე ტომი, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ და „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები“. ეს საკითხები ვრცლადაა გაშუქებული კოლექტიურ მონოგრაფიაში „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში“. სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრების საკითხები საფუძვლიანად არის შესწავლილი ა. ბენდიანაშვილის ნაშრომში „სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში“ (თბილისი, 1971) ა. სურგულაძის მონოგრაფიაში „ამიერკავკასია სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში“ (თბილისი, 1971, რუს. ენაზე), ს. ჩხარტიშვილის წიგნში „საქართველო ახალი რევოლუციური აღმავლობისა და პირველი მსოფლიო ომის წლებში“ (თბილისი, 1968), შ. ბასილაის ნაშრომში „ამიერკავკასია პირველი მსოფლიო ომის წლებში“ (სოხუმი, 1968, რუს. ენაზე).

ქართველი ისტორიკოსები დიდი ყურადღებით სწავლობენ სოციალისტური რევოლუციის წინა ხანების საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას, იმ ისტორიული ეპოქის ეკონომიკას, როცა ასპარეზზე გამოვიდა მუშათა კლასი. ამ მხრივ აღსანიშნავია გ. მარგიანის წიგნი „სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში“ (თბილისი, 1968), ე. ხოშტარაის მონოგრაფია „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში“ (თბილისი, 1968),

კ. ჩარკვიანის ნაშრომი „ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ“ (თბილისი, 1970), ი. მირცხულავას წიგნი „აგარაულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917“ (თბილისი, 1964) და სხვა გამოკვლევები.

ქართველი ისტორიკოსები სწავლობდნენ ზედნაშენურ მოვლენებსაც. ამ ხანის საქართველოს კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის საკითხები სათანადო სიღრმითაა გაშუქებული ლ. გორგილაძის მონოგრაფიაში „იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, XX საუკუნის პირველი მეოთხედი“ (თბილისი, 1963), ც. კალანდაძის, დ. მაისურაძის, გ. ზაქარიაძისა და სხვათა ნაშრომებში.

იმ გამოკვლევებიდან, სადაც ვრცლად არის ნაჩვენები მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის საკითხები, უნდა დავასახელოთ ნ. მახარაძის, მ. ცერცვაძის, ა. კიკვიძის და ნ. ჩახვაშვილის ნაშრომები.

ჩვენი ისტორიკოსები განსაკუთრებით ბევრს მუშაობენ საქართველოში აგარაული და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის საკითხებზე. ამ ხანიათის ნაშრომებიდან აღსანიშნავია გ. ძიძარას, ი. მირცხულავას და სხვათა გამოკვლევები. საქართველოში განლაგებული სამხედრო ნაწილებში — კავკასიის არმიის ნაწილებში რევოლუციური მოძრაობის ისტორია გაშუქებულია ა. სტეკლოვისა და ს. ჩხარტიშვილის ნაშრომებში.

XX საუკუნის საქართველოში განვითარების ახალ ეტაპზე ავიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობის დემოკრატიული მიმართულების ისტორია გაშუქებულია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში“ და ა. სურგულაძისა და ა. კიკვიძის შრომებში. ამ ისტორიულ თხზულებებში ნაჩვენებია ის დიდი მუშაობა, რასაც ქართველი ბოლშევიკები ეწეოდნენ სოციალიზმისათვის ბრძოლასთან დემოკრატიისათვის ბრძოლის შესაერთებლად.

საანგარიშო პერიოდში გაფართოვდა საკვლევო თემატიკა: ისტორიკოსთა მეცნიერული ინტერესების სფეროში მრავალი ახალი პრობლემა შემოვიდა. დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს წვრილბურჟუაზიული პარტიების ისტორიის შესწავლას. ქართველ ისტორიკოსთა თითქმის ყველა ნაშრომში გაშუქებულია საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების, მიმდინარეობებისა და ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც მშრომელთა შეგნებას სხვადასხვა ანტიმარქსისტული თეორიებითა და იდეებით ხრწნიდნენ. ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ე. ახოზაძის წიგნი „ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში 1900—1917 წწ.“ (თბილისი, 1965), ა. ებრალიძის ნაშრომში „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ 1903—1917“ (თბილისი, 1968), გ. ჯანგველაძის მონოგრაფიაში „საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ბრძოლა წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და მიმდინარეობების წინააღმდეგ“. ამ შრომებში დასაბუთებულია დებულებები, რომ საქართველოში რევოლუციის წინ თუმცა კი სრულად იყო მომზადებული სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ყველა პირობა, მაგრამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში ვადაზრდის პროცესი (რუსეთთან შედარებით) სამ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და რომ ამ პროცესის ასეთი დაყოვნება ჯერ გერმანულ-თურქების და შემდეგ ანტანტის ჯარების მიერ საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის დამყარების შემდეგ მოხდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 1917 წლის ბოლო — 1921 წლის დასაწყისი. ქართული ისტორიოგრაფია ამ ისტორიულ ხანას სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევს აგრეთვე სამოქალაქო ომის პერიოდადაც, რადგან ამ ხანაში საქართველოს მშრომელები თავგამოდებით იბრძოდნენ უცხოელი ინტერვენტებისა და მენშევიკების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის წინააღმდეგ.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის ისტორიოგრაფია საბჭოთა საქართველოს ისტორიის საწყისი, „სასტარტო“ პრობლემაა. 1962—1972 წწ. ქართველმა ისტორიკოსებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის შესასწავლად და აქაც წინა პლანზე კვლავ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის პრობლემა დგას. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ამ პრობლემაზე ბოლო ათ წელიწადში ჩვენში უფრო მეტი მეცნიერული ნაშრომი დაიწერა, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წინა 40 წლის მანძილზე. პრობლემატიკის გაფართოებასთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ოქტომბრის ისტორიკოსთა რიგები შეივსო ახალგაზრდა კადრებით, რომლებიც ღრმად არიან დაუფლებულნი მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. სოციალისტური რევოლუციის ისტორიას სწავლობენ ისტორიკოსები, რომლებიც მუშაობენ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და უმაღლეს სასწავლებლებში. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის მოვლენაც, რომ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი საშუალო სპეციალური და საერთო საგანმანათლებლო სკოლების ისტორიის მასწავლებელთა შორისაც. როგორც ცნობილია, ისტორიკოსთა ერთი ნაწილი მუშაობს მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოებში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, პარტიულ და საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, რესპუბლიკის შემოქმედებითსა და სხვა ორგანიზაციებში. ამ ისტორიკოსებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც მეცნიერულ მუშაობას ეზიარნენ და დიდი ენთუზიაზმით სწავლობენ, იკვლევენ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიას. სამწუხაროდ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის“ საპრობლემო სამეცნიერო საბჭოს საქართველოს სექციამ დღემდე ვერ შეძლო მათი მუშაობის კოორდინირება და ისინი სათანადოდ ვერ ჩააბა სექციის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდი მნიშვნელოვანია იმით, რომ გამოვიდა მეცნიერული შრომების დიდი რაოდენობა და რაც მთავარია, მკვეთრად ამაღლდა მეცნიერული გამოკვლევების იდეურ-თეორიული დონე.

ისტორიულ ლიტერატურაში უფრო ღრმად არის გაშუქებული მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა პირველი საბჭოების წარმოშობისა და მოღვაწეობის საკითხები, საბჭოებისა, რომლებიც საქართველოში წარმოიშვა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. სამოციან წლებამდე მთელი რიგი ისტორიკოსებისა სადავოდ მიიჩნევდა საბჭოებს, როგორც სახალხო ხელისუფლების ფორმას საქართველოში. ამას ასაბუთებდნენ იმით, რომ საბჭოებში რიცხობრივად ჰარბობდნენ მენშევიკები, ესერები და სხვა წვრილბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები. აქედან გამომდინარე, ისინი უარყოფდნენ, აგრეთვე საქართველოში ორხელისუფლებიანობის არსებობასაც.

ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჩვენში რევოლუციამ დაიგვიანა იმიტომ, რომ 1917—1918 წწ. მიჯნაზე საქართველოში არ არსებობდა რევოლუციური სიტუაცია. ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის ეს ძირითადი საკითხები, სხვა მსგავს საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა კონფერენციაზე, რომელიც საპრობლემო სამეცნიერო საბჭომ მოაწყო ბაქოში 1958 წლის დეკემბერში. ამ კონფერენციის მუშაობის შედეგები ქართველმა ისტორიკოსებმა განიხილეს 1959 წელს სათანადო დისკუსიებზე. ბაქოში კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ი. ი. მინცმა, რომელმაც დაასაბუთა, რომ დებულებები საქართველოში ორხელისუფლებიანობისა (1917 წლის მარტიდან ივლისამდე) და რევოლუციური სიტუაციის (1917—1918 წლების მიჯნაზე) არ არსებობის შესახებ მცდარი იყო. მან აღნიშნა, რომ ამ დებულებათა ავტორები საქართველოს ხელოვნურად თიშავდნენ რუსეთისაგან, მაშინ როდესაც საქართველო რუსეთის შემადგენელი ნაწილი იყო. აკად. ი. ი. მინცმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობდა ორხელისუფლებიანობისა და რევოლუციური სიტუაციის არარსებობა აეხსნა ამიერკავკასიაში რევოლუციური პროცესების თავისებურებებით, რაც მცდარი და უსაფუძვლო იყო. ჩვენი ისტორიკოსების მიერ წამოყენებული ეს დებულებები ხელს უშლიდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დაგვიანებით გამარჯვების ჭეშმარიტი მიზეზების დადგენასა და ღრმად შესწავლას. ეს მცდარი დებულებები საქართველოში რევოლუციური სიტუაციისა და ორხელისუფლებიანობის არარსებობის შესახებ 60-იანი წლების ისტორიულ ლიტერატურაში მთლიანად უარყოფილია. ამის მაგალითია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის“ ერთ-ტომეული, გ. ჟვანიას, კ. ივანიძის, კ. წერეთლისა და სხვათა ნაშრომები. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ცალკეულ ისტორიულ გამოკვლევებში ჯერ კიდევ გვხვდება ამ ძველი შეცდომების რეციდივები.

საქართველოში გამოსულ ისტორიულ თხზულებებში გაანალიზებულია მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკა, რამაც საქართველოს სახალხო მეურნეობა კატასტროფამდე მიიყვანა. უცხოელთა ინტერვენციისა და მენშევიკთა ბატონობის პერიოდში საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის საკითხები განხილულია კ. ჩარკვიანის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში და ი. მირცხულავას წიგნში „ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წწ.“ (თბილისი, 1965). არ იქნება ზედმეტი აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს ავტორები მენშევიკების აგრარულ რეფორმას სხვადასხვაგვარად აფასებენ. კ. ჩარკვიანის აზრით, ეს რეფორმა ხელს უწყობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ამერიკული გზით განვითარებას, ი. მირცხულავა კი თვლის, რომ ეს რეფორმა ქმნიდა სოფლის მეურნეობის პრუსიული გზით განვითარების პირობებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მენშევიკების აგრარული რეფორმა წარმოადგენდა პრუსიული და ამერიკული გზების ნარევეს.

საანგარიშო პერიოდში ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ნაშრომებმა, სადაც გაშუქებულია გერმანია-თურქეთისა და ინგლის-საფრანგეთ-ამერიკის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციისა და უცხოელი იმპერიალისტების კოლონიზატორული პოლიტიკის ისტორიის საკითხები. ამ გამოკვლევებში მოტანილი მასალა (დოკუმენტები, ფაქტები)

ცხადყოფს საქართველოში საოკუპაციო რეჟიმის არსებობას, უცხოელ ინტერვენტებთან და რუსეთის ანტისაბჭოთა ძალებთან ქართველი მენშევიკების კონტრრევოლუციურ კავშირსა და თანამშრომლობას. ამ გამოკვლევებიდან დაეასახელებთ გ. ლამბაშიძის წიგნებს „ინგლისისა და აშშ აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ“ (თბილისი, 1969), „იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ“ (თბილისი, 1970), ვ. ადამიას, ა. ჩოხელის და სხვათა ნაშრომებს.

საანგარიშო პერიოდში გამოსულ ნაშრომებში მოცემულია ისტორიის ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების ღრმა მეცნიერული კრიტიკა, ნაჩვენებია უცხოელი იმპერიალისტების როლი ამიერკავკასიის ე. წ. დამოუკიდებელი რესპუბლიკების „მშენებლობაში“. ამავე ნაშრომებში კარგად არის ნაჩვენები უცხოელი იმპერიალისტების როლი საქართველოს საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოცილებისა და მისი ანტისაბჭოთა პლაცდარმად გადაქცევის საქმეში. ქართველმა ისტორიკოსებმა ფაქტიური მასალის მოტანით, ამ მასალის მეცნიერული ანალიზით კარგად დაგვანახეს თუ რა როლი შეასრულეს იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მშრომელთა აჯანყებების ჩახშობასა და ამიერკავკასიის ხალხებს შორის სისხლისმღვრელი ომის გაჩაღებაში.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების გარდუვალობა. ჩვენმა ისტორიკოსებმა ნიღაბი ახადეს უხეშ ცილისწამებას თითქოსდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება საბჭოთა რუსეთიდან იყო ექსპორტირებული. ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები მკაცრად აკრიტიკებენ ბურჟუაზიული „სოვეტოლოგების“ ამ „თეორიებს“ და ამავე დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში საბჭოთა რუსეთის როლის წარმოჩინებას. მდიდარ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ისტორიკოსებმა კარგად აჩვენეს, რომ საბჭოთა რუსეთის მშრომელებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს საქართველოს, ამით მათ თავისი ინტერნაციონალური ვალი მოიხადეს და დიდი ისტორიული მისია შეასრულეს.

თუ როგორ მწიფდებოდა საქართველოში სოციალისტური რევოლუცია, ამაზე მოგვითხრობენ ქართველ ისტორიკოსთა ის ნაშრომები, რომლებიც 1917—1921 წწ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის შესწავლისადმია მიძღვნილი.

1917—1921 წწ. საქართველოში რევოლუციური პროცესის განვითარება ნაჩვენებია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მეექვსე ტომში, „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეულისა და ერთტომეულის სათანადო თავებში, მ. ჯიჯიშვილის წიგნებში „მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში, 1917—1921 წწ.“ (თბილისი, 1965), „საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის, 1917—1925“ (თბილისი, 1970), გ. ჟვანიას მონოგრაფიაში „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის“, ს. კვაჭაძის ნაშრომში „თბილისის ბოლშევიკები 1917 წელს“ (თბილისი, 1967), ნ. მახარაძის წიგნში „დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში“ (თბილისი, 1967), კ. წერეთლის მონოგრაფიაში „საბჭოები და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ამიერკავკასიაში, 1917—1921“ (თბილისი, 1965), აგრეთვე გ. გამსახურდიას გამოკვლევებში.

ბოლო წლებში გამოქვეყნდა დოკუმენტებისა და მასალების კრებულები, სამეცნიერო ნაშრომების კრებულები („შრომები“) მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის პრობლემისადმი; დაიბეჭდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლების მონაწილეთა მოგონებები, სოციალისტური რევოლუციის აქტიური მონაწილეების ბიოგრაფიული ნარკვევები.

ისტორიკოსები დიდ ყურადღებას აქცევენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა მაზრების მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის საკითხების შესწავლას. ამ მხრივ აღსანიშნავია — გ. ძიძარას, ხ. ახვლედიანის, ბ. პლიევისა და სხვათა გამოკვლევები.

ისტორიულ თხზულებებში კარგად არის ნაჩვენები საქართველოს მშრომელების რევოლუციური ბრძოლა უცხოელი ოკუპანტებისა და მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, ამ ბრძოლების უშუალო კავშირი რუსეთის მშრომელების ბრძოლასთან სამოქალაქო ომის ფრონტებზე. მაგალითად, 1919 წ. ოქტომბერ-ნოემბერში რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით საქართველოს ბოლშევიკებმა შეიარაღებული აჯანყება მოაწყვეს. აჯანყების მიზანი იყო ჩაეშალათ საქართველოს მენშევიკური ჯარების მონაწილეობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დენიკინის ლაშქრობაში. აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან მიზანს მაინც მიაღწია. აჯანყებამ დენიკინი იძულებული გახადა მოესხნა რამდენიმე პოლკი მოსკოვის ფრონტიდან და კავკასიის ფრონტზე გადმოეყვანა საქართველოს მენშევიკური მთავრობის დასახმარებლად. 1920 წლის 15 მარტს კავკასიის მშრომელებმა წერილით მიმართეს საბჭოთა რუსეთს. ამ წერილში ნათქვამი იყო: „წითელი ფრონტის უმძიმესი კრიზისის წუთებში, როდესაც შავი გენერალ დენიკინის ბანდები ორიოლიდან მოსკოვის გზაზე გაიჭრნენ, მაშინ ჩვენ რევოლუციური აღლოთი ვიგრძენით, რომ რევოლუციას საფრთხე ემუქრებოდა; თუმცა კი გამარჯვების იმედი არ გვექონდა, მაგრამ მაშინვე ბრძოლა წამოვიწყეთ საქართველოში, რათა ამით დენიკინის ზურგში საშიშროების საფრთხე შეგვექმნა. ახლა თქვენგან მოველით შევლას. თვით ჩვენი მტრები არა მალავენ, რომ ჩვენ იმისათვის, რათა წითელი არმია გვეხსნა მარცხისაგან, არ ვზოგავდით არც ღონეს, არც სიცოცხლეს და არც ოჯახის კერას. ჩვენ ასე მოვიქეციით იმიტომ, რომ ვიცოდით — თქვენი დამარცხება ეს იქნებოდა ყველა ჩვენთაგანისა და ოქტომბრის რევოლუციის ყველა მონაპოვარის დაღუპვა; საბჭოთა რუსეთის კატასტროფა ეს იქნებოდა ყველა ჩვენი იმედისა და სასოების მოსპობა“ (ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში, დოკუმენტები და მასალები, 1917—1921, თბილისი, 1958, გვ. 549).

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოს მშრომელების ბრძოლის ისტორიის საკითხები გაშუქებულია კოლექტიურ ნაშრომებში „საქართველოს პროფკავშირების ისტორიის ნარკვევები“ და „საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ისტორიის ნარკვევები“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, რომელიც გამოვიდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

გ. ყვანიას, ზ. გეგეშიძის, გ. აფრიდონიძის, თ. არშბას, გ. იარალოვისა და საქართველოს სხვა ისტორიკოსთა ნაშრომებში გაშუქებულია ბოლშევიკური ლეგალური და არალეგალური პრესის ისტორიის საკითხები, ნაჩვენებია ბოლ-
11. „მ ა ც ე“. ისტორიის სერია, 1973, № 1.

შევიკური პრესის როლი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ლენინური იდეების პროპაგანდისა და დიდი ოქტომბრის იდეების გავრცელების საქმეში.

ბოლო წლებში გამოვიდა დიდი რაოდენობის ნაშრომები, რომლებიც მიძღვნილია ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მონაწილე ქართველებისადმი. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ა. ირემაძის წიგნი „ცოცხალი ლეგენდა“ (თბილისი, 1970, რუს. ენაზე). ამ ნაშრომში ასახულია სამოქალაქო ომის გმირის, დივიზიის მეთაურის ვ. კიკვიძის ცხოვრება და მოღვაწეობა. გამოვიდა, აგრეთვე, ა. ლეჟავას ნარკვევები „ქართველი რევოლუციონერები ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში“ (თბილისი, 1971) და „ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში“ (თბილისი, 1970).

ფართოდ გაიშალა მუშაობა წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში. როგორც წესი, ყველა მონოგრაფიულ გამოკვლევას წინ ეოთვის ისტორიოგრაფიული შესავალი, ხოლო ი. კაჭარავამ და უ. სიღამონიძემ ისტორიოგრაფიაში შექმნეს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის პირველი ნაშრომები. მაგრამ ეს ნაშრომები შეიცავენ მთელ რიგ სადავო დებულებებს, უზუსტობებს და ზოგჯერ შეცდომებსაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა ისტორიოგრაფიის განვითარებაში დადებითი როლი შეასრულა საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა იუბილეებმა. ამ მხრივ ყველაზე ნაყოფიერი იყო დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილე. ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში, რომლებიც ამ დიდმნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა, ნაჩვენებია ვ. ი. ლენინის მჭიდრო კავშირი საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან, ვ. ი. ლენინის მუდმივი ზრუნვა მათზე, ნაჩვენებია რსფსრ-ს მთავრობის, რომელსაც ვ. ი. ლენინი ედგა სათავეში, დიდი დახმარება საქართველოს მშრომელებისადმი. ქართული ლენინიანას ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიისადმი. ვ. ი. ლენინის შესახებ ქართველი ისტორიკოსების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ვ. ესაიაშვილის „ვ. ი. ლენინი და საქართველო“ (თბილისი, 1970, რუს. ენაზე), გ. უვანიას „ვ. ი. ლენინი, პარტიის ცკ და ამიერკავკასიის ბოლშევიკები“ (თბილისი, 1969, რუს. ენაზე) და ა. ირემაძის „ბრძოლას ლენინი წარმართავდა“ (თბილისი, 1968) წიგნები.

საანგარიშო პერიოდში ქართული ისტორიული მეცნიერების თვისობრივი ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის, რომ მეცნიერულ გამოკვლევებში ფართოდაა გაშუქებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი გავლენა განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, ქართველი ხალხის ცხოვრების ყველა მხარეზე. წვრილბურჟუაზიული პარტიის ისტორიის მეკლევართა ნაშრომებში ნაჩვენებია თუ ოქტომბრის გავლენის შედეგად როგორ დაჩქარდა ქართული წვრილბურჟუაზიული პარტიების გახრწნა-დაშლის პროცესი; ეს კი გამოიხატა ამ პარტიების მემარცხენე ფრთის გაძლიერებაში.

ასეთია, მოკლედ, უკანასკნელ ათწლეულში ქართველ ისტორიკოსთა მუშაობის შედეგები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორიის პრობლემაზე.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა „მეცნიერებამ“ გამოსცა ნ. ჩიჯავაძის მონოგრაფია „სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აპარაში“*. ავტორი მიზნად ისახავს საქართველოს ამ მხარის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგის — მთური მიწათმოქმედების, უფრო ზუსტად კი, მემინდვრეობის ეთნოგრაფიულ შესწავლას.

ადამიანის ერთ-ერთი უძველესი სამეურნეო საქმიანობის — მიწათმოქმედების და მისი დარგების განვითარების ისტორია დაკავშირებულია საზოგადოების როგორც სამეურნეო-მატერიალურ, ასევე სოციალური განვითარების ისტორიასთან. მემინდვრეობა კი მიწათმოქმედების ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. მისი სპეციფიური ფორმებისა და ცალკეული მხარეების შესწავლას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მასში ყველაზე ნათლად ვლინდება სამეურნეო ყოფის სხვა მხარეებთან ერთად, ბუნებრივ-ეკონომიურ გარემოსთან უაღრესად ეფექტურად შეგუებული შრომის იარაღების — ხალხური ტექნიკის — გარკვეული სახეობის არსებობა. ამ საშუალებების განვითარებაში მკვლევრებმა ემპირიულ ცოდნაზე დამყარებული ადგილობრივი მოსახლეობის საწარმოო ჩვევა-გამოცდილების გარკვეული დონე. ეს მონაცემები ზოგად ქართულთან ერთად კავკასიის მთური მიწათმოქმედების მრავალი საინტერესო მხარის მეცნიერული ახსნა-დასაბუთების შესაძლებლობასაც იძლევა, რომელიც საბოლოო წამში კულტურის ისტორიისათვის არცებითი ღირებულების მქონეა.

ნ. ჩიჯავაძის ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად მიგვაჩნია სწორედ ის, რომ მან შეძლო აპარის მემინდვრეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიური თავისებურების წარმოჩენა და მისი ადგილისა და როლის განსაზღვრა საერთოდ საქართველოში მიწათმოქმედების ამ დარგის განვითარების საქმეში. წიგნი ამ მხრივ შეტად საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს. მასში დასმულია და სათანადო მეცნიერულ სიმძლავრედ აყვანილია აპარის მთური მემინდვრეობის კომპლექსში შემავალი მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

ნაშრომი ავტორის მიერ შეკრებილი ახალი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზეა დაწერილი. ნ. ჩიჯავაძე კარგად იცნობს პრობლემის ისტორიას, უზნადად სარგებლობს საკითხზე არსებული სპეციალური ლიტერატურით, იშველიებს შესაძარებელ მასალას და მომიჯნავე დისციპლინების მეცნიერული კვლევის შედეგებს.

წიგნი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან. პირველ თავში ავტორი იძლევა აპარის ნიადაგებისა და სახნავ-სათიბების დახასიათებას. იკვლევს თითოეული ამ სახმარო მიწის შექმნა-წარმოქმნის საკითხს, ახასიათებს მათ პრაქტიკულ თუ ეკონომიურ მნიშვნელობას. მეორე თავი ეთმობა აპარაში გავრცელებული მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის ხალხური წესების საფუძვლიან აღწერილობას. ცალკე, მესამე თავად არის გამოყოფილი ნიადაგების დაცვის ხალხური საშუალებების საკითხი, რომელიც ფაქტიურად ნიადაგების დეტერსების ძველთაგანვე მომდინარე აგროტექნიკის წესების აღწერას ეთმობა და ბოლოს, მეოთხე თავში განხილულია მორწყვის ხალხური წესები და საშუალებანი აპარაში. წიგნს დართული აქვს რეზიუმე რუსულ ენაზე, შემოკლებათა განმარტებანი და ტაბულები.

შესავალში ნ. ჩიჯავაძე, კულტურის ელემენტთა გარკვეული კომპლექსის გათვალისწინებით და მისი ელემენტების გავრცელების შესაბამისად (რომელიც ერთი მხრივ გულისხმობს ისეთი კომპონენტების არსებობას, როგორცაა საითიბი მეურნეობა, საიალადო მესაქონლეობა, მორწყვა, გაპატივება, ხოლო მეურნეობის ამ ფორმების შესაბამისად მატერიალური კულტურის ხაზით ასევე გარკვეული მონაცემების (ბუჭულა წისკვილი, სელი, მარხილი, სარძიე ბედლიანი სახლი და სხვ.) არსებობას) გამოყოფს მიწათმოქმედების მთერ ტიპს ბარულისაგან. აპარის პირობების გათვალისწინებით ზუსტად სადემარკაციო ხაზს ავლენს გარკვეულ გეოგრაფიულ პუნქტებზე (სოფ. მერისი, ცხმორისი, ჩაქვისთავი, ჭახათი). ავტორი იძლევა აგრეთვე ბარსა და მთას შორის გარდამავალი ზოლის საეარაუდო საზღვარსაც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზონალობას ავტორი ბუნებრივ-სამეურნეო ფაქტორების გათვალისწინებით აღდგენს. ეს მეთოდი ახალი არ არის. იგი ჯერ კიდევ ეახუშტი ბაგრატიონმა შეიმუშავა და საკმაოდ ეფექტურად გამოიყენა საქართველოში მთა-ბარობის განსაზღვრისას. ვახუშტისეული მეთოდი დღესაც საკუბებით მისაღებადაა მიჩნეული და მას არც ნ. ჩიჯავაძე უარპყოფს, ნაგრამ თავისი საკვლევი რეგიონის კონკრეტული პირობების გათვალისწინებით სხვა საზომით უდგება მას. სახელდობრ, თუ კი ვახუშტი ვაზსა და ხეხილს მიიჩნევდა მთა-ბარობის განსაზღვრის მთავარ საშუალებად, ნ. ჩიჯავაძემ გათვალისწინა ის გარემოება, რომ აპარის მთის სოფლებშიაუც კი დღეისათვის ვაზმაუც მოიკიდა ფეხი და ზონალობის დასადგენად გამოიყენა

* ნ. ჩიჯავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აპარაში, რედაქტორი ალ. რომაქიძე, თბ., 1971.

არა ეაზი, არამედ სუბტროპიკული კულტურების გავრცელების ზედა ხაზი.

მონოგრაფიის ავტორს ფართო გეგმა აქვს დასახული, იგი გამოაქვს აჭარის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოსათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, რასაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა საკუთრივ საქართველოს მიმართ — მცნათმოქმედების ისტორიის შესწავლის დროს, რადგან ადგილობრივი პირობების მრავალფეროვნება მეტად რელიეფურად სწორედ აქაა გამოხატული. რამდენადაც გარკვეული მხარის სამეურნეო თავისებურება ბევრადაა დამოკიდებული მიკრორელიეფზე, ნიადაგის ხარისხსა თუ სტრუქტურაზე და მიკროკლიმატის პირობებზე, მემინდერობის საკითხების კვლევისას ნ. ჩიჯავაძე ანგარიშს უწევს აგრეთვე პირობურად რეჟიმსა და მზის რადიაციის მოქმედებასაც. ამ მიდგომით განიხილავს ავტორი ნაშრომის პირველ თავში სახმარი მიწების ტიპების საკითხს. რამდენადაც ავტორის საკვლევე რეგიონი აჭარის მთიანი ნაწილია, ამდენად იგი, ცხადია, სწორად ამ ზოლის სავარგულების დახასიათებას იძლევა. წიგნში წარმოდგენილია სახმარი მიწების ევრტიკალურად განლაგების ტრადიციული სქემა, რომელიც შემდგომად გამოიყურება: სულ ქვედა ზოლშია სახნავ-სათესების ძირითადი ფონდი. იგი უმთავრესად სოფლის ფარგლებშია მოქცეული. სოფლის გარეთაა სახნავენების მხოლოდ გარკვეული ნაწილი, ძირითადად კი სათიბები და ტყე, რომლებიც სახნავენების შედგომ საფეხურს ქმნიან ევრტიკალურ განფენილობაში, მათ ფერდა სათიბები მოსდევს. სულ ზედა ზოლში საზაფხულო საძოვრებია განლაგებული. აქვეა მოყვანილი ამ რიგის შესადარებელი მასალა როგორც საკუთრივ საქართველოს სხვა მთიანი მხარეებიდან, ასევე ჩრდილო კავკასიის ქვეყნებიდან, რის შედეგადაც გამოტანილია დასკვნა, რომ სავარგულო მიწების ამგვარი განლაგება ტიპიურია კავკასიისა და საერთოდ ნიჟინი ქვეყნებისათვის.

ზემოაღნიშნულთან ერთად აჭარისათვის დამახასიათებელია მიწათდაქსაქსულობა, მეურნეობის პარცელურობა და დასახლების გაშლილობა. ავტორი შედარებითი ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ მიწათდაქსაქსულობა აჭარის სპეციფიკური თავისებურება არ არის. იგი ასევე კავკასიის და საერთოდ მთიანი ქვეყნების მეურნეობის ზოგად ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს.

წიგნში საინტერესოაა წარმოდგენილი სახმარი მიწა-წყლის დანიშნულება და გამოყენების წესები. განმარტებულია, რომ აჭარაში სავარგულო მიწები რამდენიმე ჯგუფად იყოფილა. ყოველი ჯგუფი ერთ ან რამდენიმე მიწის ნა-

კვეთს აერთიანებდა და განსაკუთრებული სახელწოდებით აღინიშნებოდა: „ნაფუძარი“, „მამული“, „ჩრდოყანა“, „ახლოყანა“ და „გარე ანუ შორეყანა“. ამ ჯგუფებს გარკვეული მეურნეობრივი თუ ეკონომიური საფუძველი აერთიანებდა. ავტორი ყოველი ზემოაღნიშნული სახმარი მიწის დაწერილებით აღწერილობას იძლევა. მაგალითად, ხსნას რა ნაფუძარის სემანტიკას, ნ. ჩიჯავაძე ასკენის, რომ ნაფუძარი კარ-მიდამოს კომპლექსში შემავალი მიწა-წყალია, რომლის თავში სახლ-კარი დგას.

ნაფუძარი საოჯახო მეურნეობის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა და ორგანული სასუქით ინტენსიურად პოხიერდებოდა, რის გამოც ამ ნაკეობზე გაბატონებული იყო რომელიმე მარცვლეულის მონოკულტურა. ზემო აჭარაში ნაფუძარი მხოლოდ სათეს კულტურას ეკავა. ქვემო აჭარის დაბლობის სოფლებში იგი იმავე ფუნქციის მატარებელი იყო მაგრამ, მასთან ერთად, მისი გარკვეული ნაწილი ხეხილს და ეხს ეთმობოდა, ამიტომ მას მამული ერქვა.

ერდოყანა ანუ სახლკისერი სახლის ზემოთ მდებარე ნაკვეთია, რომელიც ხშირად დატერასებული იყო და ხეხილის მოსაშენებლად გამოიყენებოდა. ერდოყანა სოფლის საზღვრებში იყო მოქცეული ან მასთან ახლო მდებარეობდა, მაგრამ მისგან ბუნებრივი საზღვრით იყო გამოყოფილი და კარ-მიდამოს კომპლექსში არ ერთიანდებოდა. აქ უმთავრესად მარცვლეული კულტურები ითესებოდა. ოჯახის გაყოფის დროს განაყოფი, ხშირად, ახლოყანაში სახლდებოდა და ეს ნაკვეთი უკვე ნაფუძრად იქცეოდა.

აჭამებს რა ახლოყანის შესახებ არსებულ მონაცემებს, ავტორი ასკენის, რომ ახლოყანა ნაფუძართან შედარებით გვიან გაჩენილია, რომელიც განკუთვნილი იყო როგორც სახნავ-სათიბად, ასევე, ნაწილობრივ, ხეხილის მოსაშენებლად. ახლოყანა კომპლექსური მეურნეობის ნიშნებით ხასიათდებოდა და მნიშვნელოვან სამეურნეო ბაზას წარმოადგენდა. იგი მცნათმოქმედების ინტენსივობის თვალსაზრისით რამდენადმე ჩამორჩებოდა საკარმიდამო კომპლექსში შემავალ მიწა-წყალს, მაგრამ როგორც მასთან ახლო მდებარე ნაკვეთი ახალი დასახლების მტკიცე საფუძველს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნული სავარგულების შემდეგ შესწავლილია შორი ანუ გარეყანები. სახმარი მიწების ფუნქციის დიდგენისას ნ. ჩიჯავაძე ყოველთვის ითვალისწინებს მიწების მდებარეობას, მათი გამოყენების სამეურნეო-ეკონომიურ საფუძველსა და შესაძლებლობას. ამავე მიდგომით განიხილავს ავტორი შორი ანუ გარეყანასაც და ადგენს, რომ ეს არის დამხმარე ნა-

კეთი, რომელიც თანაბრად ემსახურება როგორც მესაქონლეობის, ასევე მიწათმოქმედების ინტერესებს. ავტორის ვეტად საინტერესო და მნიშვნელოვან დაკვირვებად უნდა ჩაითვალოს, ის, რომ მან ამ გარეყანებში დაინახა სოფლის შიგნით წარმოქმნილი ახალი ოჯახების ეკონომიური საფუძველი, რომლის ბაზაზე ზოგ შემთხვევაში სრულიად ახალი სოფელი იქმნებოდა.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ავტორი მხოლოდ აჭარაში არსებული ვითარების გადმოცემით არ კმაყოფილდება. იგი უხვად იყენებს სხვა კუთხეების შესაღწავლებელ მასალას და არა მარტო სათანადოდ იყენებს მათ, არამედ ხშირად ამ დამხმარე მასალის დამოუკიდებელ კვლევასაც კი აწარმოებს.

მეორე თავი — „მარცვლეული კულტურები და მათი მოვლა-მოყვანა“ უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იმით იძირობს, რომ მასში შესწავლილია არა მარტო თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული კულტურები აჭარაში, არამედ უძველესი კარგა ხნის წინათ გადაშენებულ მარცვლეულებზე წარმოდგენილია თვალსაჩინო საეველ მასალა.

XIX საუკუნეში პურეული კულტურებიდან აჭარაში მომეტებულად სიმინდი ყოფილა გავრცელებული, თუმცა მცირე რაოდენობით ითესებოდა აგრეთვე ხორბალი, ქერი, ფეტვი, ჭვავი, დაბლობ რაიონებში კი ღომიც. ნაშრომში ცალ-ცალკეა დახასიათებული თითოეული ეს კულტურა.

მიწათმოქმედების ადრეული კერების დადგენის საქმეში, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურულ მცენარეთა და მათ შორის, განსაკუთრებით პურეულის შესწავლას. მართალია, ამ მხრივ უპირატესი მნიშვნელობა ბოტანიკური მონაცემების კვლევა-ძიების შედეგებს ენიჭება, მაგრამ არც ეთნოგრაფიული მასალაა ნაკლები ღირებულების მქონე. მით უმეტეს, რომ თანამედროვე მეცნიერთა გარკვეული წრე სოფლის მეურნეობის ეთნიკური ტრადიციების განსაზღვრის საქმეში გადაწყვეტ მნიშვნელობას აკუთვნებს სათესი კულტურების სახეობათა გავრცელებას. ამდენად ნ. ჩიჭავაძის წიგნში განხილული მარცვლეული კულტურების საკითხი საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება. ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით მან აღადგინა ზოგ შემთხვევაში ხმარებიდან გამოსული მარცვლეულების თესვა-მოყვანის ხალხური წესები, დაადგინა მათი ჭიშების გავრცელების საზღვრები, ამ მიზნით კი ეფექტურად მოიხვედია გარდა მთხრობელთა აღწერილობისა წერილობითი წყაროები, ლიტერატურული და ენობრივი მონაცემები, ტოპონიმიკური მასალა და სხვ.

შრომის ცენტრალურ ნაწილად შეიძლება ჩათვალოს მესამე თავი — „ნიადაგების დაცვის ხალხური საშუალებანი“, სადაც აღწერილია მიწის სტრუქტურული თავისებურებანი და ტერასების მოწყობის წესები.

საბჭოთა ეთნოგრაფიაში ტერასული მიწათმოქმედება შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. ნ. ჩიჭავაძემ ამ საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა და აჭარის სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი კულტურის ეს თვალსაჩინო მონაწილარი ფართო საზოგადოებას გააცნო. ავტორის წიგნის ეს ნაწილი შესრულებულია აქვს ჩვეული გულმოდგინებით.

ნიადაგის დატერასების აუცილებლობა მთაგორიანი ზედაპირის პირობებში გამოწვეულია, საერთოდ, სახმარი მიწების სიმცირით და ეროზიის საშიშროებით. რელიეფის დაკბურება მიზნად ისახავს, აგრეთვე ნიადაგის დაცვას მოჭარბებული ნალექებისაგან. მაგრამ აჭარის კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალის საფუძვლიანმა შესწავლამ ავტორი დაარწმუნა, რომ ქანობიანი რელიეფის დაკბურება ნიადაგის შექმნასა და დაცვასთან ერთად, ხელოვნურ მორწყვას, ფერდობზე წყლის მოქმედების რეგულირებას და მის გეგმაზომიერ გამოყენებას ემსახურება. როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური მორწყვის შემთხვევაში, ტერასული სისტემა წყლის რეგულირებას უკავშირდება. ეთნოგრაფიული მასალიდან გამომდინარე კი, ნ. ჩიჭავაძის თვალსაზრისით, ეს ის ძირითადი ელემენტებია, რომლებიც სახმარი მიწის სიმცირის ფაქტორთან ერთად განსაზღვრავდნენ ტერასების დანიშნულებას.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა ნიადაგის დატერასების აგრო-ტექნიკის სხვადასხვა ხერხების შესწავლას და მის საფუძვლიან დახასიათებას. ცალ-ცალკე აღწერილია აჭარაში არსებული ტერასების ტიპები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყენებულია მასალისა და მოწყობის ტექნიკით განსხვავდებოდნენ. ესენია: ხით შემოსილი, ქვით შემოსილი და ბოლოს შეუმოსავი ტერასები. ავტორი ადგენს ამ ტიპების განვითარების თანმიმდევრულ პროცესს და ასკენის, რომ „აჭარაში ტერასული მიწათმოქმედების დადგენილ ფორმათა შედარებითი შესწავლა საჭაროველოს სხვა კუთხეების ეთნოგრაფიულ მასალასთან ცხადყოფს, რომ იგი ისევე, როგორც ხალხური ტრადიციის სხვა მხარეები, ქართული სამეურნეო კულტურისა და ყოფის კერძო გამოვლინებაა. ლოკალურ თავისებურებებთან ერთად, აშკარად ჩანს აჭარაში არსებული ზოგიერთი ტიპის იდენტურობა მესხურთან, მთიულურთან, გურულთან და ლაზურთან“ (გვ. 87).

ბოლო მეოთხე თავში განხილულია აჭარაში გავრცელებული მორწყვის ხალხური წესები

და წყლის სამეურნეო გამოყენების ხალხური ხერხები.

მორწყვის საქმე დიდა ხანია იქცევადა მკვლევართა ყურადღებას და მისდამი არა ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიძღვნილი. მაგრამ ეს ნაშრომები ძირითადად ბარის საირიგაციო სისტემას ეხებოდა. ამ ბოლო ხანებში ყურადღება მიექცა საქართველოს სამთო სარწყავ მიწათმოქმედებას, რომლის შესწავლის მნიშვნელოვანი შედეგები ხელთ გვაქვს. კერძოდ, დღეისათვის უკვე დამტკიცებულია, რომ მთის ხეობათა ზოლში წარმოდგენილი სამთო სარწყავი მიწათმოქმედება უძველესი სამეურნეო საქმიანობის კვალს ატარებს და იგი საქართველოში ურწყავ მიწათმოქმედებაზე უფრო ადრეა გაჩენილი (მ. გეგეშიძე).

სამთო ირიგაციის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს აჭარაში ძველთაგანვე მომდინარე რწყვის ხალხური წესები. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ხელოვნური მორწყვისა და საერთოდ წყლის მოხმარების საქმეში, თავისებური ბუნებრივი პირობების გამო დიდი როლი ენიჭებოდა ხევის წყლების, ნაკადულების თუ წყაროს წყლების გამოყენებას. მორწყვის ეს წესი კი საქართველოში მთიანეთის თითქმის ყველა კუთხისათვის ტრადიციული ყოფილა. წიგნში სრულიად სამართლიანადაა აღნიშნული, რომ სარწყავად წყარო-ხევის წყლების გამოყენება არ იყო რომელიმე კუთხის ლოკალური თავისებურება. იგი დამახასიათებელი იყო მთის სამიწათმოქმედლო ყოფისათვის და სამთო ირიგაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენდა, რაც ჩრდილო კავკასიის მასალითაც დასტურდება.

ამვე თემაზე აღწერილია სათიბების ზამთარში მორწყვის თავისებურად საინტერესო წესი, რაც ნიადაგის გამდიდრებას უწყობდა ხელს და ორი მოსავლის მოყვანის რეალურ შესაძლებლობას ქმნიდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორის მტკიცებით, მორწყვის ამგვარად გამოყენება საქართველოს სხვა მთიან მხარეებში არ დასტურდება და ამდენად იგი აჭარის სამთო ირიგაციის თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ავტორი სათანადო ყურადღებას უთმობს განოყიერებითი მორწყვის ხალხური ხერხების აღწერას აჭარაში, რომელიც ტრადიციული იყო მაგალითად, დასავლეთ საქართველოსა-

თვის მაღალი ტენიანობის გამო. გამანოყიერებელ მორწყვის და ხალხურ კოლმატაჟს დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. კონკრეტულად დასავლეთ საქართველოს მიმართ მიაჩნიათ, რომ ეს საკითხები უნდა განიხილებოდეს დასახლებისა და ტერიტორიის სამეურნეო ათვისების უძველესი ისტორიის შესწავლასთან კავშირშიაც კი.

ამგვარად, ნეჩად ჩიჯავაძის წიგნი „სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში“ საკურო წიგნია და დაღებთ შეფასებას იმსახურებს. იგი მნიშვნელოვანი შენამძენია ქართული ეთნოგრაფიისათვის, ამასთან სასარგებლო სამსახურს გაუწევს მომიჯნავე დარგების სპეციალისტებსაც.

აქვე გვინდა სარეცენზიო წიგნის ავტორის ყურადღება რამდენიმე მომენტზე შეეახროთ: წიგნის სათაურია „სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში“. მიწათმოქმედება თავისთავად მრავალი კომპონენტების შემცველი რთული ცნებაა. მასში შედის მემინდერობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, სათიბი მეურნეობა და სხვ. სარეცენზიო ნაშრომში კი უმთავრესად მემინდერობის საკითხებია განხილული. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნებოდა ქვესათაურში ან შესავალში მაინც დაზუსტებულიყო, რომ კვლევის კონკრეტული სფეროა მემინდერობა. მემინდერობა თავისთავად რომ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა და მრავალპრობლემიანი თემაა, ეს თვით ნაშრომიდან აშკარად ჩანს.

დასანანია, რომ წიგნში ასახვა ვერ ჰპოვა ისეთმა ღერძულმა საკითხებმა, როგორცაა მემინდერობაში გამოყენებული შრომის იარაღები და მასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები. მიუ უფრო, რომ რამდენადაც ვიცით, აღნიშნული საკითხები ავტორს სათანადოდ დამუშავებული აქვს.

კარგი იქნებოდა ასევე, ნ. ჩიჯავაძეს მეტი ადგილი დაეთმო სოციალური ურთიერთობის ამსახველი საკითხებისათვის და მემინდერობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების ამსახველი მასალა წარმოედგინა.

აქ გამოთქმული სურვილების გათვალისწინება მეორე უფრო სრული გამოცემისათვის, ჩვენი აზრით, ზედმეტი არ იქნება.

მელვა ძანთარია

А. З. МАНФРЕД, НАПОЛЕОН БОНАПАРТ

Москва, Издательство «мысль», 1972, 722 стр.

Наполеон Бонапарт — великий сын своей эпохи. Жизнь и деятельность столь выдающихся личностей, подобных героям своего времени, всегда привлекала и привлекает к себе особое внимание и современников, и последующих поколений. Ведь определение значения той или иной эпохи в истории человечества вообще, а также уяснение значения роли той или иной выдающейся личности — действительно вечные, всегда волнующие, всегда актуальные темы.

Эпоха Наполеона, которая занимает особое место в мировой истории, своим величием и утверждением нового, передового всегда находила поклонников и почитателей, а своими отрицательными качествами, естественно, вызывала возмущение, порицание и осуждение. Одним словом, бурная наполеоновская эпоха всей своей сущностью, своей контрастностью, большим значением в судьбах миллионов людей привлекала к себе особое внимание многих поколений, различных социальных слоев и классов. И каждый находил в истории Наполеона особо интересное для себя, для своей эпохи, своего поколения и своего класса. Понятно, что жизнь всегда по-своему актуализировала тему о Наполеоне. Все это и определило тот факт, что ныне человечество располагает богатейшим количеством как опубликованных источников, так и различной литературы о Наполеоне.

И вот к числу многих ценнейших исследований о Наполеоне, получивших всемирное признание, прибавилось новое — это монография А. З. Манфреда о Наполеоне Бонапарте.

Достоинства этой книги многогранны и значительны.

В первую очередь следует отметить максимальное использование автором почти всех известных источников и существующей литературы.

Альберт Захарович Манфред является одним из крупных советских историков, специалистов в области новой и новейшей истории Франции. Им создан ряд интереснейших работ по истории Великой французской буржуазной революции и истории Франции XVIII—XIX веков. В течение многих лет А. З. Манфред всесторонне изучал материал о жизни и деятельности Наполеона и, критически усвоив соответствующее документальное и литературное богатство, сумел внести свой неоспоримый вклад в дальнейшее развитие историографии о Наполеоне.

В своей монографии автор, правда, не дает специальной главы, посвященной общему обзору источников и литературы, однако на протяжении всей книги в ходе изложения, попутно, как в основном тексте, так и в списках, он делает ценные замечания о том или ином источнике, или же работе, конкретно указывая на их достоинства или недостатки.

В свою очередь А. З. Манфред сам вводит в научный оборот новые ценнейшие материалы о Наполеоне. Это донесения русских дипломатических представителей из различных стран в Коллегию, а с 1801 г. в Министерство иностранных дел России, хранящиеся в Архиве внешней политики России. Широко использует автор также и многочисленную информацию, публиковавшуюся тогда в русской и французской прессе и др.

Но основное достоинство монографии А. З. Манфреда это, конечно, авторское осмысление темы, современный уровень самой книги, выражающийся как в современном восприятии и понимании автором исследуемого предмета, так и в современном методе освещения. Плюс ко всему прекрасный стиль самого изложения.

Одним словом, автором достигнут большой успех благодаря тому, что он, твердо опираясь на большие традиции русской историографии, сумел поведать об истории Наполеона устами нашего современника и тем самым выразить наше общее отношение к Наполеону. Книга А. З. Манфреда безусловно отражает современный уровень советской историографии. Она поистине является концентрированным выражением всех достижений советской исторической науки вообще, и в частности в области исследования истории Франции конца XVIII и начала XIX века.

Наполеон Бонапарт и его эпоха как тема всегда имели исключительное значение в истории русской общественно-политической мысли, поскольку ход исторических событий непосредственно столкнул русское общество с Наполеоном.

Освещение данной темы в русской литературе и русской историографии началось в 10—20-ых годах XIX в. Общее настроение русского общества того времени, его отношение к Наполеону наиболее ярко выразили А. С. Пушкин и М. Ю. Лермонтов.

А. С. Пушкин одним из первых отметил и охарактеризовал две основные черты личности Наполеона. Он рассматривал Бонапарта, с одной стороны, как великого человека, героя, а, с другой, — как поработителя народов. Так, например, в стихотворениях «Воспоминания в Царском Селе» (1814 г.), «Наполеон на Эльбе» (1815 г.), «На возвращение государя императора из Парижа в 1815 г.». А. С. Пушкин называет Наполеона «вселенной бичем», и «в могучей дерзости венчаным исполином», который «в мечтах Европе цепь ковал». Но более подробно характеристики Наполеона Пушкин коснулся в стихотворении «Наполеон», написанном по случаю смерти великого корсиканца.

Это стихотворение наглядно свидетельствует о том, как глубоко и всесторонне уразумел пушкинский гений всю сложность и разносторонность, контрастность исторической роли Наполеона.

Ярко, поистине с пушкинской экспрессией звучат слова, что 5 июля 1821 г.

«Чудесный жребий совершился;
Угас великий человек.

В неволе мрачной закатился
Наполеона грозный век.

А как образна и красноречива пушкинская характеристика Великой французской революции и Наполеона, создавшего новую империю силой штыка и завоеваний в Европе!

Когда надеждой озаренный
От рабства пробудился мир,
И галл десницей разъяренной
Низвергнул ветхий свой кумир;
Когда на площади мятежной
Во прахе царский труп лежал,
И день великий, неизбежный —
Свободы яркий день вставал, —

Тогда в волненьи бурь народных
Предвидя чудный свой удел,
В его надеждах благородных
Ты человечество презрел.
В свое погибельное счастье
Ты дерзкой веровал душой,
Тебя пленяло самовластье
Разочарованной красой.

Анализируя причины поражения Наполеона в войне с Россией, славя подвиг Москвы, А. С. Пушкин, образно отметил, что «Европа свой расторгла плен» и что «во след тирану полетело, как гром, проклятие племен».

В заключение поэт вновь отметил историческое значение личности Наполеона и подчеркнул, что в день его смерти

Да будет омрачен позором
Тот малодушный, кто в сей день
Безумным возмутит укором
Его развенчанную тень!
Хвала! он русскому народу
Высокий жребий указал,
И миру вечную свободу
Из мрака ссылки завещал

Характеристика Наполеона как великой исторической личности ярко звучит и в следующей пушкинской фразе:

Над урной, где твой прах лежит,
Народов ненависть почилла,
И луч бессмертия горит.

Подлинно русские национальные чувства, народное отношение к пашествию Наполеона на Россию отражено в лермон-

товском «Бородине». А своеобразный глубокий философский анализ темы — нашествие Наполеона на Россию и русское общество — дан в гениальном романе — эпопее Льва Толстого «Война и мир». Здесь же, содержится не только высокохудожественное описание знаменитой Бородинской битвы, но и изумительно глубоко раскрывается ее историческое значение.

Одним словом, русское общество устало А. С. Пушкина, М. Ю. Лермонтова, Л. Н. Толстого выразило свое отнесение и дало свою оценку исторической роли Наполеона. Наряду с этими гениальными, но сугубо художественными произведениями, естественно, создавались и специальные исторические работы. Однако первым всеобъемлющим трудом о Наполеоне в русской историографии следует считать знаменитую работу Евгения Викторовича Тарле, получившую всеобщее признание.

Большой ученый-историк и выдающийся публицист Е. В. Тарле поистине с исключительным мастерством описывает жизнь и деятельность Наполеона Бонапарта. Переоценить значение этого труда Е. В. Тарле просто невозможно. На нем воспитывалось и будет воспитываться еще не одно поколение.

В советской историографии тема истории нашествия Наполеона на Россию и Отечественной войны 1812 г., естественно, нашла свое должное освещение. Ей посвящены специальные труды Е. В. Тарле «Нашествие Наполеона на Россию 1812 г.» и «Михаил Илларионович Кутузов — полководец и дипломат» (см. Е. В. Тарле, Сочинения, т. VIII, М., 1959), а также капитальные исследования: «Гибель наполеоновской армии в России» (М., 1968), «Контрнаступление русской армии в 1812 г.» (М., 1953) П. А. Жилина и «Отечественная война 1812 г.» (М., 1962 г.) Л. Г. Бескровного.

И вот, опираясь на эти традиции и развивая их далее, А. З. Манфред создал новый замечательный труд о Наполеоне, необходимость которого была уже продиктована самим временем. Ведь после написания книги Е. В. Тарле наше поколение прошло сквозь бурю новых исторических событий периода 40—60-ых годов XX века. И жизнь, естественно, выставила целый

ряд новых проблем и вопросов, которые, в свою очередь, по-своему актуализируют те или иные вопросы в изучении исторического прошлого для лучшего осмысления настоящего. К тому же были изданы и новые материалы о Наполеоне. Все это и обусловило необходимость написания новой книги. Заслуга А. З. Манфреда именно в том и заключается, что он, обобщив все эти новые материалы, сумел увидеть Наполеона и его эпоху глазами историка-марксиста 70-ых годов XX века.

Новое, что отличает книгу А. З. Манфреда, состоит в том, что на основе глубокого анализа и синтеза исследуемого материала, автор многосторонне подходит к фактам и событиям, рассматривая их сквозь призму социальной психологии и психологии личности самого Наполеона, делает широкие обобщения и выводы, глубоко научно освещает эпоху в ее динамике, со всей четкостью и ясностью характеризует деятельность Наполеона на том или ином этапе.

Для наглядности приведем несколько выдержек.

Вот, например, как описывает А. З. Манфред сущность термидорианского переворота:

«Республика, как только с нее сняли ее якобинские покровы, предстала в своей отталкивающей буржуазной наготе.. Она оказалась жестоким миром пиэменных страстей, волчьей грызни из-за дележа добычи, республикой чистогана, спекуляции, хищнического беспощадного эгоизма, создающего богатство на крови и поте других. Беспрецедентная нужда воцарилась в плебейских кварталах Парижа и других городов, в трущобах бедноты, отданной на произвол спекулянтов и мародеров... после казни Робеспьера никто не обращал внимания на пародию нужду. Кому какое дело до чьих-то страданий? Каждый заботится только о себе!

Тезис Робеспьера о почетной бедности стал мишенью для насмешек. Почетно только богатство. Шапки долой перед золотом! Деньги, дворцы, особняки, земля, собственность — вот вечные ценности, заслуживающие поклонения! Уже не хоронясь, не прячась по углам, не оглядываясь с опаской на карающий меч якобинской диктатуры, как было недавно, от-

крыто, неистово, с нескрываемым вождением вчерашние проповедники республики равенства бросились за богатством..

Участники тех событий, сохранившие чистым сердце и незапятнанными руки с ужасом устанавливали, что те самые люди, которые еще вчера были их товарищами по оружию, люди, с которыми плечом к плечу они проделали весь путь борьбы, оказывались совсем не теми, за кого их принимали...

Баррас, Тальен, Робер, Фрерон, Бурдон... вчерашние террористы, запятнавшие себя жестокостями и насилиями в Марселе, Тулоне, Бордо, вызвавшими резкое недовольство Комитета общественного спасения, отозвавшего их из миссии для ответа, они лишь теперь, после термидора, которым они прежде всего спасли свои головы, показали, чем был на деле их политический экстремизм...

Вместо эшафота, который предназначался им за совершенные преступления, они благодаря термидору оказались вознесенными на вершину власти; с трибуны Конвента они определяли политику; они стали законодателями, вершителями судеб Республики, и именно они раскрыли истинное содержание термидора как буржуазной контрреволюции»¹...

А вот, к примеру, как показана психология социальных слоев периода Директории: «Революция произвела колоссальное перераспределение собственности в стране. Значительное большинство населения составляли обладатели собственности — крупной, а чаще всего мелкой, перешедшей к ним разными путями в годы революции. Основную массу этих новых собственников составляли крестьяне и буржуазия всех категорий. Эти два класса — буржуазия и крестьянство материально больше, чем другие, выиграли от революции. Естественно, они стояли прежде всего на страже только что приобретенной собственности. Уже одно это делало их непримиримыми противниками реставрации, противниками монархии, возврата к старому. Новая собственность была связана с

Республикой, и потому в большинстве своем они были за Республику.

Республиканизм тогда еще был безусловно господствующим политическим убеждением подавляющего большинства французов. В среде буржуазии, в среде зажиточного крестьянства усиливалось недовольство политикой Директории — ее неспособностью создать стабильный режим, упорядочить финансовую систему, положить конец ажиотажу, спекуляциям. Тем не менее можно было быть недовольным правительством, осуждать действия и политику Директории, но критика останавливалась там, где начиналась Республика. Республика оставалась за пределами критики»².

Рассматривая Наполеона как одного из самых выдающихся представителей молодой буржуазии, когда она была смелым, восходящим классом, А. З. Манфред хорошо показывает как Бонапарт воплотил в себе все сильные черты, а также пороки и недостатки, присущие буржуазии даже на ранней стадии развития. Автор глубоко раскрывает картину переломной эпохи, эпохи перехода от старого, феодального мира к новому, буржуазному обществу.

Руководствуясь ленинскими определениями характера наполеоновских войн и сущности бонапартизма, А. З. Манфред критически освещает деятельность Наполеона на всем ее протяжении, на каждом этапе, подчеркивая, что все наиболее значительные успехи Бонапарта были достигнуты им именно вначале деятельности, когда он, опираясь на передовые социальные силы, играл прогрессивную роль в истории Франции и Европы, поскольку нанеся удары огромной силы по старому феодальному строю. Но когда впоследствии наполеоновские войны превратились в чисто захватнические войны, несшие народам Европы лишь порабощение и гнет, то уже никакие его личные дарования не могли принести победы, и он с неотвратимостью шел к крушению своей империи и собственному падению.

В книге ярко показан Наполеон во всем своем противоречии. При этом сле-

¹ А. З. Манфред, Наполеон Бонапарт, М., 1972, стр. 89—93.

² Там же, стр. 192.

дует подчеркнуть, что автор широко прибегает к методу анализа психологии личности Наполеона, что безусловно способствует не только лучшему восприятию книги, но и действительно помогает всестороннему освещению деятельности Наполеона.

Исходя именно из социальной психологии личности Наполеона, А. Э. Манфреду удастся блестяще раскрыть суть тех или иных фактов из биографии Бонапарта.

Вот, например, как рассматриваются отношения Наполеона с братьями, сестрами и с женой.

«Клан Бонапартов, братья и сестры, настойчиво, с корсиканской изобретательностью в темном искусстве вражды вели войну против Жозефины и ее родных, составляющих, по их представлению, клан Богарне. С братьями, прежде всего с Жозефом и Люсьеном, год от году было все труднее. Алчные, жадные к деньгам, к почестям, к власти, они нетерпеливо настаивали на установлении наследственной монархии, считая себя единственными наследниками. Забывая о приличиях, они охотно обсуждали вопрос о смерти Наполеона и о том, что следует предусмотреть заранее. Наполеон проявлял к ним странную терпимость, объясняемую лишь корсиканскими представлениями о клановых обязательствах. Он давал Жозефу самые почетные поручения — представлять Францию в мирных переговорах с Австрией, с Англией. И в Люневиле, и в Амьене Жозеф допустил немало ошибок, исправленных его младшим братом и Талейраном; он был неаходчив; к тому же во время ответственных дипломатических переговоров его отвлекали биржевые спекуляции, но и те он вел неумело, с убытком. При всем том Жозеф считал еще себя обиженным: ведь он был старшим, главой семьи, клана. Больше понимания было у Бонапарта со старшей сестрой Элизой. По определению Талейрана, у нее «была голова Кромвеля на плечах красивой женщины». Но она была поглощена личными переживаниями и, как все другие члены клана Бонапарта, враждебна Жозефине.

Жозефина оставалась единственной женщиной, может быть даже единственным человеком, сохранившим влияние на Бонапарта. Он ее продолжал любить, конечно иначе, чем в первые годы брака. Теперь ему были отчетливо видны ее слабости, ее недостатки; он знал, что в прошлом Жозефина ему неверна; что высшее ее удовольствие — тратить деньги, пускать их по ветру... Наполеон также знал, что Жозефина все и всегда отрицает, что она как бы родилась со словом «нет» на устах... Он видел, как от нее уходит былая красота, как она увядает и тщетно силится наивными ухищрениями задержать исумолимое движение времени... И всетаки он оставался к ней бесконечно привязан; она удерживала над ним какую-то власть. Эта стареющая креолка все еще сохраняла какое-то очарование, женственность, грацию; она владела особым даром располагать к себе людей. Со своей новой ролью первой дамы Франции она справлялась легко и уверенно, так, словно она приучена к ней с детских лет. В той трудной и сложной игре, которую вел Бонапарт, она ему помогала больше и лучше, чем кто-либо иной. Она была умна, быстро все схватывала; ее мягкость так контрастировала с угловатостью и резкостью Бонапарта. То, чего он никак не мог добиться, она решала за вечерним столом мгновенно, одним словом, одной улыбкой, протягивая чашку чая. Она была самым умелым, самым надежным союзником и другом во всех его трудных партиях.

И вдруг в решении самой важной и тонкой задачи Жозефина оказалась против него. Жозефина была против монархии Бонапарта, против наследственной власти Бонапартов, как бы она ни называлась. Ее мотивы, в своей основе, были далеки от каких-либо политических расчетов; она не могла больше иметь детей, у Наполеона не будет наследника и, следовательно, развод неминуем. Понятно, то были доводы, которые не выносились на публичное обсуждение. Жозефина была против наследственной власти Бонапартов — этого вполне достаточно. Госпожа Бонапарт скоро стала известна как первая актибонапартистка во Франции³.

³ А. Э. Манфред, указ. соч., стр. 419—421.

Касаясь «династического безумия» Наполеона (К. Маркс), его бракосочетания с дочерью австрийского императора, А. З. Манфред со всей убедительностью показывает, как непопулярен был брак с «австриячкой», который не одобряли ни народ, ни армия и ни даже послушная во всем Бонапарту правящая элита. Здесь автор также мастерски прибегает к методу психологического анализа. Так, например, касаясь разрыва с Жозефиной, автор подчеркивает, что Наполеон «как суеверный корсиканец со всеми атавистическими предрассудками и верой в приметы» в глубине души считая, что именно Жозефина принесла ему счастье, все же решил осуществить юридический акт развода с нею. А осветив политические аспекты «австрийского брака», автор рассматривает его с точки зрения сугубо личной жизни Бонапарта, его возрастной психологии (см. стр. 591—594).

В заключение отметим, что в книге дан тонкий анализ идейного перевоплощения Наполеона Бонапарта, показан сам процесс того, как сын революции, якобинец, республиканец, любимый солдатами полководец, «маленький капрал», постепенно отбрасываясь от своего прошлого и незаметно для себя теряя все то, что составляло его неповторимую силу, превращался в обычного монарха.

По справедливому заключению автора, духовное перерождение Бонапарта, развившееся в том, что «пылкий ученик Руссо и Рейналя, убежденный республиканец и поборник равенства к сорока годам

превратился в циника, без идеалов, без иллюзий, ни во что не верящего и ничего не признающего, кроме желаний своего перенасыщенного честолюбия», было концентрированным выражением эволюции класса буржуазии, который и представлял Наполеон. И именно эта метаморфоза, подчеркивает автор, стала главной причиной личной трагедии Бонапарта, которая в конечном счете и привела его к гибели.

Одним словом, эволюция Н. Бонапарта вначале как солдата революции, потом генерала Директории, а затем первого и пожизненного консула и, наконец, императора Франции в книге А. З. Манфреда раскрыта глубоко и ярко.

Единственное, в чем, нам кажется, можно упрекнуть А. З. Манфреда, это более сдержанное освещение величия Наполеона в отличие от блестящего анализа процесса перерождения и негативной стороны его деятельности. Избегая деталей, подробного описания позитивной стороны деятельности Наполеона А. З. Манфред, тем самым, в какой-то степени умалит значение сильных сторон его личности.

Таковы, на наш взгляд, основные достоинства монографии, которая читается с огромным интересом не только специалистами-историками, но и самыми широкими кругами населения. А тот факт, что с самого момента появления на свет книга стала библиографической редкостью, также является одним из реальных доказательств ее ценности.

Г. Г. ПАЙЧАДЗЕ

ქრონიკა და ინფორმაცია

წიგნის განხილვა

1972 წლის 29 თებერვალსა და 2 მარტს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეთოდოლოგიური სემინარის სხდომაზე განიხილეს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ალ. ბენდიანიშვილის წიგნი „სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში“ (გამომც. „მეცნიერება“, 1971 წ.).

მოხსენებით გამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ე. ხოშტარია. მან აღნიშნა, რომ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია საკმაოდ მდიდარია. ბუნებრივია, რომ ამ პრობლემაზე მომუშავე მკვლევარნი გვერდს ვერ აუვლიდნენ რევოლუციის ისტორიული წინამძღვრების, ანუ ობიექტური და სუბიექტური პირობების მომზადების საკითხს. მაგრამ პრობლემის ეს მხარე ადრე გამოსულ შრომებში სპეციალურად არაა განხილული. ამასთან, როგორც წესი, საკითხი განიხილება დროის მცირე მონაკვეთში, რომელიც მოიცავს უშუალოდ რევოლუციის წინაპერიოდს, უკეთეს შემთხვევაში, იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის ხანას.

ამრიგად, მთლიანობაში, მთელი სიღრმით, სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრები ჩვენში საგანგებოდ ჯერ არ არის შესწავლილი. პირველ ცდას ამ მიმართულებით წარმოადგენს ალ. ბენდიანიშვილის განსახილველი წიგნი.

ავტორი ასკვნის, რომ XX ს. დასაწყისში საქართველო სამრეწველო განვითარებით საგრძნობლად ჩამორჩებოდა ევროპულ რუსეთს, მაგრამ სოფლად საგაჭრო მიწათმოქმედებისა და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებით მხარს უსწორებდა რუსეთის და უკრაინის მოწინავე გუბერნიებს, „საერთოდ ბურჟუაზიული საქართველოს ეკონომიკა საშუალო საიმპერიო დონეზე იდგა“ (გვ. 6—7).

აღებული ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონის დასახასიათებლად მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს ამ დონის განსაზღვრის ლენინური პრინციპი, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსახლეობის საქმიანობის მიხედვით დანაწილება.

ვ. ი. ლენინი, სწავლობდა რა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების დონეს, ამ მიზნით, სხვა მასალასთან ერთად, იყენებდა 1897 წლის აღწერის შესაბამის მონაცემებს და აღნიშნავდა, რომ ეს უკანასკნელნი საინტერესოა „საზოგადოებრივი შრომის დანაწილების, როგორც რუსეთის მთელი სასაქონლო წარმოებისა და კაპიტალიზმის საფუძვლის, საილუსტრაციოდ“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 594).

როგორი ვითარება გვაქვს ამ მხრივ საქართველოში? იმავე 1897 წ. აღწერის მონაცემებით, საქართველოში (თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში) სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 78,6%

(რუსეთში — 77,2%), სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობა — 13,2% (რუსეთში — 17,3%), ხოლო არამწარმოებელი მოსახლეობა — 8,2% (რუსეთში — 5,5%)¹.

ამრიგად, სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზვედრითი წონით საქართველო რამდენადმე ჩამორჩებოდა რუსეთს, იგი იყო კიდევ უფრო გლეხური ქვეყანა, მაგრამ საერთოდ სოციალურ-ეკონომიური განვითარებით, შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით იმავე დონეზე იდგა, რაზეც რუსეთის ზოგიერთი დაწინაურებული გუბერნია. აქაც, ისევე როგორც ლენინის დახასიათებით მთლიანად რუსეთში, სასაქონლო მიმოქცევა და, მაშასადამე, სასაქონლო წარმოება საესებით განმტკიცებულია, ე. ი. ქვეყანა კაპიტალისტურია, თუმცა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით იგი რამდენადმე კიდევ უფრო ჩამორჩენილია, ვიდრე საკუთრივ რუსეთი.

მართალია, სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები, რევოლუციური სიტუაცია თუ კრიზისი მწიფდებოდა მთელი რუსეთის მასშტაბით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რუსეთის იმპერიის ყველა ნაწილში ერთნაირი ვითარება იყო. ზოგიერთ დაწინაურებულ განაპირა მხარეში, მაგ., ამიერკავკასიაში, მოვლენების განვითარება საერთო-სარუსეთო დონეზე ხდებოდა, თავის მხრივ აჩქარებდა რევოლუციის წანამძღვრების მომწიფებას მთელი რუსეთის მასშტაბით. ზოგან კი (მაგ. შუა აზიაში) რევოლუციურია სიტუაცია მომწიფდა საერთო მოვლენებთან კავშირში, მათი ზეგავლენით.

საყურადღებოა, რომ ვ. ი. ლენინი, აფასებდა რა ჩვენში სოციალურ ძალთა განლაგებას რევოლუციის პერიოდში, საქართველოს ამ თვალსაზრისით აყენებდა ერთ სიბრტყეზე ლატვიასთან, ფინეთთან და უკრაინასთან².

აღ. ბენდიანიშვილის დამსახურებაა აქამდე ჩვენს ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებად შესწავლილი სოფლის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზე ყურადღების გამახვილება. ავტორს მოაქვს საინტერესო მონაცემები არა მარტო სოფლის პროლეტარიატის რაოდენობის, არამედ საერთოდ საქართველოს გლეხობის სხვადასხვა სოციალური ფენის პროცენტული თანფარდობის შესახებ.

ნაშრომის მეორე თავი რევოლუციის მამოძრავებელი ძალების დახასიათებას ეძღვნება. აქ აღ. ბენდიანიშვილი განიხილავს როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის, ასევე სოციალისტურია რევოლუციის ძალებს. მას მოაქვს სათანადო მონაცემები საქართველოში სოციალურ ძალთა თანფარდობის შესახებ განმათავისუფლებელი ბრძოლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პროლეტარულ ეტაპებზე. ავტორმა წინა პლანზე წამოსწია ე. წ. „ორი სოციალური ომის“ საკითხი, რომელიც არც თუ დიდი ხანია დგას საბჭოთა მეცნიერებაში, ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიაში თეორიულ ასპექტში დღემდე არც დასმულა. წიგნში აღნიშნულია, რომ ჩვენშიც, ისევე, როგორც რუსეთში, ერთდროულად მიმდინარეობდა და ერთმანეთს უკავშირდებოდა მთელი გლეხობის ბრძოლა ფეოდალიზმის ნაშთების — მსხვილი ფეოდალურ-მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ და ღარიბი გლეხობის თუ სოფლის პროლეტარიატის ბრძოლა კულაკებისა და გაბურჟუებული მემამულეების წინააღმდეგ.

¹ მონაცემები საქართველოს შესახებ აღებულია 1897 წლის აღწერის მასალებიდან, რუსეთის შესახებ კი ვ. ი. ლენინის წიგნიდან „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, თხზ., ტ. 3, გვ. 594.

² ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 28, გვ. 48.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია საქართველოს მშრომელების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. ამ თავში, მოვლენათა შედარებით მოკლედ გადმოცემასთან ერთად, ავტორი გამოთქვამს თავის შეხედულებებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების რიგ არსებით საკითხზე.

მომხსენებლის აზრით, ნაშრომს ნაკლოვანებებიც გააჩნია:

წიგნის პირველ თავში ავტორმა მიზნად დაისახა მთლიანობაში განეხილა სოციალისტური რევოლუციის ობიექტური წინამძღვრები, მაგრამ სოფლის მეურნეობის განვითარებას დაუთმო სამჯერ უფრო მეტი ადგილი, ვიდრე მრეწველობის განვითარებას. ამან განაპირობა ის, რომ თუ წიგნში სოფლის მეურნეობის განვითარების სურათი საკმაოდ ვრცლად არის მოცემული, მრეწველობის განვითარების სურათის ჩვენებისას იგი უფრო შეზღუდულია: წიგნში ზოგად ხაზებშია მოტანილი ჯამური მონაცემები ლიტერატურიდან თუ წყაროებიდან, მასალის დაუკონკრეტებლად, ზოგჯერ უზუსტოდაც.

აღ. ბენდიანიშვილს, 1900 წლისათვის საქართველოს სამრეწველო განვითარების დონის საჩვენებლად, მოაქვს მონაცემები ფაბრიკულ-ქარხნული საწარმოების რაოდენობის, მათში დასაქმებული მუშების რიცხვისა და პროდუქციის მოცულობის შესახებ. ეს მონაცემები რამდენადმე აჭარბებენ ფაბრიკულ-ქარხნული წარმოების შესახებ უკანასკნელ ხანებში ლიტერატურაში მოტანილ მონაცემებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ცარიზმი ზღუდავდა საქართველოს სამრეწველო განვითარებას, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის დანერგვას, მაგრამ ამის დამადასტურებლად არ მოაქვს არც ერთი მაგალითი.

სოციალისტური რევოლუციის სუბიექტური წინამძღვრების გაუქმებისას ავტორს მეტი ადგილი უნდა დაეთმო ისეთი საკითხებისათვის, როგორცაა საქართველოს მუშათა კლასის ფორმირება, მასში მომხდარი თვისობრივი ცვლილებანი, მუშათა კლასობრივი შეგნების ზრდა; სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გაშლა და მისი შეერთება მუშათა მოძრაობასთან, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი როლი განმათავისუფლებელი ბრძოლის პროლეტარულ ეტაპზე და სხვ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რევოლუციის სუბიექტური წინამძღვრების ჩვენებას ავტორმა სამჯერ ნაკლები ადგილი დაუთმო, ვიდრე ობიექტური პირობების გაუქმებას. ამას, ცხადია, არ შეეძლო თავისი დალი არ დაესვა პრობლემის ამ მხარის გაუქმების ხარისხზე და სისრულეზე.

უხერხულია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის და სოციალისტური რევოლუციის ძალების ცალ-ცალკე ისეთი წესით განხილვა, როგორც ეს წიგნშია მოცემული. ცნობილია, რომ რუსეთის სპეციფიკის გამო, აქ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მამოძრავებელი ძალა იყო პროლეტარიატი და გლეხობა. ამასთან პროლეტარიატი წარმოადგენდა რევოლუციის ჰეგემონს. ავტორს ეს კარგად ესმის და პარაგრაფში, სადაც სოციალისტური რევოლუციის ძალებს — ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატს განიხილავს, აღნიშნულიც აქვს, რომ რუსეთში შექმნილ ვითარებაში ბატონყმობის ნაშთების მოსპობა არა მარტო ბურჟუაზიის და გლეხობის ინტერესებს შეესაბამებოდა, არამედ შეადგენდა სოციალ-დემოკრატიის (და, ამდენად, ქალაქის და სოფლის პროლეტარიატის) პროგრამა-მინიმუმის ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტს. მაგრამ ამაზე მითითება საჭირო იყო სწორედ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულა

რევოლუციის ძალების განხილვისას. მითითებულ იქნა წიგნის სხვა ნაკლოვანებანიც.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სარეცენზიო წიგნი, როგორც პირველი ცდა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრების მონოგრაფიულად განხილვისა, ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს. პრობლემის ერთ-ერთი ძირითადი საკითხის — ქვეყნის ეკონომიური განვითარების დონის ძირითადად სწორი შეფასება, რის გარეშეც შეუძლებელია ქვეყანაში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური ძვრების ახსნა, მთელი რიგი საკითხების ახლებური დასმა და გაშუქება, წიგნში მოტანილი უხვი ფაქტობრივი მასალა და სხვა, მიუხედავად წიგნის ზოგიერთი ხაკლისა და ხარვეზისა, რაც პრობლემის სირთულით და სიდიდით აიხსნება, სოციალისტური რევოლუციის ისტორიის შესწავლის დარგში წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

სიტყვით გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ნაშრომის როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები.

კერძოდ, პროფ. ზ. ანჩაბაძემ განაცხადა, რომ ალ. ბენდიანიშვილის წიგნში ბევრი საინტერესო მასალაა მოტანილი მთელი რიგი საკითხების შესახებ. ნაწილობრივ მასში შესულია ავტორის მიერ ადრე ჩატარებული კვლევის შედეგები რეფორმის შემდგომი საქართველოს ეკონომიური ისტორიის დარგში.

განსახილველი წიგნის ზოგიერთი ძირითადი დებულება დავას იწვევს. ავტორი ამტკიცებს, რომ XX ს. დამდეგისათვის სამრეწველო განვითარების დონის მხრივ საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ევროპულ რუსეთს, მაგრამ სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების მხრივ თითქოს იგი იდგა რუსეთისა და უკრაინის მოწინავე გუბერნიების დონეზე. მოკამათე ეთანხმება დასკვნის პირველ ნაწილს, მაგრამ არასწორად მიაჩნია თეზისი საქართველოსა და რუსეთში სოფლის მეურნეობის განვითარების თანაბარი დონის შესახებ. საქმე ის არის, რომ XX ს. დამდეგისათვის საქართველოს სოფელში შემორჩენილი იყო ფეოდალური ურთიერთობის გაცილებით მეტი გადმონაშთი, ვიდრე რუსეთის სოფელში (დროებით ვალდებულებისა და სახელმწიფო გლეხების ინსტიტუტი, ხიზნობა და სხვ.). გარდა ამისა, რუსეთში გაცილებით უფრო კარბად იყო წარმოდგენილი კულაკობა, მათი ზვედრითი წონა, ვიდრე საქართველოში; რუსმა მემამულეებმა ასევე მნიშვნელოვნად გაუსწრეს ქართველ მემამულეებს თავიანთი მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის ხაზით.

მცდარია, აგრეთვე, ავტორის თეზისი იმის შესახებ, რომ ყოფილი რუსეთის იმპერიის ამა თუ იმ ნაციონალურ განაპირა რაიონში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ობიექტური პირობების არსებობა (ან არარსებობა) თითქოს აუცილებლად დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის განვითარების განსაზღვრულ დონესთან. მთლიანად რუსეთის შესახებ გამოთქმული დებულების გავრცელება ყველა მის განაპირა მხარეზე არ შეიძლება. რიგ შემთხვევებში ამოსავალი უნდა ყოფილიყო ვ. ი. ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლების იდეა იმდენად მარტივია, რომ იგი საეცებით მისაწვდომია ფეოდალური და ნახევრადფეოდალური განაპირა მხარეების გლეხობისათვისაც კი; და მეორეც, სოციალისტურ რუსეთს შეეძლო დახმარებოდა (და დაეხმარა კიდევ) ყოფილი განაპირა მხარეების მშრომელებს თავიანთ ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში.

წიგნს გააჩნია სხვა ნაკლოვანებებიც. ასე მაგალითად, II თავის I პარაგრაფში, რომელსაც ეწოდება „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ძალები“, თითქმის არაფერია ნათქვამი ამ რევოლუციის ნამდვილი მამოძრავებელი ძალების შესახებ. სამაგიეროდ, ამის შესახებ ლაპარაკია შემდეგ პარაგრაფში, რომელიც სოციალისტური რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს ეძღვნება. ამ თავში ფაქტიურად გამოტოვებულია საკითხი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვის შესახებ.

დასასრულ, ზ. ანჩაბაძემ აღნიშნა, რომ წიგნის დაწერისას ავტორი აჩქარდა და არასაკმარისად გაიაზრა თემის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ე. ახობაძემ ძირითადად დადებითად შეაფასა განსახილველი ნაშრომი და აღნიშნა რიგი საკითხებისა, რომელთა გაგებაშიც იგი არ ეთანხმება ავტორს.

1. კაპიტალიზმის განვითარების დონის ავტორისეული პოზიციის შეფასებისას ე. ახობაძემ აღნიშნა, რომ წიგნის ავტორი ლაპარაკობს ზოგადად, მაგრამ არ მოაქვს სათანადო მასალა. როცა აცხადებს, საქართველო სოფლის მეურნეობის განვითარების დონის მხრივ რუსეთის მოწინავე გუბერნიების დონეზე იდგაო.

2. წიგნში ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ორი სოციალური ომის საკითხი. ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი დაყენება. მაგრამ ნაშრომში არსად არ არის მოტანილი ამ საკითხის ლენინისეული გაგება, რომელიც მოცემულია სტატიაში „სოციალიზმი და გლეხობა“ (თხზულებანი, ტ. 9). ვ. ი. ლენინს გარკვეული აქვს ეს საკითხი. ამ ორ რევოლუციაში მუშათა კლასის ხელმძღვანელობა და მის მიერ ხალხის ფართო მასების დარაზმვა საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად აახლოვებდა ამ რევოლუციებს; მათი ამოცანების ვადაქრა შეიძლებოდა ერთიანი რევოლუციური პროცესის ორი ეტაპის სახით.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში — პროლეტარიატის წინაშე იდგა ამოცანა, მიემხრო გლეხობის მასა, დაემხო თვითმპყრობელობა და დაეწყარებინა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა. რაც უფრო მალე განხორციელდებოდა ეს, მით უფრო მალე გაიშლებოდა ახალი წინააღმდეგობანი და მით უფრო მიეუახლოვდებოდა სოციალისტურ გადატრიალებას; მით უფრო მძაფრი იქნებოდა პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიასთან. სწორედ ამიტომ ამბობდა ვ. ი. ლენინი, რომ „უაზრობაა დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციის ამოცანებისა და პირობების ერთმანეთში არეგ-დარევა, ვინაიდან, ვიმეორებ, ეს რევოლუციები მათში მონაწილე სოციალური ძალების ხასიათითაც და შემადგენლობითაც სხვადასხვაგვარია“ (თხზულებანი, ტ. 9, გვ. 379).

3. მესამე თავში ბევრი საინტერესო მასალაა მოტანილი, მაგრამ გამოტოვებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი გეზი, ივლისის ამბები, პარტიის VI ყრილობა და კურსი შეიარაღებული აჯანყებისაკენ და ა. შ., რომლებიც უნდა განხილულიყო ადგილობრივ მასალებთან და ფაქტებთან დაკავშირებით.

პროფ. ა. სურგულაძემ აღნიშნა, რომ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრების შესწავლა აუცილებელია. ცნობილია, რომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ამტკიცებს ჩვენში რევოლუციის შემთხვევით 12. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის... სერია, 1973, № 1.

ხასიათს, ასეთ ვითარებაში აუცილებელია სოციალისტური რევოლუციის წინამძღვრების დეტალურად შესწავლა და ჩვენება. მაგრამ ასეთი წიგნის შექმნა ერთი ავტორის შესაძლებლობებს აღემატება — იგი საკითხების ვრცელ რიგს მოიცავს. განსახილველი წიგნი სწორედ ამ მხრივ სცოდავს. მისმა ავტორმა მხოლოდ ერთი საკითხი შეისწავლა ამ დიდი კომპლექსიდან.

ვ. ი. ლენინს მოცემული აქვს რევოლუციური სიტუაციის ნიშნები. ავტორს უნდა გაერკვია თუ როგორ შეიძლება ეს მიუყენოთ საქართველოს სინამდვილეს. წიგნში არ არის ლაპარაკი რევოლუციის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე, არ არის მითითებული კოლონიური ჩაგვრის გამწვავება, ეროვნული ჩაგვრის გაძლიერება და აქედან გამომდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლა.

კაპიტალიზმის განვითარებას როგორც რუსეთში, ისე საქართველოში ჰქონდა წინააღმდეგობრივი ხასიათი. არ არის სწორი კაპიტალიზმის განვითარების დონის შესახებ კამათისას კრიტერიუმად რუსეთთან შედარების აღება. აქ მთავარია მოვლენების განვიწყობის ტენდენცია. რუსეთისათვის საქართველო იყო მისი იმპერიის ბუნებრივი წანაზარდი. იგი ხელს უწყობდა აქ მრეწველობის განვითარებას. აქაც იმავე ტენდენციით მიდიოდა ეს პროცესები, როგორც საკუთრივ რუსეთში, ოღონდ მინიატურულ ფორმებში. ეს თვით ობიექტური ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარეობდა.

ის, რაც გააკეთა ა. ბენდიანიშვილმა, აუცილებელი იყო, მაგრამ ეს არის მხოლოდ ერთი საკითხი ამ კომპლექსიდან. აქვე უნდა იყოს დაყენებული კულტურის საკითხებიც. ასახსნელია, რატომ მოხდა, რომ რუსეთის იმპერიაში ა/კავკასია, ბალტიისპირეთი და უკრაინა ესოდენ მაღალ დონეზე იდგნენ რევოლუციური მოძრაობის მხრივ. ისინი ზოგჯერ პეტერბურგსაც კი უსწრებდნენ. ეს და სხვა მსგავსი საკითხები უნდა იქნეს დამუშავებული პრობლემის საბოლოოდ გადაჭრისათვის.

კამათში გამოსულმა ი. ჭყონიამ და ე. ქვათაძემ გაიზარეს ავტორის მიერ ნაშრომში წამოყენებული მოსაზრებანი საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების მაღალი დონის შესახებ. ე. ქვათაძემ აღნიშნა, რომ წიგნის არსებით ნაკლს წარმოადგენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მამოძრავებელ ძალებზე ლაპარაკისას პროლეტარიატის უგულვებელყოფა და რევოლუციის მთავარ ძალად გლეხობის გამოცხადება.

საბოლოო სიტყვაში ალექსანდრე ბენდიანიშვილმა პასუხი გასცა შენიშვნებზე. მან აღნიშნა: ზ. ანჩაბაძე, აგრეთვე ე. ახობაძე არ ეთანხმებიან წიგნში წამოყენებულ დებულებას იმის შესახებ, რომ საქართველო სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარებით რუსეთის მოწინავე გუბერნიების დონეზე იდგა, ისინი კატეგორიულად აცხადებენ: როგორ შეიძლება კოლონია მეტროპოლიის დონეზე იდგეს, თუნდაც სოფლის მეურნეობის განვითარებით.

ცარიზმი, იცავდა რა თავადაზნაურობის წოდებრივ ინტერესებს, ცდილობდა ბატონყმობის ზოგი ნაშთის კონსერვაციას, მაგრამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურაში ამ ნაშთების მნიშვნელობა არც ისე დიდი იყო. ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფო ცდილობს გადააქციოს თავისი კოლონიები მეტროპოლიის სამრეწველო საქონლის გამსაღებელ ბაზრად და ნედლეულის ბაზრად. ასე იქცეოდა ცარიზმიც. იგი აფერხებდა საქართველოს სამრეწველო განვითარებას (მნიშვნელოვანწილად ამით იყო განპირობებული მრეწველობის

განვითარების შედეგებით დაბალი დონე), მაგრამ სამაგიეროდ ხელს უწყობდა მეთამბაქოეობის, მებაბრეშუმეობის, მებაბებეობის, მევენახეობა-მეღვინეობის და სოფლის მეურნეობის ზოგი სხვა დარგის განვითარებას, რადგან ეს დარგები რუსეთში არ იყო, მათ პროდუქციაზე კი დიდ მოთხოვნილებას აყენებდა რუსეთის მრეწველობა და საერთოდ ბაზარი. სავაჭრო ხასიათის ინტენსიური სოფლის მეურნეობის ბაზაზე საქართველოში ჩამოყალიბდა მცირერიცხოვანი, მაგრამ ეკონომიურად ძლიერი კულაკობა. ეს კლასი იძლეოდა მეცხვარეობის პროდუქციის 70—80%-ს. დაახლოებით ამდენივე იყო კულაკური მეურნეობის ხვედრითი წილი მეთამბაქოეობასა და მებაბებეობაში. მის ხელთ იყო მუშა საქონლის 50—60%. კულაკებსა და თავადაზნაურობაზე მოდიოდა წარმოებული ღვინის 70%. საერთოდ, კულაკობა, მართალია, გლეხური მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენდა, მაგრამ იძლეოდა გლეხთა მთელი პროდუქციის 30—40 და სასაქონლო პროდუქციის 60—70%-ს. ამაზე მეტი ხვედრითი წონა კულაკურ მეურნეობებს არც რუსეთში ჰქონია. საქართველოს კულაკთა ნაწილი საკმაოდ მსხვილ კაპიტალისტად გადაიქცა. ბევრს ჰქონდა 100—2000 ჰექტ. მიწა; ათიოდე მთიელი ბობოლა 10 ათასიან და კიდევ მეტ ცხვრის ფარას ფლობდა, ბევრი იყო 200 ძროხის პატრონი გლეხი, 500-ძროხიანი კაპიტალისტური ფერმაც არ იყო იშვიათი გამონაკლისი. ფაქტია, რომ ეს არაა უბრალო დიფერენციაცია, დაწყებული იყო წარმოების კაპიტალისტური კონცენტრაცია სოფლის მეურნეობაში.

ზ. ანჩაბაძე მეტად ცუდი წარმოდგენისაა ქართველ თავადაზნაურთა სამეწარმეო უნარზე, მაგრამ წიგნში მოტანილი მასალა (იხ. გვ. 80—89) ცხადყოფს, რომ ქართველ თავად-აზნაურთა ბევრი წარმომადგენელი მსხვილი მემამულე-რაციონალიზატორი იყო. კიდევ მეტი, მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოები შექმნეს ვაჭარ-მრეწველთა წრიდან გამოსულმა მემამულეებმა (იხ. გვ. 90—97). ქართველ თავად-აზნაურთა წოდებრივმა ორგანიზაციამ ააგო ერთ-ერთი პირველი თბოელსადგური საქართველოში, მანვე გაიყვანა თბილისი-თელავის რკინიგზის ხაზი. ასეთი მსხვილი საქმისათვის რუსეთის არც ერთი გუბერნიის თავადაზნაურობას არ მოუკიდია ხელი. ამ ფაქტებისათვის თვალის არიდება და საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციფიკურ ჩამორჩენილობაზე ლაპარაკი, ჩვენი აზრით, არ არის მართებული.

1918—1921 წწ. საქართველოს სოფელში უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი „მეორე სოციალური ომი“. უკვე XIX—XX სს. მიჯნაზე ქალაქსა და მრეწველობაში უპირატესობა მეორე სოციალურ ომს ჰქონდა მოპოვებული. სოფლად იმ დროს ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო ამ ომის გავრცელების არეალი. მაგრამ იგი თანდათან ფართოვდებოდა. საგრძნობლად რომ არ გაზრდილიყო მეორე სოციალური ომის საფუძველი და მისი გავრცელების არე, ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1905 წელს ვერ დაასაბუთებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესაძლებლობას, რომლის რეალობა ესოდენ კლასიკური ფორმით დაადასტურა 1917 წლის ორმა რევოლუციამ.

განხილვის შედეგები შეაჯამა სემინარის ხელმძღვანელმა პროფ. პ. რატიანმა. მან აღნიშნა, რომ ალ. ბენდიანიშვილის ნაშრომის განხილვამ მეტად საინტერესოდ ჩაიარა, გამოითქვა ბევრი საყურადღებო შენიშვნა და სურვილი, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ავტორს საკითხზე შემდგომი მუშაობისას.

ნათელა როდონია

საგარეო ურთიერთობის დოკუმენტების კუბლიკაცია

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა დიპლომატიური დოკუმენტების გამოცემის კომისიამ ამასწინათ გამოაქვეყნა „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების (1917—1934 წწ.)“ მორიგი, XVII ტომი¹ და „XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების“ (1801—1814 წწ.) VII ტომი².

მიმდინარე წელს გამოვა „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ მორიგი VIII ტომი, რომლითაც დასრულდება ამ გამოცემათა პირველი სერიის პუბლიკაცია.

1973 წელს გამოვა „რუსეთის საგარეო პოლიტიკის“ IX ტომი, რომლითაც დაიწყება ამ გამოცემათა მე-2 სერია (7—8 ტომის მოცულობით). მათში შევა ძირითადად დღემდე გამოუქვეყნებელი დიპლომატიური დოკუმენტები 1815 წლიდან 1830 წლის ივლისამდე, ე. ი. პარიზის ზავიდან და „სალვთო კავშირის“ შექმნიდან 1830 წლის ივლისის რევოლუციამდე საფრანგეთში.

ამ დოკუმენტების კრებულებში მოცემული იქნება მასალები „სალვთო კავშირის“ მოქმედებაზე, რუსეთის ურთიერთობაზე ინგლისთან, საფრანგეთთან, ავსტრიასთან, პრუსიასთან, ესპანეთთან, შვეიციასთან, დანიასთან, პოლანდიასთან, შვეიცარიასთან, გერმანიისა და იტალიის სახელმწიფოებთან; აქვე იქნება გამოქვეყნებული დოკუმენტები იმ პერიოდის დიპლომატიურ და სახელმწიფო მოღვაწეთა მოქმედებაზე და სხვ.

„რუსეთის საგარეო პოლიტიკისა“ და, განსაკუთრებით, „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტების“ გამოქვეყნებამ დიდი გამოსმაურება ჰპოვა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის პრესაში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები“ ადრე არსებულ გამოცემასთან შედარებით უფრო სრულია, დოკუმენტების დიდი ნაწილი ქვეყნდება პირველად.

მაგალითად, „სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები“, რომლებიც შეეხებიან 1917—1923 წწ., საშუალებას იძლევიან უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ლენინურ საგარეო პოლიტიკაზე აღნიშნულ პერიოდში. ამჟამად გამოვიდა სწორედ ამ სერიის XVII ტომი (1934 წ.).

ამ ტომში მოთავსებულია საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის 442 მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელთა უმრავლესობა დღემდე არ გამოქვეყ-

¹ Документы внешней политики СССР (1917—1934 гг.).

² Документы внешней политики России XIX и начала XX века.

ნებულა; აქვეა მოთავსებული ასევე, გარკვეული რაოდენობის უცხოური დოკუმენტებიც. ამავე ტომში შევიდა საბჭოთა კავშირის მიერ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები, ასევე: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და უცხოეთში ჩვენი წარმომადგენლების ნოტები, მემორანდუმები, წერილები, დეპეშები, ჩანაწერები სხვადასხვა შეხვედრებისა და საუბრების დროს, სადაც ჩანს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის აქტიურობა ომის ორი კერის წარმოშობის პერიოდში; 1934 წლის 15 სექტემბერს 30 სახელმწიფოს მიწვევით საბჭოთა კავშირის შესვლა ერთა ლიგაში; საბჭოთა კავშირის წინადადებები ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტის დადებაზე სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ჩინეთსა და იაპონიას შორის; საბჭოთა კავშირის ურთიერთობა საფრანგეთთან, ინგლისთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა სახელმწიფოებთან; საბჭოთა კავშირის ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ა. შ.

საერთოდ ეს დოკუმენტები იძლევიან შედარებით სრულ წარმოდგენას სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის განვითარებაზე, მის არსზე, ძირითად ეტაპებსა და წარმატებებზე. ისინი ცხადპყოფენ ბურჟუაზიული ფალსიფიკატორების მონაპორთა უსაფუძვლობას, ამხელენ მათ ცდას გააყალბონ პირველი სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა. დოკუმენტები ღრმად და დამაჯერებლად უჩვენებენ სსრ კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკის პრინციპულობას, თანმიმდევრობას და სინამდვილეს.

ზემოხსენებული დოკუმენტების კრებულებში მოთავსებული მასალების ერთ-ერთი მნიშვნელობა სწორედ იმაშიცაა, რომ ისინი განკუთვნილია არა მარტო მეცნიერი მუშაკების, მასწავლებლების, ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებრიობისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, დოკუმენტების კრებულები შეიცავენ ზოგიერთ უცხოურ მასალასაც, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა მთავრობის ნოტებზე პასუხებს. ეს უკანასკნელნი ხელს შეუწყობენ საბჭოთა დოკუმენტების უკეთ გაგებას.

დოკუმენტების ყოველ ტომს დართული აქვს რედაქტორთა შენიშვნები, კომენტარები, სადაც გამოყენებულია დამატებითი საარქივო და სხვა მასალები, რომლებიც კრებულში არ შევიდა.

ილია ტაბაღუა

ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია

1972 წელს

ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ამჟამად ჟინვალის საპრობლემო ჩგუფმა) 1972 წელს ჩაატარა ფართო არქეოლოგიური სამუშაოები უპირატესად ჟინვალის ჰიდროკვანძის სამშენებლო ზონაში. 1971 წელს სადაზვერვო სამუშაოების შედეგად შემუშავებული გეგმა თითქმის მთლიანად განხორციელდა¹, ამასთანავე 1972 წელს შესრულდა არა ერთი გაუთვალისწინ-

1. რ ა მ ი შ ე ი ლ ი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნება ისტორიის სერია, 1971, № 4, გვ. 167.

ნებელი სამუშაოც. ამჟამად მოპოვებული მასალა მუშავდება, მაგრამ ვიდრე 1973 წლის არქეოლოგიური სესიის წინაშე ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის კოლექტივი სრული ანგარიშით წარსდგებოდეს, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ ექსპედიციის საქმიანობის უმთავრეს ამბებს და შევეხებით ზოგ პრობლემატურ საკითხს, რომელიც ჟინვალის არქეოლოგიური ლაბორატორიის წინაშე დადგა მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით და რომლის გადაჭრასაც, მომდევნო წლებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჟინვალის ექსპედიციამ, რომელიც კვლავ კომპლექსური იყო, ცალკეული პერიოდების მიხედვით 1972 წელს შემდეგი სამუშაო შეასრულა:

1. გრძელდებოდა დაზვერვები ქვის ხანის ძეგლების გამოსაყვანად (ლ. წერეთელი), როგორც წყალსაცავის არეში, ასევე მის გარეთაც. ბაზალეთის პლატოზე, არავეის III და IV ტერასებზე, აღმოჩნდა დამატებითი მასალები, რაც მიუთითებს ამ მხარეში ძველი და ახალი ქვისხანის ძეგლების არსებობაზე.

2. ბრინჯაოს ხანის ძეგლების შემსწავლელი რაზმი (ლ. წითლანაძე) სამუშაოებს ატარებდა სოფ. ვარსიშანთკარში (უბანი VI), სადაც გაითხარა უაღრესად საყურადღებო კომპლექსების შემცველი 15 სამარხი, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, ადრეანტიკურ (ყაზბეგურ) ხანას განეკუთვნება. მონაპოვართა შორის ყურადღებას იქცევს რკინის იარაღების, განსაკუთრებით შუბისპირების სიუხვე, ხოლო თიხის ჭურჭლებს შორის კამარაჩეველი ტიპის სამფეხა ჯამი. როგორც ცნობილია, უფრო მოგვიანებით, სამფეხა ჯამები იქცა ალაზნის ველის პერული კულტურის მეტად დამახასიათებელ კომპონენტად.

სადაზვერვო სამუშაოთა შედეგად სოფ. მალაროსკარში აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის საბაროვანი, რომელიც 1973 წელს გაითხრება.

ექსპედიციის ბოლო დღეებში ახალი ჟინვალის დასავლეთ პერიფერიაზე შემთხვევით აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ერთი სამარხი, რომლის ინვენტარიდან გადარჩა მხოლოდ ბრტყელი და ვერძისებრ ხვეულთავიანი ბრინჯაოს საცინაი.

3. არმაზული (გვიანანტიკური) და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები ძირითადად ახალ ჟინვალში ითხრებოდა (რ. რამიშვილი), სადაც მიწის სამუშაოთა შესრულებისას თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა სხვადასხვა დროის სიძველეთა ნაშთები.

ადმინისტრაციული სახლის გარშემო, იქ სადაც 1971 წელს აღმოჩნდა 8 სამარხი (მათ შორის ორი მდიდრული), დამატებით გაითხარა ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევარსა და IV საუკუნის დამდეგის 17 რიგითი სამარხი (უბანი I), რომელმაც საკმაოდ საყურადღებო მასალებით (თიხის ჭურჭელი, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულები, სხვადასხვა მოყვანილობის მძივები და სხვ.) შეავსო გასული წლის მონაპოვარი.

აღნიშნული სამაროვანი ვრცელდება ჩრდილოეთითაც, სადაც საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისათვის განკუთვნილ ქვაბულში აღმოჩნდა კიდევ 7 სამარხი.

არმაზული ხანის მეორე სამაროვანი აღმოჩნდა ახალი ჟინვალის დასავლეთ პერიფერიაზე, იქ სადაც შენდება მთავარი კოლექტორის სათავე და საავადმყოფოს კომპლექსი. ჩვენ მიერ გათხრილ ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი მასალა (თიხის ჭურჭელი, ვერცხლის საყურეები და თვალბუ-

დიანი ბეკედი, ბრინჯაოს სამაჯურები, სარდიონის, გიშრის, ქარვისა და მინის დიდძალი მძივი და სხვ.). მომავალი წლისათვის აღნიშნულ ადგილას გათვალისწინებულია ფართო კვლევა-ძიების ჩატარება. ახალ ქინვალში განსაკუთრებით საყურადღებო იყო ნამოსახლარის თხრა (უბანი II), რომელიც შეიცავს ორ სამშენებლო დონეს. ზედა ფენაში, რომელიც ძალზე ახლოა მიწის ზედაპირთან, შემორჩენილია რიყით ნაგები კედლების ნაწყვეტები და ცალკეულ სათავსთა ნაშთები, თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხების მიხედვით ზედა სამშენებლო დონე აღრეფეოდალური ხანის პირველი საუკუნეებით თარიღდება.

ქვედა სამშენებლო დონე 50—70 სმ-ის სისქის ფენითაა გამოყოფილი პირველისაგან და ძირითადად ქოთურად დაყრილი (ჩანს კედლებიდან ჩამონგრეული) ქვების მძლავრი ფენითაა წარმოდგენილი. ამ სამშენებლო დონის ბუნება მთლად კარგად არ არის გამოკვლეული. მომდევნო წლებში, როდესაც სამშენებლო მოედანი განთავისუფლდება, იმედი გვაქვს უფრო მეტი საშუალება გვექნება II სამშენებლო დონის შესასწავლად. ამჯერად კი არქეოლოგიური მასალების ანალიზი საშუალებას იძლევა ქვედა ფენა არმაზული ხანით იქნეს დათარიღებული.

4. რუსთაველის ეპოქის ძეგლების შესწავლა წარმოებდა საკუთრივ ქინვალში, მომავალი „ზღვის“ ფსკერზე, ადგილ „ნაქალაქარის“ შუა ნაწილში. „ნაქალაქარი“ წარმოადგენს ძველი ქინვალის ერთ უმნიშვნელოვანეს უბანს, რომელიც საკმაოდ ვრცელ მონაკვეთზეა გადაჭიმული (ხევსურეთის ხიდის-ყურიდან ლალაურას ხევამდე). ყველაზე ინტენსიურად, თავის დროზე, დასახლებული ყოფილა ამ მონაკვეთის შუა ნაწილი, ე. წ. „თამარის ციხის“ ძირობაზე, სადაც 1973 წლიდან ქინვალის ექსპედიციას ფართო სამუშაოები აქვს დაგეგმილი.

1972 წელს კი ოდნავ ჩრდილოეთით ითხრებოდა „ნაქალაქარის“ უბნის სამაროვანი (უბანი III — ბ. ჯო რ ბ ე ნ ა ძ ე), რომელიც ორი არაგვის შესაყართან. ფშავის არაგვზე წამდგარი სამკუთხა მოყვანილობის ვაკობზეა განფენილი.

საანგარიშო წელს „ნაქალაქარის“ სამაროვანზე გაითხარა ასამდე კოლექტიური სამარხი, რომელთა შორის ბევრია მტკიცე ქვითკირით ნაგები, ცრუთაღიანი, ან კიდევ ბრტყელსახურავიანი აკლამები. მიუხედავად იმისა, რომ სამარხთა უმეტესი წილი ძველ დროსვეა გადასინჯულ-გაძარცული, მაინც დაგროვდა საკმაოდ საყურადღებო მასალა (ბრინჯაოს და რკინის საყურეები, სამაჯურები, ბეჭდები, ოჭროს საყურე და ბეჭედი, მინის სამაჯურები, თიხის ჭურჭელი და სხვ.), რომელიც საშუალებას იძლევა მთელი სამაროვანი ზოგადად XI—XIII საუკუნეებით დათარიღდეს.

აღნიშნული სამაროვნის განაპირას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წრიული გალავნით მოზღუდული ერთი უბანი, რომელშიც მცირე ეკლესიის ნანგრევი და ერთი კუთხეგამონგრეული დიდი თაღოვანი აკლამაა დაცული. აკლამა შემთხვევით აღმოუჩენიათ ხევსურეთის გზის გამყვანებს ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში. მსგავსი აკლამები დანგრეული ეკლესიის გარშემო კიდევაა მოსალოდნელი. საერთო სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში განკერძოებით შემოზღუდული ეს მცირე განსასვენებელი შესაძლოა შუაფეოდალური ხანის ქინვალის მფლობელთა საძვალეს წარმოადგენდეს. ინტერესი აღნიშნული ობიექტისადმი განსაკუთრებით ცხოველია და ვფიქრობთ, 1973 წელს, იქაც ვაწარმოთ კვლევა-ძიება.

შუაფეოდალური ხანის ფენები გამოვლინდა ხერთვისის კოშკზეც, სადაც ჩატარდა მცირე საძიებო თხრა (უბ. VII — რ. ჯ ა ტ ი ე ვ ი).

5. გვიან ფეოდალური ხანის ძეგლთაგან ექსპედიციამ შეისწავლა საკუთრივ უნივალში მდებარე დიდი ზურგიანი კოშკის (მას ჩვენ „ღედაციხე“ შევარქვით) ტერიტორია (უბ. IV — ზ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე), სადაც უმთავრესი ყურადღება მიექცა ეკლესიის ნანგრევთა შესწავლას. ეკლესიის კედლის წყობაში კარგად ჩანს ორი სამშენებლო დონე. მონაპოვარი მასალა გვიანფეოდალური ხანის გვიანდელი ეტაპისაა და ჩანს ეკლესიაც XIX საუკუნის მეორე ნახევარშია დაქუეული. ეკლესიის პირველი სამშენებლო დონის თარიღი ჯერჯერობით გაურკვეველია.

გვიანფეოდალური ხანის უაღრესად საყურადღებო მასალები აღმოჩნდა ხერთვისის კოშკის ზედა ფენებშიც (უპირატესად კერამიკა), ხოლო სოფ. ბოდორნის მახლობლად, ღუშეთის ხეზე კი მშენებლებმა შემთხვევით აღმოაჩინეს და ჩვენ გავთხარეთ მრგვალი კოშკის სულ ქვედა (სარდაფის) დონე, სადაც საკმაოდ მოზრდილი თაღოვანი სათაესია შემორჩენილი, შეისრული თახჩებით, ჩრდილოეთისაკენ გასაძრომი კარით და ბუხრით (უბ. V — რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი). აღნიშნული კოშკი შესაძლოა აშენდა მას შემდეგ, რაც არაგვის ერისთავების რეზიდენცია აიგო ღუშეთში და მას ალბათ, ღუშეთისაკენ, ხეზე ამავალი გზის დაყვა ევალებოდა.

6. გარდა არაგვის ხეობისა, ექსპედიციის ერთი რაზმი (გ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე) ძეგლის ავარიული მდგომარეობიდან და ამასთანავე უნივალის ექსპედიციის საერთო პრობლემატიკიდან გამომდინარე, საქმიანობდა ყაზბეგის რაიონში (ხევში). რაზმმა დარიალის ხეობაში, ზემო კობის მახლობლად, შეისწავლა დაზიანებული სამაროვნის ნაწილი. გათხარა ფიქლის ფილებით ნაგები 38 სამარხი, რომლებიც თანმხლები ნივთებით ადრეფეოდალური ხანის დასასრულით თარიღდება. ამასთანავე ჩატარდა საკმაოდ ნაყოფიერი სადაზვერვო სამუშაოები ყაზბეგისა და სიონის მიდამოებში.

7. შრომატევადი მუშაობა ჩატარა მ ზ ე ე რ ა ვ მ ა ჯ გ უ ფ მ ა (ჯ. გ ვ ა ს ა ლ ი ა), რომლის ძირითად მოვალეობას, 1972 წლისათვის, წარმოადგენდა სამშენებლო ზონის საგულდაგულო დაზვერვა და იქ დამატებითი ძეგლების აღმოჩენა-ფიქსაცია იმ ვარაუდით, რომ მომავალი წყალსატევის ფსკერზე არ დარჩეს არცერთი შეუმჩნეველი ისტორიულ-არქეოლოგიური ობიექტი. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა დაზვერვა ლალაურასა და გულრუხის ხევებში, სადაც მიკვლეულია დიდრონი ნასოფლარები. გარდა ძეგლების ფიქსაციისა, დიდი ყურადღება დაეთმო ტოპონიმიკური მასალების შეგროვებას. ამ მხრივ დიდი მუშაობა გასწია ექსპედიციის თითოეულმა წევრმა და 1971—72 წწ. დაგროვდა საკმაოდ მდიდარი ტოპონიმიკური მასალა, რომელიც მომავალში საგანგებო შესწავლას იმსახურებს. მაგრამ ვიდრე ამ ხაზით სპეციალური კვლევა ჩატარდება, ახლავე უნდა აღინიშნოს, რომ არაგვის ხეობის ტოპონიმიკურ მასალაში გამოიყოფა ადგილის სახელთა ერთი ჯგუფი, რომელიც, თითქოს ზოგად ზანურ სამყაროსთან კავშირის კვალს ატარებს (მაგ. უინეანი || უინივანი, ნეძინი, ავენისი, ლაუშა, ლახატო, მაქართა, აჩაქველი და სხვ.). რა თქმა უნდა, ახლად მოპოვებული ტოპონიმიკური მასალა ჯერ კიდევ საფუძვლიან შესწავლას და ენათმეცნიერულ ანალიზს საჭიროებს, რომ იგი რაიმე სერიოზული დასკვნისათვის ცოტად თუ ბევრად მყარ საყრდენად იქცეს, მაგრამ ასეთი წინასწარული ვარაუდის შესაძლებლობას გარკვეულად მხარს უჭერს ისიც,

რომ ჯერ კიდევ ნ. მარმა² და ს. კაკაბაძემ³ ეთნონიმი „წანარი“ სვანურ სამყაროს დაუკავშირეს და წანართა ძირითად საცხოვრისად ხევი მიიჩნიეს. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა და ახალი მასალით შეამავრა ჯ. გვასალიამ⁴. მოგვიანებით, კერძოდ ადრეფეოდალურ ხანაში, წანარები ჩანს ერცელდებიან არაგვის ხეობის ბარში, აღწვევენ ისტორიულ კახეთში და იმდენად ფართოვდებიან, რომ არაბულ წყაროებში ეთნონიმი წანარი || სანარი-ის ქვეშ მთელი კახეთია ნაგულისხმევი. აქვე უნდა შეინიშნოს (ასევე წინასწარული ვარაუდის სახით), რომ წანარები წმინდა სვანური მოსახლეობის სახით არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მეგრული იერის მატარებელი ტოპონიმების სიუხვე დუშეთისა და თიანეთის რაიონებში (მაგ. ნოჯა, ნეძიხი, ნოჯიკეთი, ხაიშო, ჯიხო, ჯიჯეთი, ჟინვანი და სხვ.) ალბათ იმისი მანიშნებელია, რომ წანარები თავდაპირველად სვან-კოლხური ნარევი მოსახლეობის სახით იყო წარმოდგენილი⁵.

ზოგად ზანური იერის მატარებელი ტოპონიმები აღმ. საქართველოს მიწა-წყალზე, ზენასოფლიდან მოკიდებული ქვემო ქართლამდე და მთელს კახეთ-ჰერეთ-სოჭეთში, არა ერთგანაა შემჩნეული (მაგ. მტკუარი, დილომი, ონადირები, წყნეთი, ხორნაბუჯი, ლექართი || ლეკითი, ლაგოეთი, ცულიყლაპია ტყონის ტყე, ლოჭინი, ჯიმიტი, კობიო და სხვ.).

უნდა ვიფიქროთ, რომ ზანური იერისა და შესაბამისად შინაარსის მატარებელ ტოპონიმთა ერთი ნაწილი აღმ. საქართველოს მიწა-წყალზე ძალზე ადრე უნდა იყოს დამკვიდრებული, უფრო ადრე, ვიდრე აქ საბოლოოდ გაბატონდებოდა ქართების, კახების, კუხებისა და ჰერების აღმოსავლურ-ქართლური ტომები. ჩვენი ვარაუდით, ადგილთა ასეთი სახელწოდებები ან იმ დროის ნაშთია, როდესაც ფუძე-ქართული ენა ჯერ კიდევ განუყოფელი და შესაბამისად თანაბრად გასაგები იყო ყველა ქართველი ტომისათვის (ალბათ ადრებრინჯაოს ხანაში), ან კიდევ უნდა ვიგულისხმობთ, რომ აღმოსავლურ ქართული ტომების აქ განსახლებას წინ უსწრებდა დასავლურ ქართული მოსახლეობის საკმაოდ მძლავრი სუბსტრატის არსებობა⁶, რომელიც, მოგვიანებით, შთანთქმა მოსახლეობის აღმოსავლურ-ქართულმა ნაკადმა.

თუ ისტორიული წანარებისა და სვანების (ალბათ სვან-კოლხების) ეთნიკური გაიგივება სწორია, მაშინ უნდა დაუშვათ, რომ „ზანურის“ ყველაზე გვიანდელი ნაკადი აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანას განეკუთვნება.

არაგვის ხეობაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაშლისთანავე ამ მომენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და ჩვენ წინაშე დადგა უაღრესად რთული და საინტერესო პრობლემა, რომელიც თავისი მნიშვნელო-

² Н. Я. Марр, «Христианский Восток», т. II, вып. I, 1913, გვ. 32.

³ С. Н. Какабадзе, საისტორიო კრებული, III, თბ., 1928, გვ. 11.

⁴ ჯ. გვასალია, წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 59, № 3, 1970, გვ. 253.

⁵ ამ სვან-კოლხურ მოსახლეობას, როგორც ჩანს, გარკვეული შეხება უნდა ჰქონოდა თავის დროზე ადიღურ სამყაროსთანაც, რაზედაც შესაძლოა მიუთითებდეს ტოპონიმ აჩაქველის არსებობა ზორხის ხეობაში. ან კიდევ ლაშარის ხატებისა ძველ ფხოვეში.

⁶ შესაძლოა ასეთი ნაკადის ნაშთს აღმოსავლეთ საქართველოში წარმოდგენდა სოჯების თუ სუჯების (შდრ. სოჯი//სუჯი) ტომი, რომელიც მკვლევართა მიერ თანამედროვე გარე კახეთში, დაახლოებით აწინდელი საგარეჯოს რაიონშია ლოკალიზებული (იხ. თ. ჰაკუბაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 68—70).

ბით ბევრად სცილდება არაგვის ხეობათა ფარგლებს. ასეთი მსჯელობისას უპირველეს ყოვლისა საკითხი ისმის არაგვის ხეობაში დასავლურ-ქართული წარმოშობის ეთნიკური მასივის გავრცელების გზების შესახებ (გვიანანტიკურ-სა და ადრეფეოდალური ხანისათვის). რა თქმა უნდა, კვლევა-ძიების ამ ეტაპზე ჩვენ რაიმე მოსაზრების დაბეჭდვებით მტკიცება გვიჭირს (ამის შესაძლებლობას, ალბათ, მომავალში არქეოლოგიური, ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ-ტოპონიმიკური და სხვა მასალების ერთობლივი ანალიზი მოგვცემს). მაგრამ მაინც გვინდა გამოვთქვათ შემდეგი ვარაუდი: ჩვენ იმ მკვლევართა მომხრე ვართ, რომლებთაც გვიანი ბრინჯაოს ხანის საკმაოდ გახმაურებული ყობანური კულტურა კოლხური კულტურის ნაწილად მიაჩნიათ⁷. ამასთანავე, ჩვენი რწმენით, ამ კულტურულ ერთობას საფუძვლად უნდა ჰქონოდა მის მატარებელთა ეთნიკური ერთიანობაც, რის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე კარგახანია გამოთქმულია აზრი⁸. ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე განსახლებულ „ყობანური“ კულტურის მატარებელ, ალბათ, დასავლურ ქართულ ტომებს, როგორც ჩანს, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, კავკასიონის ქედზე არსებული გადასასვლელებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა არა მარტო საკუთრივ კოლხურ სამყაროსთან, არამედ აწინდელი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მსხდომ ტომებთანაც. ყველაზე უფრო ინტენსიურად, ჩანს, ეს კონტაქტები ლიახვის სათავეებში ხორციელდებოდა (მაგ. თლი), თუმცა არაგვის ხეობის არქეოლოგიური მონაპოვარიც კარგად გვიჩვენებს (ჩაბარუხისა და ფასანაურის განძები. ბოდორნის შემთხვევით ნაპოვნი და სხვა), რომ გარდა სურამის უღელტეხილის და ჭოროხის აუზთან დამაკავშირებელი გზებისა, ზოგად — კოლხურ სამყაროსთან შიდა ქართლის კავშირი მაშინდისა და დარიალის გზითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

